

**შოთა ფაფიაშვილი, ირაკლი გაბისონია,
ჯემალ გაბელია**

სამართალმცოდნეობის შესავალი

**გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2019**



მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „შესავალი სამართალმცოდნეობის“ ფარგლებში და გამოცემულია ფაკულტეტის მხარდაჭერით.

წიგნი „სამართალმცოდნეობის შესავალი“ – განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სამართლის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტებისათვის, რომლის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და სამართლის ცალკეული დარგების ძირითადი დებულებების შესწავლა-ათვისებაში.

**რედაქტორები: ცილა გლოველი
თამარ ბარამია**

რეცენზენტი: ვახტანგ ჟვანია

© სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
© ავტორთა ჯგუფი, 2019

გამომცემლობა „მერიდიანი“;

ISBN 978-9941-25-695-0

ავტორებისაგან

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ყველა უმაღლესმა სასწავლებელმა ფართოდ გაულო კარი იურიდიული მეცნიერების დაუფლების სურვილით აღსავსე ნიჭიერ ახალგაზრდებს. რამაც განაპირობა სამართლის სპეციალობების პირველკურსელებთან ამ ახალი იურიდიული დისციპლინის „შესავალი სამართალმცოდნეობის“ დანერგვა. ვინაიდან, საჭიროა მათ სწავლების დასაწყისშივე მიეცეთ წარმოდგენა იურისტის პროფესიაზე, იურისტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, სამართლის ცალკეული დარგების მიზნებსა და ამოცანებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად აბიტურიენტთა ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამით გათვალისწინებული არაა სამართალმცოდნეობის საგნის ჩაბარება და ყველა უმაღლესი სასწავლებლის იურიდიულ ფაკულტეტზე პირველი კურსის დაკომპლექტება ხდება იურიდიულ საკითხებში აბსოლუტურად გაუთვისებელი აბიტურიენტებით და, ცხადია, ეს გარემოება გარკვეულწილად ართულებს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. ამიტომ შევეცადეთ საქართველოს კონსტიტუციასა და სამართლის ცალკეულ დარგებში შესული ცვლილებების შესწავლის შედეგად გადმოგვეცა მოცემული საგნის აქტუალური და ფუნდამენტური საკითხები. შესაბამისად, გარკვეული ადგილი დავუთმეთ ქართული სამართალ-შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების მოკლე ისტორიულ მიმოხილვას, იურიდიული პროფესიის დაუფლების ხერხებსა და მეთოდებს, იურიდიული პროფესიის ორიენტაციასა და იურისტის პროფესიული საქმიანობის საკითხების გაშუქებას. ამასთანავე, მასში გადმოვეცით სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, საკონსტიტუციო სამართლის, სამოქალაქო სამართლის, შრომის კანონმდებლობის, ადმინისტრაციული სამართლის,

საგადასახადო სამართლის, სისხლის სამართლის, სისხლის საპროცესო სამართლის და კრიმინალისტიკის ძირითადი დებულებები.

უკანასკნელ წლებში ქართულ იურიდიულ ლიტერატურას შეემატა მრავალი ავტორის მიერ ცალკე წიგნებად გამოცემული საინტერესო ნაშრომები სამართლის ცალკეულ დარგებსა და იურიდიულ დისციპლინებში. მაგალითად, პროფ. ლადო ჭანტურის ნაშრომი „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში“. ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული „შესავალი სამართლის ფილოსოფიაში“, „კრიმინალისტიკის კურსის შესავალი“ და სხვ. თუმცა ეს ნაშრომები ეხება სამართლის მხოლოდ ერთ რომელიმე დარგის პრობლემებს. ზემოაღნიშნული ნაშრომებისაგან განსხვავებით, წინამდებარე ნაშრომს ნაწილობრივ შეეუცვალეთ სახელწოდება და მასში ცნება „იურიდიულის“ ნაცვლად გამოვიყენეთ სიტყვა „სამართალმცოდნეობა“.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემული წიგნში „სამართალმცოდნეობის შესავალი“ ყველა ცალკეული საგნის მიმართ დაწერილი შესავალისაგან განსხვავებით უფრო ფართო ხასიათისაა და მასში მისი იურიდიული ბუნების, მიზნებისა და ამოცანების, სისტემისა და სტრუქტურის გარდა, განხილულია აგრეთვე ისეთი სპეციფიკური საკითხები, როგორცაა: იურიდიული პროფესიისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, იურიდიული ტერმინოლოგიის, ქართული იურიდიული მეცნიერების ცალკეული დარგების ძირითადი დებულებები, იურიდიული აზროვნების განვითარება – ჩამოყალიბების მოკლე ისტორიულ მიმოხილვა და თანამედროვე მეცნიერებისა და პრაქტიკის ზოგიერთი პრობლემატური საკითხი და სხვ.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იურიდიული პროფესიისა და იურისტის საქმიანობისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებზე; იურისტის პროფესიულ ორიენტაციასა

და მომზადებაზე; პრაქტიკოს იურისტთა პროფესიული საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე; იურისტის პროფესიული ეთიკის საკითხებზე; სამართლის ძირითადი დარგებისა და იურიდიული დისციპლინების ამოსავალ დებულებებსა და სხვა იურიდიული პროფილის მიმართებით არსებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხებზე თანამედროვე კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

დაბოლოს, გვინდა გამოვხატოთ გულწრფელი მადლიერება ყველა იმ მეცნიერისა და პრაქტიკოსის მიმართ, რომელთაც თავიანთი მხარდაჭერითა და სამეცნიერო დისკუსიებით ხელი შეუწყვეს ამ წიგნის სრულყოფასა და გამოცემას. ასევე, იმათ მიმართ, რომლებიც გაეცნენ ამ სახელმძღვანელოს და გამოთქვეს ობიექტური შენიშვნები და წინადადებები ნაშრომში განხილული საკითხების გარშემო.

სარჩევი

ავტორებისაგან..... 3

სარჩევი..... 6

თავი პირველი

სამართალმცოდნეობა, როგორც მეცნიერება..... 13

1.1. „სამართალმცოდნეობის შესავლის“ საგნის არსი, მიზნები და იურიდიული ბუნება..... 13

1.2 საგნის სისტემა..... 16

1.3. სამართალმცოდნეობის კვლევის მეთოდები და ფუნქციები..... 21

თავი მეორე

სამართლებრივი კულტურა და პროფესია „იურისტი“ 24

2.1. ცნება „იურისტი“, იურიდიული პროფესიის თავისებურებანი 24

2.2. სამართლებრივი კულტურა და სამართლებრივი აღზრდა.. 30

2.3 ზოგი რამ ქართული სამართლებრივი აზროვნებისა და კანონმდებლობის შესახებ..... 36

თავი მესამე

ძირითადი იურიდიული ტერმინოლოგია..... 40

თავი მეოთხე

სახელმწიფოს ცნება და ნიშნები..... 53

4.1. სახელმწიფოს ცნება და ძირითადი ნიშნები..... 53

4.2. სახელმწიფოს ფუნქციები 56

4.3. სახელმწიფოს მექანიზმი..... 58

თავი მეხუთე

სახელმწიფოს ფორმა 60

- 5.1. სახელმწიფო ფორმის ცნება 60
- 5.2. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია 61
- 5.3. სახელმწიფოს წარმოშობის თეორიები 64
- 5.4. სახელმწიფოს ფორმის სტრუქტურა 69
- 5.5. სახელმწიფოს მიზანი, ფუნქციები და აპარატი 77
- 5.6. სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო 82
- 5.7. ხელისუფლების დანაწილების ცნება და მნიშვნელობა.. 89

თავი მეექვსე

სამართლის ცნება, მიზნები და ამოცანები 92

- 6.1. სამართლის ცნება, არსი და ძირითადი ნიშნები 92
- 6.2. სამართლის ფუნქციები 97
- 6.3. სამართლის პრინციპები 98

თავი მეშვიდე

სამართლის ნორმა და ნორმის სტრუქტურა 104

- 7.1. სამართლის ნორმის ცნება, სახეები და იურიდიული ბუნება 104
- 7.2. სამართლის ნორმის სტრუქტურა 107

თავი მერვე

სამართლის წყაროს ცნება და სახეები 111

- 8.1 სამართლის წყაროს ცნება და სახეები 111
- 8.2. ჩვეულებითი სამართალი 113
- 8.3. სამოსამართლო სამართალი 115
- 8.4. იურისტების სამართალი 117
- 8.5 ხელშეკრულება, როგორც სამართლის წყარო. 118

8.6. პოზიტიური კანონმდებლობა119

თავი მეცხრა

ნორმატიული აქტის ცნება, ნიშნები და სახეები 122

9.1 ნორმატიული აქტის ცნება და სახეები122

9.2. ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და იერარქია .124

9.3 ნორმატიული აქტის მოქმედების ფარგლები126

თავი მათე

სამართლებრივი ურთიერთობა 129

10.1. სამართლებრივი ურთიერთობის ცნება, ნიშნები და ელემენტები129

10.2. სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ობიექტი უფლება და მოვალეობა.....132

თავი მათერთმეტე

იურიდიული ფაქტები..... 136

11.1. იურიდიული ფაქტების ცნება, სახეები და ფაქტობრივი შემადგენლობა.....136

თავი მათორმეტე

მართლზომიერი ქცევა, სამართალდარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობა..... 142

12.1. მართლზომიერი და არამართლზომიერი ქცევა.....142

12.2. სამართალდარღვევის ცნება და სახეები, იურიდიული პასუხისმგებლობა144

თავი მეცამეტე

სამართლის სისტემა..... 148

13.1.სამართლის სისტემის, დარგებისა და ინსტიტუტების

| | |
|---------------------------------------|-----|
| ცნება..... | 148 |
| 13.2. საჯარო და კერძო სამართალი | 150 |

ნაწილი მეორე

თავი პირველი

| | |
|--|------------|
| ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები..... | 154 |
| 1.1. ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების ზოგადი დახასიათება | 154 |
| 1.2. საქართველოს საერთო სასამართლოები..... | 156 |
| 1.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო | 161 |
| 1.4. საქართველოს სახალხო დამცველი..... | 165 |

თავი მეორე

| | |
|---|------------|
| კონსტიტუციური სამართალი..... | 169 |
| 2.1. კონსტიტუციური სამართლის ცნება, არსი და მნიშვნელობა | 169 |
| 2.2. საარჩევნო სისტემა..... | 172 |
| 2.3. საქართველოს პარლამენტი | 177 |
| 2.4. საქართველოს პრეზიდენტი | 181 |
| 2.5. საქართველოს მთავრობა | 185 |

თავით მესამე

| | |
|---|------------|
| სამოქალაქო სამართალი..... | 190 |
| 3.1. სამოქალაქო სამართლის ცნება, წყაროები და სისტემა..... | 190 |
| 3.2. საკუთრების ცნება და მისი ელემენტები | 195 |
| 3.3. მემკვიდრეობითი სამართალი | 198 |
| 3.4. სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების ზოგადი დახასიათება | 203 |
| 3.5. საოჯახო სამართალი | 206 |

თავი მეოთხე

სამოქალაქო საპროცესო სამართალი..... 212

- 4.1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება და მნიშვნელობა.....212
- 4.2. სამოქალაქო პროცესში მონაწილე მხარეთა უფლებების ზოგადი დახასიათება.....214
- 4.3. სამოქალაქო საპროცესო ვადები216

თავი მესამე

სისხლის სამართალი 219

- 5.1. სისხლის სამართლის ცნება და სისტემა219
- 5.2. დანაშაულის ცნება224
- 5.3. განზრახი დანაშაულის განვითარების სტადიები.....228
- 5. 4 თანამონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში ...230
- 5. 5. სასჯელის ცნება, სახეები, მიზნები და ამოცანები232
- 5. 6. პასუხისმგებლობა ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობისა და თაღლითობისათვის239

თავი მეექვსე

სისხლის საპროცესო სამართალი 244

- 6.1. სისხლის საპროცესო სამართლის ცნება, არსი და მნიშვნელობა..... 244
- 6.2. სისხლის საპროცესო სამართლის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილი.....246
- 6.3. სისხლის საპროცესო სამართლის მიზნები, პრინციპები და სტადიები.....250
- 6.4. მტკიცებულება253
- 6.5. გამოძიების დაწყება და საქმის სასამართლოში განხილვა..260

თავი მეშვიდე

ადმინისტრაციული სამართალი..... 264

- 7.1. ადმინისტრაციული სამართლის ცნება, მიზნები და ამოცანები..... 264
- 7.2. ადმინისტრაციული სამართლის სისტემა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები267
- 7.3. ადმინისტრაციული სამართლის წყაროები და პრინციპები270
- 7.4. პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული და დისციპლინური გადაცდომისათვის274

თავი მერვე

ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი..... 280

- 8.1. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის ზოგადი დებულებები280
- 8.2. მხარეები და მესამე პირები ადმინისტრაციულ პროცესში282

თავი მეცხრე

საგადასახადო სამართალი..... 285

- 9.1. საგადასახადო სამართლის ცნება და საგანი285
- 9.2. გადასახადის ცნება და მნიშვნელობა.....286
- 9.3. საგადასახადო სამართლის წყაროები და სისტემა288

თავი მათე

კრიმინალისტიკა..... 295

- 10.1. კრიმინალისტიკის საგნის ცნება, არსი და მნიშვნელობა.....295
- 10.2. კრიმინალისტიკის მიზნები, ამოცანები და კავშირი სამართლის მომიჯნავე მეცნიერებებთან297

| | |
|---|-----|
| 10.3. კრიმინალისტიკური კვლევის მეცნიერული მეთოდები..... | 301 |
| 10.4. დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეთოდის ზოგადი დახასიათება..... | 303 |

თავი მეთერთმეტი

| | |
|---|------------|
| შრომის სამართალი | 307 |
| 11.1. შრომის სამართლის ცნება, მიზნები და ამოცანები ... | 307 |
| 11.2. სამუშაო დრო, დასვენების დრო და შრომის ანაზღაურების წესი | 313 |

თავი მეთორმეტი

| | |
|--|------------|
| სამეწარმეო სამართალი | 317 |
| 12.1. სამეწარმეო სამართლის არსი, ცნება და მნიშვნელობა..... | 317 |
| 12. 2. მეწარმეთა შესახებ კანონის ზოგადი მიმოხილვა..... | 319 |
| 12.3. პარტნიორის ცნება და სახეები..... | 321 |
| 12.4. სანარმოთა დაფუძნებისა და რეგისტრაციის წესი | 322 |
| 12.5. სანარმოს საფირმო სახელწოდების ცნება და მნიშვნელობა | 326 |
| 12.6. სამეწარმეო საქმიანობის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა | 328 |
| 12.7. მეწარმეთა ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია..... | 330 |

გამოყენებული ლიტერატურა და ნორმატიული აქტები.... 334

თავი პირველი

სამართალმცოდნეობა, როგორც მეცნიერება

1.1. „სამართალმცოდნეობის შესავლის“ საგნის არსი, მიზნები და იურიდიული ბუნება

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში იურიდიულ მეცნიერებას თავისი არსითა და მნიშვნელობით ერთ-ერთი უაღრესად რთული და საპატიო ადგილი უკავია.¹ რთულს ვამბობთ იმიტომ, რომ იგი უბრალოდ კი არ ასახავს საზოგადოებრივი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს, არამედ ამ მოვლენების მეცნიერული გამოკვლევისა და განზოგადების საფუძველზე ავითარებს და ადგენს ადამიანის, როგორც საზოგადოებრიობის შემოქმედის როლს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემაში, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების შესახებ წამოყენებულ თეორიებს, ამ კატეგორიის ცნებათა რეალობასა და პერსპექტივებს, ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს, ქმნის მათი უფლებებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესების დაცვის მძლავრ, შეუვალ მექანიზმებს და სხვ.

„სამართალმცოდნეობის შესავალი“ იურიდიული პროფილის მეცნიერება და სასწავლო დისციპლინაა. იგი უძველესი მეცნიერებისა და სასწავლო პროფესიის-იურისპრუდენციის ორგანული ნაწილია.² სამართალმცოდნეობის შესავალს, როგორც ყველა სხვა მეცნიერულ დარგს, აქვს თავისი საგანი. ამა თუ იმ მეცნიერების საგნის გარკვევისა და განსაზღვრისათვის საჭიროა დავადგინოთ რას სწავლობს იგი, ე.ი. რა არის მისი გამოკვლევის ობიექტი, რომელი საკითხები და მოვლენები აინ-

¹ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.6

² თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.12

ტერესებს მას და როგორია ამ დარგის ადგილი სხვა მეცნიერებათა შორის.³

სამართალმცოდნეობის შესავლის საგნის დადგენის შემდეგ საჭიროა, ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ როგორ და რა მეთოდით შეისწავლება იგი. მეცნიერების ყოველ დარგს აქვს კვლევის მეთოდი. ამასთანავე, ყოველი მეცნიერული დარგის კვლევის მეთოდის დასახასიათებლად გამოიყენება ტერმინი მეთოდოლოგია. ასე რომ, სამართალმცოდნეობის შესავლის როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების ერთ-ერთ დარგის, დასახასიათებლადაც გამოიყენება მეთოდოლოგია. ისევე, როგორც ყველა იურიდიულ დისციპლინას, წინამდებარე განსახილველ საგანსაც აქვს თავისი მიზნები, ამოცანები და დამოუკიდებელი კვლევის საგანი.

საგნის „სამართალმცოდნეობის შესავლის“ სწავლება მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის სამართლებრივი საფუძვლების ისეთი ცოდნის მიცემას, რაც დაეხმარება მათ პრაქტიკული საქმიანობისას სწორი სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებაში. სამართლებრივი საფუძვლების ცოდნა საშუალებას მისცემს სპეციალისტს, არ შევიდეს კანონთან კონფლიქტში და იმოქმედოს მასთან სრული შესაბამისობით.⁴ გარდა ამისა, საგნის მიზანი კიდევ ისაა, რომ სამართალმცოდნეობის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტებს მიანოდოს ინფორმაცია იურიდიული პროფესიის, იურიდიული განათლების, იურიდიული სამსახურის სახესხვაობაზე, ძირითად იურიდიულ ტერმინოლოგიაზე, იურიდიული მეცნიერების დაუფლების ხერხებსა და მეთოდებზე, ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარებასა და მის თანამედროვე მდგომარეობაზე; იურიდ-

³ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.6

⁴ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძვლები); თბ., 2012; გვ.9

იული კადრების მომზადებაზე, სამართალსა და კანონიერებაზე, გამოძიებისა და მართლმსაჯულების განხორციელების ხერხებსა და საშუალებებზე; მართლწესრიგის დაცვასა და სამართალდარღვევაზე, დანაშაულის გამომწვევ მიზეზებსა და ხელშემწყობ გარემოებებზე; სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის სპეციფიკაზე თავისებურებებზე; იურისტის საქმიანობის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებსა და სამეწარმეო სამართლის ზოგიერთ თავისებურებაზე და სხვ.⁵

შესაბამისად, ნაშრომის უმთავრესი მიზანია დამწყებ იურისტებს გააცნოს სამართლის ტრადიციული, ძირითადი დარგებისა და იურიდიული დისციპლინების ზოგადი დებულებები.

თუკი მოცემული საგნის არსსა და მნიშვნელობას, მის მიზნებსა და ამოცანებს განვიხილავთ ბუნებრივად იბადება კითხვა: საგანი „სამართალმცოდნეობის შესავალი“ არის თუ არა იურიდიული დისციპლინა და აქვს თუ არა მას კავშირი სამართლის ცალკეულ დარგებსა და სხვა იურიდიულ დისციპლინებთან. მოცემულ კითხვაზე პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი.⁶

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „სამართალმცოდნეობის შესავალი“ საგნის აღიარება იურიდიულ დისციპლინად სადავო არაა, რადგან, უპირველეს ყოვლისა, იგი ემსახურება თვით იურიდიული მეცნიერების, სამართლის ძირითადი დარგების, ნამყვანი იურიდიული დისციპლინების არსისა და მნიშვნელობის გაშუქებას. ამასთანავე, იგი შეისწავლის ძირითად იურიდიულ ტერმინოლოგიას; სამართლის, კანონიერებისა და იურიდიული პროფესიის ზოგად პრინციპებსა და დებულებებს; სამართლის ცალკეული დარგების მთავარ ამოსავალ დებულებებს, სამართალდარღვევებისა და კანონიერების დაც-

⁵ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.12-14

⁶ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში., თბ., 2006; გვ.7

ვა-განმტკიცების, სამართალშემოქმედებითი საქმიანობის თავისებურებებს, იურიდიულ პროფესიებსა და მათ ძირითად დამახასიათებელ თვისებებს; იურისტთა ძირითად სპეციალობებს; იურისტთა ეთიკას და იურისტის პროფესიის სხვა მთელ რიგ აქტუალურ საკითხებს.⁷ ამდენად, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა იურიდიულ დისციპლინებთან და თვით იურიდიული მეცნიერების სამართლის ცალკეულ დარგებთან. კერძოდ, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ისტორიის საგნებთან, სამოქალაქო სამართლის ყველა განშტოებულ დარგთან, სისხლის სამართალთან, სისხლის საპროცესო სამართალსა და სამოქალაქო პროცესთან, ადმინისტრაციულ სამართალსა და სამართლის სხვა დარგებსა და იურიდიულ დისციპლინებთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: „სამართალმცოდნეობის შესავალი“ არის განზოგადებული ცოდნის სისტემა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის, არსის, დანიშნულებისა და განვითარების ძირითად და ზოგად კანონზომიერებათა შესახებ.⁸ საგნის უმთავრესი მიზანია დამწყებ იურისტებს, ეკონომისტებსა და სხვა მომიჯნავე დარგის სპეციალობის სტუდენტებს, შთააგონოს სამართალმცოდნეობის სპეციალობისა და იურისტის პროფესიის, იურისტის სამსახურებრივი საქმიანობის როლი, არსი და მნიშვნელობა ჩვენი დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობისა და კონსტიტუციით დადგენილი მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვა-განმტკიცებისა და სწორი სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში.

შესაბამისად, შესაძლებელია გამოვყოთ სამართალმცოდნეობის შესავლის ორი ძირითადი მიზანი: პირველი ისაა, რომ შემუშავებულ იქნეს ლოგიკურად დასრულებული სისტემა

⁷ იქვე

⁸ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.13-14

ცნებებისა, რომლებიც საფუძვლად უდევს ყველა სპეციალურ იურიდიულ მეცნიერებას და განზოგადეს ისინი;⁹ მეორე ამოცანაა, შესწავლილ იქნეს მეთოდები, რომელთა დახმარებითაც იოლდება სახელმწიფო-სამართლებრივ მოვლენათა შემეცნება.

1.2. საგნის სისტემა

როგორც უკვე აღინიშნა, სამართალმცოდნეობის შესავალი არის განზოგადებული ცოდნის სისტემა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის, არსის, დანიშნულებისა და განვითარების ძირითად და ზოგად კანონზომიერებათა შესახებ.

ამასთანავე, იგი, როგორც იურიდიული პროფილის მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა ერთიან, მთლიან სისტემას წარმოადგენს.¹⁰ როგორც ყველა სასწავლო საგანს, ასევე მოცემულ იურიდიულ დისციპლინასაც აქვს თავისი საკითხების წრე. ეს საკითხები შესაბამისი თანმიმდევრობით უნდა იქნეს განხილული და გადმოცემული.

მოცემული საგნის ზოგად ნაწილში შეისწავლება ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა:

- საგნის ცნება, მიზნები, ამოცანები და სისტემა;
- იურიდიული პროფესიისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურება;
- ძირითადი იურიდიული ტერმინოლოგიის ზოგადი მიმოხილვა;
- იურიდიული პროფესია და იურისტის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები;
- სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მათი ზოგადი დახასიათება;

⁹ იქვე

¹⁰ თ. ალფაიძე, სამართალმცოდნეობის შესავალი, თბ, 2015, გვ.21

განსაკუთრებულ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია სამართლის ცალკეული ფუნდამენტური დარგებისა და სასწავლო იურიდიული დისციპლინების ზოგად დახასიათებასა და მათი ძირითადი დებულებების გადმოცემაზე, კერძოდ:

- სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადმოცემაზე, როგორცაა:

- სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ არსებული თეორიები;

- სახელმწიფოს მართვა – გამგეობისა და წესწყობილების ფორმები;

- სამართლის ცნება და კავშირი ზნეობასთან;

- სამართლის წყარო, ნორმის ცნება და სტრუქტურა;

- სამართლის ნორმათა სისტემატიზაცია;

- სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები და მათი სავალდებულო დამახასიათებელი იურიდიული ნიშნები;

- სამართალდარღვევის ცნება, სახეები და სხვ.

კონსტიტუციური სამართლიდან:

- საკონსტიტუციო ანუ კონსტიტუციური სამართლის ცნება, არსი და მნიშვნელობა;

- საქართველოს პარლამენტი;

- საქართველოს პრეზიდენტი და მისი უფლებამოსილება;

- სახელმწიფო ხელისუფლების დანაწევრების პრინციპი;

- სასამართლო ხელისუფლების, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგადი დახასიათება და სხვ.

ადმინისტრაციული სამართლიდან:

- ადმინისტრაციული სამართლის ცნება, მიზნები და ამოცანები;

- ადმინისტრაციული სახის სახდელები;

- პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული და დისციპლინური გადაცდომისათვის და სხვ.

სამოქალაქო სამართლიდან;

- სამოქალაქო სამართლის ცნება, სისტემა და წყაროები;
- სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტები;
- საკუთრების ცნება და მისი ელემენტები;
- მემკვიდრეობითი სამართალი;
- სანივთო და ვალდებულებითი სამართალი;
- საოჯახო სამართლის ძირითადი საკითხები [ქორწინების, განქორწინების და სხვ.];
- შრომის სამართლის კანონმდებლობის ზოგადი დახასიათება, მისი მიზნები და ამოცანები;
- შრომითი ხელშეკრულების სუბიექტების უფლება მოვალეობები;
- სამუშაო და დასვენების დრო;
- შრომის ანაზღაურების წესი და სხვ.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის პროცესიდან:

- სამოქალაქო სარჩელისა და მისი შესაგებებელი განცხადების შეტანა;
- სასამართლოში საქმის განხილვის წესი;
- ადმინისტრაციულ სასამართლოში საქმის წარმოების წესი და სხვ.

სისხლის სამართლიდან:

- სისხლის სამართლის ცნება და სისტემა;
- დანაშაულის ცნება და მისი იურიდიული შემადგენლობა;
- განზრახი დანაშაულის განვითარების სტადიები;
- თანამონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში;
- სასჯელის ცნება, სახეები და მიზნები;
- სასჯელის შეფარდების წესი;
- ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ეკონომიკური დანაშაულის ზოგიერთი სახეების ზოგადი დახასიათება და სხვ.

სისხლის საპროცესო სამართლიდან:

– სისხლის საპროცესო სამართლის ცნება, მიზნები და ამოცანები;

– მოცემული საგნის არსი და მნიშვნელობა;

– სასხლის საპროცესო სამართლის სისტემა;

– სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპები;

– სისხლის საპროცესო სამართლის ფუნქციები და სტადიები;

– სისხლის საპროცესო წარმოებაში მონაწილე პირები და მათი უფლებამოსილება;

– მტკიცებულებები და მათი მოპოვების წესი;

– გამოძიებისა და საერთო სასამართლოებში და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეების განხილვის წესი და სხვ.

კრიმინალისტიკიდან:

– მოძღვრება დანაშაულთა გამოძიების, გახსნისა და თავიდან აცილების შესახებ;

– კრიმინალისტიკის მიზნები და ამოცანები;

– კრიმინალისტიკის საგნის სისტემა;

– კრიმინალისტიკის კვლევის ზოგადი და კერძო მეთოდები;

– დანაშაულთა სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, ტაქტიკური ხერხები და მეთოდები;

– კრიმინალისტიკური ტაქტიკის ზოგადი დახასიათება;

– ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის ზოგადი და კერძო მეთოდების საკითხები და სხვ.

სამენარმეო სამართლიდან:

– სამენარმეო სამართლის ცნება, არსი და მნიშვნელობა;

– მენარმეთა შესახებ კანონის ზოგიერთი მიმოხილვა;

– პარტნიორის ცნება და სახეები;

– სანარმოთა დაფუძნებისა და რეგისტრაციის წესი;

– სანარმოს ფორმის სახელწოდების ცნება და მნიშვნელო-

ბა;

- მოგების განაწილება და პასუხისმგებლობა;
- სამენარმოე საქმიანობის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.

როგორც პროფესორი თამარ ალფაიძე აღნიშნავს “სამართალმცოდნეობის შესავლის” მიერ შემუშავებული ცნებები, დასკვნები და კატეგორიები იურიდიული მეცნიერებაში წარმოადგენს საბაზისოსა და ფუნდამენტურს და სამართალმცოდნეობაში აქვთ ფუნდამენტური მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სამართალმცოდნეობის შესავალი არის გასაღები, აუცილებელი სპეციალური შესავალი დარგობრივი იურიდიული მეცნიერების შესწავლისათვის.¹¹

სპეციალური იურიდიული ლიტერატურა და კანონმდებლობა არის ძირითადი წყარო ყველა სახის სამართლებრივი საკითხების სწორად გადანყვეტისა და ამ რთული იურიდიული მეცნიერების, იურიდიული პროფესიის სრულყოფილად დაუფლებისა.

იურიდიული პროფესიისათვის დამახასიათებელი სპეციალური ჩვევების ჩამოყალიბებისა და ცოდნის გაფართოების მიზნით, საჭიროა სტუდენტმა თავიდანვე დაიწყოს და თანდათანობით გაეცნოს აგრეთვე ცალკეულ წიგნებად გამოქვეყნებული ცნობილი საზღვარგარეთელი და ქართველი ადვოკატების სასამართლო პროცესებზე გამოსვლებს; ერთ-ერთი ბრწყინვალე იურისტის ა. კინოს ნაწარმოებებს; ქართულ და უცხო ენებზე გამოცემულ იურიდიულ ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებს, თეზისებსა და სხვადასხვა სახის ნაშრომებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იურისტის პროფესია მეტად რთული, ფართო, საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვანია. იურისტების პრაქტიკულ-თეორიული და სამართალშემოქმედებითი საქმიანობის სწორად წარმართვაზე ბევრადაა

¹¹ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.24

დამოკიდებული სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობა, მისი ეკონომიკური ბაზის განმტკიცება და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება. ამიტომაც ვამბობთ: იურიდიული მეცნიერების თეორიისა და პრაქტიკის თანმიმდევრული სრულყოფა-გაუმჯობესება და იურისტის პროფესიული უნარჩვევების ჩამოყალიბების პროცესი იმის რეალურ შესაძლებლობას იძლევა, რომ პიროვნება იოლად შეერწყას ჰარმონიულად განვითარებული იურისტის მრავალმხრივ განშტოებულ სპეციალობებს.

1.3. საგარეულფცოდნოვის კვლევის მეთოდები და ფუნქციები

ყოველ სამეცნიერო დარგს თავისი კვლევის საგანი (ობიექტი) აქვს, ვინაიდან, მეცნიერების ესა თუ ის დარგი, უპირველეს ყოვლისა, შეისწავლის საზოგადოებრივი პროცესების ან ბუნებრივი მოვლენებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს.¹² მეთოდი ეწოდება იმ წესების სისტემას, რომელიც მიმართულია მეცნიერული კვლევის განსაზღვრული მიზნისაკენ. სამეცნიერო კვლევა ხორციელდება რაციონალური შემეცნების გზით და ლოგიკური წესების საფუძველზე. მეთოდზე ბევრად არის დამოკიდებული სამეცნიერო კვლევის საბოლოო შედეგი.¹³ სამეცნიერო კვლევა უნდა წარიმართოს კონკრეტულად განსაზღვრული მეთოდური მიდგომის საფუძველზე. ამიტომაც მეცნიერების თეორიის საძირკველს სწორედ რომ მეთოდოლოგია აყალიბებს, ანუ მოძღვრება მეთოდების შესახებ.

სამეცნიერო მეთოდების კლასიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა საფუძველზე. ბროკჰაუზის ენციკ-

¹² გ. ლობჟანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ.67

¹³ გ. ხუბუა; სამართლის მეთოდები; თბ., 2015; გვ.38

ლოპედია გამოყოფს ახსნისა (რომელიც დამახასიათებელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებისათვის) და გაგების (რაც დამახასიათებელია ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის) მეთოდებს. განასხვავებენ ნომოთეტურ (რომელიც აყალიბებს სამეცნიერო კანონებს) და იდიოგრაფიულ (აღწერილობით), ინდუქციურ და დედუქციურ მეთოდებს. ასევე, ცნობილია ანალიტიკური და სინთეზური, ემპირიულ-ანალიტიკური, შედარებითი, ისტორიულ-გენეტიკური, ინსტიტუციონალური, ბიჰევიორისტული, ფუნქციონალური, სტრუქტურული, ასიომატური, ჰერმენევტიკული, სტატისტიკური და სხვა მეთოდები.¹⁴

აღსანიშნავია, რომ სამართლის მეთოდოლოგია არის: 1. კვლევის საშუალებათა ერთობლიობა, მიღებული დებულება მეცნიერებაში, 2. მოძღვრება სამართლის გარდაქმნისა და მეცნიერული შემეცნების მეთოდების შესახებ.¹⁵ ამასთანავე, საგულისხმოა, რომ მეთოდი არის მიზნისაკენ მიმავლი გზის გაგლის საშუალება, ანუ ეს არის სამართლის შესახებ თეორიული ცოდნის განსაზღვრული ერთობლიობა.¹⁶ მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია კონკრეტულად საკვლევ თემაზე. შესაბამისად, თუ საკითხი სცილდება ერთი მეცნიერების ფარგლებს, უნდა გამოვიყენოთ ინტერდისციპლინური მეთოდები.

ამიტომაც ემპირიული მეცნიერება ნაკლებად მიმართავს პრაქტიკულ ექსპერიმენტებს. იურიდიული სამეცნიერო გამოკვლევა, ძირითადად, ეფუძნება როგორც კანონმდებლობის, ასევე სამეცნიერო ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს.¹⁷

სამართლის მეცნიერება შეისწავლის მართლწესრიგის არსსა და ფუნქციას, მართლწესრიგის ჩამოყალიბებისა და განვი-

¹⁴ გ. ხუბუა; სამართლის მეთოდები; თბ., 2015., გვ.38

¹⁵ გ. ლობჯანიძე; სამართლის მეთოდები; თბ., 2019; გვ.24

¹⁶ რ. ციპელიუსი; იურიდიული მეთოდების მოძღვრება; თბ., 2009; გვ.47

¹⁷ გ. ხუბუა; სამართლის მეთოდები; თბ., 2015., გვ.39

თარების ზოგად ტენდენციებს, სამართლის სისტემის შინაგან წინააღმდეგობებსა და მათი დაძლევის გზებს, განმარტავს კანონებს და ანალიზებს იურიდიულ პრაქტიკას. სამართლის მეცნიერება ასრულებს სამ ძირითად ფუნქციას, ესაა: 1) იურისტების განათლება, 2) თეორიული მიმდინარეობებისა და მოძღვრების ანალიზი, 3) საკუთარი მოსაზრებების წამოყენება მართლწესრიგის შემდგომი სრულყოფისა და განვითარების მიზნით.¹⁸ საგულისხმოა, რომ სამართალი, როგორც მეცნიერება, ძალზე მჭიდროდ არის დაკავშირებული იურიდიულ პრაქტიკასთან. შესაბამისად, იურიდიული მეთოდების ცოდნა პრაქტიკოს იურისტებს უადვილებს კანონის სწორ გააზრებას. ამიტომაც მას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება იურისტისათვის.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის მოცემული საგნის მიზნები და ამოცანები?
2. რა არის „სამართალმცოდნეობის შესავალი“ საგნის კვლევის ობიექტი?
3. როგორი მეცნიერებაა იურისპრუდენცია?
4. რა არის სამართლის მეთოდოლოგია?
5. რითი გამოიხატება მოცემული საგნის არსი და მნიშვნელობა?
6. „სამართალმცოდნეობის შესავალი“ არის თუ არა იურიდიული დისციპლინა?
7. რას გულისხმობს მოცემული საგნის იურიდიული ბუნება?
8. როგორია მოცემული საგნის სისტემა?
9. როგორ, რა ხერხებითა და საშუალებებით შეგიძლიათ დაეუფლოთ იურისტის პროფესიას?
10. როგორია იურიდიული პროფესიის რეალიზაციის პრაქტიკული შესაძლებლობანი?

¹⁸ იქვე

თავი მეორე

სამართლებრივი კულტურა და პროფესია „იურისტი“

2.1. ცნება „იურისტი“, იურიდიული პროფესიის თავისებურებანი

იურისტის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნების უშუალო განხილვამდე საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ტერმინ „იურისტი“, როგორც სპეციალური ცოდნით აღჭურვილ პირზე და გავარკვიოთ, თუ ვინ არის იურისტი, რა როლი ეკუთვნის მას საზოგადოებაში და საზოგადოებრივი თვალთახედვით რა არის მისი მიზნები და ამოცანები.

სიტყვა „იურისტი“ ნიშნავს იურიდიული განათლების მქონე სამართლის დარგის სპეციალისტს, სამართლისმცოდნეს. პირის იურისტად აღიარებისათვის საკმარისი არაა მარტოოდენ მის მიერ იურიდიული პროფესიის მქონე პირისათვის განკუთვნილი თანამდებობის დაკავება. იურისტად აღიარებისათვის აუცილებელია, რომ მას ჰქონდეს იურიდიული განათლება.¹⁹

როგორც აღვნიშნეთ, იურისტად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის, ვისაც ნამდვილად აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მინიჭებული აქვს იურისტის კვალიფიკაცია, აღჭურვილია იურიდიული, პროფესიული, ფუნდამენტური სამართლებრივი ცოდნით და შეუძლია მისი პრაქტიკული გამოყენება.

უდავო ქვეშარიტებაა, რომ იურიდიული პროფესიის მქონე სპეციალისტის, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლისა და ადვოკატის სახით ხელს უწყობს ადამიანთა კონფლიქტურ სიტუაციებში აღმოცენებული გარემოებების ახსნას, ადგენს და დღის სინათლეზე გამოაქვს მომხდარი გამოსაკვლევი ფაქტების აღმოცენების ქვეშარიტი მიზეზები და ხელშემწყობი გარემოე-

¹⁹ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.147

ბები; არკვევს ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილე პირთა ბრალეულობის საკითხს და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: იურიდიული სპეციალობა მიეკუთვნება იმ განსაკუთრებულ პროფესიათა ჯგუფს, რომლის მოწოდებაა დაიცვას საზოგადოებრივი კანონიერება და მართლწესრიგი.

საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ იურისტის პროფესიისათვის დამახასიათებელ ზემოთ დასახელებული ძირითადი ნიშნების ზოგიერთ თავისებურებაზე.

ა) იურისტის პროფესიული კავშირი პოლიტიკასთან.

როდესაც ვამბობთ, რომ იურისტის პროფესია პოლიტიკური პროფესიაცაა ვგულისხმობთ, რომ იგი დაკავშირებულია პოლიტიკასა, სახელმწიფო პოლიტიკის გატარებასა, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვა-განმტკიცებასა, სახელმწიფო და სამოქალაქო დისციპლინის დაცვასა და სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასთან. სწორედ ამიტომაც ვამბობთ, რომ კარგი, მაღალკვალიფიციური იურისტი იმავე დროს შეიძლება იყოს კარგი პოლიტიკოსი.²⁰

სხვა პროფესიისაგან განსხვავებით, თვით იურიდიული პროფესიის უშუალო პოლიტიკური ხასიათი განსაზღვრავს იურისტის სახელმწიფო-სამართლებრივ სტატუსს, რამდენადაც ბევრ შემთხვევაში, თავიანთი პროფესიითა და თანამდებობით თვითონ იურისტები არიან სახელმწიფო აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ბ) იურიდიული მეცნიერება და იურისტის პრაქტიკული საქმიანობა თავისი ბუნებითა და შინაარსით ზუსტი მეცნიერებაა.

მართებულად აღნიშნავს პროფ. გ. ხუბუა თავის წიგნში: „იურისპრუდენცია არ არის ზუსტი მეცნიერება. სამართალში, ზუსტი მეცნიერებისაგან განსხვავებით, პასუხგაუცემელი

²⁰ შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.154

კითხვა არ არსებობს. იურისპრუდენციაში პრობლემაა არა პასუხგაუცემელი კითხვები, არამედ ერთდროულად მრავალი განსხვავებული პასუხის არსებობა. ამასთანავე, თითოეული მათგანი შესაძლოა იყოს სწორი და სამართლიანი. სამართალში არსებობს არა ერთადერთი, არამედ რამდენიმე სწორი გადაწყვეტილება.²¹ თუმცა იურისპრუდენცია იმდენადაა ზუსტი, რამდენადაც იურისტის სამსახურებრივი საქმიანობა დამყარებულია დადგენილი პოზიტიური სამართლის ნორმებზე და ახდენს ამ ნორმების პრაქტიკულ რეალიზაციას, მათ დაცვასა და სწორად გამოყენებას, კანონიერების დაცვა-განმტკიცებას.

გ) იურისტის პროფესია და პრაქტიკული საქმიანობა ცხოვრებისეულია.

ეს ნიშანი განუყრელადაა დაკავშირებული იურისტის მთელ საქმიანობასთან. იურისტის პროფესია ცხოვრებისეულია თუნდაც იმიტომ, რომ მთელი მისი საქმიანობა პირდაპირ დაკავშირებულია საზოგადოებისა და ადამიანთა ცხოვრების, ადამიანთა ურთიერთობის ყველა მხარესთან.

დ) იურისტის საქმიანობა ორგანიზატორული ხასიათისაა.

ეს განსაკუთრებით თავს იჩენს მოსახლეობის ფართო ფენების აქტიურ ჩაბმაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, დანაშაულის გამომწვევი მიზეზების თავიდან ასაცილებელ ღონისძიებათა შემუშავებაში, დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიმართებით წარმოებულ ღონისძიებებში საზოგადოების ჩაბმაში და სხვ.²²

იურისტის პროფესიის დამახასიათებელი ეს უმნიშვნელოვანესი ნიშანი, უპირველესყოვლისა, ისაა, რომ მან შეძლოს ადამიანთა მობილიზება, სამართლებრივი ნორმების ცხოვრებაში გასატარებლად დარაზმოს ისინი და მონაწილეობა მიაღებინოს კანონიერების დაცვის უზრუნველყოფის ამოცანის გადასაწყვეტად.

²¹ გ. ხუბუა; სამართლის თეორია; თბ., 2015; გვ. 32

²² შ. ფავიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.155

ე) იურისტის პროფესია შემოქმედებითი ხასიათისაა.

ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმით, რომ იგი შემოქმედებითად იყენებს თავის პროფესიულ ცოდნას კანონიერების დაცვა-განმტკიცების მიზნით. მაგრამ, ცხადია, მისი ეს შემოქმედებითი ხასიათი არ ნიშნავს იმას, რომ იგი თავისი პროფესიული, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას იჩენდეს კანონის მოთხოვნების შესრულებისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას, ქარაფშუტობას, ლამობდეს კანონისათვის გვერდის ავლას და მოქმედებდეს ვოლუნტარისტულად და თავს იქცევდეს უნაყოფო საქმიანობით.²³ იურისტი თავისი პროფესიული მოქმედებისას უნდა ემყარებოდეს კანონსა და ფაქტებს; ამ ფაქტების ირგვლივ შეკრებილი მონაცემების საფუძველზე აგებდეს საგამოძიებო ვერსიებს, ანუ თავის სავარაუდო მოსაზრებებს მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების ან მისი რომელიმე გარემოების ახსნის შესახებ, ზუსტად ანალიზებდეს მოპოვებულ მასალებს და ამის შესაბამისად აკეთებდეს სწორ იურიდიულ დასკვნებს.

ვ) იურისტის პროფესია დამოუკიდებელი ხასიათისაა.

რაც იმას ნიშნავს, რომ იგი კანონის საფუძველზე იღებს მთელ რიგ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს და პასუხს აგებს მხოლოდ კანონის წინაშე. იურისტი მთელი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა ხელმძღვანელობდეს კანონით, რადგან იგი გვევლინება, როგორც კანონიერების დაცვის ერთგვარი წარმომადგენელი და თავის საქმიანობაში დამოუკიდებელი პირი. ამიტომ იგი პასუხს აგებს კანონის წინაშე მის მიერ ჩადენილი ყველა ქმედებისა და მიღებული გადაწყვეტილების გამო.

ზ) იურისტის პროფესიული საქმიანობა გარკვეულწილად რომანტიკულიცაა.

შეიძლება ეს ზოგიერთს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ

²³ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.157

ეს ნიშანი ნამდვილად არის დამახასიათებელი ზოგიერთი იურიდიული სპეციალობისათვის. ამ საქმემ ნამდვილად იცის თავდაუზოგავი გატაცება და ეს განსაკუთრებით იჩენს თავს ოპერატიული სამსახურის მუშაკებისა და გამომძიებლების საქმიანობაში.²⁴

– იურისტის პროფესიული ოსტატობა ნიშნავს მის მაღალ კვალიფიკაციას, იმას, რომ იგი სრულყოფილად ფლობს თავის სპეციალობას, თავის პროფესიულ ხელოვნებას, კანონებს, კარგად ერკვევა საგამომძიებო-სასამართლო პრაქტიკაში, თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მიღწევებში და შეუძლია პრაქტიკაში მათი სწორად გამოყენება. ის უნდა იყოს დამნაშავეობის წინააღმდეგ აქტიური პროფესიული მებრძოლი; ფლობდეს დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების სპეციალურ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებსა და მეთოდებს, შეეძლოს ნებისმიერი შენიღბული, ლატენტური დანაშაულის გამოვლინება-აღკვეთა, მისი დროული გახსნა და თავიდან აცილება;

– პატიოსნება, სინმინდე და მოუსყიდაობა უნდა იყოს იურისტის ყოველდღიური საქმიანობის თანმდევი, მისი განუყრელი თვისება. მას უნდა ახასიათებდეს მაღალი კულტურა და ადამიანებისადმი პატივისცემა. ამასთანავე, ვინაიდან მისი ყოველდღიური საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანებთან, მათ ცხოვრებასა და ყოფიერებასთან, უნდა შეეძლოს მათთან სწორი კონტაქტის დამყარება, მათი ნდობისა და პატივისცემის მოპოვება.

– იურისტის შეუვალობა, პრინციპულობა და ობიექტურობა იმას ნიშნავს, რომ თავის რთულ პროფესიულ საქმიანობაში იგი უნდა ხელმძღვანელობდეს კანონით და საკუთარი მართლშეგნებით, არ განიცადოს ვინმეს ზეგავლენა, იყოს მოუსყიდავი და

²⁴იქვე

შეეძლოს თავის სამსახურებრივ საქმიანობაში შემავალი ნებისმიერი საკითხის ობიექტურად გადაწყვეტა.

– თავისი პროფესიისადმი სიყვარული და პატივისცემა. ნიშნავს იმას, რომ იურისტი უნდა ამაყოფდეს თავისი სპეციალობით, უფრთხილდებოდეს და პატივს სცემდეს მას თავისი ყოველდღიური საქმიანობით, იჩენდეს მაღალ პრინციპულობას, იყოს შეურიგებელი მეზრძოლი ყოველგვარი სახის უსამართლობასა და ბოროტებასთან, იყოს სამართლიანობისა და კანონიერების ნამდვილი, ჭეშმარიტი დამცველი.²⁵

იურისტის პროფესიული პერსონალური ორიენტაცია გამოიხატება, იმაში რომ სპეციალისტმა თავიდანვე სწორად შეარჩიოს თავისი პროფესიის შესაბამისი კონკრეტული სპეციალობა, შეეჩვიოს, შეითვისოს, შეიყვაროს და შეისისხლხორცოს თავისი მომავალი პროფესიული საქმიანობა მთელი თავისი სიძნელეებითა და სირთულეებით. სწავლისა და პრაქტიკის გაცნობის საფუძველზე შეარჩიოს თავისი სპეციალობა მომავალი იურიდიული სამსახურის თვალთახედვითაც, გაითვალისწინოს თავისი პირადი თვისებები და შესაძლებლობები.

იურიდიული პროფესიის დაუფლებასა და სწორ პროფესიულ ორიენტაციაში სტუდენტს ხელს უწყობს იმ მაპროფილებელი იურიდიული დისციპლინების საფუძვლიანი შესწავლა, რომელსაც იგი ნაწილობრივ პირველ ყოვლისა, ეცნობა. ასეთ იურიდიულ მაპროფილებელ დისციპლინებს, პირველ რიგში, მიეკუთვნება ზოგადი სამართლებრივი თეორიებისა და სამართლის ცალკეული დარგების შემსწავლელი საგნები და სხვა იურიდიული დისციპლინები. კერძოდ: სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, კონსტიტუციური სამართალი, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, ადმინისტრაციული სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი (ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილი),

²⁵ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.157

საგადასახადო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, სისხლის საპროცესო სამართალი, შრომის სამართალი, კრიმინალისტიკა, საერთაშორისო სამართალი, სამენარმეო სამართალი და ზოგიერთ ამ მაპროფილებელ საგანში შემოღებული სხვა სპეცკურსები.²⁶

იურისტის სამსახურებრივი საქმიანობა, უნინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია კანონების ახსნა-განმარტებასა და პრაქტიკაში მის სწორად გატარებასა და კანონიერების განმტკიცებასთან. ამასთანავე, იურისტის, როგორც გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, ადვოკატის, ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის, ნოტარიუსისა და სხვათა საქმიანობა უშუალოდ დაკავშირებულია იურიდიულ საქმიანობასთან, ადამიანთა ქცევასთან. მათ მიერ სხვადასხვა სახის დოკუმენტების დადასტურების, ჩადენილ სხვადასხვა სახის მართლსაწინააღმდეგობრალეულ ქმედებასთან დაკავშირებული ფაქტების გამოკვლევასა და მათ განხილვა-შეფასებასთან იურიდიული ნორმების თვალთახედვით და ა.შ. მაშასადამე, იურისტის პროფესიული საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის, ადამიანთა უფლებების, თავისუფლებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა-განმტკიცებასა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლასთან.

2.2. სამართლებრივი კულტურა და სამართლებრივი აღზრდა

სამართლებრივი კულტურა და სამართლებრივი აღზრდა საზოგადოებრივი პროგრესის მნიშვნელოვანი გარანტიაა. რაც უფრო მაღალია სამართლებრივი კულტურის დონე, მით უფრო ჰარმონიულად ვითარდება საზოგადოება, უფრო

²⁶ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.148

მეტადაა დაცული მოქალაქეთა უფლებები. სამართლებრივი კულტურის ამალგების საფუძველია სამართლებრივი აღზრდა, რაც ორგანულად არის დაკავშირებული სამართლებრივ სწავლებასთან.

საზოგადოებაში არსებულ სამართლებრივ კულტურას ადამიანი თავდაპირველად ეცნობა ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში. როლებით ბავშვური თამაშობანი განაპირობებს სამართლისა და მათი წარმომადგენლების ფუნქციების შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბებას.²⁷

ტერმინი "კულტურა" ლათინურიდან მოდის და ეტიმოლოგიურად მიწის დამუშავებასთანაა დაკავშირებული. მის ფუძეშივე ორი დიდი მოვლენაა განვითარებული-მიწა და შრომა. ამიტომაც მისი გამოყენება დაიწყო როგორც ადამიანური თვისებების სრულყოფის სინონიმად. სოციოლოგი პიტიმირ სორკონი მიიჩნევდა რომ სამართლებრივი კულტურის საერთო სისტემის შემადგენელი ნაწილია, რადგანაც სისტემაში შემავალი დარგები (რელიგია, მეცნიერება, პოლიტიკა, ეკონომიკა და ა.შ.) ავლენენ სპეციფიკურ კანონზომიერ კავშირს, რაც გულისხმობს სოციალური, სულიერი, პოლიტიკური და ეკონომიკური წყობით განპირობებული საზოგადოებრივი ცხოვრების თვისობრივ მდგომარეობას, რომელიც სამართლებრივი მიღწევების, იურიდიული აქტების, სამართლებრივი ცნობიერების და მთლიანად სუბიექტის ადამიანის, სხვადასხვა ჯგუფების, მთელი მოსახლეობის სამართლებრივი განვითარების მიღწევის, აგრეთვე, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიის დონით გამოიხატება.²⁸

როგორც ვხედავთ, ცნება „სამართლებრივი კულტურა“

²⁷ ი.ი. ამინოვი; იურიდიული ფსიქოლოგია; თბ., 2008; გვ.66

²⁸ გ. ლობჟანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2009; გვ.336

გამოიყენება საზოგადოების სამართლებრივი ზედაშენის დასახ-
ასიათებლად. იგი მოიცავს თვით სამართალს, მართლშეგნებას,
სამართლებრივ ურთიერთობას, კანონიერებასა და მართლწეს-
რიგს, კანონშემოქმედებით და სამართალშემფარდებელ საქმი-
ანობას, მთელ პოზიტიურ იურიდიულ სინამდვილეს, რომლის
შესაბამისად ყალიბდება კანონმორჩილი ცხოვრების წესი და
ხორციელდება კანონიერების რეჟიმი.²⁹ სამართლებრივი კულ-
ტურა- ეს არის საზოგადოების განვითარების ეკონომიკური,
პოლიტიკური, სოციალური და სულიერი დონით განპირობებუ-
ლი ზოგადი კულტურის სახესხვაობა,³⁰ რომელიც კაცობრიობის
მიერ დაგროვილი სამართლებრივი ფასეულობების ათვისებისა
და გამოყენების საზომია, ამიტომაც იგი თაობიდან თაობას
მემკვიდრეობითი წესით გადაეცემა.

სამართლებრივი კულტურის ამაღლების საფუძველია
სამართლებრივი აღზრდა. იგი ყველა სახელმწიფოს იდეოლოგი-
ური ფუნქციის შემადგენელი ნაწილია. სამართლებრივი აღზრ-
და სახელმწიფოს მიზანდასახული საქმიანობაა. ის გამოიხატება
სამართლებრივი კულტურის, საზოგადოებრივი განვითარების,
სამართლებრივი იდეოლოგიის, საზოგადოებაში არსებული
კონფლიქტების დაძლევის გზების შესახებ ცოდნის გადაცემით.

ამავე დროს, საგულისხმოა, რომ სამართლებრივი კულტუ-
რის აუცილებელი შემადგენელი ელემენტებია მართლშეგნება
და სამართლებრივი იდეოლოგია. ეს უფრო ფართო ცნებაა,
რომელიც, მათ გარდა, ასახავს საზოგადოებისა და სახელმწი-
ფოს სამართლებრივი ცხოვრების ყველა მხარეს: სამართალ-
შემოქმედებისა და კანონიერების დონეს, ნორმატიული აქტის
რეალიზაციასა და ადამიანთა უფლებების დაცვას. ხოლო თვით
პიროვნების, ცალკეული მოქალაქის სამართლებრივი კულტუ-

²⁹ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.264

³⁰ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.136

რის მაჩვენებელია მის მიერ კანონების ცოდნა და მათი შესრულება.³¹

რაც შეეხება სამართლებრივი აღზრდის საშუალებებს, მათ მიეკუთვნება: სამართლებრივი სწავლება, სამართლებრივი პროპაგანდა, თვითაღზრდა, იურიდიული პრაქტიკა და ა.შ. სწორედ სამართლის განმარტებაში ჩანს იურიდიული ცოდნის ფოკუსი, მისი ურთიერთობა ცხოვრებასა და იურიდიულ პრაქტიკასთან³², - აღნიშნავს ცნობილი სამართალმცოდნე ს. ალექსევი.

სამართალსა და კულტურას შორის არსებულ კავშირს ბევრად განსაზღვრავს მსოფლმხედველობითი იდეოლოგია. თანამედროვე დასავლური მსოფლმხედველობა ანთროპოცენტრისტულია, ანუ მთლიანად ორიენტირებულია ადამიანზე.³² აფრიკული და აზიური მსოფლმხედველობა კოსმოცენტრულია, ანუ ადამიანი განიხილება როგორც ბუნების განუყოფელი ნაწილი. აზიურ კულტურაში ადამიანი ასრულებს მხოლოდ იმ როლს, რომელიც მას საზოგადოებამ განუსაზღვრა.³³

სამართლებრივი კულტურა რთული, მრავალმხრივი მოვლენაა. ის გულისხმობს:

- მართლშეგნების განსაზღვრულ დონეს, ე.ი. სამართლებრივი სინამდვილის გააზრებულ აღქმას. ასევე, გულისხმობს: საერთო კულტურულ წანამძღვრებს, ცივილიზაციის დონეს, ეროვნულ ფესვებს, ისტორიულ მეხსიერებას, ჩვეულებებსა და ტრადიციებს;

- მოსახლეობის მიერ ნორმებისა და მისი ავტორიტეტისადმი პატივისცემის მაღალ დონეს;

- სამართალშემოქმედებისა და სამართლის რეალიზაციის მაღალ ხარისხს;

³¹ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011; გვ.65

³² თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.271

³³ გ. ხუბუა; სამართლის თეორია; თბ., 2015; გვ.24

– სამართლებრივი საქმიანობის, საკანონმდებლო, სამართალდამცავი, მმართველობითი და სხვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ეფექტურ საშუალებებს;

– თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების კანონმორჩილებას.³⁴

საგულისხმოა შემდეგიც: გ. ხუბუას შეფასებით, „თანამედროვე იურისტი არ კმაყოფილდება მხოლოდ „საკუთარი“ სამართლებრივი სისტემის ცოდნით, შესაბამისად, სულ უფრო იზრდება სამართალმცოდნეობის მნიშვნელობა.³⁵ ამიტომაც კანონის საფუძვლიანი ცოდნა ესაჭიროებათ არა მარტო პრაქტიკოს იურისტებს, არამედ სხვა დარგის სპეციალისტებსაც. კერძოდ, ეკონომისტებს, ბუღალტრებს, აუდიტორებს, დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ბიზნესმენებს, სააქციო საზოგადოების წევრებს, სხვადასხვა ხელმძღვანელებს, სხვა ნებისმიერ მოქალაქეს, რადგან კანონის უცოდინრობა არ იწვევს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას.

სამართლებრივი კულტურის სოციალური დანიშნულება გამოიხატება მის მიერ შესრულებული ფუნქციებით. მათგან ძირითადს მიეკუთვნება: სოციალურ-სამართლებრივ სინამდვილეზე მისი ზემოქმედების ფასეულობითი, შემეცნებითი, პროგნოსტიკური, რეგულაციური, კომუნიკაციური, სამართალ-სოციალიზატორული და სხვა მიმართულებანი. როგორც უკვე აღინიშნა, სამართლებრივი კულტურის ფორმირების პროცესის ძირითადი მიმართულებებია სამართლებრივი აგიტაცია, სამართლებრივი პროპაგანდა, სამართლებრივი აღზრდის გზით მართლზომიერი ქცევის ჩვევებისა და ჩვეულებების ჩამოყალიბება, სამართლებრივი სწავლება და განათლება.

კანონის ცოდნა საჭიროა იმ გაგებითაც, რომ დაცულ

³⁴ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.265

³⁵ გ. ხუბუა; სამართლის თეორია; თბ., 2015; გვ.24

იქნეს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი, რომლის თანახმადაც პირი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დამნაშავედ, თუ არ არსებობს მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი. ე.ი. პირი შეიძლება დამნაშავედ იქნეს ცნობილი მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის შედეგად და ისიც, მხოლოდ მაშინ, თუ ეს განაჩენი ძალაში იქნა დატოვებული ზემდგომი სასამართლო ორგანოების მიერ.³⁶ კანონის საფუძვლიანი ცოდნა ნიშნავს იმას, რომ სწორად ჩავწვდეთ მის არსსა და დანიშნულებას, მის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მის ნამდვილ ღირებულებას. ზოგჯერ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და თვით განსწავლული იურისტებიც ერთნაირი მნიშვნელობით იყენებენ ან ერთიმეორესთან აიგივებენ ისეთ იურიდიულ ცნებებს, როგორიცაა: კანონიერება და სამართალი. ცალსახად, ეს არასწორია.

კანონიერება სხვა არა არის, თუ არა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული სამართლის ცალკეული დარგის კანონებით გათვალისწინებული ნორმების უმკაცრესი დაცვა და მისი დამრღვევი პირის მიმართ შესაბამისი ორგანოების მიერ სხვადასხვა სახის სასჯელების გამოყენება.

მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დადგენილია: „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.“³⁷ ამისდა შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დადგენილია: „განზრახ მკვლელობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.“ ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტით დადგე-

³⁶ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.136

³⁷ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი15

ნილია, რომ თოთხმეტ წელს მიუღწეველი პირის გაუპატიურება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე.³⁸

მაშასადამე, კანონის მოთხოვნათა დაუცველობა ისჯება იმისდა მიხედვით, თუ პირმა კანონით აკრძალული რა სახის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული-დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა. სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებისა და თითოეული მოქალაქის მიერ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ჩამდენ პირთა-გამოვლინებისა და კანონიერების დაცვა-განმტკიცებაში გარკვეული როლი ეკუთვნით სამართალდამცავ ორგანოებს.³⁹

სამართლის უმთავრესი დანიშნულება სახელმწიფოსთან მოქალაქეობის ურთიერთობის წესების დადგენაა, ადამიანის პირადი უფლებებისა და თავისუფლებების განახლებაა, - წერდა ილია ჭავჭავაძე და ბუნებრივია სისხლის სამართლის მთავარ დანიშნულებადაც ამავე პრობლემას მიიჩნევდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართალი არის სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული და დადგენილი ქცევის ისეთი სავალდებულო წესების ერთობლიობა, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებითი წესით მისი დამცველი და ცხოვრებაში გამტარებელი სპეციალური სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

როცა დემოკრატიის ინსტიტუტებმა განიცადეს ყოვლისმომცველი, გლობალური განვითარება, სამართალიც აღმავალი ხაზით განვითარდა. უფრო სრულად გამოვლინდა მისი პოტენციალი, უფრო ქმედითი გახდა მისი როლი დემოკრატიის, ჰუმანიზმის, სოციალური პროგრესის დამკვიდრებაში,

³⁸ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, კოფიციფირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 108

³⁹ შ. ფავიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.50

კაცობრიობის თანამედროვე და მომავლის პრობლემების გადანყვეტაში.⁴⁰

თავის მხრივ, დემოკრატიაც სხვა არა არის რა, თუ არა კანონიერების უმკაცრესი დაცვა.

კანონიერება და სამართალი ერთიმეორეში მჭიდროდაა გადახლართული და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფაქტობრივად კანონიერება არის სამართლის რეალობა, მისი ფაქტობრივი გატარება და პრაქტიკული განხორციელება სამართლის ნორმების მოთხოვნათა ყოველმხრივი დაცვით. სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ კანონიერების ცნებაში იყრის თავს იურიდიული ნორმების, ანუ სამართლის საზოგადოებრივი ცხოვრების ღირებულებათა.

ამგვარად, სამართლებრივი შეგნება, როგორც სამართალშემოქმედებისა და სამართალრეალიზებული საქმიანობის ორგანული შემადგენელი ნაწილი, ასრულებს სამართლებრივი ნორმების ფუნქციონირების ეფექტიანობის მექანიზმისა და პირობების როლს.⁴¹

2.3 ზოგი რამ ქართული სამართლებრივი აზროვნებისა და კანონმდებლობის შესახებ

ქართული სამართალი მდიდარია სამართლის ძეგლებით, რომელთა სისტემატიზაციის მეშვეობით ჩამოყალიბდა ქართული სამართალი.⁴² ქართველი ერის ცხოვრებასა და აზროვნების განვითარების ისტორიას წითელ ზოლად გასდევს კანონიერების, სამართლიანობისა და სამართლისათვის განუხრელი

⁴⁰ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.269

⁴¹ ი.ი. ამინოვი; იურიდიული ფსიქოლოგია; თბ., 2008; გვ.77

⁴² გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ. 72

სწრაფვა.⁴³ ქართველი კაცის რწმენა სიმართლისა და მართალი საქმისადმი იმდენად დიდი იყო, რომ მან გარკვეული ასახვა ჰპოვა ქართველი ერის იმ უტყუარ საგანძურში, რომელსაც ჰქვია დიდი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, სადაც პოეტი თავისი ხატოვანი გამოთქმით მართალსა და სამართლიან საქმეს და თვით სამართლიანობის დადგენას ისეთ უშრეტ ძალად მიიჩნევს, რომელსაც შეუძლია ხმელი ხე ნედლად აქციოს.

ზემოაღნიშნულით იმის თქმა გვინდა, რომ დღევანდელ ზოგიერთ ცივილიზებულ სახელმწიფოს, თუ იმ დროს სამართლის ცალკეულ ნორმებზეც კი არ ჰქონდა წარმოდგენა, საქართველოში იმ დროისათვის კანონთა კრებულებს ადგენდნენ, ამ მხრივ მეტად საინტერესოა ბაგრატ კურაპალატის სამართლის ნიგნი, რომელიც, ისტორიკოსთა აზრით, შედგენილი უნდა იყოს IX-X საუკუნეებში.⁴⁴ სამართლის ეს უნიკალური ძეგლი, საინტერესოა არა მარტო სამართლის ცალკეული ნორმების დახვეწილობით, არამედ იმითაც, რომ მასში სხვა სამართლებრივ შეხედულებებთან ერთად აღწერილია ის თვისებები, რომელიც უნდა ახასიათებდეს მოსამართლეს, რომ იგი უნდა იყოს კანონის მიმდევარი, მისი განუხრელი დამცველი, ღმერთის მოშიში და სამართლიანი, ისეთი, რომელიც არ გაამრუდებდა სამართალს და არ დაჩაგრავდა მართალ კაცს.⁴⁵

ქართული სამართლის კულტურისა და ქართველი იურისტების დამსახურებაა ისიც, რომ საქართველოში თავიდანვე მიექცა ყურადღება პასუხისმგებლობის საფუძვლების შესწავლას და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ აკისრებდნენ გარკვეულ ასაკს მიუღწეველ, აგრეთვე ფსიქიკურად დაავადებულ პირებს მაშინ, როცა ზოგიერთ სახელწიფოში, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული,

⁴³ შ. ფავიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.50

⁴⁴ იქვე

⁴⁵ გ. ნადარეიშვილი; სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; თბ., გვ.41

სიკვდილით დასჯას ექვემდებარებოდნენ ცხოველები, უსულო საგნები და მცირენაწილი ბავშვებიც კი.⁴⁶

საქართველოში, და არა მარტო საქართველოში, სახელმწიფო ცხოვრებასა და, რა თქმა უნდა, სამართლის სფეროშიც, ორი უწყება ფუნქციონირებდა: ერთის მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლება და, მეორეს მხრივ, ეკლესია. როგორც სახელმწიფო, ასევე ეკლესია ქმნიდა წერილობით სამართლებრივ ძეგლებს, აქედან გამომდინარე, საერთო და საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლებს ეყრდნობა ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნება.⁴⁷

აღსანიშნავია და საჭიროა ვიცოდეთ ისიც, რომ სხვა მრავალი სახელმწიფოს წყობის განვითარების, მათი საზოგადოებრივი ფორმაციებისგან განსხვავებით, საქართველოს არა აქვს განვლილი მონათმფლობელური წყობილება. მან პირველყოფილი თემურ-გვაროვნული წყობილებიდან პირდაპირ ფეოდალურ წყობაში გადაინაცვლა და ამ უკანასკნელიდან ბურჟუაზიულ წყობაში, შემდეგ სოციალისტურ, ანუ კომუნისტურ წყობაში და მისგან კვლავ ბურჟუაზიულ წყობას დაუბრუნდა.

საინტერესოა ვიცოდეთ ისიც, რომ ქართული სამართლის ძეგლებში სხვა შეხედულებებთან ერთად გატარებული იყო ისეთი პროგრესული მოსაზრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე, როგორიცაა: სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევა მაშინ, როცა იგი უკანასკნელ პერიოდამდე მთელი რიგი სახელმწიფოების კანონმდებლობით პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად იყო აღიარებული.

ქართული სამართლის ისეთი ძეგლები, როგორიცაა IX-X საუკუნეების ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგ-

⁴⁶ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.51

⁴⁷ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ. 84-85

მენტები: XIV საუკუნის 30-იან წლებში შედგენილი გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება“; XIII–XIV საუკუნეების ბექა-ალბუ-ლას სამართლის წიგნი და XVIII საუკუნის დასაწყისში შედგენილი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი მაღალი ქართული სამართლებრივი კულტურის მაჩვენებელია და მიუთითებს იმაზე, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრის, საზოგადოებრივი წყობისა და სამართლებრივი განვითარების ასპექტით, სამართლებრივი კულტურის დახვეწასა და განვითარებაში წარუშლელ კვალს ტოვებდნენ იმ დროისათვის განსწავლული იურისტები, ყოველივე ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში იურიდიული მეცნიერების განვითარებას საკმაოდ რთული და ხანგრძლივი ისტორია აქვს.⁴⁸

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XI საუკუნეში ექვთიმე მთაწმინდელმა ბერძნულიდან თარგმნა „მცირე სჯულის კანონი“ და თავის განმარტებაში ჩამოაყალიბა იმ დროისათვის საკმაოდ პროგრესული შეხედულებები ბრალის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ XI–XII საუკუნეებში არსენ იყალთოელმა თარგმნა „დიდი სჯულის კანონი“, მანვე შეიმუშავება პირველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგია.

რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სამართლებრივი იდეები აისახა XVIII–XIX საუკუნეების მიჯნაზე შედგენილ ქართული სამართლის კანონპროექტებში, კერძოდ, იოანე ბატონიშვილის „სჯულდებისა“ და დავით ბატონიშვილის „სამართლის“ წიგნებში; ქართული სამართლებრივი კულტურის ამაღლებისა და ქართული იურიდიული აზროვნების განვითარებაში თავიანთი დიდი წვლილი შეიტანეს ამავე პერიოდში მოღვაწე ისეთმა თვალსაჩინო ქართველმა იურისტებმა, როგორებიც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე და სხვები.⁴⁹

⁴⁸ გ.ლობჟანიძე; ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; თბ., 2001; გვ.339

⁴⁹ შ.ფაფიაშვილი, შესავალი იურიდიულ სპეციალობაში, თბ, 2006 გვ:52-54

ამრიგად, ქართული სახელმწიფოებრიობისა და მისი თან-მდევი სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განვითარების მხრივ საქართველომ განვლო ოცდახუთ საუკუნეზე მეტი დრო და ოდითგანვე ცდილობდა ჩამოეყალიბებინა საკუთარი კანონმდებლობა, საკუთარი იურიდიული მსოფლმხედველობა ამ მიღწევებით ყველა ჩვენგანს შეუძლია იამაყოს.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ნიშნავს სიტყვა „იურისტი“?
2. რა არის აუცილებელი პირის იურისტად აღიარებისათვის?
3. რა განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება იურისტთა ძირითადი საქმიანობა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე?
4. რა ძირითადი პრობლემებია იურისტთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში?
5. რა განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება იურისტის პროფესიული საქმიანობა?
6. რა ძირითად ფაქტორებს უნდა ემყარებოდეს იურისტის საქმიანობა ადამიანებთან ურთიერთობის დროს?
7. რითი გამოიხატება იურისტის პროფესიისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნების თავისებურებები?
8. რა არის სამართლებრივი კულტურის ამაღლების საფუძველი?
9. რა არის სამართლის უმთავრესი დანიშნულება?
10. როგორი იყო ადრე ქართველი კაცის ბუნება სამართლისა და სამართლიანობისადმი?

თავი მასამ

ქირითალი იურიდიული ტერმინოლოგია

ზემოთ მოყვანილ ტექსტში უკვე რამდენიმეჯერ უკვე მოვიხსენიეთ ზოგიერთი სახის იურიდიული ტერმინი, კერძოდ, კანონი, კანონიერება, მართლწესრიგი, სამართალი და სხვ. მაგრამ არაფერი გვითქვამს მათ არსსა და მნიშვნელობაზე. საჭიროა, გავარკვიოთ მათი დანიშნულება. სხვაგვარად ვერ ჩავწვდებით იურიდიული მეცნიერების რიგ აქტუალურ საკითხებს. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით მაინც ავხსნათ პრაქტიკასა და თეორიაში ხშირად გამოყენებადი ტერმინები და ცნებები:

აბსოლიტური უფლება - სამართლის სუბიექტისათვის მინიჭებული ისეთი შეუზღუდავი სამართლებრივი მდგომარეობა, როცა ძალუძს თავისი სურვილის შესაბამისად განახორციელოს საკუთარი ინტერესები;⁵⁰

ავთენტიკური-ნამდვილი, არასაეჭვო, დედნის შესაბამისი დადგენილი მტკიცებულება;⁵¹

ადვოკატი- სისხლის სამართლის პროცესში არის პირი, რომელის კანონით დადგენილი წესით იცავს ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ინტერესებს და უწევს მათ იურიდიულ დახმარებას.⁵² ადვოკატის მოწმობის მისაღებად იურისტები აბარებენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ გამოცდას;⁵³

ადმინისტრაციული სამართალი-არის საჯარო სამართ-

⁵⁰ განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი; თბ., 2012; გვ.544

⁵¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ქართული სალიტერატურო ენის რევატომიანი აკადემიური ლექსიკონი (გამოიცა 1950-1964 წწ)იხ: <https://lev.ge/liv/ganmartebiti.php>

⁵² განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი; თბ., 2012; გვ.21

⁵³ საქართველოს საერთო სასამართლოების ოფიციალური ვებ-გვერდის ლექსიკონი, იხ. http://www.court.ge/geo_dictionary

ლის ერთ-ერთი დარგი, აერთიანებს სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებს მმართველობის ორგანოების ორგანიზაციული მოწყობის საკითხებს, მათ მიერ მმართველობითი ფუნქციების განხორციელებას და ადმინისტრაციულ წარმოებას;⁵⁴

ალიმენტი – ეს სიტყვა მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს საზრდოს, საკვებს, ხარჯს- რჩენის სახსრებს. საალიმენტო ვალდებულების საფუძველს წარმოადგენს საოჯახო ურთიერთობები - ქორწინება, შვილად აყვანა და სხვა. ალიმენტის მიღების უფლება აქვთ პირველ რიგში არასრულწლოვან ბავშვებს, რიგ შემთხვევებში კი ოჯახის მოზრდილ, შრომისუუნარო წევრებსაც. ბავშვებზე ალიმენტს იხდიან პირველ რიგში მშობლები (მშვილებლები), ხოლო მათი სიკვდილის შემთხვევაში ოჯახის სხვა წევრები (პაპა, ბებია, მოზრდილი და-ძმები და ა.შ - ე.წ. ფაქტიური აღმზრდელები);⁵⁵

ამნისტია-მომდინარეობს ბერძნულიდან და ნიშნავს დავინწყებას, პატიებას და ამის შესაბამისად ამნისტიას უწოდებენ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს (საქართველოს პარლამენტის) მიერ მიღებულ აქტს, რომლითაც გარკვეული კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირები შეიძლება გათავისუფლდნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან მსჯავრდებულები სასჯელის მოხდისაგან, ან შეიძლება გარკვეულწილად შეუმცირდეთ მათ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადა, ან შეეცვალოთ იგი სხვა უფრო მსუბუქი სასჯელით;⁵⁶

ანალოგია – მომდინარეობს ბერძნულიდან და ნიშნავს მსგავსებას, შესატყვისობას. იურისპრუდენციაში იგი გამოიყენე-

⁵⁴ განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი; თბ., 2012; გვ.27

⁵⁵ განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, იხ. <http://gil.mylaw.ge/ka/term/1268.html>

⁵⁶ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 77

ბა მისი პირდაპირი დანიშნულებით და ერთიმეორისაგან გან-
არჩევენ კანონისა და სამართლის ანალოგიას;⁵⁷

ანექსია – მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს ძალ-
დატანებით შეერთებას. ამ გამოთქმას იყენებენ იმ შემთხვევა-
ში, როცა საჭიროა გამოხატონ ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა
ქვეყნის ტერიტორიის თავისი სახელმწიფოს ტერიტორიისათვის
ან მისი ნაწილის ძალით მიერთების, ანუ დაპყრობის ფაქტი;⁵⁸

ამსრულებელი – ჰქვია დანაშაულის ჩადენაში მონაწილე იმ
პირს, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან ვინც სხვასთან
(თანამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა და-
ნაშაულის ჩადენაში;⁵⁹

აპელაცია – არის სასამართლო გადაწყვეტილების გა-
საჩივრების ფორმა ზემდგომ სააპელაციო სასამართლოში,
სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს პირველი ინსტან-
ციის სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების საშუალებას. სისხ-
ლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლის პირველი
ნაწილის მიხედვით, სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს
პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომელიც აპელ-
ანტს უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად მიაჩნია;⁶⁰

არბიტრაჟი – არის სახელმწიფო დაწესებულებებსა და
საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ქონებრივი და სახ-
ელშეკრულებო დავების განმხილველი და გადამწყვეტი სპე-
ციალური ორგანო. უმეტეს შემთხვევაში იგი არსებობს საარბი-
ტრაჟო სასამართლოს სახელწოდებით;⁶¹

⁵⁷ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ქართული სალიტერატურო ენის
რვატომიანი აკადემიური ლექსიკონი (გამოცა 1950-1964 წწ) მთავარი რედაქტორი
ა. ჩიქობავა, იხ. <https://lev.ge/liv/ganmartebiti.php>

⁵⁸ ლ. დანელიშვილი, მ. მესხიშვილი; იურიდიული ლექსიკონი; თბ., 2006; გვ.18

⁵⁹ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, კოდიფიცირებული
ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 22

⁶⁰ განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, იხ. <http://gil.mylaw.ge/ka/term/122.html>

⁶¹ საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019
წლის მდგომარეობით, მუხლი1

არასრულწლოვანი – არის პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სრულწლოვანების ასაკი – თვრამეტი წელი არ შესრულებია;⁶²

ბრალდებული – არის პირი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით, დანაშაულებრივი ქმედების გამოძიების პროცესში, წარედგინა ბრალდება და ბრალდებულის სახით მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირი დაკავების მომენტიდან ითვლება ბრალდებულად;⁶³

ბრალდების მხარე – გამომძიებელი, პროკურორი;

ბრალმდებელი – არის პირი, რომელიც სისხლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოებს სისხლის-სამართლებრივი დევნას. სამართლოში ასეთ ბრალმდებლად, სახელმწიფოს სახელით, ყოველთვის გამოდის პროკურორი;

გამომძიებელი – არის პირი, რომელიც უფლებამოსილია დადგენილი წესით თავისი კომპეტენციის ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეზე აწარმოოს გამოძიება;

განაჩენი – პირველი ინსტანციისა და სააპელაციო წესით განხილულ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება განსასჯელის დამნაშავედ ცნობის ან არცნობის შესახებ; განაჩენი შეიძლება იყოს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი;

განჩინება – სასამართლოს მიერ ნებისმიერ საკითხზე გამოტანილი ყოველგვარი სახის გადაწყვეტილება განაჩენისა და განკარგულების გარდა;⁶⁴

გენოციდი – არის ერთ-ერთი უმძიმესი სახის დანაშაული

⁶² არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, კოდიფიცირებული ლექსიკონი, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 3

⁶³ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 3

⁶⁴ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 3

და იგი გამოიხატება რასობრივი, ეროვნული, ანუ ნაციონალური, ან რელიგიური რწმენის მოტივით ჩადენილი მასობრივი მკვლელობის ჩადენაში, ცალკეული ჯგუფების გაჟლეტაში⁶⁵. ეს სიტყვა მომდინარეობს ბერძნულ-ლათინური სიტყვების – „genos“ (ბერძნ.) – გვარი, ტომი და ლათინური „caedo“ – ვკლავ, ვხოცავ, – შეერთებით და ნიშნავს ზემოაღნიშნული მოტივით ადამიანთა გარკვეული ჯგუფის დახოცვას, გაჟლეტას;

გირაო – შეიძლება იყოს როგორც ფულადი თანხა, ისე მოძრავი ან უძრავი ქონება, რომელიც გამოძიების ან საქმის სასამართლოში განხილვის დროს განმხილველი სასამართლოს დეპოზიტზე უნდა იქნეს შეტანილი კანონით დადგენილი წესით;⁶⁶

დადგენილება – გამოძიებლის ან საქმის წარმოების დროს პროკურორის მიერ რაიმე საკითხზე გამოტანილი გადანყვეტილება;⁶⁷

დანაშაული – არის კანონით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება, რომელიც შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახ ან გაუფრთხილებლობით;

დანაშაულის კვალიფიკაცია – არის ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების ნიშნების შესწავლის ერთობლიობით სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების დაკვალიფიცირება სსკ შესაბამისი მუხლით ან მუხლების ერთობლიობით;

დაზარალებული-სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაზარალებულად ითვლება ის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო

⁶⁵ ზ. დავითაშვილი; ლექსიკონ-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში; იხ: <http://dictionary.css.ge/content/genocide>

⁶⁶ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კოდიციფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 200

⁶⁷ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კოდიციფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 3

ქმედებით მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი;⁶⁸

დემოკრატია – წარმოდგება ორი ბერძნული სიტყვისაგან "demos" ხალხი და "kratos"-ხელისუფლება, ე.ი. ნიშნავს სახალხო ხელისუფლებას. ამასთან, იგი ასახავს სახელმწიფო მმართველობის ფორმას, მის პოლიტიკურ წყობილებას, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს;

ექსპერტი-არის პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ხელობის რომელიმე დარგში და მუშაობს საექსპერტო დაწესებულებაში ან აქვს ლიცენზია და უფლებამოსილია ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამომძიებლის ან პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილებით ან სასამართლოს განჩინებით, ან მხარეთა მოთხოვნით ჩაატაროს ექსპერტა და ექსპერტის წინაშე დასმულ საკითხებზე მისცეს სწორი დასაბუთებული, ობიექტური დასკვნა;

ექსპერტიზა-არის კანონით დადგენილი წესით ექსპერტის მიერ წარმოებული კვლევის პროცესი ცალკეული დარგების მიხედვით. ერთიმეორისაგან განასხვავებენ ისეთი სახის ექსპერტიზებს, როგორიცაა: სამედიცინო, ბიოლოგიური, საბუღალტრო, ტექნიკური, კრიმინალისტიკური, ვეტერინალური და სხვ., რომელთაც გაერთიანებული სახით უწოდებენ სასამართლო ექსპერტიზას. წარმოების მისედევით ექსპერტიზა შეიძლება იყოს პირველადი, განმეორებითი, დამატებითი, კომისიური და კომპლექსური სახის;

ექსპერტის დასკვნა – არის ერთერთი დამოუკიდებელი სახის მტკიცებულება, რომელიც მიღებულია ექსპერტის მიერ წარმოებული კვლევის შედეგად და ექსპერტის ხელმოწერით იგზავნება ექსპერტის დამნიშნავ ორგანოში [გამომძიებში ან სასამართლოში]. პროცესუალური ფორმის მიხედვით ექსპერტის დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი, კატეგორიული, ან

⁶⁸ იქვე

უარყოფითი კატეგორიული, ან სააღბათო ანუ სავარაუდო სახის;⁶⁹

ექსტრადიცია-მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს გადაცემას. იგი არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით უცხო სახელმწიფოს უფლება, მოითხოვოს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი თავისი მოქალაქის ექსტრადიცია, თუ მას ბრალად ედება თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენა, ან თუ იგი ჩადენილი დანაშაულისათვის თავისი ქვეყნის სასამართლოს მიერ ცნობილია დამნაშავედ და შეფარდებული აქვს შესაბამისი სასჯელი, ან თუ მან თავისი ქვეყნის წინააღმდეგ ჩაიდინა დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე;

ვერდიქტი-არის ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი სასამართლოს გადანყვეტილება განსასჯელი პირის დამნაშავედ ცნობის ან უდანაშაულოდ ცნობის შესახებ;

ზიანი-არის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით იურიდიული ან ფიზიკური პირისათვის მიყენებული მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, რომლის ანაზღაურება უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესით;

იდენტიფიკაცია –მომდინარეობს ლათინურიდან „იდენტიფიცო“ და ნიშნავს იგივეობას, გაიგივებას. ამ სიტყვას სხვა დარგის მეცნიერებაშიც იყენებენ გარკვეული გარემოების ან ფაქტის აღსანიშნავად. იურიდიული თვალთახედვით იგი უმთავრესად გამოიყენება კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში, შემუშავებულია იდენტიფიკაციის თეორია და მისი კვლევის სპეციალური ხერხები და მეთოდები. აქ იგი გამოიყენება კრიმინალისტიკური მიზნებისათვის საგნებისა და ობიექტების დასადგენად მათი ნიშან-თვისებების მიხედვით;

⁶⁹ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კოდიციფირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 3

იმპიჩმენტი – არის სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმეების წარმოების განსაკუთრებული წესი, მათი თანამდებობიდან გადაყენებისა და პასუხისმგებლობის შესახებ;⁷⁰

იმუნიტეტი-მომდინარეობს ლათინურიდან „იმუნიტატის“ და ნიშნავს ცალკეულ პირთა ხელშეუხებლობას, მასზე ზოგიერთი კანონის გაუვრცელებლობას. ამ მიმართებით განასხვავებენ დეპუტატის იმუნიტეტს, როგორც საკანონმდებლო ორგანოს წევრის პიროვნების ხელშეუხებლობასა და დიპლომატიურ იმუნიტეტს, როგორც დიპლომატიური წარმომადგენლისა და მისი ბინის ხელშეუხებლობას;⁷¹

იურისპრუდენცია – მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს იურიდიულ მეცნიერებათა ერთობლიობას, იურისტთა სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობათა ერთობლიობას. იგი ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ დარგს, პრაქტიკასა და მეცნიერებას, რაც დაკავშირებულია სამართალთან, სამართალმცოდნეობასთან, იურიდიულ საქმიანობასთან;

იურისტი – არის იურიდიული განათლების მქონე, სამართალმცოდნე, რომელსაც უმაღლესი იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია;

იურისდიქცია- ნიშნავს სამართლებრივი ხასიათის საკითხების განხილვასა და გადაწყვეტასთან დაკავშირებულ სპეციალური ორგანოების (სასამართლოს, საარბიტრაჟო სასამართლოს, შრომის დავების განმხილველი სპეციალური კომისიებისა და სხვ.) საქმიანობას. იგი წარმოდგება ლათინური სიტყვიდან და ნიშნავს სასამართლო წარმოებას, სასამართლო საქმისწარმოების უფლებას, განსჯადობას;

⁷⁰ უცხო სიტყვათა ლექსიკონი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, იხ. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=16059>

⁷¹ მ. ჭაბაშვილი; უცხო სიტყვათა ლექსიკონი; მე-3 შესნ. გამოცემა, თბ., 1989; გვ.600

სამართლებრივი ურთიერთობა- არის ისეთი ურთიერთობა, რომელიც აღმოცენდება სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს შორის ამა თუ იმ სახის სამართლებრივი ნორმების საფუძველზე; იურიდიული, ანუ სამართლებრივი ცნებები ერთიმეორის სინონიმებადაა მიჩნეული. სიტყვა „იურიდიული“ მომდინარეობს ლათინურიდან „jus, jure“ და ნიშნავს სამართალს, სამართლებრივს და მათ შორის რაიმე პრინციპული მნიშვნელობის სხვაობა არაა;

კანონი – არის სახელმწიფო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც ანესრიგებს ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. იგი არის სამართლის ძირითადი წყარო და მას აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იურიდიული ძალის და იერარქიის მიხედვით პარლამენტში მათი მიღების საერთო წესით ერთიმეორისაგან განასხვავებენ საკონსტიტუციო სახის კანონს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ორგანულ კანონებს და სხვა მიმდინარე კანონებს. აქედან სამართლის მთავარი ძირითადი წყარო არის კონსტიტუცია, შემდეგ კი მოდის სხვა მომდევნო კანონები;

კანონიერი წარმომადგენელი – ახლო ნათესავი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი;

კასაცია – არის სასამართლოს ზემდგომი ინსტანცია, სადაც საქმის განხილვა ხდება არაარსებითად;

კორუფცია – მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს მოსყიდვას.⁷² სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით იგი ნიშნავს თანამდებობის პირთა, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მოსყიდვას. სწორედ ამის გამო ზოგიერთი ავტორი მას აიგივებს ქრთამის აღებასთან – მექრთამეობასთან;

⁷² სამოქალაქო განათლების ლექსიკონი,იხ. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4882>,

მოსამართლე – არის საერთო სასამართლოებში მოსამართლის თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელიც უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესითა და ფარგლებში განახორციელოს მართლმსაჯულება. მოსამართლის ცნებაში იგულისხმება თვითონ მოსამართლე, სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი, სააპელაციო სასამართლო კოლეგიის წევრი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, უზენაესი სასამართლოს პალატის თავმჯდომარე და მისი წევრები, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და ამ სასამართლოს წევრები;

მართლწესრიგი – ნიშნავს საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას კანონიერების მოთხოვნათა უმკაცრესი დაცვით;

მექრთამეობა – არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი მძიმე დანაშაული.. მისი არსი მდგომარეობს მოხელე თანამდებობის პირის მიერ ქრთამის მიცემის ინტერესებისათვის რაიმე სახის მოქმედების ან უმოქმედობის შესრულებაში უკანონო „გასამრჯელოს“ – ქრთამის მიცემა-აღებაში. ისჯება როგორც ქრთამის აღება, ისე ქრთამის მიცემა;

მსჯავრდებული – არის პირი, რომელიც სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი მის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაში და მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი;

მონწე – არის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით შეიძლება დაიკითხოს გამოძიებაში ან სასამართლოში და მისცეს ჩვენება სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმეზე მისთვის ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ;⁷³

მართლმსაჯულება – ნიშნავს იურიდიქციული საქმიანო-

⁷³ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კოდიციფირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 3

ბის ნაირსახეობას, ანუ სასამართლოს საქმიანობას კონკრეტული საქმეების განხილვასთან დაკავშირებით, დარღვეული სამართლებრივი უფლებების აღდგენას და განსახილველ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეზე ქვემარტივების დადგენას, განსასჯელი პირის უდანაშაულოდ ან დამნაშავედ ცნობის მიმართებაში. უფრო სწორედ, მართლმსაჯულება არის სასამართლოს ისეთი საქმიანობა, რომელიც დადგენილი წესით უზრუნველყოფს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა-გამოკვლევას, მიღებულ მტკიცებულებათა ანალიზსა და შეფასებას და მის საფუძველზე პირის ცნობას უდანაშაულოდ ან დამნაშავედ და ამის შესაბამისად სწორი დასაბუთებული სამართლიანი გადაწყვეტილების – გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, ან განჩინების, დადგენილების, ან გადაწყვეტილების გამოტანას;

მტკიცებულება – არის სასამართლოში კანონით დადგენილი წესით საქმეზე მნიშვნელობის მქონე მოპოვებული ინფორმაცია, დოკუმენტი, საგანი, ნივთიერება, ან სხვა რაიმე სახის ობიექტის „ნივთიერი მტკიცებულება“, რომელთა საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება, განჩინება ან განაჩენი;⁷⁴

ნარკომანი – არის ნარკოტიკული ნივთიერებების მიღებით დაავადებული, ნარკომანიით შეპყრობილი ადამიანი;

ნოტარიუსი – არის იურიდიული განათლების მქონე პირი, რომლის მოვალეობაა ზემოთ ნოტარიატის ცნებასთან დაკავშირებით ჩამოთვლილ ქმედებათა შესრულება სხვადასხვაგვარი იურიდიული აქტების დამონშება და გაფორმება, იურიდიული ფაქტების დადგენის გარეშე;

ოკუპაცია – მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა

⁷⁴ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კოდიციფირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 3

ქვეყნის ტერიტორიის დროებით დაკავებას, მის ოკუპირებას;

პლებისციტი – მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს ხალხის გადაწყვეტილებას. მას უწოდებენ აგრეთვე საერთო-სახალხო კენჭისყრას.⁷⁵ ამგვარი სახის კენჭისყრაში ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლით დასჯად ქმედებადაა გამოცხადებული:⁷⁶

პროკურატურა – არის სახელმწიფოს ისეთი დანესებულება, მისი ისეთი ორგანო, რომელიც აწარმოებს სისხლისსამართლებრივ დევნას, კანონით გათვალისწინებულ თავის ქვემდებარე დანაშაულებრივ ქმედებათა საქმეების გამოძიებას და ასევე ახორციელებს გამოძიების პროცესუალურ ხელმძღვანელობას და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობას;⁷⁷

პროკურორი-სიტყვა პროკურორი წარმოდგება ფრანგულიდან და ნიშნავს ზრუნვას. ამ სიტყვის ფართო გაგებით პროკურორი არის ისეთი თანამდებობის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით აწარმოებს სისხლისსამართლებრივ დევნას, წინასწარი გამოძიების პროცესუალურ ხელმძღვანელობას და სასამართლოში გამოდის როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი;⁷⁸

სანქცია-ნიშნავს რაიმე აქტის დამტკიცებას, მის დაკანონებას, მისთვის რაიმე სახის იურიდიული ძალის მინიჭებას, იგი არის იძულების ზემოქმედების ზომა კანონის დარღვევისათვის⁷⁹;

⁷⁵ მ. ჭაბაშვილი; უცხო სიტყვათა ლექსიკონი; მე-3 შესწ. გამოცემა, თბ., 1989; გვ.600

⁷⁶ დანვრილებით იხილეთ: საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 164

⁷⁷ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კოდიციფირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 32

⁷⁸ იქვე

⁷⁹ მ. ჭაბაშვილი; უცხო სიტყვათა ლექსიკონი; მე-3 შესწ. გამოცემა, თბ., 1989; გვ.600

სასამართლო – იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვანაირადაა გაგებული. პირველ რიგში იგი გაგებულია, როგორც მართლმსაჯულების განმხორციელებელი კონკრეტული სასამართლო. შემდეგ, როგორც სახელმწიფოს სასამართლო სისტემა, დაბოლოს, როგორც კონკრეტული საქმის განმხილავი და მასზე მართლმსაჯულების განმხორციელებელი კონკრეტული სასამართლო თავისი შემადგენლობით.

სამართალი – იურიდიულ ლიტერატურაში გაგებულია ორგვარად, სამართლის ობიექტური და სუბიექტური სახით, ობიექტური გაგებით, სამართალი, როგორც სოციალური მოვლენა და მარეგულირებელი, დაკავშირებული არაა ცალკეულ პირებთან და იგი გვევლინება როგორც სამართლის ცალკეული დარგის მარეგულირებელ ფაქტორად. მაგალითად, სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი და სხვ. სუბიექტური გაგებით კი, იგი დაკავშირებულია ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტის უფლებებთან. რაც შეეხება თვით სამართლის ცნებას, იურიდიულ ლიტერატურაში იგი განმარტებულია, როგორც ხალხის ნება-სურვილის გამომხატველი ქცევის ისეთი სავალდებულო წესების ერთობლიობა, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით;

უდანაშაულობის პრეზუმფცია – არის სისხლის სამართლის პროცესის ის მნიშვნელოვანი პრინციპი, რომლის საფუძველზე პირი არ შეიძლება დამნაშავედ იქნეს ცნობილი მანამ, სანამ იგი დამნაშავედ არ იქნება ცნობილი სასამართლოს მიერ და მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაში არ იქნება შესული;⁸⁰

ქურდობა – არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით;

⁸⁰ სამოქალაქო განათლების ლექსიკონი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული დანვრილებით იხ. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=7051>

ყადალა – არის პროცესუალური მოქმედება, რომელიც კრძალავს ყადალადადებული ქონების გასხვისებას, მის განკარგვას. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ქონებაზე ყადალის დადება და ქონების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით ან სასამართლოს განჩინებით (დადგენილებით);

შენცალება – არის საქართველოს პრეზიდენტის უფლება მოახდინოს შენცალება კონკრეტული მსჯავრდებულისა და გაათავისუფლოს იგი სასჯელისაგან ან შეუცვალოს სასჯელი უფრო მსუბუქი სასჯელით;

ცივილისტიკა – მომდინარეობს ლათინურიდან „ცივილის“ და ნიშნავს სამოქალაქოს, სამოქალაქო სამართალს;

ასეთია ძირითადი ნუსხა იმ იურიდიული ტერმინებისა, რომელთა დანიშნულებისა და მნიშვნელობის ცოდნის გარეშე შეუძლებელია სრულყოფილად დავეუფლოთ და ჩავწვდეთ სპეციალური იურიდიული ლიტერატურის არსსა და მნიშვნელობას. ამიტომ ზემოთ დასახელებული ამ მცირეოდენი სახით წარმოდგენილი იურიდიული ტერმინოლოგიის ცოდნა აუცილებელია როგორც დამწყები, ისე კვალიფიციური იურისტისათვის.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის იურიდიული ტერმინოლოგია და რატომაა მისი ცოდნა აუცილებელი?
2. რას ნიშნავს სიტყვები: ადვოკატი, ადვოკატურა, ალიმენტი და ამნისტია?
3. რას ნიშნავს სიტყვები: ანალოგია, ანექსია, ამსრულებელი, აპელაცია, არბიტრაჟი და არასრულწლოვანი, ბრალდებული და ბრალმდებელი?

4. რას ნიშნავს სიტყვები: განსასჯელი, განაჩენი, განჩინება, გენოციდი, გირო?
5. რა არის დანაშაული და დანაშაულის კვალიფიკაცია?
6. რას ნიშნავს დაზარალებული, დაქტილოსკოპია, დემოკრატია და დელიქტი?
7. რას ნიშნავს ექსპერტიზა, ექსპერტი, ეჭვმიტანილი და ექსტრადიცია?
8. რა არის ვერდიქტი, ზიანი, თანამშრომლობა და თაღლითობა?
9. რას გულისხმობს სიტყვა "იმპიჩმენტი"?
10. რას ნიშნავს სიტყვები: იმუნიტეტი, იურისპრუდენცია, იურისდიქცია, იურისტი?
11. რა დანიშნულებითა და მიმართებით გამოიყენება ტერმინი-იურიდიული, ანუ სამართლებრივი მეცნიერება და იურიდიული, ანუ სამართლებრივი ურთიერთობა?
12. რას ნიშნავს სიტყვები: იუსტიცია, კანონი, კანონმდებლობა, კანონის ახსნა-განმარტება და კონსტიტუცია?
13. რას ნიშნავს სიტყვები: მართლწესრიგი, მართლმსაჯულება?
14. რას ნიშნავს სიტყვები: მსჯავრდებული, მონმე, მოტივი?
15. რას ნიშნავს სიტყვები: ნარკომანია, ნოტარიუსი, ოკუპაცია?
16. რას ნიშნავს სიტყვები: პროკურატურა, პროკურორი, გამომძიებელი და მოსამართლე?
17. რას ნიშნავს სიტყვები: სენატი, სამართალი, ქურდობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია, ჰიპოთეზა?

თავი მეოთხე

სახელმწიფოს ცნება და ნიშნები

4.1. სახელმწიფოს ცნება და ძირითადი ნიშნები

იურისპრუდენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს ცნების სრულყოფილი ჩამოყალიბება. ეს პრობლემა ისეთივე რთული და ძველია, როგორც თვით სახელმწიფო. სახელმწიფოს ცნების საკითხი გამუდმებით იყო პოლიტოლოგიის, ფილოსოფიური, ისტორიული, ეკონომიკური, სოციოლოგიური და იურიდიული მეცნიერებების კვლევის საგანი ყველა ეპოქაში – დანყებულ ძველი რომიდან და ძველი საბერძნეთიდან თანამედროვეობამდე. ამიტომაც, ისტორიულად მნიშვნელოვანია ის, თუ როგორია მისი როლი და დანიშნულება საზოგადოებაში, როგორია მისი ფუნქციონარების მექანიზმი და განვითარების პერსპექტივები?⁸¹

სახელმწიფო ისტორიულად განვითარებული მოვლენაა, საზოგადოებრივი პროგრესის შედეგი. სახელმწიფოს მუდმივ განვითარებასთან ერთად, იცვლება სახელმწიფოც, მისი მიზნები და ამოცანები, მმართველობითი სტრუქტურები და ფუნქციები. ამის შესაბამისად იცვლება შეხედულებებიც სახელმწიფოს ცნების, მისი როლისა და მნიშვნელობის შესახებ.⁸² მეცნიერებაში ფართოდ არის გავრცელებული განსაზღვრება, რომ სახელმწიფო არის ადამიანების, მათ მიერ დაკავებული ტერიტორიისა და ძალაუფლების ერთობლიობა, შესაბამისად, ცნობილი სახელმწიფოთმცოდნე ლ. დიუგი გამოყოფს სახელმწიფოს ოთხ ელემენტს:

- ადამიანთა ინდივიდების ერთობლიობა;
- გარკვეული ტერიტორია;

⁸¹ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.32

⁸² ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები, თბ., 2013, გვ.25

- სუვერენული ხელისუფლება;
- მთავრობა.⁸³

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეცნიერებაში სახელმწიფოს განმარტავენ, როგორც ამა თუ იმ ქვეყანაში საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის განსაზღვრულ ისტორიულ ფორმას, მმართველობის განმასხორცილებელ განსაკუთრებულ აპარატს, რომელიც დარწმუნებისა და იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით უზრუნველყოფს საშინაო და საგარეო ამოცანების განხორციელებას ხელისუფლების სათავეში მყოფი კლასისა თუ სხვა საზოგადოებრივი ფენის ინტერესების შესაბამისად.⁸⁴

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო-ეს არის ერთიანი პოლიტიკური ძალაუფლების ორგანიზაცია, რომელიც ვრცელდება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. აქვს მართვისა და იძულების სპეციალური აპარატი, გამოსცემს ყველასათვის სავალდებულო ბრძანებებს და გააჩნია სუვერენიტეტი.⁸⁵

სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია მოსახლეობის მოქალაქეთა ან ქვეშევრდომთა დაყოფა ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, განსხვავებით გვაროვნული ორგანიზაციისაგან, რომლის დროსაც მოსახლეობა დანაწილებულია სისხლით ნათესაური პრინციპის საფუძველზე.⁸⁶

სახელმწიფოს მეორე ძირითად ნიშნად წარმოჩნდება საჯარო პოლიტიკური ხელისუფლება, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: სახელმწიფოს აქვს საზოგადოებისაგან გამოყოფილი და ზოგჯერ საზოგადოებაზე მაღლა მდგომი ხელისუფლებისა

⁸³ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ.70

⁸⁴ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011; გვ.39

⁸⁵ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.24

⁸⁶ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011; გვ.40

და მმართველობის აპარატი, რომლის მთავარი დანიშნულება სახელისუფლო და მმართველობითი ფუნქციის განხორციელებაა.⁸⁷ რაც შეეხება სახელმწიფო აპარატის ძირითად ორგანოებს, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, სასამართლოს ორგანოები და სხვ.

სახელმწიფოს ცნებისა და მისი შინაარსის განხილვის შემთხვევაში საჭიროა გავიაზროთ ისეთი ნიშან-თვისება, როგორიცაა სუვერენიტეტი.

სახელმწიფო სუვერენიტეტი გულისხმობს მის შესაძლებლობას ქვეყანაში მოქმედი სამართლისა და აღიარებული საერთაშორისო ნორმების ფარგლებში სრულუფლებიანად აწარმოოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა,⁸⁸ შესაბამისად, განასხვავებენ საშინაო და საგარეო სუვერენიტეტს.

სახალხო სუვერენიტეტი სახელმწიფო ხელისუფლების ისეთი თვისებაა, რომელიც გამოიხატება მოცემული სახელმწიფოს უზენაესობასა და დამოუკიდებლობაში, სხვა ნებისმიერი ხელისუფლების მიმართ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო ურთიერთობებში. ეროვნული სუვერენიტეტი ნიშნავს ერის თვითგამორკვევის უფლებას ცალკე გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდეც კი.⁸⁹

სახელმწიფოს აქვს იძულების უნარი და იძულების სპეციალური აპარატი, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია არა საერთოდ იძულება, არამედ განსაკუთრებული, უმაღლესი დონის სახელმწიფოებრივი იძულება, რომელიც ხორციელდება იძულების სპეციალური აპარატით.⁹⁰

სახელმწიფოს ნიშნებს შორის აუცილებლად უნდა გამოვყოთ

⁸⁷ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.33

⁸⁸ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011; გვ.42

⁸⁹ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები, თბ., 2013, გვ.29

⁹⁰ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.35

სამართლისა და ასევე, გადასახადების სისტემა. ორივე მათგანს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი აკისრია სახელმწიფოს არსებობასთან და განუყოფლად არის მასთან დაკავშირებული, რადგან, თუ სახელმწიფოს არ ექნება საგადასახადო სისტემა როგორც ბიუჯეტის ერთადერთი და უპირობო შევსების წყარო, იგი ვერ შეძლებს საკუთარი ფუნქციების შესრულებას. რაც შეეხება სამართლის სისტემას, სახელმწიფო ამ შემთხვევაშიც დაკარგავს საკუთარ სიძლიერეს, თუკი სამართლის სისტემის მიხედვით ვერ შეასრულებს საშინაო და საგარეო ფუნქციებს.

დამატებით შეგვიძლია გამოვყოთ ლეგიტიმურობა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების კანონიერებას, ანუ მისი არსებობა დაფუძნებულია კანონიერ საფუძველზე. ამასთანავე, ყველა თანამედროვე სახელმწიფოს გააჩნია ოფიციალური სახელწოდება, გერბი, დროშა და სხვა სიმბოლური ატრიბუტიკა, რომლითაც იგი ყოველთვის გამოხატავს საკუთარ რაობას და სუვერენიტეტს.

ასე გვევლინება სახელმწიფოს ის ძირითადი ნიშან-თვისებები, რომლებიც მუდმივად ვითარდება შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით.

4.2. სახელმწიფოს ფუნქციები

რაც შეეხება სახელმწიფო ფუნქციებს - ესაა კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში სახელმწიფოს წინაშე არსებული სტრატეგიული ამოცანებისა და მიზნების განსახორციელებლად სახელმწიფო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებები.

ტერმინი „ფუნქცია“ ფილოსოფიური და ზოგადსოციალური თვალსაზრისით ნიშნავს „ამა თუ იმ ობიექტის თვისებების

გარეგნულ გამოვლინებას.“⁹¹ სახელმწიფოს ფუნქციას იურიდიულ ლიტერატურაში ტრადიციულად განმარტავენ როგორც სახელმწიფოს საქმიანობის მთავარ მიმართულებას, რაც განპირობებულია სახელმწიფოს არსით და სოციალური დანიშნულებით, მის წინაშე მდგომი მიზნებითა და ამოცანებით.⁹²

ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი ძირითადი ფუნქციები, რომლებიც შეიძლება დაიყოს ორ ძირითად მიმართულებად: საშინაო ურთიერთობის და საგარეო ურთიერთობის ფუნქციად.

საშინაო ფუნქციებად მიჩნეულია სახელმწიფოს შიგნით წარმოებული მთელი ის საქმიანობა, რაც მიმართულია პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური სახის ურთიერთობებისა და მართლწესრიგის დაცვა-განმტკიცებისაკენ.

საგარეო ფუნქციებად კი მიჩნეულია სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთმიმართებით წარმოებული საქმიანობა.⁹³ უფრო ზუსტად, კი სახელმწიფოს საგარეო ფუნქციებს განეკუთვნება: ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა; ბ) ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან, რომელიც მიმართულია ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობების დასამყარებლად და სხვ.⁹⁴

სახელმწიფოს ფუნქცია განსხვავდება მისი ორგანოების ფუნქციებისაგან. სახელმწიფოს ორგანოს ფუნქცია ასახავს კონკრეტული ორგანოს სოციალურ-მიზნობრივ მნიშვნელობას. ეს ორგანოები ფუნქციებს ახორციელებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. სახელმწიფო ორგანოების ფუნქცია ექვემდებარება სახელმწიფოს ფუნქციას და არ შეიძლება მას ეწინააღმდეგებოდეს.⁹⁵ თავისი სოციალური დანიშნულებისა და,

⁹¹ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.44

⁹² გ. ინკვირელი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2003; გვ.55

⁹³ შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.226

⁹⁴ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები, თბ., 2013, გვ.39

⁹⁵ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.48

მაშასადამე, თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის სახელმწიფო მოწყობილია როგორც ხელისუფლების მეტად რთული ორგანიზაცია.⁹⁶

ამის გარდა, არსებობს სახელმწიფო ფუნქციების რეალიზაციის სამართლებრივი და არასამართლებრივი ფორმა.⁹⁷ სამართლებრივ ფორმებში აისახება სახელმწიფოსა და სამართლის კავშირი, კერძოდ კი ის, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა, თავისი ფუნქციების შესრულებისას სამართლისა და კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედებდეს. მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით სახელმწიფოს ფუნქციები იყოფა მუდმივ (რომლებიც ხორციელდება სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე) და დროებით (რომლებიც წყვეტენ მოქმედებას გარკვეული ამოცანების შესრულების შემდგომ) ფუნქციებად.⁹⁸ აღსანიშნავია, რომ ყველა სახელმწიფო თავად ირჩევს თუ რომელ ფუნქციას მიანიჭოს უპირატესობა და რა საშუალებებით შეძლებს აღნიშნული ფუნქციების შესრულებას.

4.3. სახელმწიფოს მექანიზმი

მას შემდეგ, რაც გავიაზრებთ სამართლის ფუნქციებს, აუცილებელია შევჩერდეთ სახელმწიფოს მექანიზმის ცნებასა და არსზე.

სახელმწიფოს ორივე ზემოაღნიშნული უმთავრესი ფუნქციის განმახორციელებელ აღმასრულებელ-განმკარგულებელ, საკანონმდებლო, სამართალდამცავ და სხვა ადმინისტრაცი-

⁹⁶ გ. ინკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2003; გვ.55

⁹⁷ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ. 164

⁹⁸ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძველები, თბ., 2013, გვ.39

ული ორგანოების საქმიანობის მთელ სისტემას, მიღებულია ვუნოდოთ სახელმწიფოს მექანიზმი.⁹⁹

მრავალრიცხოვანი ფუნქციის განსახორციელებლად სახელმწიფო გარკვეულწილად უნდა ფლობდეს, სხვადასხვა დანესებულების ორგანიზებულ მოქმედ სისტემას. სახელმწიფო მექანიზმი (აპარატი) – ეს ორგანოებისა და დანესებულებების სისტემაა, რომელიც სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს.

სახელმწიფო აპარატის დამახასიათებელი ნიშნებია:

-რეალური საორგანიზაციო-მატერიალური ძალა, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს თავის ძალაუფლებას საზოგადოებაში;

-მართვის ორგანოებთან ერთად იძულებითი ძალოვანი დანესებულების არსებობა (არმია, პოლიცია, სასამართლო, ციხეები);

-საგანგებო დანიშნულების მოსამსახურეთა არსებობა, რომლებიც სახელმწიფოს მიერ მითითებულ ფუნქციებს ასრულებენ და ხელფასს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ;

-უფლებამოსილების მკაფიო გამიჯვნა (ძალაუფლების განაწილება).¹⁰⁰

სახელმწიფო ორგანოს ყოველ გადაწყვეტილებასა და განკარგულებას გააჩნია სავალდებულო ძალა. სახელმწიფო აპარატის ყოველი ელემენტის საქმიანობა მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების პროცესში გარანტირებულია სახელმწიფოებრივი იძულების საშუალებათა მთელი არსენალის გამოყენების შესაძლებლობებით.

სახელმწიფო მექანიზმის ცალკეულ ნაწილებს მიეკუთვნება: სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, სახელმწიფო მმართველობა.

⁹⁹ გ. ლობჟანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ.226

¹⁰⁰ შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.226

ველობის, სასამართლო ორგანოები, პროკურატურისა და სხვა საკონტროლო-საზედამხედველო ორგანოები.

ნებისმიერი სახელმწიფო მექანიზმი, თავის მხრივ, საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი, მაგრამ მთავარი შემადგენელი ნაწილია.¹⁰¹ რა თქმა უნდა, ამ ცნებაში, სახელმწიფოსა და ყველა ორგანოს გარდა, იგულისხმება სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია და კავშირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სახელმწიფოებრივ საქმეთა განხორციელებაში.

ამგვარად, სახელმწიფოს ნორმალური სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, მის წინაშე მდგომი ამოცანებისა და მიზნების განსახორციელებლად, აუცილებელია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებისა და დანესებულებების ფუნქციონირება, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფუნქციების, ამოცანების, სტრუქტურის, კომპეტენციისა და საქმიანობის სფეროს მიხედვით.¹⁰² შესაბამისად, ყველა სახელმწიფო ორგანო ასრულებს რა განსაზღვრულ ამოცანას, მოქმედებს შეთანხმებულად და ქმნის ერთიან სისტემას.

საკონტროლო კითხვები:

1. განმარტეთ სახელმწიფოს ცნება.
2. ჩამოთვალეთ სახელმწიფო ცნების ძირითადი ნიშნები?
3. ჩამოაყალიბეთ სახელმწიფოს ოთხი ძირითადი ელემენტი?
4. განმარტეთ ტერმინი "სახელმწიფო".
5. რა იგულისხმება სახელმწიფო ფუნქციებში?

¹⁰¹ გ. ინკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2003; გვ.56

¹⁰² ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები, თბ., 2013, გვ.38

6. რითი განსხვავდება სახელმწიფო ფუნქცია მისი ორგანოების ფუნქციებისაგან?
7. განმარტეთ სახელმწიფოს ელემენტები?
8. რა მიეკუთვნება სახელმწიფო ორგანიზემის ცალკეულ ნაწილებს?

თავი მეხუთე სახელმწიფოს ფორმა

5.1. სახელმწიფო ფორმის ცნება

ზოგადად სახელმწიფო ფორმის კატეგორია სამართალმცოდნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა და მას იურიდიულ ლიტერატურაში ტრადიციულად განსაკუთრებული როლი ენიჭება. სახელმწიფოს ფორმა განპირობებულია მისი შინაარსით, ვინაიდან ფორმა ზოგადად შეიძლება განიმარტოს როგორც შინაგანი ორგანიზაციის გარეგნული გამოხატულება, სახელმწიფოს ფორმა კი, როგორც კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთი კომპლექსური ინსტიტუტი, წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების, ორგანიზაციისა და განხორციელების საშუალებებისა და ფორმების ერთობლიობას, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის გარეგნულ გამოხატულებას.¹⁰³

სახელმწიფოს ფორმის საკითხისადმი ინტერესი შორეული წარსულიდან მომდინარეობს. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში ფილოსოფოსები და იურისტები გამოთქვამდნენ სხვადასხვა წინააღმდეგობრივ მოსაზრებას სახელმწიფოს ფორმის შესახებ. ანტიკური პერიოდის ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი მიიჩნევდა, რომ მმართველობის იდეალურ ფორმას წარმოადგენს „იდეალური სახელმწიფო“, სადაც „კანონიერი ხელისუფლება“ ეკუთვნის არისტოკრატიას, არაკანონიერ-ოლიგარქიას. იგი გმობს მმართველობის ტირანულ ფორმას, რომლის დროს ბატონობს თვითნებობა და უკანონობა; მხარს უჭერს დემოკრატიას, სადაც ხალხის ხელისუფლება თავისი არსით ეწინააღმდეგება ტირანიას.¹⁰⁴

¹⁰³ ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე, გ. თევდორაშვილი და სხვები, შესავალი საკონსტიტუციო სამართალში; თბ., 2016ლ გვ.127

¹⁰⁴ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015, გვ.64

ფორმის თვალსაზრისით სახელმწიფოს შესწავლა ნიშნავს, პირველ ყოვლისა, განვიხილოთ მისი აგებულება, ძირითადი შემადგენელი ნაწილები, შინაგანი სტრუქტურა, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების მეთოდები. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს თვით სახელმწიფო ფორმის განმარტებაც, რომელიც ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს: სახელმწიფოს ფორმა-ეს არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია და მოწყობა, რაც განპირობებულია სახელმწიფოს არსითა და სოციალური დანიშნულებით, რომლითაც მუდამდება შესაბამისი საზოგადოების ისტორიული, ეკონომიკური, ეროვნული თავისებურებები, დემოკრატიისა და კულტურის განვითარების დონე.¹⁰⁵

საგულისხმოა, რომ განიხილავენ სახელმწიფოს ორ ფორმას: მმართველობისა და წყობილების ნიშნის მიხედვით, მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს სახელმწიფო ორგანოებს შორის ხელისუფლების ჰორიზონტალური განაწილების წესი (მმართველობის ფორმა) და სახელმწიფო ხელისუფლების ვერტიკალური განაწილების წესი (წყობილების ფორმა).¹⁰⁶

როგორც ვხედავთ, სახელმწიფოს ფორმაზე გავლენას ახდენს ქვეყნის ეროვნული შემადგენლობა, ისტორიული ნანამძღვრები, ტერიტორიის მოცულობა, დემოკრატიული განვითარების დონე და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები.

5.2.სახელმწიფოსა და სამართლის თეორია

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ციკლის სისტემაში, იურიდიულ მეცნიერებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია,

¹⁰⁵ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2013, გვ.30

¹⁰⁶ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ.168

რადგან იგი შეისწავლის ისეთ საზოგადოებრივ მოვლენებსა და მათ განვითარებას, როგორცაა სახელმწიფო და სამართალი. იურიდიული მეცნიერების კვლევის მთავარი ქვაკუთხედი სწორედ ეს საზოგადოებრივი მოვლენებია მთელი თავიანთი განშტოებებით.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია- ეს არის ცოდნის სისტემა სახელმწიფოსა და სამართლის უფრო მეტად ზოგადი კანონზომიერების, წარმოქმნის, არსის, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების ფუნქციონირებისა და განვითარების შესახებ, რაც მეთოდოლოგიური საფუძველია დარგობრივი და გამოყენებითი იურიდიული მეცნიერებების განვითარებისათვის.¹⁰⁷ სახელმწიფო და სამართალი არა მხოლოდ იურიდიული, არამედ სოციალური ინსტიტუტებია. ისინი წარმოადგენენ სოციოლოგიის, ეკონომიკური მეცნიერებების, პოლიტოლოგიის, ფსიქოლოგიის, ისტორიისა და განსაკუთრებით ფილოსოფიის შესწავლის საგანს.¹⁰⁸

სამართლის თეორიაში გაბატონებულია შეხედულება, რომელიც იურიდიულ ნორმას იმპერატივად მიიჩნევს; იმპერატივი, როგორც ავტორიტეტის ბრძანება, მიმართულია ინდივიდისადმი და მოითხოვს მისგან განსაზღვრულ ქცევას. ეს შეხედულება გულისხმობს, ერთი მხრივ, მბრძანებელ სუბიექტს, ხოლო, მეორე მხრივ, ინდივიდებს, რომლებიც ამ ბრძანებას ემორჩილებიან. მის თანახმად, ნორმა იმპერატივის სახით ახდენს გავლენას ინდივიდზე, ე.ი. იწვევს მასში ფსიქიკურ აქტს, რომლის საშუალებითაც სამართალი აღწევს თავის პრაქტიკულ მიზანს, ხორციელდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.¹⁰⁹

¹⁰⁷ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.7

¹⁰⁸ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2013; გვ.21

¹⁰⁹ სამართალმცოდნეობის საკითხები, წიგნი, დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით; თბ., 2015; გვ.7

რაც შეეხება სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, იგი არის ზოგადი იურიდიული მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა.¹¹⁰ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია კონკრეტული სახელმწიფოების მაგალითებზე დაყრდნობით სწავლობს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების ისტორიულ პერიოდიზაციას.¹¹¹ იგი, ასევე, შეისწავლის სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საერთო კანონზომიერებებს, იძლევა სახელმწიფოსა და სამართლის დეფინიციებს, ფორმებს, ფუნქციების, სტრუქტურის, სამართლისა და კანონმდებლობის სისტემების, სამართლის დარგებისა და ინსტიტუტების დახასიათებას.¹¹²

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ერთ მთლიანობად აერთიანებს არა მხოლოდ იურიდიული, არამედ საზოგადოებრივი მეცნიერების ცოდნის თეორიულ და გამოყენებით დარგებს. იგი წარმოადგენს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სინამდვილის

უმნიშვნელოვანეს თეორიულ-მეთოდოლოგიურ ასპექტების შემაკავშირებულ ერთიან იურიდიულ მეცნიერებას. მისი კატეგორიები და ცნებები, რომლებიც დარგობრივი სამართლებრივი მეცნიერების გამოცდილების სინთეზს ახდენს, საბოლოოდ, მიმართულია იურისტის წარმატებული პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველსაყოფად.¹¹³

დადგენილია, რომ იურიდიული მეცნიერება თავისი ფართო გაგებით არის საზოგადოებრივი მეცნიერების ის მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც აწარმოებს სახელმწიფოსა და სამართლის აღმოცენების, მათი განვითარების, თანამედრო-

¹¹⁰ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ.67

¹¹¹ იქვე

¹¹² გ. ლობჯანიძე; ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; თბ., 2001; გვ.17

¹¹³ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.213

ვეობის, რეალიზმის, მათი დაცვა-განმტკიცებისა და საქმიანობის ყოველდღიური სრულყოფა-გაუმჯობესების გლობალური პრობლემების მეცნიერულ კვლევა-ძიებასა და შესწავლა დამუშავებას. ვინრო გაგებით კი იგი იკვლევს და შეისწავლის ამ მოვლენებზე აღმოცენებულ სამართლის ცალკეული დარგებისა და იურიდიული დისციპლინების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე პრობლემებს.

სამართლის ცალკეული ტრადიციული დარგების ძირითადი დებულებების გადმოცემამდე და სხვა იურიდიული დისციპლინების კვლევის საკითხების ზოგად დახასიათებამდე, საჭიროა შევჩერდეთ სახელმწიფოსა და სამართლის ისეთ ზოგად თეორიულ დებულებებსა და მოვლენებზე, როგორებიცაა: სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა; სახელმწიფოსა და სამართლის ცნება, არსი და მნიშვნელობა; სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპები და მათი დამახასიათებელი ნიშნები; სამართლის ნორმების ცნება და სტრუქტურა; სამართლის წყაროები, სამართლებრივი ურთიერთობები და ამ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების დამახასიათებელი ნიშნები; სამართლის სისტემა და სხვ.¹¹⁴

ზემოაღნიშნული საკითხებიდან ყურადღებას გავამახვილებთ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის თეორიებზე მათ არსსა და მნიშვნელობაზე, კერძო საკუთრებისა და ოჯახის როლზე სახელმწიფოსა და სამართლის ჩამოყალიბებაში, სახელმწიფოს მართვა – გამგეობისა და წესწყობილების ფორმებზე; სამართლის არსსა და წყაროებზე; ნორმების სტრუქტურასა და სისტემატიზაციაზე; სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებსა და სამართალდარღვევათა ცნებასა და სახეებზე და სხვა მნიშვნელოვან კონკრეტულ საკითხებზე.

¹¹⁴ იქვე

5.3. სახელმწიფოს წარმოშობის თეორიები

„თეორია“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს კვლევას. ფართო გაგებით, იგი არის სახელმწიფო იდეების, ცოდნის სისტემა ამა თუ იმ დარგში. ამ შემთხვევაში, ისე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, თეორიებს სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ არსებობის დიდი ხნის ისტორია აქვს.¹¹⁵

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხი იმდენად მჭიდროდაა ერთიმეორესთან დაკავშირებული, რომ მათგან რომელიმესათვის პრიორიტეტის მინიჭება რთულია.

კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისთანავე საზოგადოებრიობის განვითარების ცალკეული ეტაპების შესაბამისად სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ გაჩნდა მრავალი თეორია და მოსაზრება. სახელმწიფოს თანამედროვე თეორიების თანამედროვე შეხედულებებია სახელმწიფოს არსის, საზოგადოებაში მისი ადგილისა და დანიშნულების, მისი პერსპექტიული განვითარების კანონზომიერების შესახებ, რომელთაგან, როგორც ეს იურიდიულ ლიტერატურაშია დამკვიდრებული, აღსანიშნავია, ღვთაებრივი ანუ თეოლოგიური თეორია; პატრიარქალური და პატრიმონიული თეორია; ხელშეკრულებისა და ძალმომრეობის თეორია; ფსიქოლოგიური და ორგანული ანუ ბიოლოგიური თეორია; მატერიალისტური თეორია და სხვ.¹¹⁶ ღვთაებრივი, ანუ თეოლოგიური თეორია პირველად შეიმუშავეს იქნა აღმოსავლეთის ქვეყნებში. მისი ძირითადი დებულება ისაა, რომ უარყოფს სახელმწიფოს შექმნას ადამიანის მიერ და აღიარებს, რომ სახელმწიფო არის ზეციური ქმნილება, იგი შექმნა ღმერთმა და მისი მართვისათვის ღმერთმა მეფე წარმოაგზავნა. ამიტომ მეფეს ამქვეყნიურ ღმერთად მიიჩნევდ-

¹¹⁵გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ.50.

¹¹⁶გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ.58

ნენ. ამ თეორიის მომხრენი და დამცველნი იყვნენ XIII საუკუნის ცნობილი კათოლიკური მოღვაწე თომა აქვინელი და შვეიცარიელი გალერი.¹¹⁷

პატრიარქალური თეორია სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ შექმნა დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ. მისი აზრით, სახელმწიფო იგივეა, რაც ოჯახი.¹¹⁸ სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე, ხოლო ოჯახის სათავეში-ოჯახის უზუცესი პატრიარქი, რომლის ხელისუფლება ისეთივეა, როგორც მეფისა.

პატრიმონიული თეორია (სიტყვა „patrimonium“ მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს მამულს) წამოაყენა და მის დასაბუთებას შეეცადა XIX საუკუნის შვეიცარიელი მოაზროვნე გალერი. მისი აზრით, მამული არის სახელმწიფო ხელისუფლების საფუძველი, მისი უზენაესი მფლობელი და ბატონ-პატრონი არის მეფე. დანარჩენები კი მამულს ფლობენ სარგებლობის უფლებით და მეფეს შეუძლია მათ მამულით სარგებლობის უფლება ნებისმიერ დროს ჩამოართვას.¹¹⁹

ხელშეკრულების თეორია წარმოიშვა ყველაზე ადრე, V-VI საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მაგრამ მან თავისი განვითარების დასრულებული სახე მიიღო XVII-XVIII საუკუნეების მოაზროვნე იურისტი ჰუგო გროციუსის, ბენედიქტე სპინოზას, ჯონ ლოკის, თომას ჰობსის, მონტესკიესა და ჟან ჟაკ რუსოს ნაშრომებში.¹²⁰ მათი აზრით, სახელმწიფო შექმნა ხალხმა და მისი მმართველობის ფორმაც თვითონ ხალხმა უნდა აირჩიოს და გადანყვიტოს.

ძალმომრეობის თეორიამ განსაკუთრებული გავრცელება

¹¹⁷ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.214

¹¹⁸ გ.ინკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011; გვ.37

¹¹⁹ შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.214

¹²⁰ გ.ინკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011; გვ.32

პოვა XIX საუკუნეში. მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ გერმანელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი ევგენი დიურინგი, კარლ კაუცკი, პოლონელი იურისტი, სოციოლოგი, პროფესორი ლუდვიგ გუმპლოვიჩი და სხვები.¹²¹

ამ თეორიის თანახმად, სახელმწიფო ყველა ქვეყანაში წარმოიშვა გარედან ძალმომრეობის შედეგად, დაპყრობის გზით.

ფსიქოლოგიური თეორიის წარმომადგენლების- ფრეზერის, ტარდის, რუსი მეცნიერების კოვალევსკის, კორგუნოვის, პეტრაჟიტსკისა და სხვათა აზრით, სახელმწიფო წარმოიშვა ფსიქოლოგიური პროცესების შედეგად; სახელმწიფო ობიექტურად, რეალურად არსებული მოვლენა კი არ არის, არამედ ადამიანის განცდაში, მის შეგრძნებაში გამოხატული მოვლენაა.¹²²

ორგანული ანუ ბიოლოგიური თეორია კი სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას ბიოლოგიური მიზეზებით ხსნის.¹²³ ამ თეორიის წარმომადგენელი შვეიცარიელი იურისტი ბუნჩელი და ინგლისელი ფილოსოფოსი სპენსერი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ სახელმწიფო იქმნება ადამიანის გაჩენისთანავე და იარსებებს მანამ, სანამ იარსებებს კაცობრიობა.

ქართველი მეცნიერი იურისტების: გ. ნადარეიშვილის, გ. მამულიას, გ. ლობჯანიძისა და სხვათა აზრით, კი სახელმწიფოს წარმოშობა განაპირობა შემდეგმა ძირითადმა ფაქტორებმა:

1. მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ და საკვები პროდუქტების წარმოების გზების ძიებაში ტომებსა და გვარებში ცალკეულ პირთა როლის ამაღლებამ;

2. განუწყვეტელ ომებში ფიზიკურად და გონებრივად გამორჩეულ პირთა ხალხის ხელმძღვანელად და ბელადად წარმოჩინებამ;

3. ომში გამარჯვებული ტომის მიერ დამარცხებულის მორ-

¹²¹ გ.ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ.55

¹²² შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.214

¹²³ იქვე

ჩილებამი მოსაყვანად საჭირო სამხედრო – ადმინისტრაციული პერსონალის დამსჯელ ორგანოდ ჩამოყალიბებამ;

4. ძლიერი სამხედრო-ადმინისტრაციული სახელმწიფო ნიშნების მქონე საზოგადოებრივ გაერთიანებათა ზეგავლენამ სხვა კერძო საკუთრების მქონე საზოგადოებრივ გაერთიანებებზე;

5. ნამეტი პროდუქტების არსებობის საფუძველზე სახელმწიფოს სტრუქტურების თანდათანობით ჩამოყალიბება – გაძლიერებამ;

6. სრულყოფილი სახით ჩამოყალიბებული სამხედრო – ადმინისტრაციული საქმიანობის რელიგიური და სხვა იდეოლოგიური პროპაგანდით განმტკიცებამ;

ცალკეულ ავტორთა ზემოთ განხილული შეხედულებებისა და თეორიების გარდა, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ არსებობს აგრეთვე, სხვა უფრო ფუნდამენტური და უახლესი პერიოდის მატერიალისტური, ანუ მარქსისტული თეორია, რომელიც აღმოცენდა XIX საუკუნის მიწურულში და ფართო აღიარება მოიპოვა XX საუკუნეში, კომუნისტური წყობის პერიოდში.¹²⁴ ეგ გახლავთ თეორია, რომელიც თანმიმდევრულად ჩამოყალიბდა და დაასაბუთა ფ. ენგელსმა თავის ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“.

მატერიალისტური თეორიის მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ, ჩვენი აზრით, უფრო რეალური და ობიექტურია. ამიტომ მის შესახებ უფრო ვრცლად შევჩერდებით.

ამ თეორიით სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობაში, მათ ჩამოყალიბებასა და საზოგადოებრივ განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შრომას, წარმოებასა და ოჯახს.¹²⁵

ზემოაღნიშნული თეორიის მიხედვით, დადგენილადაა მიჩ-

¹²⁴ გ. ინეკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011; გვ. 32

¹²⁵ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.214

ნეული, რომ სახელმწიფო და სამართალი მარადიული მოვლენები არაა. ადამიანები ცხოვრობდნენ ჯოგებად, შემდეგ ცალკეულ თემებად და გვარებად, და რომ, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობამდე ადამიანები მრავალი მილიონი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ საზოგადოებაში, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში მოხსენებულია როგორც პირველყოფილი თემური, ანუ პირველყოფილ გვაროვნულ წყობილებად, რომელთა ანარეკელი XX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ზოგიერთ რეგიონშიც იყო შემორჩენილი.

ცივილიზაციის წინა პერიოდის, ამ უძველესი ეპოქის საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში მეცნიერები განასხვავებენ ველურობისა და ბარბაროსობის პერიოდს, რომელიც, თავის მხრივ, დაყოფილია ქვედა, შუა და ზედა საფეხურებად.

საზოგადოებრივი განვითარების ველურობის ქვედა საფეხური მიჩნეულია ადამიანთა მოდგმის ბავშვობად, ანუ პერიოდად, როცა ადამიანი ჯერ კიდევ ჩამოცილებული არ იყო ცხოველთა სამყაროს, ცხოვრობდა ტყეში და იკვებებოდა ტყის ნაყოფით, ცხოველებისაგან მათ ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად, იმ დროისათვის, მიჩნეული იყო ის, რომ ადამიანებმა მოიმარჯვეს დანაწევრებული ბგერითი და სხეულის ენა.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეცნიერებაში სახელმწიფო განმარტებულია, როგორც „ამა თუ იმ ქვეყანაში საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის განსაზღვრული ისტორიული ფორმა, მმართველობის განმახორციელებელი განსაკუთრებული აპარატი, რომელიც დარწმუნებისა და იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით უზრუნველყოფს საშინაო და საგარეო ამოცანების განხორციელებას საზოგადოებაში გაბატონებული კლასისა თუ გაბატონებული ფენის ინტერესების შესაბამისად“.¹²⁶

¹²⁶ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ.102

სავსებით სამართლიანია პროფ. გ.ლობჯანიძის პოზიცია, რომელიც მიიჩნევს, რომ ორივე ეს ცნება შესაძლებელია განმარტებულ იქნეს უფრო ლაკონურად, დღევანდელი რეალურობის გათვალისწინებით, შემდეგნაირად:

„სახელმწიფო არის საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის სპეციალური აპარატი, რომელიც დარწმუნებისა და იძულებითი მეთოდების გამოყენებით უზრუნველყოფს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ამოცანების განხორციელებას“.¹²⁷ რაც შეეხება სამართალს-იგი არის ქვეყნის საზოგადოებრივი წესწყობილებით განპირობებული, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული ქცევის წესების ერთობლიობა, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებითა და სახელმწიფო აპარატის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით.

5.4. სახელმწიფოს ფორმის სტრუქტურა

ნაშრომის ამ თავში დასმული პრობლემატიკის თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა სახელმწიფო ფორმის საკითხი, რადგან ამ მხრივ იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების შექმნის წესი, მისი ორგანიზაცია, რომელიც სამართლის გარეშე უბრალოდ შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. ამ პოზიციიდან სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა სამართლებრივად მოწყობილი და ორგანიზებული პოლიტიკური ხელისუფლება. მართლაც, როგორც ვ. ნერსესიანიცი ამტკიცებს, სახელმწიფოს ფორმა- ეს არის სახელმწიფო ხელისუფლების შექმნის, ორგანიზაციის და ფუნქციონირების წესი. სახელმწიფოს ფორმა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების, დანაწილებისა და მოქმედების სამართლებრივი წესის კომპლექსური დახასიათება,

¹²⁷ იქვე

თავის თავში მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტს, ესენია: მმართველობის ფორმა, სახელმწიფო წყობილების ფორმა და სახელმწიფოს (პოლიტიკური) რეჟიმის ფორმა.¹²⁸

როგორც ჩანს, სახელმწიფო ფორმა რთული საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელიც კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისათვის დამახასიათებელია და შესაბამისად, მოიცავს ზემოთხსენებულ სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს.¹²⁹ საზოგადოებრიობის შემდგომი განვითარების, სახელმწიფო წყობილებისა და ეკონომიკური ფორმაციების ცვლილებების შესაბამისად იცვლებოდა სახელმწიფო და სამართალიც. პლატონის მოსწავლე და ამასთანავე მისი კრიტიკოსი არისტოტელე მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს ფორმა არის უმაღლესი ხელისუფლების განსახიერება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ისეთ ფორმებში, როგორიცაა მონარქია, არისტოკრატია და პოლიტია-დემოკრატია.¹³⁰

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პირველყოფილი თემურ-გვაროვნული წყობილების შემდეგ კაცობრიობამ განვლო ოთხი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია: მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური, რომელიც შემდეგ თანდათანობით გადაიზარდა ბურჟუაზიულ და სოციალისტურ წყობაში. ამისდა შესაბამისად ერთიმეორისაგან განასხვავებენ: მონათმფლობელურ სახელმწიფოსა და სამართალს, ფეოდალურ სახელმწიფოსა და სამართალს, კაპიტალისტურს, ანუ ბურჟუაზიულსა და სოციალისტურ სახელმწიფოსა და სამართალს.

რაც შეეხება საქართველოს, აღსანიშნავია, რომ საზოგა-

¹²⁸ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011; გვ.39

¹²⁹ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.34

¹³⁰ თ.ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.64

დოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის თვალთახედვით, თავისი განვითარება დაიწყო მონათმფლობელური სტადიის გაუვლელად. თემურ გვაროვნული წყობილებიდან პირდაპირ ფეოდალურ წყობილებაზე გადასვლით და ამ უკანასკნელიდან სოციალისტურ წყობილებაში გადავიდა, რადგან ფეოდალური წყობილებიდან ბურჟუაზიულში გადასვლა ვერ მოასწრო, სამაგიეროდ ამჟამად დაუბრუნდა ბურჟუაზიულ წყობასა და მის შესაბამის სამართალს.¹³¹

როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკური ფორმაციების გარდა, ერთიმეორისაგან განასხვავებენ აგრეთვე სახელმწიფოებს თავიანთი მართვა-გამგეობისა და სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით.

მართვა-გამგეობის ფორმაში იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა, მათი შექმნის წესი და უფლებამოსილება. ამ გაგებით ერთიმეორისაგან განასხვავებენ მონარქიულ და რესპუბლიკურ სახელმწიფოს.¹³²

უნდა დავეთანხმეთ თამარ ალფაიძის პოზიციას, რომელიც მიიჩნევს, რომ სახელმწიფო მმართველობის ფორმა არის კომპლექსი სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტებისა, რომელშიც განსახიერებულია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შექმნისა და ფუნქციონირების წესი, მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი. მმართველობის ფორმის საკვანძო საკითხი არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა შექმნის წესი და კომპეტენცია, სახელმწიფო ხელისუფლების ვერტიკალური და პორიზონტალური განზომილება.¹³³

სწორედ ამიტომაც, მმართველობის ფორმები ერთმანეთი-

¹³¹ შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.225

¹³² გ.ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ.142

¹³³ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.66

საგან განსხვავდება იმით, რომ ერთი პირის მიერ ხორციელდება ხელისუფლება, თუ ის ეკუთვნის კოლექტიურ ორგანოს.¹³⁴

სიტყვა „მონარქია“ ბერძნული სიტყვიდან გამომდინარეობს „mono“ ნიშნავს ერთს, „arxe“ კი-ხელისუფლებას, მმართველობას.¹³⁵ მონარქიულ სახელმწიფოში ქვეყნის ბატონ-პატრონი და მეთაური ერთი პიროვნებაა (მეფე, შაჰი, იმპერატორი, ფარაონი და სხვ.), რომლის ხელთაა კონცენტრირებული მთელი სახელმწიფოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების მართვის უფლებამოსილება.¹³⁶ არ არსებობს რაიმე ნორმატიული აქტი, რომელიც ფორმალურად მაინც განსაზღვრავს მონარქის კომპეტენციას.

დღეისათვის ცნობილია მონარქიის შემდეგი სახეები:

დესპოტური მონარქია - ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც მონარქის ძალაუფლება შეუზღუდავი იყო და მონარქის პიროვნება გაღმერთებული (ეგვიპტე, ბაბილონი, ინდოეთი, სირია და ა.შ.).

აბსოლუტური მონარქია, რომელიც წარმოიშვა ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის ჩასახვის პერიოდში. აბსოლუტიზმის ეპოქა ხასიათდება მონარქის შეუზღუდავი ხელისუფლებისკენ მისწრაფებით. საფრანგეთის მეფე ლუი მეთოთხმეტეს ეკუთვნის გამოთქმა: „სახელმწიფო- ეს მე ვარ“.¹³⁷

ამჟამად აბსოლუტური მონარქია რამდენიმე აღმოსავლურ სახელმწიფოში გვხვდება (საუდის არაბეთი, ომანი, რუნეი, ყატარი) და ითვალისწინებს მონარქის ხელში სახელმწიფო ხელისუფლების სრულ კონცენტრაციას.¹³⁸

¹³⁴ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები, თბ., 2013, გვ.31

¹³⁵ დ. გეგენავა, ბ. ქანთარია, ლ. ცანავა და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მესამე გამოცემა; თბ., 2015; გვ.76

¹³⁶ შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.225

¹³⁷ თ.აღვათაძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.66

¹³⁸ ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე, გ. თევდორაშვილი და სხვები; შესავალი საკონსტიტუციო სამართალში; თბ., 2016; გვ.130

კონსტიტუციური მონარქია, მმართველობის ისეთი ფორმაა, რომლის დროს მონარქი კონსტიტუციის ძალით საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ინანილებს პარლამენტსა და მინისტრთა კაბინეტთან.

თავის მხრივ, კონსტიტუციური მონარქია ორი სახისაა: საპარლამენტო მონარქია და დუალისტური მონარქია. ასევე, არსებობს არჩევითი მონარქია.¹³⁹

რაც შეეხება რესპუბლიკურ მმართველობას, იგი ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც სახელმწიფოს მეთაური არჩევითია და შენაცვლებითი, ხოლო მისი ძალაუფლება ხალხისაგან ან წარმომადგენლობითი ორგანოსგან არის შექმნილი.¹⁴⁰ უფრო ზუსტად კი, რესპუბლიკა არის სახელმწიფოს ისეთი ფორმა, სადაც ხელისუფლების წყაროა ხალხი.¹⁴¹ რესპუბლიკისათვის დამახასიათებელია სახელმწიფო ხელისუფლების განანილების პრინციპი. განსხვავებულია სამი დამოუკიდებელი შტო-საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. თითოეული შტო დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში.¹⁴²

რესპუბლიკურ მმართველობაში არსებობს საპრეზიდენტო, საპარლამენტო და შერეული მმართველობის ტიპები.

საპრეზიდენტო რესპუბლიკაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება უშუალოდ ხალხისგან იღებს მანდატს. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი წარმოადგენს. საპრეზიდენტო სისტემის მთავარ მახასიათებელს სახელმწიფოს მეთაურის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ერთპიროვნული განხორციელების

¹³⁹ იქვე

¹⁴⁰ ა.ა. ივანოვი. ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.36

¹⁴¹ დ. გეგენავა, ბ. ქანთარია, ლ. ცანავა და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მესამე გამოცემა; თბ., 2015; გვ.77

¹⁴² თ.ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.69

უფლება წარმოადგენს, რომელიც იმავდროულად არ არის პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე.

საპარლამენტო რესპუბლიკის შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის ან სხვა კოლეგიური ორგანოს მიერ და დისტანცირებულია ხელისუფლების პოლიტიკური შტოებისაგან.¹⁴³ ამგვარი რესპუბლიკის მთავარ მახასიათებელად სწორედ რომ ის ფაქტი წარმოჩნდება პარლამენტის წინაშე პოლიტიკური პასუხისმგებლობის მქონე ორგანოს სახით მთავრობა რომ არსებობს.

არსებობს აგრეთვე მართვა-გამგეობის მიხედვით შეზღუდული, ანუ შერეული ფორმების სახელმწიფოებიც (მაგალითად, ინგლისი, იაპონია და სხვ.), სადაც წარმომადგენლობით ორგანოებთან ერთად სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობს აგრეთვე მეფე ან იმპერატორი.

რაც შეეხება სახელმწიფო ტერიტორიული ნესწყობილების ფორმას, იგი გულისხმობს ტერიტორიულ მოწყობას, რომელიც სახელმწიფოში ცენტრსა და მის ტერიტორიულ ერთეულებს შორის ძალაუფლების გამიჯვნის საკითხის განსაზღვრას გულისხმობს.¹⁴⁴ სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთმიმართების სისტემა, რომელიც სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლებებს შორის მოქმედებს.¹⁴⁵ ამ თვალსაზრისით ერთიმეორისაგან განასხვავებენ უნიტარულ, ფედერაციულ და რეგიონალურ სახელმწიფოებს.

თითქმის ყველა თანამედროვე სახელმწიფოს კონსტიტუცია სხვადასხვა მოცულობით, მაგრამ ცალკე ნორმებს უთმობს სახ-

¹⁴³ ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე, გ. თევდორაშვილი და სხვები; შესავალი საკონსტიტუციო სამართალში; თბ., 2016; გვ.141

¹⁴⁴ დ. გეგენავა, ბ. ქანთარია, ლ. ცანავა და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მესამე გამოცემა; თბ., 2015; გვ.113

¹⁴⁵ ავ. დემეტრაშვილი, ი.კობახიძე; კონსტიტუციური სამართალი; თბ., 2014; გვ.98

ელმწიფო ხელისუფლების ტერიტორიული მოწყობის საკითხს. ზოგიერთი მათგანი საუბრობს მხოლოდ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფის შესახებ, აღიარებს სახელმწიფოს უნიტარულ ტერიტორიულ მოწყობას, ფედერალური სახელმწიფოების ძირითადი კანონები პრინციპის დონეზე არეგულირებენ ფედერალურ ცენტრსა და სუბიექტებს შორის ურთიერთობებს, განსაზღვრავენ სხვა ტერიტორიების სტატუსს.¹⁴⁶

უნიტარულ სახელმწიფოებს მიაკუთვნებენ ისეთ ქვეყნებს, რომლებშიც არსებობს სუვერენიტეტის განმახორციელებელი საერთო ცენტრალური ორგანოები და მის ცალკეულ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს არ აქვთ სახელმწიფოებრიობის რაიმე ნიშნები.¹⁴⁷ უნიტარიზმი მომდინარეობს ლათინურიდან სიტყვასიტყვით აღნიშნავს მოძრაობას, რომელსაც ერთიანობისაკენ მივყავართ.¹⁴⁸ უნიტარული სახელმწიფოს ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნას წარმოადგენს კანონმდებლობის, სასამართლო ხელისუფლების და მმართველობის ერთიანი სისტემის არსებობა.¹⁴⁹

ტერმინი „ფედერალიზმი“ ფრანგულიდან მომდინარეობს და გულისხმობს შეთანხმებას, მოპალარაკებასა და ნდობას,¹⁵⁰ ფედერაციულ სახელმწიფოდ იწოდება ისეთი სახელმწიფო, რომელშიც ქვეყნის მთელი ტერიტორია დაყოფილია ცალკეული დამოუკიდებლობის მქონე ადმინისტრაციულ ერთეულებად,

¹⁴⁶ ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე, გ. თევდორაშვილი და სხვები; შესავალი საკონსტიტუციო სამართალში; თბ., 2016; გვ.130

¹⁴⁷ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ.226

¹⁴⁸ დ. გეგენავა, ბ. ქანთარია, ლ. ცანავა და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მესამე გამოცემა; თბ., 2015; გვ.113

¹⁴⁹ ავ.დემეტრაშვილი, ი.კობახიძე; კონსტიტუციური სამართალი; თბ., 2014; გვ.99

¹⁵⁰ ი. კვესელავა, ჯ. გახოკიძე, ე.გვენეტაძე; საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის, მმართველობისა და თვითმმართველობის ასპექტები; თბ., 2018; გვ.17

მათ აქვთ ხელისუფლებისა და მმართველობის თავიანთი ორგანოები და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ, მაგრამ ემორჩილებიან ფედერაციის საერთო ცენტრალურ ორგანოებს (მაგალითად, ყოფილი საბჭოთა კავშირი, აშშ და სხვ).

რეგიონალიზმი უნიტარიზმის ნოყიერ ნიადაგზე აღმოცენდა და კლასიკურ ფერალიზმამდე შუალედური ფორმის სახით ჩამოყალიბდა. რეგიონული ტერიტორიული მონყობის პირობებში ხელისუფლების დეცენტრალიზაცია იმდენად მაღალია, რომ ქვეყნის ყველა რეგიონს ტერიტორიული ავტონომიის სტატუსი აქვს მინიჭებული.¹⁵¹

განასხვავებენ აგრეთვე, კონფედერაციულ სახელმწიფოს, რაც პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს სახელმწიფოთა კავშირს, რომლის დროსაც რამდენიმე სუვერენული სახელმწიფო ერთიანდება ერთი გარკვეული მიზნით და ქმნიან ერთ ან რამდენიმე საერთო სახელმწიფო ორგანოს.¹⁵²

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიული ორგანიზაციის სხვადასხვა მოდელის ეფექტური განხორციელება დამოკიდებულია იმ კონკრეტულ სახელმწიფოზე სადაც ხორციელდება აღნიშნული. ამიტომაც, საკითხის შეფასება იმსახურებს ყოველმხრივ გარემო ფაქტორებზე დაკვირვებას რის შემდეგაც შეგვეძლება ვიმსჯელოთ კონკრეტულ მოდელზე.

იურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფოს ფორმის ცნებას ამასთანავე, უკავშირებენ სახელმწიფო-სამართლებრივი ანუ პოლიტიკური რეჟიმის ცნებას. სახელმწიფო-სამართლებრივი (პოლიტიკური რეჟიმი) არის პოლიტიკური საჯარო ხელისუფლების განხორციელების მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობა.¹⁵³ უფრო ზუსტად კი, პოლიტიკური რეჟიმი, ეს

¹⁵¹ ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე, გ. თევდორაშვილი და სხვები; შესავალი საკონსტიტუციო სამართალში; თბ., 2016, გვ:166-167

¹⁵² შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.226

¹⁵³ თ.ალფაიძე, სამართალმცოდნეობის შესავალი, თბ, 2015, გვ79

არის იმ პოლიტიკური ძალაუფლების მეთოდების, ხერხების და საშუალებების ერთობლიობა, რომელთა გამოყენების შემდეგ სახელმწიფოში მყარდება ესა თუ ის წესრიგი.¹⁵⁴ XVII საუკუნეში მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული ადამიანების ბუნებრივი უფლებებისა და სახელმწიფოს ხელშეკრულების თეორიის კონცეფციის საფუძვლები. XVIII საუკუნემ ეს ორი ელემენტი გააერთიანა ლიბერალური სახელმწიფოს ერთიან სისტემად, რომლის მოწოდებაც იყო დაეცვა ინდივიდი განუკითხაობისაგან (რუსო, მონტესკიე, ჰუმბოლტი). XIX საუკუნეში ჩაისახა და პრაქტიკულად, მთლიანად XX საუკუნეში, განხორციელდა სოციალისტური (პროლეტარული, საერთო-სახალხო) სახელმწიფოს იდეები.

სახელმწიფოს ერთისახეობაა: ტოტალიტარული სახელმწიფო, იგი მაქსიმალურად ერევა მოქალაქეთა და მათი გაერთიანებების ცხოვრებაში, ნერგავს, ამკვიდრებს აზრთა და შეფასებათა, პოლიტიკური ორგანიზაციისა და ეკონომიკის ერთიანობას. ასეთი სახელმწიფო მთელ საზოგადოებას შთანთქავს. ტოტალიტარული სახელმწიფო-სახელმწიფო დიქტატურაა;

ტოტალიტარულ სახელმწიფოში ხელისუფლება თავმოყრილია მმართველი ელიტის ან დიქტატორისა და მისი გარემოცვის ხელში. ადამიანი ხდება სახელმწიფო მანქანის ჭანჭიკი.

მეორე სახესხვაობაა ავტორიტარული სახელმწიფო. ის ხასიათდება ცალკეულ მოქალაქეებსა და საზოგადოებაზე გადამეტებული მეურვეობით, მათ ყველა საშინაო საქმეში ჩარევით, საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგლამენტაციის გაუბრალოებით;¹⁵⁵

სახესხვაობაა ლიბერალური სახელმწიფო. ის ყალიბდება ლიბერალური იდეებისა და დოქტრინების ზეგავლენით. ასეთ სახელმწიფოში იქმნება პირობები პიროვნების სამართლებრივი

¹⁵⁴ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ.148

¹⁵⁵ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.226

ავტონომიისათვის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების საკანონმდებლო განმტკიცებისათვის; მოქმედებს სამართლებრივი რეჟიმი - „ნებადართულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის კანონით“.

დემოკრატიულ სახელმწიფოში შექმნილია იმის პირობები, რომ რეალურად განხორციელდეს მოქალაქეთა მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში; ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტი არჩევითია და ხალხის კონტროლით ფუნქციონირებს. მოქალაქეებს აქვთ კანონით გარანტირებული ფართო უფლებები და თავისუფლებები. დემოკრატიული სახელმწიფო ემსახურება პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესებს. მეტიც, დემოკრატიული რეჟიმის დროს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს აქვთ ხალხის მანდატი, ხელისუფლება ხორციელდება ხალხის ინტერესებისათვის დემოკრატიული და სამართლებრივი მეთოდებით. ეს მეთოდებია: დარწმუნება, კონსენსუსი, კანონიერება, პარლამენტარიზმი, მხოლოდ სამართლებრივი იძულება.¹⁵⁶

არადემოკრატიული რეჟიმი კი ემყარება მთელი სახელმწიფო ხელისუფლების ფაქტობრივ თავმოყრას ერთი ადამიანის (დიქტატორის) ან პირთა ჯგუფის (ხუნტის) ხელში. ასეთ რეჟიმებს უწოდებენ ავტოკრატიულს, ავტორიტარულს, ტოტალიტარულს.¹⁵⁷ გაბატონებული იდეოლოგიიდან გამომდინარე, რეჟიმი ასევე შესაძლოა იყოს ფაშისტური ან რასისტული.

¹⁵⁶ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.79

¹⁵⁷ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2013, გვ.36

5.5. სახელმწიფოს მიზანი, ფუნქციები და აპარატი

საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანი ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს. ამ მიზნის რეალიზაციის დრო და ფორმები უნდა განისაზღვროს დემოკრატიულ პროცესში. სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანი უშუალოდ არ აყალიბებს ინდივიდუალურ უფლებებს. სახელმწიფოს მიზანს, როგორც კონსტიტუციურ ნორმას, აქვს იურიდიულად შემოჭავი ძალა. სახელმწიფოს მიზანი არ არის დეკლარაციული, პროგრამული დებულება. კონსტიტუცია საზოგადოებას არ უნდა ჰპირდებოდეს არარეალურ მიზნებს.¹⁵⁸ შესაბამისად, სახელმწიფოს საქმიანობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმირება, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ადამიანის ძირითად უფლება-მოვალეობათა უზრუნველყოფისაკენ, რომლის პირველი პრინციპია განსაზღვრულ ურთიერთობათა დაცვა სახელმწიფოს მხრივ ჩარევისაგან და მათ კერძო ხელშეუხებელ სფეროდ აღიარება.¹⁵⁹

სახელმწიფოს მიზანი გამომდინარეობს მისი არსიდან. სახელმწიფოს მიზნისა და დანიშნულების განსაზღვრა მისი ისტორიული პერსპექტივის გააზრება სხვადასხვა ეპოქის მკვლევართა და სხვადასხვა მეცნიერული მიმართულების ყურადღებას იპყრობდა. მეცნიერული აზრი ამ საკითხზე საკმაოდ განსხვავებული იყო.¹⁶⁰ ისეთი გამოჩენილი მოაზროვნეები, როგორებიც

¹⁵⁸ ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი. გ. ხუბუა; საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; თბ., 2005, გვ.15

¹⁵⁹ ბ. სავანელი; სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2007; გვ.272

¹⁶⁰ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.44

იყვნენ პლატონი, არისტოტელე, ჰეგელი მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფოს მიზანი და დანიშნულება არის საზოგადოებაში ზნეობის დამკვიდრება. ჟან-ჟაკ რუსო და ფერდინანდ ლასარი კი სახელმწიფოს მიზნად მიიჩნევდნენ საყოველთაო თავისუფლების რეალიზაციას.

თანამედროვე თვალსაზრისი დაფუძნებულია იმ არგუმენტზე, რომ რამდენადაც სახელმწიფო არის პოლიტიკური ხელისუფლების ერთადერთი ორგანიზაცია, მისი უმთავრესი მიზანია საჯარო, პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელება, საზოგადოების მართვა, სოციალური კეთილდღეობის დამკვიდრება, პიროვნების თავისუფლების მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

ამ მიზანს სახელმწიფო ახორციელებს თავისი ფუნქციის მეშვეობით. „ფუნქცია“ ლათინური სიტყვაა ნიშნავს შესრულებას, განხორციელებას.¹⁶¹ სახელმწიფოს ფუნქციები-ესაა კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში სახელმწიფოს წინაშე არსებული სტრატეგიული ამოცანებისა და მიზნების მიღწევის განხორციელების მხრივ სახელმწიფო საქმიანობის ყველაზე უფრო ზოგადი უმნიშვნელოვანესი მიმართულებები.¹⁶²

უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებს, უმნიშვნელოვანეს სახეებსა და მხარეებს, რაც მისი სოციალური შინაარსითა და მის წინაშე მდგარი ამოცანებით განისაზღვრება, სახელმწიფოს ფუნქციები ეწოდება.¹⁶³

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ფუნქციების გარკვევას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც. იგი საშუალებას იძლევა განისაზღვროს სახ-

¹⁶¹ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ. 154

¹⁶² შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ. 52

¹⁶³ გ. ინეკიჩიანი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011; გვ.54

ელმწიფოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მისი ფორმა, არსი, მიზანი და საქმიანობის მრავალმხრობა.

სახელმწიფოს ფუნქციების ნიშან-თვისებები:

- კონკრეტულ სფეროში სახელმწიფო საქმიანობის მსგავსი ასპექტების უმნიშვნელოვანესი მიმართულებების ერთობლიობა;

- საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროებში ჩამოყალიბებული სახელმწიფოს თვალსაჩინო, საგნობრივი საქმიანობის მტკიცე ხაზები;

- განხორციელების ძალისმიერ-იძულებითი მეთოდები, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ სახელმწიფო თავისი ფუნქციების განხორციელებისას იყენებს საზოგადოებრივი ურთიერთობების სუბიექტზე ზემოქმედების ყველაზე განსხვავებულ ხერხებს (წახალისების, დარწმუნებისა და იძულების მეთოდები);

- სახელმწიფოს ფუნქციები კანონში ამომწურავად არის განსაზღვრული;¹⁶⁴

-ამ ეტაპზე სრულდება სახელმწიფოს ძირითადი ამოცანები და მიზნები, რომლებიც წარმოადგენს სახელმწიფო მოღვაწეობის მრავალგვერდიურ მხარეებს. ისინი გაერთიანებულია საერთო საფუძვლებით, რაც წარმოშობს სახელმწიფოს ფუნქციას,¹⁶⁵ სახელმწიფოს ფუნქციების არსებითი ნიშნები კი შემდეგია:

სახელმწიფოს ფუნქცია არის მისი საქმიანობის არა ყველა, არამედ მთავარი მიმართულება, ურომლისოდაც სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია. ეს არის სახელმწიფოს მყარი, საგნობრივი საქმიანობა ამა თუ იმ სფეროში-ეკონომიკაში, პოლიტიკაში, ეკოლოგიაში, იდეოლოგიაში და ა.შ. სახელმწიფოს ფუნქცია გამოხატავს და ასახავს კონკრეტული სახელმწიფოს არსს, მათში ვლინდება, ის რეალური,

¹⁶⁴ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ.158

¹⁶⁵ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.45

სოციალურად განპირობებული და მაორიენტებული როლი, რომელსაც ასრულებს სახელმწიფო საზოგადოების განვითარების პროცესში წარმოშობილი ამოცანების გადაჭრის დროს.¹⁶⁶ სახელმწიფოს ფუნქციას აქვს კოპლექსური, სინთეზური ხასიათი; თითოეული მათგანი ყალიბდება სახელმწიფოს საქმიანობის ცალკეული ერთგვაროვანი ასპექტებისაგან. ახორციელებს რა ფუნქციებს, სახელმწიფო, ამასთანავე, გადაჭრის მის წინაშე მდგომ ამოცანებს და ასე და ამგვარად მისი საქმიანობა შეიძენს პრაქტიკულ მიმართულებას. ფუნქციები რეალიზდება იმ ფორმებით და მეთოდებით, რაც დამახასიათებელია სახელმწიფო ხელისუფლებისათვის.

სახელმწიფოს საქმიანობა მხოლოდ მაშინ არის ნაყოფიერი, თუ მისი ფუნქციები შეესაბამებიან ობიექტურ მოთხოვნებს. თუ ფუნქციების განხორციელებაში დაშვებულია შეცდომები და არსებობს ნაკლოვანებანი ეს საზოგადოებაში გამოიწვევს მწვავე კრიზისულ მოვლენებს.¹⁶⁷

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო თავის ფუნქციებს სახელმწიფო მოღვაწეობის სხვადასხვა სახის ჩარჩოებში ახორციელებს, რომლებიც ერთობლივად საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ სპეციალური და სამართლებრივი ფორმების არსებობაზე.

ამის საფუძველზე სამართლებრივ ფორმებს, ესე იგი, თავისი გარეგნული ნიშნებით სახელმწიფო ორგანოების ამა თუ იმ მიმართულების (დაკავშირებულს იურიდიული აქტების გამოცემასა და რეალიზაციასთან) საქმიანობის ერთგვარ სახეობებს განეკუთვნება:

– სამართალშემოქმედებითობა (შემუშავება, იურიდიული ნორმების მიღება და გაუქმება იმ ერთობლიობაში, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო მოღვაწეობის ყოველი მიმარ-

¹⁶⁶ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ. 45

¹⁶⁷ იქვე

თულების განვითარების ძირითად კურსებს და სახელმწიფო პოლიტიკას მიმდინარე ეტაპზე);¹⁶⁸

– სამართალრეალიზაცია, რომელიც ვლინდება სამართალ-შეფარდებასა (სამართლიანი ნორმების გამოყენების აქტების გამოცემის საქმეში კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ მბრძანებლური უფლებამოსილების განხორციელება) და სამართალალსრულებაში (სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ნორმალური ცხოველქმედების უზრუნველყოფის პროცესში ყოველდღიური მუშაობა სამართლის ნორმების აღსრულების, აგრეთვე სახელმწიფოს ფუნქციების სათანადო განხორციელებისთვის ყველა სტრუქტურის ძალისხმევის კოორდინაციისთვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად).

სამართალუზრუნველყოფა იყოფა საკონტროლო-საზედამხედველო და სამართალდამცველი საქმიანობის სახეობებად (იძულებითი ზომების გამოყენება სამართლის ნორმების დამრღვევების მიმართ).¹⁶⁹ ჯერ კიდევ კანტი მიუთითებდა, რომ სახელმწიფო სამართლიანობის გარეშე დაუშვებელია. მაგრამ სახელმწიფოს სამართლიანობას უზრუნველყოფს არა სამართლებრივი პრინციპები, არამედ სახელმწიფო ორგანოების მიერ გადამწყვეტილების მიღების დემოკრატიულობა.¹⁷⁰

სახელმწიფოს ფუნქციების რეალიზაციის საორგანიზაციო ფორმები იურიდიული შედეგების დადგომასთან პირდაპირ არ არის დაკავშირებული. ეს ფორმები მონოდებულია უზრუნველყოს იმ სახელმწიფო მექანიზმის რგოლების ნორმალური და ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც სახელმწიფოს მიერ კონკრეტული ფუნქციების განხორციელებაში მონაწილეობს.

¹⁶⁸ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძვლები); თბ., 2012; გვ.165

¹⁶⁹ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ.166

¹⁷⁰ ბ. სავანელი; სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2007; გვ.272

მრავალრიცხოვანი ფუნქციის განხორციელებისათვის სახელმწიფო გარკვეულწილად უნდა ფლობდეს, სხვადასხვა დაწესებულების ორგანიზებულ მოქმედ სისტემას. სახელმწიფოს აპარატი-ეს ორგანოებისა და დაწესებულებების სისტემაა, რომელიც სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს.¹⁷¹

სახელმწიფო აპარატის დამახასიათებელი ნიშნებია:

– რეალური საორგანიზაციო-მატერიალური ძალა, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს თავის ძალაუფლებას საზოგადოებაში;

– მართვის ორგანოებთან ერთად იძულებითი ძალოვანი დაწესებულებების არსებობა (არმია, პოლიცია, უშიშროების სამსახური, სასამართლო, ციხეები);

საგანგებო დანიშნულების მოსამსახურეთა არსებობა, რომლებიც სახელმწიფოს მიერ მითითებულ ფუნქციებს ასრულებენ და ხელფასს მხოლოდ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან იღებენ;

– უფლებამოსილების მკაფიო გამიჯვნა (ძალაუფლების განწილება). სახელმწიფო ორგანოს ყოველ გადანყვეტილებასა და განკარგულებას აქვს სავალდებულო ძალა.

სახელმწიფო აპარატის ყოველი ელემენტის საქმიანობა მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების პროცესში გარანტირებულია სახელმწიფოებრივი იმუნიტეტით საშუალებათა მთელი არსენალის გამოყენების შესაძლებლობით.

¹⁷¹ა.ა.ივანოვი. ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.47

5.6. სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო

მსოფლიოში სოციალური სახელმწიფოს სხვადასხვა მოდელია განვითარებული. ყველა მსგავს მასალებსა და კონსტრუქციას იყენებს. თუმცა მათი არქიტექტურა და მოსახლეობაზე გავლენა მკაფიოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. სოციალური სახელმწიფო ხშირად ხდება პოპულარული ან თუნდაც პოპულისტური კრიტიკის მსხვერპლი. სოციალური სახელმწიფო სოციალური დემოკრატიისთვის მეორეხარისხოვანი არ არის-ის დემოკრატიის პირობაა. იგი თანაბარ თავისუფლებას- სრულ თავისუფლებას-უზრუნველყოფს.¹⁷²

არსებობს ხუთი მთავარი სფერო, რომლებითაც ხდება თანამედროვე სოციალური სახელმწიფოს იდენტიფიცირება. ვინაიდან ამ ტიპის სოციალური სახელმწიფო დიდი სასიცოცხლო რისკებისგან აზღვევს და ადამიანის ღირსების დაცვას უზრუნველყოფს, ჯანმრთელობის, უმუშევრობის და საპენსიო დაზღვევა სოციალური სახელმწიფოს ელემენტარული შემადგენელია. ვინაიდან სოციალური სახელმწიფოს მიზანი ყველა მოქალაქის მონაწილეობაა, თანამედროვე სოციალური სახელმწიფოს ცნება განათლების (მომზადების) პოლიტიკასაც გულისხმობს, რადგან განათლება (მომზადება), პირველ ყოვლისა, დემოკრატიული უფლებების გაცნობიერების წინაპირობაა. ის, ასევე, გადამწყვეტია მატერიალური რესურსების განაწილების კონტექსტში. განათლება მონაწილეობასა და შანსებს ნიშნავს.¹⁷³

რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციურ სისტემას, მას საფუძვლად უდევს კონსტიტუციონალიზმის სამი ფუნდამენტური პრინციპი: 1) დემოკრატიის პრინციპი, 2) სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი 3) სოციალური სახელმწიფოს პრინცი-

¹⁷² ა. პეტრინგი და სხვები; სოციალური დემოკრატიის კურსი 3; თბ., 2014; გვ.8

¹⁷³ ა. პეტრინგი და სხვები; სოციალური დემოკრატიის კურსი 3; თბ., 2014; გვ.8

პი. საქართველოს კონსტიტუციის ფუნდამენტური პრინციპები უშუალოდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. თუმცა, ამავდროულად, თითოეულ მათგანს თავისი ავტონომიური ფუნქცია აქვს:

– დემოკრატიის პრინციპის ფუნქცია საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხალხის მონაწილეობის უზრუნველყოფაა;

– სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ფუნქციად ხელისუფლების შეზღუდვა და სახელმწიფოსაგან ინდივიდის თავისუფლების უზრუნველყოფა განისაზღვრება;

– სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ფუნქცია სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სოციალური სოლიდარობის განმტკიცებაა.¹⁷⁴

უფრო მეტიც, სოციალური სახელმწიფო ნიშნავს დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც, მისი კონსტიტუციის შესაბამისად, არა მხოლოდ ძირითად უფლებებსა და პირად და ეკონომიკურ თავისუფლებებს უზრუნველყოფს (სამართლის უზენაესობის პრინციპის მიმდევარი სახელმწიფო), არამედ, ამასთანავე, ახორციელებს სამართლებრივ, ფინანსურ და მატერიალურ ღონისძიებებს სოციალურ განსხვავებათა და დაძაბულობათა (არასრულად) მოსახსნელად. ამ ფარგლებში სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სამართლის უზენაესობის საფუძველზე დაკავშირებულია სამართლიანობის მიზანთან და ასახულია ძირითადი კანონის მე-20 და 28-ე მუხლებში.¹⁷⁵ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა სახელმწიფოს სამართლით შეზღუდვას. ამ თვალსაზრისით, სამართალი არის სახელმწიფოს მოხელეთა, მთლიანად სახელმწიფოს მეთვალყურე.¹⁷⁶ სამწუხ-

¹⁷⁴ ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, პირველი გამოცემა; 2019; თბ., გვ.45

¹⁷⁵ ა. პეტრინგი და სხვები; სოციალური დემოკრატიის კურსი 3; თბ., 2014; გვ.10

¹⁷⁶ ბ. სავანელი; სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2005; გვ.144

აროდ, სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც წესი, გაგებულია სახელმწიფოზე კანონის ბატონობით, როცა სახელმწიფომის მიერ მიღებულ კანონებს ნებაყოფლობით, კეთილი ნებისამებრ, ემორჩილება. მაგალითად, კ. შარია სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებაში გულისხმობს სახელმწიფოზე კანონის ბატონობას. იგი ჩამოთვლის სამართლებრივი სახელმწიფოს შემდეგ ნიშნებს: სახელმწიფოს შეზღუდვა სამართლით, კანონის უზენაესობა და სამართლიანობა; კანონის წინაშე ყველას თანასწორობა; ხელისუფლების დანაწილება; ხალხის აღიარება ხელისუფლების წყაროდ და საყრდენად; სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთპასუხისმგებლობა; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების აღიარება და სხვა.¹⁷⁷

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი არ არსებობს ზოგადი და ამორფული აკრძალვის ან მოთხოვნის ფორმით. სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგადი პრინციპი ყოველთვის მოითხოვს კონკრეტიზაციას. მაგალითად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ კანონმდებელი შებოჭილია კონსტიტუციური წესრიგით; მოქალაქეს აქვს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უფლება; აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა ხორციელდება კანონიერების პრინციპის დაცვით; უზრუნველყოფილია კანონის უზენაესობა; მოსამართლე შებოჭილია კანონით; განხორციელებულია ხელისუფლების დანაწილება, ხელისუფლება შებოჭილია სამართლით და სხვ.¹⁷⁸

როგორც ჩანს, ავტორი აქ კანონსა და სამართალს აიგივებს, რის გამოც სახელმწიფოზე კანონის ბატონობას იგი სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ნიშნად მიიჩნევს. ცხადია,

¹⁷⁷ კ. შარია; სამართლებრივი სახელმწიფო (ნაწილი პირველი); თბ., 2009; გვ.7-8

¹⁷⁸ ლ. იზორია, კ.კორკელია, კ.კუბლაშვილი. გ. ხუბუა; საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; თბ., 2005; გვ.345

ძალიან კარგია, თუ რომელიმე სახელმწიფო მის მიერ მიღებულ კანონს, რომელიც უზენაესობის ღირსია, მისივე კეთილ ნებით ემორჩილება, მაგრამ კანონისა და სამართლის გაიგივება სწორი არ უნდა იყოს და, მაშასადამე, „სამართლებრივი სახელმწიფოს“ ცნება სახელმწიფოზე სიმართლის პრიმატს უნდა ნიშნავდეს.¹⁷⁹

უფრო სწორად რომ ვთქვათ, სახელმწიფო თავისი გენეზის-შივე ეფუძნება სამართალს, რის გამოც სახელმწიფო იმთავითვეა სამართლებრივი. აქ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა სამართლებრივად მოწყობილი და ორგანიზებული პოლიტიკური ხელისუფლება. ცხადია, სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ხელისუფლება, ყოფიერების ელემენტია, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ „იურიდიული მეცნიერება სახელმწიფოს სწვდება სამართლებრივი მოწყობის, კანონქმედებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის თვალსაზრისით“.¹⁸⁰

ამკარაა, რომ აქ მოკლედ გადმოცემული კონცეფცია, რომელიც სახელმწიფოს წარმოშობის სამართლებრივ წანამძღვრებს ეხება. ფრიად საინტერესოა და ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ სამართალი სახელმწიფოს კი არ შეუქმნია, არამედ, პირიქით, სამართალი გენეზისურად წინ უსწრებდა სახელმწიფოს და წარმოადგენდა ამ უკანასკნელის მოწყობისა და ორგანიზაციის ნორმატიულ საფუძველს. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო, როგორც სამართლებრივად მოწყობილი და ორგანიზებული პოლიტიკური ხელისუფლება, სამართლებრივი სახელმწიფოა.

ამ პოზიციიდან საინტერესოდ გვეჩვენება ე. პოზდნიაკო-

¹⁷⁹ ავტორთა კოლექტივი; სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში; თბ., 2016; გვ.65-66

¹⁸⁰ გ. ნაჭყებია; ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი, ნაწილი პირველი; თბ., 2000; გვ.45

ვის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა არის არა სამართლებრივი თეორიის, არამედ იდეოლოგიურ-პოლიტიკური თეორიის გამოხატულება, რომელიც საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის იდეას ეხმიანება. მის აზრით, სამართლებრივი სახელმწიფო ბუნებაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ავტორი ფიქრობს, რომ თვით სახელმწიფოს ცნებაც კი გამორიცხავს სამართლებრივ სახელმწიფოს იდეას, რადგან, როცა ჩვენ ვამბობთ „სახელმწიფო“, - მხოლოდ ამ ერთი გამონათქვამით იმავდროულად ვადასტურებთ იმას, რომ იგი ემყარება სამართალს და აქ სხვა მტკიცება საჭირო არაა. უფრო მეტიც, ირკვევა, რომ სახელმწიფო სამართლებრივია მაშინაც კი, როცა მას დესპოტის ნება განსაზღვრავს, რადგან იმანენტურად შეიცავს სამართლისა და მართლწესრიგის ცნებებს.¹⁸¹

ერთი შეხედვით, ავტორის აზრი გაუგებარია, რადგან, თუ სახელმწიფო იმანტენტურად შეიცავს სამართალს და მართლწესრიგის ცნებებს, მაშინ სამართლებრივი სახელმწიფოც სახეზეა, მაგრამ, როგორც ჩანს, ხსენებული ავტორი არ ეთანხმება სამართლებრივი სახელმწიფოს იმ გაგებას, როცა სახელმწიფო მის მიერ მიღებულ კანონებს ემორჩილება. აქედან გამომდინარე, იგი ამოდის სახელმწიფოზე სამართლის პრიმატიდან, როცა სამართალი წინ უსწრებს სახელმწიფოს და ამ უკანასკნელის მოწყობისა და ორგანიზაციის ნორმატიული საფუძველია.

აქედან გამომდინარე, უფრო მისაღები და პრაქტიკული ჩანს სახელმწიფოზე კანონის ბატონობა, როცა სახელმწიფო მის მიერ მიღებულ კანონებს ემორჩილება. მაგრამ, ჩვენი აზრით, სამართლისა და კანონის გაიგივება მაინც შეცდომაა, რის გამოც ერთია სახელმწიფოზე სამართლის ბატონობა, როცა სამართალი გენეზისურად განსაზღვრავს სახელმწიფოს, მა-

¹⁸¹ Э.А. Поздняков, Философия государства и права, и. 1995, 197

გრამ, ე. პოზდნიაკოვი საბოლოოდ სხვა პოზიციას იკავებს, როცა აცხადებს, რომ სახელმწიფო ეფუძნება სამართალს. მისი აზრით, სამართალი არაა მოწყვეტილი მისივე სოციალურ საფუძველს და უკავშირდება ადამიანის კონცეფციას, რომლის თანახმად, ადამიანი სამართლის შემოქმედია. იგი სამართლის სუბიექტიც არის და ობიექტიც, სამართალი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის, როგორც სოციალური და პოლიტიკური არსების, გამოხატულება. მხოლოდ ეს ერთი გარემოებაც კი, ავტორის აზრით, გვავალდებულებს, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა ამ გარემოებაზე იყოს დაფუძნებული. ამ პოზიციიდან სამართლის ყოველგვარი თეორია პოლიტიკური იდეალების გამოვლენაა. სამართალი პრაქტიკული პოლიტიკის გამოხატულებაა. მათ შორის კავშირი პირდაპირი უშუალოა.¹⁸²

აქ, როგორც ჩანს, სამართალი სხვა არაფერია, თუ არა პრაქტიკული პოლიტიკის განხორციელების საშუალება. გა მოდის, რომ სამართალს წინ უსწრებს პოლიტიკა. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, არსებობს სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ხელისუფლება, ხოლო შემდეგ იქმნება სამართალი, როგორც პრაქტიკული პოლიტიკის განხორციელების საშუალება, მაგრამ ე. პოზდნიაკოვი სულ სხვა პოზიციაზე ინაცვლებს, როცა ამტკიცებს, რომ თუ საგნებს შევხედავთ ჯანსაღად და თავს დავაღწევთ ტრადიციების გავლენას, არსებობს სრული საფუძველი იმ დასკვნისთვის, რომ ის, რაც ტრადიციულად სამართლის ფილოსოფია, თუ თეორიად იწოდება, სინამდვილეში არის პოლიტიკის ფილოსოფია და მისი თეორია. ყოველ საყურადღებო პოლიტიკურ თეორიას საქმე აქვს სახელმწიფოსთან, მაგრამ სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები, მათი საქმიანობა განპირობებულია სამართლით, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, თუ მხედველობაში მივიღებთ საზოგადოებისა და

¹⁸² Э.А. Поздняков, *Философия государства и права*, М. 1995, გვ. 16

სახელმწიფოს, სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობას, მაშინ სამართლის ყველა სერიოზული თეორია სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკის ფილოსოფია.¹⁸³

როგორც ვხედავთ, ავტორი მთლიანად თანმიმდევრული არაა, რადგან, ის, ერთი მხრივ, ამტკიცებს, რომ სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების მოქმედება განპირობებულია სამართლით (და მაშინ სამართალი წინ უსწრებს სახელმწიფოს), ხოლო, მეორე მხრივ, ამტკიცებს, რომ სამართალი პრაქტიკული პოლიტიკის განხორციელების საშუალებაა (და მაშინ სახელმწიფო წინ უსწრებს სამართალს, ესე იგი, ქმნის თავისი პოლიტიკის შესაბამის სამართალს). ავტორი ასკვნის, რომ სამართალი ამა თუ იმ პოლიტიკური იდეოლოგიის გამოხატულებაა, თუმცა ავტორი პოლიტიკური მეცნიერებისა და სამართლის მეცნიერების გაიგივების წინააღმდეგია.¹⁸⁴ სამწუხაროდ, ეს ზოგადი განცხადება საქმეს ვერ შევლის, რადგან ავტორი სამართალს პრაქტიკული პოლიტიკის გამოხატულებად აცხადებს. ამ თვალსაზრისის თანახმად, სამართალი პოლიტიკისგან არანაირად არაა დამოუკიდებელი. ავტორის მტკიცება, რომ სამართლის ყველა სერიოზული თეორია სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკის ფილოსოფია, სამართლის, როგორც პოლიტიკისგან დამოუკიდებელი ფენომენის, ლოგიკური უარყოფაა.

სამწუხაროდ, ავტორი იძულებული ხდება ამტკიცოს, რომ სამართალი წინ უსწრებს სახელმწიფოს, მეტიც, სამართალი შეიძლება არსებობდეს სახელმწიფოსგან დამოუკიდებლადაც. სამართალი ამ თვალსაზრისით, - ეს უნდა იყოს სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების, შექმნისა და ორგანიზების ნორმატიული საფუძველი. მაშასადამე, სამართალი წინ უსწრებს პოლიტიკას, ე.ი. სახელმწიფოსაც. სახელმწიფო ქმნის არა სამართალს, არამედ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც,

¹⁸³ იქვე, გვ.17

¹⁸⁴ იქვე გვ.18

ქვემარტივი ნორმაშემოქმედების ვითარებაში, შეიძლება სამართლის იდეას მიუახლოვდნენ.

5.7. ხელისუფლების დანაწილების ცნება და მნიშვნელობა

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის ჩანასახი, როგორც ცნობილია მონათმფლობელურ საზოგადოებაში იჩენს თავს. ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი ფიქრობდა რომ მმართველობა აუცილებელია ემყარებოდეს დანაწილების პრინციპს.

ჯონ ლოკის მიხედვით, ხელისუფლების დანაწილების თეორია არის სახელმწიფოში ხელისუფლებათა თანადაქვემდებარების, იერარქიის მოძღვრება. სახელმწიფოში, რომელიც საზოგადოებრივი ხელშეკრულების საფუძველზეა შექმნილი, საკანონმდებლო ხელისუფლება უზენაესი უნდა იყოს. ამასთან, მისი აზრით, ერთი პირის მიერ ხელისუფლების უზურპირების შესაძლებლობის თავიდან აცილებისა და შესაბამისად, ადამიანთა ბუნებითი თავისუფლების უზრუნველსაყოფად. ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლება დანაწილებული უნდა იყოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და საკავშირო ხელისუფლებად. თითოეული ხელისუფლება უნდა განახორციელოს განსაკუთრებულმა ორგანომ: საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომელიც მონოდებულია მიიღოს კანონები, უნდა განაგებდეს პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელმაც ცხოვრებაში უნდა გაატაროს კანონები, უნდა ეკუთვნოდეს მთავრობას, ხოლო საკავშირო ხელისუფლების განხორციელებისთვის უნდა შეიქმნას შესაბამისი ორგანო.¹⁸⁵

¹⁸⁵ ავ. დემეტრაშვილი, ი.კობახიძე; კონსტიტუციური სამართალი, მეორე გამოცემა; თბ., 2014; გვ.65

მამასადამე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მიზანი, და შედეგად, მასზე სახელმწიფოთა არჩევანის გაკეთების მიზეზიც, არის ადამიანის დაცვა ხელისუფლების თვითნებობისგან.¹⁸⁶ „ეს საფრთხე და რისკები კი მუდამ არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. მხოლოდ ნორმატიული მოთხოვნები და სამართლებრივი წესი ვერ ჩამოაყალიბებს ხელისუფლების ბოჭვის გარანტიებს.¹⁸⁷ საქართველოს კონსტიტუციაც უპირობოდ აღიარებს ვალდებულებას უზრუნველყოს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. რაც პირდაპირ გამოიხატება იმ დებულებით, რომელსაც კონსტიტუციაში ვხვდებით: „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“.¹⁸⁸

ცალსახაა, რომ ამგვარმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს ძალაუფლების ქმედითი შეკავება და კონსტროლი, გაზარდოს საზოგადოების ნიანშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის ხარისხი და ხელი შეუწყოს საჯარო მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას. ხელისუფლების დანაწილების უმთავრესი ამოცანა სახელმწიფო მმართველობის იმგვარი სისტემის ჩამოყალიბებაა, რომელიც თავიდან აგვაცილებს ხელისუფლების სუბიექტებს შორის ბალანსის დარღვევას ერთ რომელიმე განშტოების სასარგებლოდ და ძალაუფლების გადაჭარბებულ კონცენტრაციას მის ხელში.¹⁸⁹

უდავოა, რომ მსოფლიო დღის წესრიგით ხელისუფლების

¹⁸⁶ ვ. გონაშვილი, ქ.ერემაძე, გ. თევდორაშვილი და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; თბ., 2017; გვ.72

¹⁸⁷ გ. ხუბუა; ძალაუფლების ინსტიტუციური ბალანსი, წიგნში: საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ; თბ., 2016; გვ.110

¹⁸⁸ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 4

¹⁸⁹ ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, პირველი გამოცემა; 2019; თბ., გვ.53

დანანილების პრინციპის სახელმწიფოების მიერ დაცვაზე მოთხოვნა გაზრდილია, მით უფრო, როცა ვსაუბრობთ დემოკრატიულ სახელმწიფოებზე. აქვე იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ აღნიშნული პრინციპი არ გულისხმობს მმართველობის ერთი კონკრეტული მოდელის არჩევას, უფრო მეტიც, იგი სხვადასხვა მოდელებში დღითიდღე იმკვიდრებს თავს, საპარლამენტო, საპრეზიდენტო და შერეული მმართველობის მქონე ქვეყნებში.

საკონტროლო კითხვები:

1. განმარტეთ სახელმწიფოს ფორმის ცნება.
2. ჩამოთვალეთ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის თეორიები?
3. როგორა სახელმწიფოს ფორმის სტრუქტურა?
4. რა იგულისხმება სახელმწიფოს მიზანში?
5. განმარტეთ სახელმწიფოს აპარატი.
6. ჩამოთვალეთ სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები?
7. რას გულისხმობს ხელისუფლების დანანილება?
8. რა მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლების დანანილების პრინციპს სახელმწიფოს განვითარებისათვის?
9. განმარტეთ პოლიტიკური რეჟიმი.

თავი მეექვსე

სამართლის ცნება, მიზნები და ამოცანები

6.1. სამართლის ცნება, არსი და ძირითადი ნიშნები

სამართლის მეცნიერებულნი შემეცნებისა და მის არსში გარკვევის სურვილი თავიდანვე არსებობდა ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფენების წარმომადგენელთა შორის.¹⁹⁰ იურიდიულ მეცნიერებაში მკვლევართა მიერ შემოთავაზებულია სამართლის არსის სხვადასხვა დეფინიცია, ისინი ერთმანეთისგან განირჩევიან იმის და მიხედვით, თუ რას მიიჩნევენ მათში უმნიშვნელოვანესად და ყველაზე არსებითად. ირ. სურგულაძის აზრით, სამართალი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც განსაზღვრული მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს.¹⁹¹ მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, თავისი წარმოშობის მიზეზით, შინაარსით, დანიშნულებით და ისტორიული ბედით სამართალი განუყოფლადაა დაკავშირებული სახელმწიფოსთან.¹⁹² ჩვენი მიზანია, ჩამოვაყალიბოთ სამართლის ცნება.

სამართალი არის სისტემა ზოგადსავალდებულო, ფორმალურად განსაზღვრული, სახელმწიფოს მიერ დადგენილი, სანქციონირებული და გარანტირებული ნორმებისა,¹⁹³ ის გამოხატავს კანონში განსახიერებულ სახელმწიფოებრივ ნებას¹⁹⁴ და წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნორმატიულ-ორგანიზაციულ ფორმას.

¹⁹⁰ გ. ინკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011; გვ.63

¹⁹¹ გ.ხუბუა; სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.11

¹⁹² ირ.სურგულაძე; ქართული სამართლის ისტორიის საკითხები; თბ., 2000; გვ.214

¹⁹³ Алексеев С.С. Право М. 1999, С.28

¹⁹⁴ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.120

ა. ივანოვი სამართლის სხვადასხვა წინამძღვრიდან გამომდინარე შემდგომ დეფინიციას გვთავაზობს:

სამართალი ეს არის ნორმატიული მითითებების სისტემა, რომელიც ეყრდნობა კაცობრიობის სამართლიანობისა და ბრძოლის იდეას და რომელთა შესაბამისად საზოგადოებაში ხორციელდება ძალაუფლება, იქმნება და ფუნქციონირებს სახელმწიფო ინსტიტუტები, უზრუნველყოფილია ადამიანის სოციალური სტაბილურობა და ნორმალური ცხოველქმედობა.¹⁹⁵

დემოკრატიული რეჟიმის პირობებში სამართალი სოციალური სიკეთეა, თავისებური კაპიტალია, რომელსაც საზოგადოებრივ ურთიერთობებში შეაქვს ორგანიზებულიობა, ნესრიგი, სიკეთე, სამართლიანობა და სიმართლის შესაბამისად სწორედ აქედან წარმოდგება სიტყვა “სამართალი”.

სამართლის ცალკეული დარგების კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სამართლის არსის, სამართალდარღვევის, სამართლებრივი ურთიერთობებისა და სამართლის ნორმათა შეფარდების ზოგადთეორიული დებულებების შემუშავება, მათი სწორი, საფუძვლიანი ახსნა და მართებული გაგება. ამიტომ საჭიროა ამ საკითხებზე რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო და სამართალი ორი ურთიერთთანმდევრი ცნებაა. სამართალი წარმოიშვა სახელმწიფოსთან ერთად, როცა მოხდა მთელი საზოგადოების დაყოფა კლასებად ადამიანთა ცალკეულ ფენებად და რომელთა შორის არსებული წინააღმდეგობა იმდენად უკიდურესად გაღრმავდა, რომ მათი ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგება, მათი ურთიერთშერიგება სხვა მხრივ შეუძლებელი გახდა.¹⁹⁶ ის იყო პროდუქტი გაბატონებული კლასის ნება-სურვილის კანონად გამოცხადებისა და ემსახურებოდა მისი ინტერესების დაცვას.

¹⁹⁵ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.54

¹⁹⁶ შ.ფავიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.226

რაც შეეხება პირველყოფილ-გვაროვნულ წყობილებას, იქ ადამიანთა ქცევის წესების შესრულება ხდებოდა არა სახელმწიფოს იძულებით, არამედ ხანგრძლივი დროით გამოძევაზე-ბული ჩვეულებებითა და ადათ-წესებით.¹⁹⁷

სამართალიადამიანთაინდივიდების, სოციალური ჯგუფების, მთლიანად საზოგადოების სულიერი მოთხოვნილების თავისებური ნაკრებია. სამართლის საშუალებით ხდება თითოეული ინდივიდისა თუ საზოგადოებრივი ნების გამოხატვის უმაღლესი კონსესუსის მიღწევა.¹⁹⁸ ზნეობის ან მორალური ნორმებისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ იგი იქმნება საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე და შეადგენს დაუნერელი ქცევის წესებს. სამართლის ნორმებში კი იგი წერილობითი სახითაა ასახული და დადგენილია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ როგორც სავალდებულო ქცევის წესები.¹⁹⁹

თავის მხრივ, სამართალი მოიცავს ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროს მომწესრიგებელ ქცევის წესებს, რომელთა შესრულება სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია სხვადასხვა სახის იძულებითი ღონისძიებებით. ამასთანავე, იგი მოიცავს არა ყველა სახის ქცევის წესს, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს შეესაბამება და რომლის შესრულება სახელმწიფო მართვის აპარატს აუცილებლად მიაჩნია.

სამართალს, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველაზე უფრო უნივერსალურსა და ოპტიმალურ რეგულატორს, შემდეგი შესატყვისი თვისებები და ნიშნები ახასიათებს: ნორმატიულობა, სისტემურობა, დინამიზმი, მემკვიდრეობითობა და სტაბილურობა.²⁰⁰ ასევე, სამართლის ძირითადი ნიშნებია:

¹⁹⁷ იქვე

¹⁹⁸ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ.166

¹⁹⁹ შ.ფავიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.28

²⁰⁰ ა.ა. ივანოვი, ნ. დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.57

სამართლის იძულებით ხასიათი, ფორმალური განსაზღვრულობა და სამართლის კავშირი სახელმწიფოსთან.²⁰¹ სამართლის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანი არის ის, რომ იგი დაცული და გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ. სამართლის ნორმების დადგენა არ არის თვითმიზანი, მთავარია მათი რეალიზაცია ცხოვრებაში.²⁰² აუცილებელია განვიხილოთ სამართლის ძირითადი ნიშნები და მათი მნიშვნელობა:

-ნორმატიულობა ნიშნავს იმას, რომ სამართალი შედგება ნორმებისაგან, რითაც წესრიგდება უმრავლესი საზოგადოებრივი ურთიერთობა. ანუ სამართალი არის ერთმანეთთან დაკავშირებული ნორმების სისტემა, რომლებიც ფუნქციონირებს სახელმწიფოს მიერ.

-სამართლის იძულებითი ხასიათი: უზრუნველყოფს უფლებების დაცვას და მიზნად ისახავს აიძულოს სამართალდამრღვევი, დაზარალებული მხარის სასარგებლოდ შეასრულოს ვალდებულებები.

-ფორმალური განსაზღვრულობა გამოიხატება სამართლის წერილობითი და სტრუქტურული ფორმით. აღსანიშნავია, რომ ფორმალური განსაზღვრულობა გარკვეულწილად ახასიათებს სხვა სისტემებსაც.

-სისტემურობა ნიშნავს სამართლის ნორმების აგებულების კანონზომიერებას. სამართალი რთული სისტემური ფენომენია. იგი წარმოადგენს ქცევის სავალდებულო წესების ერთობლიობას, ახასიათებს იდეებისა და პრინციპების ერთიანობა.

-ზოგადსავალდებულობა ასახავს პოულობს სახელმწიფოს სუვერენიტეტში. ეს ნიშნავს საჯარო ხელისუფლების ლეგიტიმურობას და სამართლის გავრცელებას სუბიექტების ფართო წრეზე.

²⁰¹ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ. 189

²⁰² თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.124

-სამართლის კავშირი სახელმწიფოსთან ნიშნავს, რომ სახელმწიფო სამართლის ნორმების სანქცირებას ახდენს ან ახალ ნორმებს ადგენს და ზრუნავს მათი ცხოვრებაში განხორციელებისათვის.²⁰³

აქვე უნდა აღინიშნოს: ზნეობრივი, ანუ მორალური, ნორმების შესრულება უზრუნველყოფილია არა სახელმწიფოს იძულებით, არამედ საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზნეობის ნორმების დამრღვევი პირების მიმართ სათანადო ზომებს იღებს არა სახელმწიფოს რომელიმე ორგანო, არამედ თვითონ საზოგადოება, რომ უზნეო საქციელის ჩამდენი პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მორალურ-ალმზრდელობითი ღონისძიებები და არა რაიმე სახელმწიფოებრივი იძულებითი ღონისძიება მაშინ, როცა სამართლის ნორმის დამრღვევი პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვადასხვა სახის იძულებითი ღონისძიება.

სამართლებრივი ნორმები ზოგადსავალდებულო ხასიათისაა, მათში აღწერილი ქცევის წესები აბსტრაქტული სახითაა ჩამოყალიბებული და ვრცელდება პირთა განუსაზღვრელ რაოდენობაზე. სამართლის თითოეულ ნორმას მხედველობაში არ ჰყავს ინდივიდუალურად განსაზღვრული პირი, მისი მოქმედების არეალში შეიძლება მოხვდეს ნებისმიერი პირი.²⁰⁴

სამართალი ვერ მიაღწევს მიზანს, თუ იგი არ იქნება უზრუნველყოფილი იმ შემთხვევაში, როდესაც პირი გასცდება თავის უფლებამოსილებას ან ვალდებული თავისი ნებით არ ასრულებს მოვალეობას. სწორედ ამისათვის არსებობს სასამართლო იძულება, რომლის მიზანია არა უფლება-მოვალეობაა ჰორიზონტალური განაწილება, არამედ დაცვა.

²⁰³ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ. 194

²⁰⁴ ბ. სავანელი; სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2007; გვ.14

სამართლის ნორმის დამდგენი სუბიექტებია: ა) სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი, ბ) ერი ან ერთა თანამეგობრობა, გ)მართლმსაჯულების სახელმწიფო ან საერთაშორისო სასამართლო ორგანოები.²⁰⁵

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლებრივი ნორმების მიზანია ურთიერთობებში სტაბილურობის, წონასწორობის, ანუ წესრიგის შეტანა, ე.ი. უფლება-მოვალეობათა მიმართების ისეთი მოდელის შემოღება, რომელსაც ერთიანად დაექვემდებარებიან ურთიერთობებში მონაწილე პირები.

6.2. სამართლის ფუნქციები

ვინაიდან, სამართალი თავისი არსით დაკავშირებულია სახელმწიფოსთან, შესაბამისად სამართლის ფუნქციები მეტნაკლებად ემთხვევა სახელმწიფოს ფუნქციებსაც. საგულისხმოა, რომ სახელმწიფო თავის ფუნქციებს სწორედაც რომ სამართლებრივ ჩარჩოებში, კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს. ამიტომაც თავის მხრივ, შესაძლებელია გამოვყოთ სამართლის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და, მათ შორის, სასამართლო ფუნქციები.

ყველა ცივილიზებული ქვეყნის სამართლებრივი სისტემის მნიშვნელოვანი ამოცანაა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მონესრიგება, მათი მოქცევა სოციალური თავისუფლებისა და სამართლიანობის ჩარჩოებში. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა სამართლისა არის რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვა სხვადასხვა სახის სამართალდარღვევებისაგან.²⁰⁶ შესაბამისად, სამართალს აქვს ორი ფუნქცია: მომწესრიგებელი(რეგულაციური) და დაცვითი.

²⁰⁵ იქვე

²⁰⁶ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.125

სამართლის რეგულაციური ფუნქცია-ეს არის მისი უშუალო ზემოქმედება ადამიანისა და საზოგადოებისათვის ნორმალურ, ბუნებრივ და სასარგებლო ქმედებებზე. ე.ი. ქცევის პოზიტიური ნებსების დადგენა,²⁰⁷ ანუ ის წარმოადგენს სამართლებრივი ზემოქმედების ისეთ მიმართულებას, რომელიც მონოდეტულია უზრუნველყოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მკაფიო ორგანიზებულობა, მათი ფუნქციონირება და განვითარება.²⁰⁸

სამართლის დამცველი ფუნქცია- ეს არის სამართლებრივი ზემოქმედება, რომელიც მიმართულია ადამიანისა და საზოგადოებისათვის დადებითი ურთიერთობების დაცვისაკენ, სამართალდარღვევების თავიდან აცილებასა და აღკვეთისკენ, სახელმწიფო იძულების ზომების გამოყენების მეშვეობით სამართალდარღვევის აღდგენისკენ. ამასთანავე, გამოყოფენ აღმზრდელობით ფუნქციას. ის ვლინდება სამართლის მთელ ქმედებაში, მის არსებობაში, იგი ადამიანებს მართლზომიერებისკენ მოუწოდებს, ადამიანებს უყალიბებს სამართლის პოზიტიურ აღქმას.²⁰⁹

აღსანიშნავია, რომ სამართლის ფუნქციები დარწმუნებისა და იძულების მეთოდებით ხორციელდება.

დარწმუნება - ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მეთოდია, რომელიც ვლინდება სხვადასხვა განმარტებითი, აღმზრდელობითი, ორგანიზაციული ზომების გამოყენებით, ხელქვეითის ნებისყოფის ფორმირება ან მისი შეცვლა.

იძულება - ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მეთოდია,²¹⁰ იგი ერთგვარად სამართლის სპეციფიკურ ფუნქციას წარმოადგენს. იძულების სხვა ფორმებისგან განსხვავებით,

²⁰⁷ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.60

²⁰⁸ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.154

²⁰⁹ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.60

²¹⁰ იქვე

სამართლებრივი იძულება ხორციელდება ორგანიზებულად, მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოების მიერ, განსაზღვრული პროცედურების დაცვით.²¹¹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან უდავოდ ჩანს, რომ სამართალი ფუნქციების საშუალებით ახდენს ყოველდღიურ ზემოქმედებას საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე.

6.3 სამართლის პრინციპები

პრინციპები არის სახელმძღვანელო იდეები, ძირითადი დებულებები და მიმართულებები, რომლებიც ამ შემთხვევაში სამართლის არს და საზოგადოებაში მის დანიშნულებას განსაზღვრავენ; ერთი მხრივ, ისინი გამოხატავენ სამართლის ღირებულებებს, მეორე მხრივ, კი წარმოადგენენ საერთო პრინციპებს, რომელიც სამართლებრივი მოწესრიგების მთელ სფეროში მოქმედებს და ყველა სუბიექტზე ვრცელდება, ეს პრინციპები ან პირდაპირ კანონშია ჩამოყალიბებული, ან კანონის საერთო მნიშვნელობიდან გამომდინარეობს. საგულისხმოა, რომ სამართლის პრინციპები განსაზღვრავს სამართლებრივი ნორმების სრულყოფის გზებს და კანონმდებლობისათვის სახელმძღვანელო იდეებს წარმოადგენს, ისინი საზოგადოებისა და სამართლებრივი სისტემის განვითარებისა და ფუნქციონირების შემაკავშირებელი რგოლია. პრინციპების მეშვეობით ხდება სამართლის სისტემაში ადამიანისა და საზოგადოების ინტერესებისა და მოთხოვნების თანაფარდობა.²¹²

ძალზედ საინტერესოა სამართლის ზოგადი პრინციპების განმარტება, კერძოდ „გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 38-ე მუხლის პირველი

²¹¹ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.156

²¹² გ. ლობჯანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, 2009, გვ. 208

აზიაციის მიხედვით, აღნიშნული სასამართლო, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების გარდა, გადანყვეტილებას იღებს ასევე „ცივილიზებულ ხალხთა“ მიერ აღიარებულ სამართლის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით. ამ ცნების ქვეშ იგულისხმება ის პრინციპები, რომელიც ასე თუ ისე საერთოა ყველა ქვეყნის ეროვნული სამართლისთვის და რომლებიც გამოსადეგია სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში. „ცივილიზებული ხალხის“ ტერმინი თავდაპირველად პრიმიტიული სამართლებრივი სისტემების იგნორირებას ემსახურება მიზნად, თუმცა მან დღეისათვის ეს ფუნქცია დაკარგა. სამართლის ზოგადი პრინციპების მაგალითად შეიძლება დასახელდეს: კანონის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა; უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების მოვალეობა; ზიანის ანაზღაურების ვალდებულება; ხანდაზმულობის პრინციპი და ა.შ.²¹³

ცალსახაა, რომ სამართლის სისტემა მოიცავს როგორც პოზიტიურ ნორმებს, ასევე საყოველთაო მნიშვნელობის მქონე სამართლის პრინციპებს. ზოგიერთი ურთიერთობა შეუძლებელია გადანყდეს მხოლოდ სამართლის ნორმის საფუძველზე. დვორკინი ასეთ ურთიერთობებს უწოდებს „რთულ შემთხვევებს“, რომელთა გადანყვეტა მოსამართლისაგან მოითხოვს „ჰერკულესის ძალას“, რამდენადაც მან უნდა განავითაროს სამართლიანი სამართლის სისტემაზე ორიენტირებული კონსტიტუციის პოლიტიკური თეორია. დვორკინი მოსამართლის ასეთ იდეალურ ფიგურას უწოდებდა „ფილოსოფიურ მოსამართლეს“. „ფილოსოფიური მოსამართლე“ ავითარებს ისეთ პრინციპებს, „რომელიც ასაბუთებს მოქმედი მართლწესრიგის მართლზომიერებას. დვორკინის აზრით, „პოლიტიკური კონსტიტუციური თეორია“ ესწრაფვის სამართლიანი სამართ-

²¹³ განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, იხ: ჰტტპ://გილ.მყლან.გე/კა/ტერმ/490 ტმლ

ლის სისტემას. „ჰერკულესმა“ კრიტიკულად უნდა შეაფასოს პოზიტიური სამართალი და უნდა გამოასწოროს ამ სისტემაში არსებული შეცდომები?

დვორკინის აზრით, სამართალი არ ამოიწურება მხოლოდ კანონმდებლის მიერ დადგენილი ნორმების ერთობლიობით. სამართლის განუყოფელი ნაწილია სამართლის პრინციპები. სამართლის პრინციპის მოქმედებისთვის მნიშვნელობა არა აქვს, იყო თუ არა ისინი მანამდე აღიარებული კანონმდებლის ან სასამართლო პრაქტიკის მიერ.²¹⁴ სამართლის საფუძვლებს აყალიბებს არა ფაქტობრივად ჩამოყალიბებული პრაქტიკა, არამედ სწორედ პრინციპები.²¹⁵

სამართლებრივი პრინციპები იყოფა მთლიანად სამართლის (ზოგადსამართლებრივ) მისი ცალკეული დარგების (დარგობრივ) ან მოსაზღვრე დარგების ჯგუფების (დარგთაშორისი) დამახასიათებელ პრინციპებად; დარგობრივს განეკუთვნება სიხლის სამართალში სასჯელის ინდივიდუალიზაცია, შეჯიბრობითობის პრინციპი სამოქალაქო-საპროცესო სამართალში და ა.შ.

სამართლიანობის პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, იგი უფრო მეტად გამოხატავს სამართლის ზოგადსოციალურ არსს, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის კომპრომისის ძიების სწრაფვას, სამართალი ითხოვს შესაბამისობას მოქმედებასა და მის სოციალურ შედეგებს შორის; თანაზომიერი უნდა იყოს შრომა და მისი ანაზღაურება, ზიანის მიყენება და მისი ანაზღაურება, დანაშაული და სასჯელი, თუ კანონი სამართლიანობის პრინციპს პასუხობს, ეს თანაზომიერება დაცულია.²¹⁶

პრინციპების ჩართვა იურიდიული არგუმენტაციის პრო-

²¹⁴ Dworkin, R. *Bürgerrechte Ernst genomemen*, Übersetzt von Ursula Wolf, 1984, S.182

²¹⁵ გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ, 2015, გვ. 207

²¹⁶ გ. ლობჯანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, 2009, გვ. 209

ცესში სამართლის შეფარდებაა და არა სამართალშემოქმედება. ამავდროულად დვორკინის მიხედვით, სამართლის პრინციპები ხელს უწყობს სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებასა და არგუმენტაციას. არგუმენტაცია მუდმივად ორიენტირებულია შინაარსზე და, შესაბამისად, მხოლოდ მორალური ხასიათისაა. დვორკინი უპირისპირდება იურიდიულ პოზიტივიზმს, რომლის მიხედვითაც მორალსა და სამართალს შორის არ არსებობს აუცილებელი და სავალდებულო კავშირი. პრინციპი სამართლის განუყოფელი ნაწილია, სწორედ მისი მორალური შინაარსის გამო და არა იმის გამო, რომ ის აღიარებულია კანონმდებლის, ან სამართლის შემფარებლის (მოსამართლის) მიერ.

სამართლის პრინციპები განსაზღვრავს სამართლის არსს, ასევე მისი შეფარდების საფუძვლებს. საერთო პრინციპებს შეიძლება ეფუძნებოდეს სამართლის განსხვავებული ნაციონალური სისტემებიც, სამართლის ასეთი ზოგადი პრინციპებია სამართლებრივი სახელმწიფოს, ხელისუფლების დანაწილების, სახელშეკრულებო თავისუფლების, კეთილსინდისიერების, კანონის წინაშე თანასწორობის, კანონიერების პრინციპი და სხვა.²¹⁷ რაც შეეხება, თანასწორობის პრინციპს იგი განსაზღვრავს ყველა მოქალაქის თანაბარ სამართლებრივ სტატუსს, ანუ მათ თანასწორ კონსტიტუციურ უფლებებს და ყველასათვის ერთიან სამართალსუბიექტურობას, კონსტიტუცია განმარტავს რომ „სახელმწიფო გარანტიას აძლევს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების თანასწორობას განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, ენის, წარმოშობის, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, რელიგიასთან დამოკიდებულების, რწმენის, საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის კუთვნილების, აგრეთვე სხვა ვითარებაში იკრძალება ადამიანის უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა.

ჰუმანიზმის პრინციპი უდევს საფუძვლად კონსტიტუციურ

²¹⁷ გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ, 2015, გვ. 207

ნორმებს, კანონმდებლობით იკრძალება ადამიანის, პიროვნების ღირსებისა და პატივის შელახვა, დაუშვებელია დაკავებულის თუ სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება. ჰუმანიზმის ცნება ფართო გაგებით გულისხმობს შეხედულებათა სისტემას, რომელიც აღიარებს ადამიანის, როგორც პიროვნების ღირებულებას, მის უფლებას თავისუფლებაზე, ბედნიერებაზე, თავისი უნარების განვითარებასა და გამოვლენაზე და ა.შ.²¹⁸

მართლმსაჯულების ბატონობის პრინციპი გამოხატავს სასამართლო წესით უფლებების დაცვის გარანტიებს. კონსტიტუციაში ჩანერილია: „თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადანყვეტილების გარეშე“.

სამართალგანვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე თანდათანობით ჩამოყალიბდა, აგრეთვე, სამართლის ფორმისათვის დამახასიათებელი პრინციპები, რასაც იურიდიულ მეცნიერებაში სამართლებრივი აქსიომა ეწოდება. დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი:საერთო წესის მიხედვით, კანონს უკუქცევითი ძალა არა აქვს. ყველაფერი, რაც კანონით არ იკრძალება, დაშვებულია. არავის არ შეუძლია იყოს მოსამართლე საკუთარ საქმეზე, არ შეიძლება ორჯერ გასამართლება ერთი და იმავე სამართალდარღვევისათვის. სამართლებრივი აქსიომების უმრავლესობა განსაზღვრულია კანონით.²¹⁹

ამასთანავე, განასხვავებენ სამართლის დანერგლ და დაუნერგლ პრინციპებს. დანერგლი სამართლის პრინციპები გამოხატულია სამართლის ნორმით. დაუნერგელი სამართლის პრინციპი პოზიტიურ ნორმაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, არამედ გამომდინარეობს სამართლის ერთიანი სისტემი-

²¹⁸ მ. მახარაძე, რენესანსი, ჰუმანიზმი და ქართული რენესანსის საკითხები, თბ, 2009, გვ47

²¹⁹ გ. ლობჯანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, 2009, გვ. 209

დან და კონკრეტიზებულია სასამართლო გადაწყვეტილებებში. სამართლის დაუნერეული პრინციპებია. მაგალითად, თანაზომიერების პრინციპი საჯარო სამართალში, კერძო ავტონომიის პრინციპი სამოქალაქო სამართალში ან ბრალეულობის პრინციპი სისხლის სამართალში. თითოეული ეს პრინციპები მხოლოდ არასრულყოფილადაა ფორმულირებული კანონში.

ასევე, სამართლის პრინციპი შეიძლება იყოს როგორც ფორმალური ასევე შინაარსობრივი, ხშირ შემთხვევაში, პრინციპი იურიდიულ მნიშვნელობას იძენს სამართლის ნორმათა განმარტების პროცესში. შინაარსობრივი პრინციპის პოზიტიურ ნორმაში რეალიზაციის ერთ-ერთი მაგალითია ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.²²⁰

საკონტროლო კითხვები:

1. როგორია სამართლის ცნება?
2. რა თვისებები და ნიშნები ახასიათებს სამართალს?
3. რა არის სამართლებრივი ნორმების მიზანი?
4. რა ფუნქციები აქვს სამართალს?
5. რა მეთოდებით ხორციელდება სამართლის ფუნქციები?
6. რას ნიშნავს პრინციპები?
7. ჩამოთვალეთ სამართლის პრინციპები?
8. განმარტეთ სამართლის ზოგადი პრინციპები?
9. როგორია დეორკინის შეფასება სამართლის პრინციპების მიმართ?
10. როგორ იყოფა სამართლის პრინციპები?

²²⁰ გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ, 2015, გვ. 207

თავი მეშვიდე

სამართლის ნორმა და ნორმის სტრუქტურა

7.1.სამართლის ნორმის ცნება, სახეები და იურიდიული ბუნება

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულია სამართლის ნორმის დეფინიცია. მასში ასახულია ნორმის არსებითი ნიშნები და სპეციფიკური თავისებურებანი.

სიტყვა „ნორმა“ ადამიანების მიერ შემოღებულ, გარკვეულ ქცევის წესს ნიშნავს.²²¹ სამართლის ნორმაც სხვა არა არის რა, თუ არა ქცევის წესი, მაგრამ მორალის, ანუ ზნეობის ნორმებისაგან განსხვავებით, მისი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულებითი აპარატით.

სამართლის ნორმები წარმოადგენენ სამართლის სისტემის საწყის ელემენტებს,²²² იგი არის სამართლის კონკრეტული სუბიექტების მიერ დადგენილი ქცევის წესი, რომელიც აწესრიგებს ერთი სახის საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილე კონკრეტულ პირებს შორის უფლებებისა და მოვალეობების აღიარება-გამიჯვნის გზით.²²³

უფრო ვრცლად თუკი განვმარტავთ, სამართლის ნორმა არის ფორმალურად განსაზღვრული ზოგადსავალდებულო ქცევის წესი, რომელიც დადგენილი და უზრუნველყოფილია საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ, განმტკიცებულია ოფიციალურ სამართლებრივ აქტებში და მიმართულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებისაკენ მათი მონაწილეობის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის გზით.²²⁴ სამართლის

²²¹ გ. ინკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2011; გვ.142

²²² თ.ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი, თბ., 2015; გვ.180

²²³ ბ. სავანელი; სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2007; გვ.17

²²⁴ Алексеев С. С. Указ. соч. С. 60

ნორმა გათვალისწინებულია მრავალჯერადი გამოყენებისათვის. ის ვრცელდება არა ერთ კონკრეტულ, არამედ ყველა იმ შემთხვევაზე როცა აღმოცენდება ნორმით გათვალისწინებული სიტუაცია.²²⁵ სამართლის ნორმა წარმოადგენს სოციალური ნორმის სახესხვაობას და მას ახასიათებს სოციალური ნორმის ყველა ნიშანი.²²⁶ თავის მხრივ, სოციალური ნორმები ქცევის ის წესებია, რომლებიც არეგულირებენ თვით ადამიანთა ურთიერთობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.²²⁷ ნორმა შეიძლება იყოს სამართლიანი და უსამართლო, მაგრამ ვერ იქნება ჭეშმარიტი ან მცდარი, ვინაიდან, ნორმას განსაზღვრავს ხელისუფლება და არა ჭეშმარიტება. ჭეშმარიტი ან მცდარი შეიძლება იყოს ნორმის შესახებ მსჯელობა. ნორმა მოქმედებს ან არ მოქმედებს. სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

რაც შეეხება სამართლის ნორმას-ეს არის ნორმატიული-სამართლებრივ აქტში შემავალი საყოველთაოდ სავალდებულო, ფორმალურად განსაზღვრული, სტრუქტურულად ორგანული, სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების დადგენის გზით სახელმწიფოს მიერ მითითებული სოციალური სინამდვილის სუბიექტების მოქმედებათა სათანადო, შესაძლებელი, წამახალისებელი, რეკომენდებული ან ამკრძალავი ზომების ვარიანტი. სამეცნიერო და იურიდიულ ლიტერატურაში მკვლევარები სამართლის ნორმებს ყოფენ: 1. სამართლის დარგების, 2. ფუნქციების, 3. ნორმის მოქმედების. 4. სამართალშეფარდებითი აქტის, 5. პირთა წრის. 6. სპეციალური და 7. განსაკუთრებული სამართლის ნორმების მიხედვით.²²⁸

²²⁵ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები, თბ., 2013, გვ.46

²²⁶ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.180

²²⁷ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2011; გვ.142

²²⁸ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ. 202-203

სამართლის ნორმათა კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

სამართლის დარგების შესაბამისად რასაკვირველია არსებობს: კონსტიტუციური, სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული, შრომის სამართლებრივი ნორმები.

სოციალური დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ დამფუძნებელ, რეგულაციურ, დამცავ, უზრუნველმყოფელ, დეკლარაციულ, დეფინიციურ, კოლიზიურ ნორმებს.²²⁹

დამფუძნებელი ნორმები- ასახავს საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების, ადამიანის სამართლებრივი მდგომარეობის, სახელმწიფოების საქმიანობის სანწყისებს;²³⁰

რეგულაციური ნორმები- ადგენენ სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების უფლებებსა და მოვალეობებს, აწესრიგებენ ფაქტობრივ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა სამართლის სუბიექტებს შორის;

დამცავი ნორმები- ითვალისწინებენ სახელმწიფო იძულების ზომებს სამართალდარღვევის შემთხვევაში ისინი განსაზღვრავენ ასევე სასჯელისაგან განთავისუფლების წესსა და პირობებს;²³¹

დეკლარაციული ნორმები- შეიცავენ პროგრამული ხასიათის დებულებებს, განსაზღვრავენ ცალკეული სახის საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების ამოცანებს;

დეფინიციური ნორმები- აყალიბებენ ამა თუ იმ სამართლებრივი მოვლენისა და კატეგორიის განსაზღვრებას;

იმპერატიული ნორმები-ადგენენ ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის, მისი მოქმედების შეწყვეტის თარიღებს და ა.შ;

²²⁹ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.184

²³⁰ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ. 204

²³¹ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.184

კოლიზიური ნორმები-მონოდებულება თავიდან აიცილოს სამართლებრივ მოთხოვნებს შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობები.²³²

ამის გარდა, სამართლებრივი მონესრიგების მიხედვით გამოიყოფა: დისპოზიციური, სარეკომენდაციო ნორმები. ასევე, დროის მიხედვით: არსებობს სამართლის მუდმივი და დროებითი ნორმები.

სამართლის ნორმების იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, პირობითად, ისინი შეიძლება დავყოთ: სოციალურ და ტექნიკურ ნორმებად.

აღსანიშნავია, რომ სამართლის ნორმა სოციალური ნორმის ერთ-ერთი სახეა. სამართლის გარდა, სოციალური ნორმების სისტემა მოიცავს მორალს, ჩვეულებას, მოდას და სხვ. სოციალური ნორმა აწესრიგებს ურთიერთობას ინდივიდებს, ასევე, ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფს შორის.

ქართული სამართალი ტექნიკური ნორმის ლეგალურ დეფინიციას არ იცნობს. ტექნიკურ ნორმას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:²³³ 1) ტექნიკური ნორმა არის წერილობითი დოკუმენტი ამა თუ იმ განსაზღვრული ამოცანების ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ, 2) ტექნიკური ნორმის შემუშავებაში მონაწილეობენ დაინტერესებული წრეების-მეწარმეთა, მომხმარებელთა, მეცნიერების, ექსპერტების და სხვათა წარმომადგენლები, 3) ტექნიკური ნორმა ორიენტირებულია მაქსიმალურ კონსესუსზე, 4) ტექნიკურ ნორმას დებულებებს განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე ორგანო, 5) ტექნიკური ნორმა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია, 6) ტექნიკური ნორმა ადგენს ზოგადი და მრავალჯერადი გამოყენების წესს და ტექნიკურ ნორმას

²³² გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ. 205

²³³ გ. ხუბუა; სამართლის თეორია; თბ., 2015; 66

იურიდიულად სავალდებულო ძალა არ აქვს, 8) ტექნიკური ნორმა ეფუძნება მეცნიერების, ტექნიკისა და პრაქტიკის გამოცდილებას.

7.2. სამართლის ნორმის სტრუქტურა

სამართლის ნორმის შინაარსის სრულყოფილად ახსნისა და პრაქტიკაში მისი სწორად გამოყენებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ მისი სტრუქტურა.

ნორმატიული აქტების იურიდიული ანალიზი, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი სამართლებრივი საქმიანობისას, გულისხმობს ყოველი იურიდიული ნორმის აზრის სწორ გარკვევას,²³⁴ სწორედ ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის ნორმის სტრუქტურის ცოდნას. სამართლის ნორმის შინაგან აგებულებას, მისი შემადგენელი ელემენტების ლოგიკურ წყობასა და ურთიერთკავშირს სტრუქტურა ეწოდება.²³⁵ სამართლის ნორმის სტრუქტურაში ერთიმეორისაგან განსხვავებულ ჰიპოთეზას, დისპოზიციასა და სანქციას.

ჰიპოთეზა არის სამართლის ნორმის ის ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია მისი გამოყენების პირობები და გარემოებები, რომელთა დადგომის შემთხვევაში იწყებს მოქმედებას ქცევის წესი.²³⁶ ჰიპოთეზა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფაქტორებში, კერძოდ, ასეთი შეიძლება იყოს სამართლის ნორმის ძალაში შესვლის დრო, პიროვნების განსაზღვრული ასაკის მიღწევა, ამა თუ იმ მოვლენის დადგომის დრო, ადგილი და ა.შ. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად: „სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს“. აქ ჰიპოთეზას წარმოადგენს პირის

²³⁴ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები, თბ., 2013, გვ.46

²³⁵ გ.ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.272

²³⁶ ბ. სავანელი, სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2007, გვ.18

სრულწლოვანების ფაქტი.²³⁷ სირთულის მიხედვით არსებობს მარტივი, რთული, ალტერნატიული,²³⁸ ზოგადი, კონკრეტული²³⁹ ასევე, ჰიპოთეზა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი.²⁴⁰

დისპოზიცია არის სამართლის ნორმის ის ნაწილი, რომელშიც ჩამოყალიბებულია თავად ქცევის წესი, ესე იგი, მითითებულია იმ უფლება-მოვალეობებზე, რომლებიც წარმოიშობა იმ ფაქტობრივი გარემოების შემთხვევაში, რომელიც გათვალისწინებულია ჰიპოთეზით.²⁴¹ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დისპოზიცია შეიცავს თვით ქცევის წესს, რომლის თანახმად უნდა მოქმედებდნენ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი.²⁴² იურიდიული ნორმის დისპოზიცია არის მარტივი, აღწერილობითი, ალტერნატიული, დამონმებითი, ბლანკეტური.²⁴³ სანქცია ეწოდება ნორმის იმ ნაწილს, რომელშიც მითითებულია, თუ რა შედეგი მოჰყვება ნორმის შეუსრულებლობას, მის დისპოზიციაში აღნიშნული მოთხოვნის დარღვევას, ე.ი გამოსატყულები იძულებითი ხასიათის ღონისძიებანი, რომლებითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლის ნორმის განხორციელებას.²⁴⁴ უფრო ზუსტად, საუბარია იმ კონკრეტული ნორმის ნაწილზე, რომელშიც მითითებულია, თუ რა სახის იძულებითი ღონისძიება შეიძლება გამოვიყენოთ.²⁴⁵

სანქცია-საზოგადოდ ეს არის ადამიანის მოქმედების ნორ-

²³⁷ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.190

²³⁸ ბ. სავანელი; სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2007; გვ.18

²³⁹ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.191

²⁴⁰ ა.ა. ივანოვი. ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.95

²⁴¹ ბ. სავანელი; სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2007; გვ.19

²⁴² გ.ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.273

²⁴³ ა.ა. ივანოვი. ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.97

²⁴⁴ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2011; გვ.148

²⁴⁵ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ.210

მატიულად განსაზღვრული შედეგი და ასეთი შედეგი შეიძლება იყოს როგორც ფორმალური, ასევე, არაფორმალური.²⁴⁶

სანქცია მრავალი სახისაა: სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, შედარებით განსაზღვრული, ალტერნატიული, კუმულაციური, მითითებითი.²⁴⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ: სამართლებრივი ნორმის სტრუქტურა არის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული ურთიერთობებით განპირობებული აგებულება, რომელიც გულისხმობს ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი ელემენტების არსებობას და რეალურად აისახება სამართლებრივ აქტებში.

საკონტროლო კითხვები:

1. როგორია სამართლის ნორმის დეფინიცია?
2. რას ნიშნავს ნორმა?
3. როგორია სამართლის ნორმის სტრუქტურა?
4. რას ნიშნავს ჰიპოთეზა?
5. რას ნიშნავს დისპოზიცია?
6. რას ნიშნავს სანქცია?
7. ჩამოთვალეთ სანქციის სახეები.

²⁴⁶ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.96

²⁴⁷ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.192

თავი მერვე

სამართლის წყაროს ცნება და სახეები

8.1. სამართლის წყაროს ცნება და სახეები

ტერმინი „სამართლის წყარო“ მოდის ძველი რომაელი იურისტებისაგან, რომლებიც იზიარებდნენ „სახელმწიფოს ძალას“, როგორც სამართლის წყაროს.²⁴⁸ თანამედროვე იურისპრუდენციაში ტერმინი „სამართლის წყარო“ ასრულებს ორგვარ ფუნქციას. ერთი მხრივ, იგი საშუალებას იძლევა სამართალი განსხვავებული იქნეს სხვა სოციალური რეგულატორებისაგან, მეორე მხრივ, ეს ტერმინი განსაზღვრავს სამართლის სისტემაში სამართლის წყაროს ადგილს მისი იურიდიული ძალის შესაბამისად.²⁴⁹ ზოგადად, სამართლის წყაროებად მიიჩნევენ ზოგადი ხასიათის ნორმატიულ წარმონაქმნებს, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან სამართლის სხეულს „კვებავენ“ სამართალს.²⁵⁰

როდესაც სამართლის წყაროებზე საუბრობენ, მხედველობაშია სამართლის წარმოშობის და მოქმედების მასაზრდოებელი ფაქტორები. იგულისხმება ის პროცესები, რამაც დასაბამი მისცა სახელმწიფოს მიერ დანესებულ ნორმატიულ მითითებებს ან ქცევის საყოველთაო წესებს.²⁵¹

თავის მხრივ, სამართლის წყარო არის სამართლის ნორმის გამოხატვისა და განმტკიცების საშუალება, რომელიც მას აძლევს ზოგადსაველდებულო, საჯარო ხასიათს.²⁵² ამრიგად,

²⁴⁸ გ. ლობჟანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ. 279-280

²⁴⁹ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.197

²⁵⁰ ბ. სავანელი; სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2007; გვ.28

²⁵¹ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.698

²⁵² თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.197

სამართლის წყაროები წარმოადგენენ იმ სპეციფიკურ ფორმებს, რომლებშიც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლებრივ ნორმებს.²⁵³ ტერმინ „სამართლის წყაროს“ სხვა აზრობრივი მნიშვნელობაც აქვს. იურიდიულ ლიტერატურაში მას „სოციოლოგიურ წყაროს“ უწოდებენ იურიდიული წყაროსაგან განსხვავებით: „სოციოლოგიური წყარო ეწოდება რეალური სინამდვილის იმ ფაქტებს, რომელთა გავლენით ყალიბდება სამართალი“.²⁵⁴

სხვადასხვა ქვეყანაში სამართლის ცალკეული ფორმები (წყაროები) სჭარბობს: სამართლებრივი ჩვეულება, სასამართლო ან ადმინისტრაციული პრეცედენტები, სამართლებრივი დოქტრინა, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, ნორმატიული ხელშეკრულება.²⁵⁵

შესაბამისად, სამართლის იურიდიული წყარო მოიცავს²⁵⁶:

- სახელმწიფო ხელისუფლების ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს ანუ პოზიტიურ კანონმდებლობას;
- სამართლებრივ ჩვეულებას;
- სამართლებრივ ხელშეკრულებას;
- „სამოსამართლო სამართალს“ (სასამართლო პრეცედენტი);
- „იურისტების სამართალი“ (იურიდიული სამეცნიერო ლიტერატურა);
- მართლშეგნებას.

როგორც უკვე აღინიშნა, სამართლის წყაროები-ეს არის სამართლის ნორმების ოფიციალური გამოხატვისა და განმტკიცების საშუალებები მათთვის ზოგადსავალდებულო იურიდ-

²⁵³ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2003; გვ.171

²⁵⁴ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.197

²⁵⁵ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.70

²⁵⁶ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.197

იული ძალის მინიჭების მიზნით.²⁵⁷ შესაბამისად, სამართალს თავისი გარეგანი გამოხატულების ფორმები აქვს და სწორედ ასეთ ფორმებს მიიჩნევენ სამართლის წყაროებად.

8.2. ჩვეულებითი სამართალი

სამართლის უძველეს წყაროს წარმოადგენს სამართლებრივი წეს-ჩვეულება.²⁵⁸ ისტორიულად იგი წინ უსწრებს სამართლის სხვა ფორმებს და სამართლის თავდაპირველ წყაროდ მიიჩნევა. ჩვეულებას უწოდებენ ქცევის წესს, რომელიც საზოგადოებაში მკვიდრდება ხანგრძლივი და მრავალგზისი გამოყენების შედეგად, მას ადამიანები ასრულებენ გამომუშავებული ჩვეულების გამო.²⁵⁹ საზოგადოების წევრები ერთმანეთს შორის ურთიერთობის დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას უნებურად აღიარებენ, როგორც ყველასათვის სავალდებულო ქცევის წესს.²⁶⁰

ამჟამად საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგლამენტაციის პროცესში სამართლებრივი წეს-ჩვეულებები მოკრძალებულ, დამხმარე როლს ასრულებს. ზოგიერთი წეს-ჩვეულებების მიმართ საქართველო გულგრილია, მაგრამ ზოგიერთი მათგანი დაფიქსირებულია მის ნორმებში,²⁶¹ მაგალითად, უხუცესი დეპუტატების მიერ ახალი მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის გახსნა, პრეზიდენტის ფიცის დადების რიტუალი და სხვ.

²⁵⁷ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; 2013; თბ., გვ.48

²⁵⁸ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ.281

²⁵⁹ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.200

²⁶⁰ ბ. სავანელი; სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2007; გვ.33

²⁶¹ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ. 70

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლებრივი ჩვეულება დახასიათებულია როგორც ისეთი ქცევის წესი, რომელიც გარკვეულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. გ.შერშენევიჩის აზრით, სამართლებრივი ჩვეულება ისეთი კატეგორიაა, რომელიც:

– უნდა შეიცავდეს ნორმებს, რომლებიც დაფუძნებული იქნება „სამართლებრივ რწმენაზე“.

– არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გონიერებას;

– არ უნდა არღვევდეს კეთილ ჩვევებს;

– ერთდროულად უნდა ეფუძნებოდეს მართლშენგებას და ხალხის რწმენას.

ძველ სახელმწიფოებში სამართლებრივ ჩვეულებებს წამყვანი როლი ჰქონდათ სამართლის წყაროებს შორის. რომში სწორედ სამართლებრივი ჩვეულებებიდან ჩამოყალიბდა სამართლის მნიშვნელოვანი დარგები და ინსტიტუტები.²⁶²

რომის სამართლის მკვლევარები მიუთითებენ, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში რომი არ ცნობდა დაწერილ კანონებს და არც იყო ამის აუცილებლობა. ისეთი ისტორიული ძეგლი, როგორიცაა „თორმეტი ტაბულის კანონები“ არსებითად ჩვეულებითი სამართლის კოდიფიკაცია იყო.

საგულისხმოა, რომ, ამავე დროს, ჩვეულებითი სამართალი ყალიბდება და მოქმედებს არა მარტო პრიმიტიულ, არამედ განვითარებულ კულტურებშიც. ჩვეულებითი სამართლის ჩამოყალიბების ზუსტი დროის დადგენა შეუძლებელია, რადგანაც იგი არის არა სამართალშემოქმედების აქტი, არამედ განვითარების შედეგი. ჩვეულებითი სამართალი ყალიბდება, მაგრამ არ იქმნება, თუმცა, გარკვეული აზრით, ჩვეულებაც განსაზღვრული სოციალური ჯგუფის წევრების მიერ იქმნება.²⁶³ როგორც წესი, ჩვეულება სამართლისგან განსხვავებით ანონიმურად ყალიბდება.

²⁶² თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.200-201

²⁶³ გ. ხუბუა; სამართლის თეორია; თბ., 2015; გვ.158

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით ჩვეულებითი სამართლის დიდება პოზიტიურმა სამართალმა მოიპოვა, მას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ჩვეულებითი სამართალი მაინც რჩება სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლის წყაროდ.

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებით მას არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის მეორე მუხლი განსაზღვრავს, რომ „ჩვეულებების გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და საჯარო წესრიგს.“²⁶⁴

8.3. სამოსამართლო სამართალი

სამოსამართლო სამართალი იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე, მოიხსენიება როგორც პრეცედენტების სამართალი და იგი წარმოადგენს სამართლის წყაროს ორიგინალურ და, ამავდროს, დამოუკიდებელ წყაროს. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია გავანაალიზოთ და ჩამოვაცალიბოთ სამართლის პრეცედენტების როლი სამართლის წყაროებთან მიმართებით.

სასამართლო პრეცედენტი სამართლის ორიგინალური და დინამიკური წყაროა²⁶⁵ მისი არსი ისაა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას ყოველ კონკრეტულ საქმეზე ნორმატიული ხასიათი მიანიჭოს,²⁶⁶ ანუ ეს არის კონკრეტულ სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილება, რომელიც ნიმუში გახდა მომავალში ანალოგიური საქმეების გადაწყვეტისათვის.²⁶⁷

²⁶⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კოდიციფირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 2, ნაწილი 4

²⁶⁵ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.202

²⁶⁶ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ.281

²⁶⁷ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.72

აქვე უნდა გავანალიზოთ, თუ რა არის პრეცედენტი და რამდენი სახის შეიძლება იყოს იგი. პრეცედენტი ეს არის შემთხვევა, ნიმუში, რომლის გამოყენება სხვა შემთხვევებშიც შესაძლებელი იქნება. გამოყოფენ ორი სახის პრეცედენტს: სასამართლო და ადმინისტრაციულს. სასამართლო პრეცედენტები მიიღება სასამართლო ხელისუფლების მიერ, ხოლო ადმინისტრაციული პრეცედენტი არის სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანოს ესა თუ ის გადაწყვეტილება. პრეცედენტი, როგორც სამართლის წყარო ცნობილი იყო ადრეულ პერიოდში რომში, სადაც პრეცედენტებს წარმოადგენდნენ კონკრეტულ საქმეზე პრეტოსი და სხვა მაგისტრის გადაწყვეტილებანი თუ ზეპირი განცხადებები.²⁶⁸

პრეცედენტები თავის თავში მოიაზრებს მოსამართლის განსაკუთრებულ როლს, ამიტომაც მოიხსენიებენ მას როგორც სამოსამართლო სამართალს. ვინაიდან, კანონი ვერ გაითვალისწინებს ყველა სამომავლო შემთხვევას, კანონის ტექსტი კი, როგორც წესი, აბსტრაქტულია და ზოგ შემთხვევაში საჭიროებს დამატებით განმარტებას, მოსამართლეს უწევს მოაწესრიგოს ისეთი ურთიერთობა ან ურთიერთობის სახე, რომელიც არ ან ვერ წესრიგდება სამართლის კონკრეტული ნორმით ან ნორმებით.

თავის მხრივ, პრეცედენტული, ანუ სამოსამართლო სამართალი სხვა არაფერია, თუ არა სამართლის შეფარდების აქტი, პრაქტიკული მნიშვნელობა სასამართლო გადაწყვეტილებას აქვს საკანონმდებლო ხარვეზის შევსებისას.²⁶⁹ უნდა ვიცოდეთ: ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, კონტინენტურ ევროპაში აღიარებულია, რომ სასამართლო ხელისუფლებას არ შეუძლია განახორციელოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა. ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში

²⁶⁸ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.203

²⁶⁹ გ. ხუბუა; სამართლის თეორია; თბ., 2015; გვ.161

გავრცელებული შეხედულების თანახმად, სამართალი არის ის, რასაც ასეთად მიიჩნევს მოსამართლე. მსგავს თეორიას ავითარებს ე.წ. სამართლებრივი რეალიზმი და ნორმათა სუბიექტივიზმი. ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში მართლმსაჯულება, ამავდროულად, განიხილება როგორც სასამართლოს ცალკეული გადაწყვეტილებების ერთობლიობა. სასამართლო გადაწყვეტილებებს ქვეყნებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმდენად, რამდენადაც არ მოქმედებს კოდიფიცირებული სამართალი.²⁷⁰

შესაბამისად, გასათვალისწინებელია ის, რომ საქართველოსთვის, რომელიც განეკუთვნება რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახს, სასამართლო პრეცედენტები ვერ იქნება სამართლის წყარო. მით უფრო, რომ მართლმსაჯულება საქართველოში ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ კანონის საფუძველზე. აღნიშნულს განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციის ის დებულება, რომლის თანახმადაც: „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს“.²⁷¹ ამიტომაც, უნდა გვესმოდეს, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობა გამოიხატება იმაში, რომ შესძლოს ნორმის დამოუკიდებლად განმარტება, იგი ვერ იქნება ვალდებული დაეყრდნოს სხვა მოსამართლეთა გადაწყვეტილებებს ან გაითვალისწინოს.

8.4. იურისტების სამართალი

იურისტების სამართალი-ეს არის საყოველთაოდ აღიარებული იდეებისა და ღირებულებების გამოხატულება, რომელშიც

²⁷⁰იქვე

²⁷¹ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 63

იგულისხმება სამართლებრივი დოქტრინები, ავტორიტეტული სწავლულების შეხედულებანი სამართლებრივ საკითხებზე. იურისტების აზრი სამართლის მნიშვნელოვანი წყარო იყო ძველ რომში. იგი ითვლებოდა პოზიტიური სამართლის შემადგენელ ნაწილად.²⁷² ძველ რომში ყოველნაირი საქმე, თანამდებობის პირების ნორმატიული თუ ინდვიდუალურ-სამართლებრივი გადანყვეტილება, შეიძლება განმარტებული ყოფილიყო გამოჩენილი მეცნიერ-იურისტების მიერ. ამასთან, კანონიც კი მოქმედებდა, რათა მოსამართლეებსა და მოსარჩელის სხვა წარმომადგენლებს გაურკვეველ და სადავო შემთხვევებში აუცილებლად გაეთვალისწინებინათ ყველაზე გამოჩენილი მეცნიერ-იურისტების შრომების დებულებები-პაპიანიანის, გაიას, უპლიანესა და მოდესტრინის.²⁷³

„იურისტების სამართალი“ ეწოდებოდა სწავლული იურისტების ან სამართალმცოდნეთა გარკვეული ჯგუფის მიერ განვითარებული შეხედულებების ერთობლიობას. შუა საუკუნეების ევროპულ უნივერსიტეტში სწავლულ იურისტთა შეხედულებებს ე.წ. კანონის ძალა ჰქონდათ.²⁷⁴ იურისტების სამართლის თანამედროვე ნათელი მაგალითია სპეციალური ლიტერატურის, კომენტარების, სტატიების, სახელმძღვანელოების გავლენა სამართლებრივ ნორმებზე. რასაკვირველია, ამ შეხედულებებს არ აქვს ნორმატიული მნიშვნელობა, მაგრამ იურისტები მასზე არიან ორიენტირებული პრაქტიკული პრობლემების გადანყვეტას.

რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახში სამართლის ძირითადი წყარო დიდი ხნის განმავლობაში დოქტინა იყო. დოქტრინის გამოყენება სასამართლო გადანყვეტილების საფუძვ-

²⁷² თ.ალფაიძე, სამართალმცოდნეობის შესავალი, თბ., 2015, გვ.206

²⁷³ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.73

²⁷⁴ გ. ხუბუა; სამართლის თეორია; თბ., 2015; გვ.168

ლად გულისხმობს, რომ საქმის განხილვის დროს არ არსებობს შესაბამისი კანონი, სასამართლო პრეცედენტი და ჩვეულებით სამართლის ნორმა.²⁷⁵

უდავოდ უნდა დავეთანხმოთ ა.ივანოვს და დავასკვნათ, რომ სამართლებრივი დოქტრინა გაგებულია, როგორც ამა თუ იმ სამართლებრივი საკითხების მიხედვით თავის სამეცნიერო სპეციალიზაციაში ყველაზე ცნობილი და აღიარებული მეცნიერ-იურისტების მიერ შრომებში გამოთქმული და გარკვეული პრაქტიკული საკითხების გადაჭრის დროს გამოყენებული აზრები.²⁷⁶

იურისტების დოქტრინის გამოყენების ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ, თუმცა კი ვერ ვაღწევთ ფორმალურ სამართლიანობას, მაგრამ ხდება მსგავსი შემთხვევების მსგავსად და თანაბრად განხილვა.

8.5 ხელშეკრულება, როგორც სამართლის წყარო

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოგანხილულ სამართლის წყაროებს თავისი მნიშვნელობით აღემატება ნორმატიული ხელშეკრულება, როგორც სამართლის წყარო. პრაქტიკაში ნორმატიულ-სამართლებრივი ხელშეკრულება სხვა არაფერია, თუ არა შეთანხმება სამართლის ორ ან რამდენიმე სუბიექტებს შორის, რომლებიც ვალდებულებების აღების მეშვეობით წყვეტენ სხვადასხვა სახის ურთიერთობებს და განსაზღვრავენ გარკვეულ პირობებს.

ნორმატიული ხელშეკრულება სამართლის წყაროს თვისებით ძირითადად სამ სფეროში გამოიყენება: კონსტიტუციურ

²⁷⁵ თ.აღფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.206

²⁷⁶ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.73

სამართალში, საერთაშორისო საჯარო სამართალსა და შრომის სამართალში.²⁷⁷

ნორმატიული ხელშეკრულებები ყველაზე მეტად დამახასიათებელია საერთაშორისო საზოგადოებრივი და ეროვნული სახელმწიფო სამართლისთვის. აქ ის ასრულებს სამართლის უმნიშვნელოვანესი ფორმის როლს. ეს არის სახელმწიფოებს ან საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტებს შორის სხვადასხვა სახის შეთანხმება. შიდასახელმწიფოებრივი ხელშეკრულებები, აღმასრულებელი ხელისუფლების და რეგიონულ ორგანოებს შორის ხელშეკრულებები და ა.შ.²⁷⁸

საგულისხმოა ისიც, რომ სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შიდასახელმწიფოებრივი ნორმების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა. რაც იმას ნიშნავს, რომ შიდასამართლებრივი აქტი არ შეიძლება პირდაპირ ან თუნდაც ირიბად ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო ხელშეკრულებას. ამას კიდევაც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების უპირატესობას შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, იმ შემთხვევაში თუკი იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და, ასევე, კონსტიტუციურ შეთანხმებას.

8.6. პოზიტიური კანონმდებლობა

პოზიტიურ კანონმდებლობაში იგულისხმება სახელმწიფოში მოქმედი სამართალი, მისი კონკრეტულად განსაზღვრული

²⁷⁷ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ. 207

²⁷⁸ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ. 73

შინაარსითა და ფორმით, როგორც ადამიანთა ქცევებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ქცევის წესების ერთობლიობა.²⁷⁹

შესაბამისად, პოზიტიური კანონმდებლობა, როგორც წყარო აღიარებულია ნორმატიული აქტების სახით სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირების მიერ გამოცემული ყველა წერილობითი აქტით. ამ ნორმატიული აქტებიდან კი ყველაზე უმნიშვნელოვანეს წყაროდ მიჩნეულია კანონი, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტი. ასეთ უმთავრეს აქტად, და, მაშასადამე, კანონის უპირველეს წყაროდ კი მიჩნეულია კონსტიტუცია, ანუ სახელმწიფოს უზენაესი კანონი.

სამართლებრივ სისტემაში სამართლის ცალკეული ნორმები დალაგებულია იმ დარგების მიხედვით, რომელ სამართლებრივ ურთიერთობებსაც აწესრიგებენ ისინი. კერძოდ: შრომის ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლის ნორმები თავმოყრილია საქართველოს შრომის კანონმდებლობაში და ეს უკანასკნელი; სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებთან ერთად-სამოქალაქო კოდექსში; დანაშაულისა და მისი შემადგენლობის ამსახველი ცალკეული ნორმები-სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილში და სხვ.²⁸⁰

“კანონის” ცნება მრავალზომიერია, ზოგჯერ კანონს განიხილავენ ძალიან ფართო აზრით, როგორც თვით სამართლის ან კანონმდებლობის სინონიმს, ასევე, კანონს უწოდებენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებულ ნორმატიულ აქტს, რომელიც შეეხება ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და საგარეო ურთიერთ-

²⁷⁹ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ. 209

²⁸⁰ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.230

ბების უმნიშვნელოვანეს საკითხებს.²⁸¹

კანონსა და მასთან დაკავშირებულ ძირეულ საკითხებს განვიხილავთ მომდევნო თავში, როდესაც შევეხებით ნორმატიული აქტის ცნებას, ნიშნებსა და სახეებს.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ნიშნავს ტერმინი "სამართლის წყარო"?
2. რას ნიშნავს წეს-ჩვეულება?
3. როგორ ყალიბდება ჩვეულებითი სამართალი?
4. რას გულისხმობს სამოსამართლო სამართალი?
5. რას ეწოდება "იურისტების სამართალი".

²⁸¹ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2011; გვ.171

თავი მეცხრა

ნორმატიული აქტის ცნება,

ნიშნები და სახეები

9.1 ნორმატიული აქტის ცნება და სახეები

ნორმატიულ-სამართლებრივ აქტს დომინირებული ადგილი უჭირავს თანამედროვე სამართლის წყაროების სისტემაში. ნორმატიული სამართლებრივი აქტი არის სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოს მიერ წერილობითი ფორმით მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს სამართლის ნორმას. მასში არის გამოსატული სამართლის ნორმების უმრავლესობა, რომლებიც არეგულირებენ უმთავრეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. სამართლის სხვა წყაროები რეგულირების ასეთი ხარისხით ვერ სარგებლობენ. ისინი ასრულებენ ნაწილობრივ, დამხმარე ან დამატებით როლს საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირებაში. იურიდიული ნორმების გამოსატვას ჩვეულებაში, პრეცედენტში, სასამართლო პრაქტიკაში აქვს კაზუსტური და არაგანსაზღვრული ხასიათი.²⁸²

როგორც უკვე აღინიშნა, ნორმატიული აქტი არის სამართალშემოქმედი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ სათანადო წესის დაცვით დადგენილი პოზიტიური სამართლის ნორმა, რომელსაც აქვს ოფიციალური დოკუმენტის ფორმა და შეიცავს ქცევის ზოგად წესს.²⁸³ შესაბამისად, სამართლის თეორიაში ქვეყანაში მოქმედ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მთელ ერთობლიობას კანონმდებლობა ეწოდება,²⁸⁴ კანონმდე-

²⁸² თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.230

²⁸³ ბ. სავანელი; სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2007; გვ.189

²⁸⁴ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ. 76

ბლობის სისტემას აქვს ჰორიზონტალური და ვერტიკალური სტრუქტურა.²⁸⁵

რასაკვირველია, ნორმატიული სამართლებრივი აქტი მიიღება უფლებამოსილი ორგანოს მიერ და შეიცვავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის წესს. ნორმატიულ აქტს ახასიათებს შემდეგი ნიშნები²⁸⁶:

- გამოცემულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ;
- ნორმატიული აქტი მიღებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით-პროცედურული წესების დარღვევით მიღებულ აქტს იურიდიული ძალა არ აქვს;
- ნორმატიული აქტი განსაზღვრავს შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესს;
- ნორმატიული აქტის ადრესატია სუბიექტთა განუსაზღვრელი წრე;
- ნორმატიული აქტი ადგენს მრავალჯერადი ქცევის წესს.

ნორმატიული აქტი ყოველთვის ეხება პირთა ფართო წრეს, ხოლო, რაც შეეხება ინდივიდუალურ აქტს იგი გათვალისწინებულია კონკრეტულად განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

სავალდებულოა განვიხილოთ, თუ რას გულისხმობს კანონმდებლობის სისტემის ჰორიზონტალური და ვერტიკალური სტრუქტურა.

ჰორიზონტალური სტრუქტურა გულისხმობს ნორმატიული აქტების დაყოფას სამართლისა და კანონმდებლობის დარგების მიხედვით. შესაბამისად, ისინი განსხვავებული არიან შინაარსობრივად. ამ თვალსაზრისით არსებობს: კონსტიტუციური, სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული, შრომის სამართლებრივი აქტები და ა.შ. დარგობრივ ნორმატიულ აქტებთან ერთად მოქმედებენ კომპლექსური ხასიათის აქტები.

ვერტიკალური სტრუქტურა გულისხმობს ნორმატიული

²⁸⁵ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.234

²⁸⁶ გ. ხუბუა; სამართლის თეორია; თბ., 2015; გვ.170

ქტების დაყოფას იურიდიული ძალის შესაბამისად. ამ თვალსაზრისით ნორმატიული აქტები იყოფიან ორ დიდ ჯგუფად: კანონებად და კანოქვემდებარე აქტებად.²⁸⁷

9.2. ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და იერარქია

ყველა კანონი მკაცრად იერარქიულია, ამიტომ სახელმწიფოში ისინი განსაკუთრებული პირამიდის სახით გვევლინება,²⁸⁸ ასევე, ნორმატიული აქტების ერარქიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამართალშემოქმედებისა და კანონიერების რეჟიმის განმტკიცებისათვის.²⁸⁹

აღნიშნული იერარქია განსაზღვრულია კონსტიტუციითა და კანონით ნორმატიული აქტების შესახებ. საქართველოში დადგენილი ნორმატიული აქტების იერარქია შემდეგნაირად გამოიყურება:

- ა) საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი;
- ბ) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება;
- გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;
- დ) საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი;
- ე) საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

სახელმწიფოში მოქმედ სხვა სამართლებრივ აქტებთან შედარებით კანონს აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა. სხვა

²⁸⁷ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ. 234

²⁸⁸ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ. 76

²⁸⁹ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ. 234

კანონქვემდებარე აქტებისაგან განსხვავებით, მისი მიღების წესიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ, საქართველოში კანონი რომ მიღებულ იქნეს, მან აუცილებლად უნდა გაიაროს შემდეგი მოსამზადებელი საფეხურები:

- 1) კანონპროექტის მომზადება;
- 2) კანონპროექტის შეტანა;
- 3) კანონპროექტის განხილვა;
- 4) კანონპროექტის დამტკიცება, ანუ მიღება;
- 5) კანონის გამოქვეყნება.

კანონის გარდა, სამართლის წყაროდ მიჩნეულია აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტები, რომლებსაც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები.²⁹⁰

სამართლის ნორმების ასეთ დალაგებას სამართლის ცალკეულ დარგებად, მიღებულია ვუწოდოთ სამართლის სისტემა.

სამართლის სისტემაში გარკვეული ადგილი უკავია ნორმატიული აქტების სისტემატიზაციას, ანუ იმ წერილობითი ნორმატიული აქტების დალაგებასა და დაჯგუფებას წინასწარ შემუშავებული ერთიანი პრინციპით.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სისტემატიზაცია-ეს არის სამართლებრივი ნორმების მოწესრიგებისა და სრულყოფისაკენ მიმართული საქმიანობა, დამუშავება, მათი ერთიან შეთანხმებულ სისტემაში მოყვანა.²⁹¹

ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია წარმოებს ინკორპორაციისა და კოდიფიკაციის გზით. ნორმატიული აქტების დალაგებასა და გაერთიანებას ქრონოლოგიური ანბანური, დარგობრივი ან სხვა რაიმე ერთიანი გარეგანი ნიშნებით, რომელთა საფუძველზეც იქმნება სხვადასხვა სახის კრებულები და სხვ.,

²⁹⁰ შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.230

²⁹¹ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2011; გვ.171

მიღებულია ვუნოდოთ სისტემატიზაცია ინკორპორაციული წესით.²⁹²

რაც შეეხება სისტემატიზაციის მეორე სახეს, იგი მოიცავს ნორმატიული მასალის როგორც გარეგანი, ისე მის შინაგან არსებითად დამუშავების მთელ პროცესს, რომლის შედეგადაც იქმნება ახალი საკანონმდებლო აქტი კოდექსის სახით, და რომელსაც საფუძვლად ედება დარგობრივი პრინციპი.²⁹³ სწორედ ამ პრინციპითაა შემუშავებული და შედგენილი საქართველოში მოქმედი ისეთი კოდექსები, როგორიცაა: სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვ.

9.3 ნორმატიული აქტის მოქმედების ფარგლები

ნორმატიული აქტების მოქმედება განისაზღვრება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების დროში მოქმედების ფარგლები მათი მოქმედების დაწყებითა და დასრულების მომენტით გამოიხატება. მსგავსი აქტები ძალაშია გამოქვეყნების დღიდან, დროიდან, რომელიც სპეციალურად არის მითითებული ან გარკვეული ვადის შემდეგ.

ნორმატიული აქტების დროში მოქმედების შეწყვეტა დაკავშირებულია შემდეგ პირობებთან²⁹⁴: დადგენილი ვადის გასვლასთან, აქტის გაუქმების მომენტთან ან აქტის ახალი აქტივით შეცვლასთან.

ნორმატიულ-სამართლებრივ აქტს არა აქვს უკუქცევითი ძალა. ნორმატიული დოკუმენტი მოქმედებს მხოლოდ იმ გარემოებებისა და შემთხვევების მიმართ, რომლებიც წარმოიქმნენ

²⁹² შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.231

²⁹³ იქვე

²⁹⁴ ბ. სავანელი; სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2007; გვ.201

მისი მოქმედებაში შესვლის შემდეგ.²⁹⁵ გამონაკლისს წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონმდებობა, რომელშიც ჰუმანური მოტივების გამო მოქმედებს წესი: „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუძალა, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს უკუძალა არა აქვს. თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს, ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს მას სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში.²⁹⁶ კანონის უკუძალის აკრძალვა სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მოთხოვნაა.²⁹⁷

ნორმატიული აქტის სივრცეში მოქმედება დაკავშირებულია სახელმწიფოს ტერიტორიის ცნებასთან, რაც გულისხმობს იმას, რომ ნორმატიული აქტი მოქმედებს იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ვრცელდება ამ აქტის გამომცემი სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილება და კომპეტენცია.²⁹⁸

იურიდიული გაგებით „ტერიტორიაში“ იგულისხმება ქვეყნის სახმელეთო ნაწილი, წიაღისეული და კონტინენტური შელფი, მიწისქვეშა სივრცე, ტერიტორიული ანუ შიდა წყლები, საჰაერო სივრცე მიწისა და წყლის ზემოთ. სივრცეში ნორმატიული აქტის მოქმედების თვალსაზრისით, სახელმწიფოს ტერიტორიად ითვლება აგრეთვე მისი საელჩოს ტერიტორია უცხო სახელმწიფოში და სამხედრო ნაწილების განლაგების ტერიტორია, რაც უცხო სახელმწიფოს თანხმობით ხდება.²⁹⁹

რაც შეეხება ნორმატიული აქტის მოქმედებას პირთა წრის

²⁹⁵ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.302

²⁹⁶ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 3

²⁹⁷ გ. ხუბუა; სამართლის თეორია; თბ., 2015; გვ.179

²⁹⁸ ბ. სავანელი; სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2007; გვ.203

²⁹⁹ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.248

მიმართ, იგი გულისხმობს იმას, რომ კონკრეტული ნორმატიული აქტი, როგორც წესი, სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ნაწილზე მყოფ ყველა პირზე ვრცელდება. თუმცა ზოგიერთი ნორმატიული აქტი მკაცრად განსაზღვრული სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობის რეგულირებაზეა მიმართული.³⁰⁰ მაგალითად, ფიზიკური და იურიდიული პირები, მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და სხვ.

იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის ცნობილია ექსტერიტორიულობის პრინციპი, რომელიც არის იურიდიული ფიქცია, რომლის მიხედვით, სახელმწიფო ტერიტორიის გარკვეული ნაწილი (უცხოეთის საელჩოები, მისიების შენობები ან მათი სატრანსპორტო საშუალებები), აგრეთვე უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლები არ ითვლებიან იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ისინი ფიზიკურად იმყოფებიან.³⁰¹ ტერიტორიული უზენაესობიდან გარკვეულ გამონაკლისს ითვალისწინებს თავისუფალი სანაოსნო და საჰაერო მიმოსვლა.³⁰² კონსტიტუციური კანონები, მათში თუ არ არის დადგენილი რაიმე გარკვეული ვადა, ძალაში შედის მათი ოფიციალური გამოქვეყნების მომენტიდან ათი დღის შემდეგ.

ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტი მიღების თარიღად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის მიერ საბოლოო რედაქციით მიღების დღე. ასევე, აქტის მიღების თარიღად ჩაითვლება შესაბამისი უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ ხელმოწერის დღე.³⁰³

³⁰⁰ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ. 76

³⁰¹ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ.303

³⁰² გ. ხუბუა; სამართლის თეორია; თბ., 2015; გვ.181

³⁰³ საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, კოდიფიცირებული ვერ-

ის ფაქტი, რომ ნორმატიული აქტები, როგორც წესი, თავიანთ იურიდიულ ბუნებას ავლენენ კონკრეტულ სამართლებრივ სივრცეში, კონკრეტული პირთა წრის მიმართ და განსაზღვრულ დროში ნიშნავს იმას, რომ სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში უზრუნველყოფილია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მაქსიმალური დაცვა და განხორციელება.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი და რა ადგილი უჭირავს მას თანამედროვე სამართლის წყაროებში?
2. რა ნიშნები ახასიათებს ნორმატიულ აქტს?
3. რას ნიშნავს "ყველა კანონი მკაცრად იერარქიულია" და როგორია საქართველოში დადგენილი ნორმატიული აქტების იერარქია?
4. რა თავისებურებებით ხასიათდება კანონის მიღების წესი და რა მოსამზადებელი საფეხურები უნდა გაიაროს?
5. რა არის ნორმატიული-სამართლებრივი აქტების სისტემატიზაცია?
6. რა იგულისხმება ნორმატიული აქტის მოქმედების ფარგლების ქვეშ?
7. ნორმატიულ-სამართლებრივ აქტს აქვს თუ არა უკუქცევითი ძალა?

თავი მათა

სამართლმცოდნეობის ურთიერთობა

10.1. სამართლმცოდნეობის ურთიერთობის ცნება, ნიშნები და ელემენტები

როგორც აღვნიშნეთ, სამართალი არის სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ დადგენილი ქცევის წესების ისეთი ერთობლიობა, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია თვით სახელმწიფოს მიერ იძულების წესით.³⁰⁴ სახელმწიფოს მიერ დადგენილი ამ ქცევის სავალდებულო წესების პრაქტიკული რეალიზაცია ხდება, ასევე, სამართლებრივი ურთიერთობებით, რომელთა სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც მოქალაქე, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ძირითადად, იურიდიულ ლიტერატურაში სამართლებრივი ურთიერთობა განხილულია, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის შემადგენელი ნაწილი, რომლის მონაწილეები სამართლის ნორმის საფუძველზე გვევლინებიან უფლებებისა და მოვალეობების მატარებლად.³⁰⁵

საინტერესოა ის შეხედულება რომ „სამართალი არ არსებობს ისეთ სამყაროში, რომელშიც არ არსებობენ განვითარებული ფსიქიკის მქონე ცოცხალი ორგანიზმები. ხოლო ფსიქიკის განვითარების შესაბამის ეტაპზე. ცოცხალი ორგანიზმის ფსიქიკაში ჩნდება სხვადასხვაგვარი განცდები და ემოციები, მათ შორის უსამართლობისა და სამართლიანობის სუბიექტური აღქმა-გააზრება“.³⁰⁶

³⁰⁴ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.230

³⁰⁵ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ. 342

³⁰⁶ გ. თუმანიშვილი; სამართალი - ბუნებაში არსებული ფენომენი თუ ადამიანის მიერ შექმნილი სისტემა? სამართლის წარმოშობის ახლებური გააზ-

სამართალურთიერთობა- ეს არის სახელმწიფოს მიერ დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოიქმნება ადამიანთა ქცევაზე პოზიტიური სამართლის ნორმების ზემოქმედების შედეგად და ხასიათდება მის მონაწილეებში სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების არსებობით.³⁰⁷ სამართლებრივი ურთიერთობების სპეციფიკური თავისებურება ისაა, რომ მისი მონაწილენი გამოდიან სამართლის ნორმებით დადგენილ უფლებათა და მოვალეობათა მატარებლად.³⁰⁸ სამართლებრივი ურთიერთობა საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა. საზოგადოებრივი ურთიერთობა არის კავშირი ადამიანთა შორის, რომელიც მყარდება მათი საქმიანობის პროცესში.³⁰⁹

შესაბამისად, შეიძლება განვიხილოთ სამართლებრივი ურთიერთობის შემდეგი ნიშნები:

-სამართლებრივი ურთიერთობა აღმოცენდება განსაზღვრული იურიდიული ფაქტების საფუძველზე;

-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა კონკრეტულ პირებს, მხარეებს შორის;

-სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირებს გააჩნიათ, როგორც მოვალეობები ასევე უფლებები, მათი შესრულება კი ხორციელდება ნებაყოფლობით საკუთარი სურვილით ან სახელმწიფოებრივი იძულების მექანიზმების გამოყენებით.

ამ ნიშნების გამო განიხილავენ, რომ სამართლებრივი ურთიერთობა არის მატერიალური შინაარსისა და იურიდიული ფორმის ერთიანობა, რომელიც შემდეგ ყალიბდება სამართლებრივ

რების ასპექტში, იხ. GESJ: Education Science and Psychology 2016 | No.4(41), გვ.123

³⁰⁷ ა.ა. ივანოვი, ნ. დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.109

³⁰⁸ გ.ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011; გვ.194

³⁰⁹ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.275

ურთიერთობათა სისტემად, რომელსაც მართლწესრიგს ვუნოდებთ.³¹⁰

ამის გარდა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სამართლებრივ ურთიერთობას გააჩნია თავისი სტრუქტურა, რომელიც გულისხმობს მისი შემადგენელი ელემენტების ერთობლიობას, ესენია:³¹¹

- სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი;
- სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი;
- სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა სუბიექტური უფლებები და მოვალეობები;
- იურიდიული ფაქტები.

საგულისხმოა ისიც, რომ სამართალი (ნორმა) მხოლოდ მაშინ იღებს საგნობრივ შინაარსს, ე.ი. ემთხვევა თავის ბუნებრივ აზრს, როცა იგი უმთავრესად შესაბამისობაშია საზოგადოების განმსაზღვრელი ფენის მიზნებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოცემული ქცევის ზოგადი წესი ნორმატიული მსჯელობისაგან დამოუკიდებლად დაკარგავს სამართლის შინაარსს, ის ვერ გახდება საყოველთაოდ სავალდებულო და ამდენად, პოზიტიური სამართლის ნორმა, რეალიზაციის გარეშე დარჩება ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ დოქტრინულ დებულებად და მეტი არაფერი.³¹²

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იურიდიულ ლიტერატურაში სამართლებრივი ურთიერთობა განიხილება, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის კონკრეტული სახე, მაგრამ განსაზღვრულობის სხვადასხვა დონით.³¹³

მთლიანად სამართალურთიერთობების წინაპირობებად შეიძლება გამოვიდინენ: სამართლის ნორმები, რომლებიც საა-

³¹⁰ ბ. სავანელი; სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2007; გვ.117

³¹¹ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ.58

³¹² სამართალმცოდნეობის საკითხები, წიგნი I, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბ., 2015; გვ.9

³¹³ გ. ლობჟანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ. 345

მართალურთიერთობების მონანილეებს იურიდიულ უფლებებს და მოვალეობებს ანიჭებს, იურიდიული ფაქტები, ანუ ის პირობები, რომელთა არსებობის დროსაც წარმოიქმნება სამართალურთიერთობა და სხვა.

10.2. სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ობიექტი, უფლება და მოვალეობა

სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად გვევლინებიან სამართლებრივი ურთიერთობების მონანილეები, რომელთაც აქვთ სუბიექტური უფლებანი და იურიდიული მოვალეობანი.³¹⁴ მოქალაქეს, კონკრეტულ ადამიანს, რომელიც სამართლის სუბიექტს წარმოადგენს, ახასიათებს უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.³¹⁵ სუბიექტები შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები(ორგანიზაციები).

მაგალითად, ადამიანს, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს, უფლებაუნარიანობა აღმოუცენდება დაბადების მომენტიდან და იგი ქმედუნარიანი გახდება მაშინ, როცა გარკვეულ ასაკს მიაღწევს. იურიდიული პირი კი ქმედუნარიანად ჩაითვლება რეგისტრაციაში გატარების მომენტიდან, თუ მასში სხვა რამ არაა მითითებული.

ირ. სურგულაძე აუცილებლად მიიჩნევს სამართლის სუბიექტების იურიდიული სტატუსის ცნების ახსნას და მართლებულად თვლის იმის მტკიცებას, რომ იურიდიული სტატუსი სამართლის სუბიექტისა ქმნის საფუძველს, რაზედაც უნდა იქნას დამყარებული ცალკეული უფლებები. აღსანიშნავია ისიც, რომ უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის გამიჯვნა

³¹⁴ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.111

³¹⁵ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011; გვ.199

ძირითადად სამოქალაქო სამართლისათვის არის დამახასიათებელი.³¹⁶

უფლებათუნარიანობა ნიშნავს პირის (სუბიექტის) იმ უფლებათ-მოვალეობას, რომელიც მას აღმოუცენდება მისი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის წარმოშობისთანავე.³¹⁷

სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის უფლების ცნებაში გაგებულია სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის შესაძლებლობა, შეასრულოს გარკვეული სახის მოქმედება ან მოსთხოვოს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სხვა პირს (სუბიექტს) შეასრულოს ამა თუ იმ სახის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა).³¹⁸

მოვალეობად კი მიჩნეულია იმ სავალდებულო ქცევის წესის შესრულება, რომლის შესრულება ევალება სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირს (სუბიექტს) ასეთი უფლებით აღჭურვილი პირის მოთხოვნით.

ქმედუნარიანობა ნიშნავს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის უნარს, თავისი ნებითა და მოქმედებით განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებები და მოვალეობები.³¹⁹ უფლებათუნარიანობისგან განსხვავებით, ქმედუნარიანობა ფიზიკურ პირს აღმოუცენდება გარკვეული ასაკის მიღწევიდან. ამისდა მიხედვით განასხვავებენ ქმედუნარიანობის ორ სახეს- შედლუდულსა და სრულს³²⁰. შეზღუდული ქმედუნარიანობა არის 7-იდან 18 წლამდე პირებს, ხოლო სრული-18 წლიდან.

³¹⁶ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ. 346

³¹⁷ ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში; თბ., 2000; გვ.146

³¹⁸ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.345

³¹⁹ შ. ფავიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.230

³²⁰ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ.59

სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად ითვლება ყოველივე ის, რის გამოც წარმოიშობა ე.წ. ურთიერთობა, ე.ი. სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს წარმოადგენს რეალური სიკეთე, რომლის გამოყენებასა და დაცვაზე მიმართულია სუბიექტის უფლებები და იურიდიული მოვალეობები.³²¹ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ობიექტი არის ის, რისკენაც მიმართულია ამ ურთიერთობის მონაწილეთა საქმიანობა.

ობიექტი სამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელოვანი ელემენტია. თუ ობიექტი არ არის, ყოველგვარი სამართლებრივი ურთიერთობა ყველანაირ აზრს კარგავს. ისევე როგორც არ არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა სუბიექტების გარეშე, ასევე არ შეიძლება არსებობდეს ობიექტის გარეშე.³²²

სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზემოქმედებას, ე.ი. სუბიექტთა ქცევის განსაზღვრულ სახეს. სამართალურთიერთობის ობიექტები უშუალოდ უკავშირდება მისი მონაწილეების ინტერესებს.³²³ თუმცა, შესაძლოა ეს ინტერესები არ იყოს ერთნაირი.

სამართალურთიერთობის შინაარსი, თავის მხრივ არის სამართალურთიერთობის მონაწილე მხარეების სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების ურთიერთრეალიზაცია.³²⁴ სამართლებრივი ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი ნიშანია ურთიერთობის მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

უფლება-ეს არის პირის შესაძლებლობა, შეასრულოს სამართლის ნორმით აღიარებული და განმტკიცებული მოქმედება ან

³²¹ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ. 345

³²² თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.285

³²³ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ.59

³²⁴ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.114

მოსთხოვოს სხვას ასეთი მოქმედების შესრულება.³²⁵ სუბიექტური უფლებები, როგორც პირის განსაზღვრული კონკრეტული უფლებამოსილებანი, წარმოიქმნება მოქმედი აბსტრაქტული იურიდიული ნორმების საფუძველზე.³²⁶ ძირითადად, უფლება გამოიხატება შემდეგნაირად: ა) სუბიექტის დადებითი ქცევის შესაძლებლობით, ბ) მეორე მხარისადმი ვალდებულების მოთხოვნის უფლებით, გ) უფლებით იდავოს დარღვეული უფლებების აღსადგენად.

საკონტროლო კითხვები:

1. განმარტეთ "სამართალი"
2. როგორ განიმარტება სამართალურთიერთობა?
3. როგორია სამართალურთიერთობის სტრუქტურა?
4. ჩამოთვალეთ სამართლებრივი ურთიერთობის ნიშნები?
5. რა იგულისხმება სამართალურთიერთობების წინაპირობებში?
6. ვის ეწოდება სამართალურთიერთობის სუბიექტი?
7. რას ნიშნავს ქმედუნარიანობა?
8. რას ნიშნავს უფლებაუნარიანობა?
9. რა ითვლება სამართალურთიერთობის ობიექტად?
10. განმარტეთ "უფლება".

³²⁵ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ.60

³²⁶ ა.ა. ივანოვი, ნ. დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.114

თავი მეთერთმეტი

იურიდიული ფაქტები

11.1. იურიდიული ფაქტების ცნება, სახეები ფაქტობრივი შიშაღგენლობა

ხშირ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობის წარმოქმნისათვის საჭიროა ფაქტობრივი შემადგენლობა, რომელთა არსებობა იურიდიული დადგომისათვისაა აუცილებელი. (მაგალითად, საპენსიო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოქმნისათვის საჭიროა გარკვეული ასაკის მიღწევა, შრომითი სტაჟის არსებობა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების გადანაცვლება პენსიის დანიშვნის შესახებ). ხშირად სამართლის ნორმებს იურიდიულ შედეგს უკავშირებენ არა მარტო ამა თუ იმ გარემოების არსებობას, არამედ მის უქონლობასაც. ასეთი კავშირის ტიპური მაგალითი არის იმ მოვალეობის შეუსრულებლობა, რომელიც პროცესუალური ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია, დარღვეული უფლებების დაცვის მიზნით. ფაქტებს, რომლებიც მეტყველებენ რომელიმე გარემოების ან მოქმედების უქონლობაზე, იურიდიულ მეცნიერებაში უწოდებენ უარყოფითს.³²⁷

იურიდიული ნორმის გამოყენება განსაზღვრულია იმ ფაქტების არსებობით, რომელთაც ითვალისწინებს თვით ეს ნორმა; ამიტომ იურიდიული მიმართების არსებობა და მოძრაობა დამოკიდებულია თვით ნორმის მიერ გათვალისწინებულ ფაქტებზე. ობიექტური სამართლის მიერ აღნიშნულ ასეთ ფაქტებს ეწოდება იურიდიული ფაქტები, რომლებიც ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: იურიდიული მოქმედება და იურიდიული შემთხვევა.³²⁸

³²⁷ გ.ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009, გვ.356

³²⁸ ალ. ვაჩიშვილი; სამართლის ზოგადი ნაწილი; თბ., 2010; გვ.200

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა გარემოებებს, რომელთა არსებობასთან დაკავშირებულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა, იურიდიული ფაქტები ეწოდება.

თუკი კიდევ უფრო მეტად განვავრცობთ იურიდიული ფაქტის განმარტებას დავინახავთ, რომ იურიდიული ფაქტი არის სინამდვილის, რეალობის ის ნაწილი, მოვლენა რომელიც ცვლის კონკრეტული სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებულ ამა თუ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და იგი ამ სახით უკავშირდება სამართლებრივ ურთიერთობათა სისტემას.

ბ. სავანელის შეხედულებით „იურიდიული ფაქტი არის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც სამართლის ნორმა უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის მოძრაობას: წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.³²⁹

იურიდიული ფაქტები მრავალფეროვანია. მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა ფაქტორით ხდება: მათგან გამოწვეული შედეგებისა და მათი ნებითი ხასიათის მიხედვით. მათგან გამოწვეული შედეგების მიხედვით იურიდიული ფაქტები იყოფა სამართალწარმომშობ, სამართალშეცვლით და სამართალშემწყვეტ ფაქტებად.³³⁰

როგორც უკვე აღვნიშნეთ იურიდიული ფაქტის კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნით ხდება, მათ შორის, ნებელობითი ნიშნით, იურიდიული შედეგების ნიშნით, სამართლის ცალკეული დარგისადმი დამოკიდებულების ნიშნით და სხვ., მაგრამ ყველაზე უფრო დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იურიდიული ფაქტების კლასიფიკაციას ნებელობითი ნიშნის საფუძველზე. ე.ი. იმისდა მიხედვით, მათი დადგომა დამოკიდებულია ადამიანის ნებაზე თუ მისი ნებისა-

³²⁹ ბ. სავანელი; სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2007; გვ.134

³³⁰ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ.61

გან დამოუკიდებელია.³³¹ იურიდიული ფაქტები წარმოადგენენ ცხოვრებისეულ გარემოებებს, ამიტომაც მათი კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა საფუძვლების მიხედვით. ამიტომაც, უმნიშვნელოვანესია იურიდიული ფაქტების დაყოფა შედეგების და ნებელობის მიხედვით.

ნებელობის ნიშნის გარდა იურიდიული შედეგების მიხედვით იურიდიული ფაქტები იყოფა სამ ჯგუფად:

სამართალწარმომშობი ფაქტები იწვევს სამართლებრივი ურთიერთობის აღმოცენებას, ასეთია: სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებები, შრომითი ხელშეკრულება და სხვ.

სამართალშეცვლითი ფაქტები იწვევს სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების შეცვლას. მაგალითად, ბრძანება პირის დაწინაურების შესახებ და სხვ.

სამართალშემწყვეტი ფაქტები იწვევს სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტას: ასეთებია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის გარდაცვალება და სხვ.³³²

იურიდიული ფაქტები, მათი ადამიანთა ნებასთან დამოკიდებულების მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფა: ხდომილებად და მოქმედებად.³³³

ხდომილება არის ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი ფაქტი, რომელსაც სამართლის ნორმა უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის ძალით ადამიანის დაბადება არის მისი უფლებაუნარიანობის წარმოშობის საფუძველი, ხოლო ბავშვის დაბადების მომენტიდან მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მოვალეობა ეკისრებათ მშობლებს.

³³¹ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011, გვ.208

³³² გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009, გვ.358

³³³ ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თბ;2002; გვ.35

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ხდომილება ენოდებათ ისეთ იურიდიულ ფაქტებს, რომლებიც ადამიანების ნების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად წარმოიშობა.³³⁴

ხდომილებათა ნაირსახეობას წარმოადგენს ე.წ. დაუძლეველი ძალა, სტიქიური ძალების მოქმედება, რომელსაც სამართლის ნორმა შეიძლება უკავშირებდეს გარკვეულ იურიდიულ შედეგებს.³³⁵

საერთოდაც, ხდომილება, ბუნების მოვლენები და ბუნებრივი პროცესები, რომლებსაც მაშინ მიეცემა იურიდიული მნიშვნელობა, როდესაც ისინი გარკვეულ გავლენას ახდენენ სამართლის ნორმებით რეგულირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე.³³⁶

რაც შეეხება მოქმედებას, იგი არის იურიდიული ფაქტის ძირითადი ნაირსახეობა. მოქმედება როგორც იურიდიული ფაქტი, არის ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი ფაქტი, რომელსაც სამართლის ნორმა უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

უფრო ზუსტად, მოქმედება არის ადამიანის შეგნებული მოქმედების ნებითი აქტი, მისი ნებისა და ცნობიერების გარეგანი გამოხატვა. ისინი შეიძლება იყოს მართლზომიერი და არამართლზომიერი. მოქმედებები სრულდება მოქმედი ნორმების მოთხოვნების ჩარჩოებში. ისინი იყოფა ინდივიდუალურ იურიდიულ აქტებად და იურიდიულ ქცევებად. ინდივიდუალური იურიდიული აქტები-ადამიანის გარე გამოხატულებული გადანწყვეტილებებია, რომლებიც მიმართულია სამართლებრივი შედეგის მიღწევაზე. მათ განეკუთვნება სამართლის შეფარდების აქტები. სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება არის

³³⁴ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011, გვ.208

³³⁵ ბ. სავანელი; სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2007; გვ.134

³³⁶ გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი, თეორია; თბ., 2011; გვ.209

ინტელექტუალურ-ნებიითი, ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებები, სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებები, მოქალაქეთა განცხადებები და სხვა ნება, რომელიც რეალური ურთიერთობების შინაარსს შეადგენს.³³⁷

- მოქმედება, როგორც იურიდიული ფაქტი, იყოფა ორ სახედ:
 - მართლზომიერ
 - არამართლზომიერ მოქმედებად.

მართლზომიერად ჩაითვლება ისეთი იურიდიული მოქმედება, რომელიც სამართლის ნორმის მოთხოვნას შეესაბამება და მოქმედ ნორმებს არ ეწინააღმდეგება. ამიტომ, კანონის საფუძველზე დადებული ყოველი გარიგება, ხელშეკრულება, მართლზომიერ იურიდიულ მოქმედებას წარმოადგენს და იურიდიული ფაქტის როლს ასრულებს. არამართლზომიერად, ანუ მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვლება ისეთი მოქმედება, რომელიც არღვევს სამართლის ნორმას და ნორმების საფუძველზე დადგენილ მართლწესრიგს. ამ უკანასკნელი სახის ქმედებანი თავისი შინაარსით სამართლის დარღვევას წარმოადგენს და, როგორც ცნობილია, იყოფა სისხლისსამართლებრივ, ადმინისტრაციულ, დისციპლინურ და სამოქალაქო-სამართლებრივ დარღვევებად. ყოველი ასეთი არამართლზომიერი მოქმედებანიც იურიდიულ ფაქტებს წარმოადგენს.³³⁸

შინაარსის მიხედვით სამართლებრივი ურთიერთობები იყოფა ზოგადრეგულაციურ, რეგულაციურ და დაცვით ურთიერთობად. ზოგადრეგულაციური სამართლებრივი ურთიერთობები ჩნდება უშუალოდ კანონიდან. ისინი წარმოიქმნება იურიდიული ნორმების საფუძველზე, რომელთა ჰიპოთეზები არ შეიცავს მითითებებს იურიდიულ ფაქტებზე. ასეთი ნორმები ყველა ად-

³³⁷ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009, გვ.359

³³⁸ გ. ინჭიკიშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი, თეორია; თბ., 2011; გვ.210

რესატს ანიჭებს უფლებას ან მოვალეობას ყოველგვარი პირობების გარეშე.

რეგულაციურია ნორმები, რომლებიც ჰიპოთეზაში შეიცავენ იურიდიულ ფაქტებზე განსაზღვრებას, ასე უქმნის ყველა ადრესატს ერთნაირ სამართალსუბიექტურ შესაძლებლობებს, რომელთა გარანტიასაც სახელმწიფო იძლევა. პირადი უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების არსებობის შესაძლებლობა წარმოადგენს განსაკუთრებულ უფლებას, ზოგადრეგულაციური სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტს. რეგულაციურ სამართლებრივ ურთიერთობებს სიცოცხლეს ანიჭებს სამართლის ნორმები და იურიდიული ფაქტები (მოვლენები და მართლზომიერი მოქმედებები). ისინი შეიძლება გაჩნდნენ დაცვითი ნორმებისა და სამართალდარღვევების საფუძველზე. ისინი დაკავშირებულია იურიდიული პასუხისმგებლობის წარმოქმნასა და რეალიზაციასთან, რაც დაცვითი ნორმის სანქციით არის გათვალისწინებული.³³⁹

დასასრულს შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იურიდიული ფაქტი, მიუხედავად იმისა, თუ რა სახით წარმოჩნდება თავის მხრივ ინვესს, სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ეწოდება იურიდიული ფაქტები?
2. რის მიხედვით ხდება იურიდიული ფაქტების კლასიფიკაცია?
3. რამდენ ჯგუფად იყოფა იურიდიული ფაქტები ადამიანის ნებასთან დამოკიდებულების მიხედვით?

³³⁹ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009, გვ.360

4. მოქმედება, როგორც იურიდიული ფაქტი რამდენ სახედ იყოფა?
5. როგორ წარმოიშობა ცალმხრივი იურიდიული ფაქტები?
6. რას იწვევს სამართალშემწყვეტი ფაქტები?
7. რას იწვევს სამართალშეცვლითი ფაქტები?

თავი მეთორმეტი

მართლზომიერი ქცევა, სამართალდარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობა

12.1. მართლზომიერი და არამართლზომიერი ქცევა

მართლზომიერი ქცევა სამართლებრივი ქცევის ერთ-ერთი სახეობაა. იგი თავისი მასშტაბით ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივად სასარგებლო შეგნებული ქცევაა, შეესაბამება სამართლებრივ ნორმებს და მათი დაცვა გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ.³⁴⁰

მართლზომიერი ქცევა-ეს არის სამართლის სუბიექტის გაცნობიერებული მოქმედება, რომელიც შეესაბამება სამართლებრივ დანაწესებს, არ ეწინააღმდეგება მათ და უზრუნველყოფილია იურიდიული საშუალებებით.

ეს განმარტება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მართლზომიერი ქცევის შემდეგი ძირითადი ნიშნები³⁴¹:

ქცევა მართლზომიერად ჩაითვლება, თუ შეესაბამება სამართლის ნორმის მოთხოვნებს ან არ ეწინააღმდეგება მას;

მართლზომიერი ქცევა შეიძლება ჩაითვალოს ასეთად და გამოიწვიოს მოსალოდნელი იურიდიული შედეგები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ქცევა ჩადენილია შეგნებულად ქმედუნარიანი პირის მიერ;

მართლზომიერი ქცევა დაცულია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ შესაბამისი იურიდიული საშუალებების გამოყენების გზით.

შესაბამისად, იკვეთება, რომ მართლზომიერია ისეთი ქცევა, რომელიც შეესაბამება სამართლის ნორმის მოთხოვნებს. მარ-

³⁴⁰ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ. 394

³⁴¹ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ. 62

თლზომიერი ქცევის მთავარი თავისებურებაა სამართლებრივი დანაწესების მკაცრი და განუყრელი შესრულება.³⁴² მართლზომიერი ქცევა, მისი მოტივაციის მიხედვით, იყოფა რამდენიმე სახეობად:³⁴³

ჩვეულებრივი მართლზომიერი ქცევა (არ არის დაკავშირებული ჩვეულებრივი საყოველღეო ხარჯების გადაჭარბებასთან);

პასიური მართლზომიერი ქცევა (ვლინდება იმ შემთხვევებში, როდესაც მოქალაქენი განზრახ არ იყენებენ დაახლოებით თანაბარ უფლებებსა და თავისუფლებებს);

აქტიური მართლზომიერი ქცევა (მოქალაქეთა თანამდებობრივ პირთა მიზანმიმართული, ინიციატივიანი, კანონიერი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია დროის, ენერჯის, მატერიალური საშუალებების დამატებით ხარჯებთან);

კონფორმისტული ქცევა (შეესაბამება სოციალურ ჯგუფში მიღებულ სტილს), პიროვნების მიერ სამართლის ნორმების პასიური დაცვა;

მარგინალური ქცევა (ვლინდება როგორც ადამიანთა გარეგნულად მართლზომიერი ქცევა, რომლებიც შინაგანად არ ეთანხმებიან სამართლის ნორმების მოთხოვნებს).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ, ობიექტური მხრივ, მართლზომიერი ქცევა გამოიხატება პირის აქტიური მოქმედებით ან/და უმოქმედობით, ხოლო, რაც შეეხება სუბიექტურ მხარეს, იგი გამოიხატება სამართლის ნორმისადმი პიროვნების დამოკიდებულებით.

აღსანიშნავია, რომ მართლზომიერი ქცევის კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა ნიშნით, მათ შორის, გარეგანი გამოხატვის ფორმის, სუბიექტების, იურიდიული შედეგების მიხედვით და სხვ.

³⁴² თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.351

³⁴³ ა.ა. ივანოვი, ნ. დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.142

როცა, მიმოვიხილავთ, თუ რას გულისხმობს მართლ-ზომიერი ქცევა ისიც უნდა ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს სამართალდარღვევა, იგივე არამართლზომიერი ქცევა.

თავის მხრივ, სამართალდარღვევა სამართლის თანმდევი მოვლენაა და ორგანულად დაკავშირებულია მასთან. სამართლის გარეშე სამართალდარღვევა არც არსებობდა და არც იარსებებს. სამართალდარღვევა პიროვნების მიერ სამართლის ნორმების უგულვებელყოფა, მისი მოთხოვნებისა და დანაწესების შეუსრულებლობაა.³⁴⁴ სამართალდარღვევად მიიჩნევა მხოლოდ მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც იწვევს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ შედეგს, ზიანს აყენებს სუბიექტის ინტერესებს ან უქმნის მას რეალურ საფრთხეს.³⁴⁵

უმჯობესია შემდგომ თავში უფრო დეტალურად განვიხილოთ ზოგადად სამართალდარღვევის ცნება და სახეები, ასევე, იურიდიული პასუხისმგებლობა.

12.2. სამართალდარღვევის ცნება და სახეები, იურიდიული პასუხისმგებლობა

სამართალდარღვევის ცნების, სახეებისა და იურიდიული პასუხისმგებლობის ძირეული საკითხების განხილვის დროს შეიძლება დაიბადოს კითხვა: სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს როდის და რა შემთხვევაში შეიძლება შეეფარდოს კანონით გათვალისწინებული ამა თუ იმ სახის სანქცია?!

სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის ცალკეული ნორმების შეფარდება ხდება იმ პირთა მიმართ, რომლებიც დაარღვევენ სამართლებრივი ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებული ქცევის სავალდებულო წესებს, ე.ი. ჩაიდენენ კა-

³⁴⁴ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.356

³⁴⁵ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ. 399

ნონით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებას.

მაშასადამე, სამართალდარღვევა სხვა არა არის რა, თუ არა მოქმედი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შეუსრულებლობა, ანუ პირის მართლსაწინააღმდეგო ქცევა. მაგრამ ყველა მართლსაწინააღმდეგო ქცევა კი არაა სამართალდარღვევად მიჩნეული, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის დროსაც მის ჩამდენ პირს შეგნებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, მოქმედებდა განზრახ ან გაუფრთხილებლად და შეეძლო ანგარიში გაენია თავისი ქმედებისათვის.³⁴⁶

სამართალდარღვევა ისეთი ქცევაა, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის ნორმის დანაწესებს.³⁴⁷

რაც შეეხება სამართალდარღვევის შემადგენლობას -ეს არის ობიექტური და სუბიექტური ნიშან-თვისებების სავალდებულო ერთობლიობა, რომელიც აუცილებელი და საკმარისია მოცემული ქმედობის სამართალდარღვევად აღიარებისათვის.³⁴⁸ ანუ იგი მოიცავს ოთხ ძირითად ელემენტს: სუბიექტს, ობიექტს, სუბიექტურ და ობიექტურ მხარეს.

სამართალდარღვევის ობიექტი - ეს არის სამართლით რეგულირებული და დაცული ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთაც სამართალდარღვევით მიაყენეს ნამდვილი ან შესაძლებელი ზარალი.

სამართალდარღვევის ობიექტური მხარე - ეს არის სამართალსაწინააღმდეგო ქმედობის გარეგნული გამოვლენა, რაც გამოიხატება მოქმედებით ან უმოქმედობით, ანუ პირის პასიური ან აქტიური ქცევით.

³⁴⁶ შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.232

³⁴⁷ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.356

³⁴⁸ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.145

სამართალდარღვევის შემადგენლობის მომდევნო ელემენტი - სამართალდარღვევის სუბიექტი - სამართალქმედუნარიანი და დელიქტუნარიანი პირი, რომელმაც ჩაიდინა სამართალსაწინააღმდეგო ქმედება-სამართალდარღვევა.

სამართალდარღვევის სუბიექტური მხარე-ეს არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი სამართალდარღვევისადმი, რაც გამოიხატება მისი გამოვლენის ბრალით და ფორმით.

საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შესაბამისად განსხვავებენ სამართალდარღვევის ორ ძირითად სახეს: დანაშაულსა და გადაცდომას.³⁴⁹

დანაშაული არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს სამართლის სუბიექტის კონსტიტუციით აღიარებულ უფლებრივ სტატუსს.³⁵⁰ მოქმედება არის ქცევა, რომელიც დაკავშირებულია სუბიექტის გარკვეულ საქმიანობასთან, მოძრაობასთან.³⁵¹

გადაცდომას რას შეეხება, იგი არის ისეთი სამართალდარღვევა, რომელსაც ახასიათებს საზოგადოებრივი საშიშროების უფრო ნაკლები ხარისხი, ვიდრე დანაშაულს. გადაცდომა ხელყოფს საზოგადოებაში არსებული მართლწესრიგის ცალკეულ მხარეებს. მათ მიეკუთვნება დისციპლინური, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი გადაცდომა.³⁵²

რაც შეეხება იურიდიულ პასუხისმგებლობას, სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ქმედითი საშუალებაა³⁵³. სამართლებრივ მეცნიერებაში მას განიხილავენ ორ ასპექტში:

³⁴⁹ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.359

³⁵⁰ გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009; გვ.402

³⁵¹ ა. კუჭუხიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2007; გვ.191

³⁵² თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ. 360

³⁵³ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ.63

-პოზიტიური იურიდიული პასუხისმგებლობა - ეს არის ადამიანის პასუხისმგებლობა თავისი მოვალეობის შესრულები-სათვის, სუბიექტის შეგნებული და აქტიური მართლზომიერი მოქმედება;

-რეტროსპექტიური პასუხისმგებლობა - ეს გახლავთ პა-სუხისმგებლობის ტრადიციული გაგება, როგორც ჩადენილი სამართალდარღვევის შედეგები.³⁵⁴

ამგვარად, ტრადიციული (რეტროსპექტიული) გაგებით, იურიდიული პასუხისმგებლობა ნიშნავს სამართალდამრღვევი პირის მიმართ სამართლებრივი სანქციების გამოყენებას.³⁵⁵

იურიდიული პასუხისმგებლობა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის, საზოგადოებაში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა.³⁵⁶ მოკლედ რომ ვთქვათ, იურიდიული პასუხისმგებლობა არის სამართალდარღვევის იურიდიული შედეგი.³⁵⁷ იურიდიული პასუხისმგებლობა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პასუხისმგებლობა კლასიფიცირებულია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მათი დაჯგუფება სამართლის დარგებისა და სამართალდარღვევის ხასიათის შესაბამისად.

ამასთანავე, კანონით დადგენილი სანქცია რომ პირს შეეფარდოს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებისათვის, იგი აუცილებლად უნდა იყოს კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი.³⁵⁸

³⁵⁴ ა.ა. ივანოვი, ნ. დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.152

³⁵⁵ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ.64

³⁵⁶ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ. 363

³⁵⁷ ბ. სავანელი; სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2007; გვ.187

³⁵⁸ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ. 235

საკონტროლო კითხვები:

1. როგორ განიმარტება მართლზომიერი ქცევა?
2. როგორ იყოფა მართლზომიერი ქცევა მოტივაციის მიხედვით?
3. ჩამოთვალეთ მართლზომიერი ქცევის ძირითადი ნიშნები?
4. ვინ შეიძლება იყოს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი და რა ნიშნებით უნდა ხასიათდებოდეს იგი?
5. რა შემთხვევაში ჩაითვლება ქცევა მართლზომიერად?
6. რა არის სამართალდარღვევა და რამდენი სახის არსებობს იგი?
7. როგორ განიხილება იურიდიული პასუხისმგებლობა?
8. რა არის სამართალდარღვევის ობიექტი?
9. როგორია სამართალდარღვევის სუბიექტური მხარე?
10. ვინ არის სამართალდარღვევის სუბიექტი და როგორია სუბიექტური მხარე?

თავი მეცამეტი

სამართლის სისტემა

13.1.სამართლის სისტემის, დარგებისა და ინსტიტუტების ცნება

სამართლის სისტემა აქვს ყველა სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, თუ განვითარების რომელ საფეხურზე იმყოფება და როგორია მისი სამართლებრივი მდგომარეობა.

სამართლებრივი სისტემა-სხვა არაფერია, თუ არა ურთიერთდაკავშირებული, შეთანხმებული და ურთიერთმოქმედი საშუალებების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ასევე ამა თუ იმ ქვეყნის სამართლებრივი განვითარების დონისთვის დამახასიათებელ ელემენტებს.³⁵⁹ სახელმწიფოს სამართლის სისტემა გულისხმობს, თავისი სოციალური ბუნებით და სახელმძღვანელო პრინციპების თვალსაზრისით, ერთიანი სამართლის დაყოფას ცალკეულ შემადგენელ ნაწილებად—სამართლის დარგებად და იურიდიულ ინსტიტუტებად.³⁶⁰

სამართლებრივი სისტემის და სამართლებრივი ოჯახების კლასიფიკაციას არ აქვს აბსოლუტური ხასიათი. იგი შეფარდებითი ცნებაა, რასაც ადასტურებს თანამედროვე მსოფლიოში მოქმედი შერეული, ე.წ „ჰიბრიდული“ სამართლებრივი სისტემები, რომლებშიც შერწყმულია საერთო და ცივილური სამართლის ელემენტები.³⁶¹

³⁵⁹ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ. 164

³⁶⁰ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011; გვ.212

³⁶¹ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.401

როგორც ვხედავთ, სამართლებრივი სისტემა უნდა ეწოდოს ქვეყნის შინაგან სტრუქტურას, რაც გამოიხატება იურიდიული ნორმების სამართლის დარგებად და ინსტიტუტებად დაჯგუფებით.

გამოიყოფა სამართლებრივი ოჯახის სამი სისტემა, რასაც ახასიათებს სამართლებრივი სისტემის შინაგანი შეფარდებითი ერთიანობა და გააჩნია მსგავსი იურიდიული ნიშან-თვისებები³⁶². ესენია:

- რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახი;
- ანგლოსაქსური სამართლის ოჯახი;
- რელიგიური და ტრადიციული სამართლებრივი სისტემები.

სამართლებრივი სისტემის კლასიფიკაციის რამდენიმე სახეობა არსებობს. ყველაზე მეტად გავრცელებულია ეროვნული სამართლებრივი სისტემის კლასიფიკაცია–სამართლის კონკრეტულ-ისტორიული ერთობლიობა, იურიდიული პრაქტიკა და ცალკე აღებული ქვეყნის გაბატონებული იდეოლოგია.³⁶³

სამართლის გარეგანი სისტემა ნორმატიული მნიშვნელობის არ არის. დარგების მიხედვით სამართლის ნორმათა კლასიფიკაციას უშუალო იურიდიული შედეგი არ აქვს. როგორც იურიდიული ტექნიკის ნაწილით სამართლის გარეგანი სისტემა უზრუნველყოფს იურიდიული ნორმების მოძიებას, ინფორმაციის სწრაფ დამუშავებას და სხვ.

ჩვენს დროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლის აქსიოლოგიურ სისტემას. აქსიოლოგიური სისტემის სათავეში დგას უზენაესი ღირებულება. უმეტეს შემთხვევაში ასეთ ღირებულებას უწოდებენ „სამართლის იდეას“ ან „სამართლიანობას“. რაც შეეხება ტელეოლოგიურ სისტემას, იგი აყალიბებს პოზიტიური სამართლის მიზნებს. სამართლის

³⁶² ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ. 166

³⁶³ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ.165

სისტემა შეიძლება ესწრაფოდეს ერთი ან რამდენიმე მიზნის რეალიზაციას³⁶⁴. სამართლის მიზნების აბსტრაქტული ხასიათის გამო საკმაოდ რთულია, მისი ღირებულებების გამიჯვნა.

რაც შეეხება სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, ისინი შეგვიძლია შემდეგნაირად დავახასიათოთ:

სამართლის დარგი ეწოდება ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედ იმ იურიდიულ ნორმათა გარკვეულ ჯგუფს, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთ კონკრეტულ განსაზღვრულ სფეროს, ხოლო სამართლებრივი ინსტიტუტი ეწოდება იმდაგვარი იურიდიული ნორმების ერთობლიობას, რომელიც არეგულირებს კონკრეტული ცალკეული სფეროს ერთ კონკრეტულ მხარეს.

ამგვარად, სამართლის სისტემის შესახებ ჩამოყალიბებული ინფორმაციის შედეგად შეგვიძლია განვსაზღვროთ ზოგადი ცნება შემდეგი სახით:

„სამართლის სისტემა ეწოდება თითოეული ქვეყნის სამართლის შინაგან სტრუქტურას, რაც საზოგადოების ეკონომიკური ნებსწყობილებითაა განპირობებული და გამოიხატება საერთო პრინციპების საფუძველზე ერთიანობაში მყოფი იურიდიული ნორმების დაჯგუფებით სამართლის დარგებად და ინსტიტუტებად, ამ დარგებისა და ინსტიტუტების ერთმანეთისაგან გამიჯვნითა და მათ შორის ურთიერთკავშირის დადგენით“.³⁶⁵

13.2. საჯარო და კერძო სამართალი

სამართლის დაყოფა საჯარო და კერძო სამართლად შემოიღეს და დაამკვიდრეს ჯერ კიდევ ძველი რომის იურისტებმა. ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში იმთავითვე აღიარებდნენ საჯარო და კერძო სამართლის ნორმებს.

³⁶⁴ გ. ხუბუა; სამართლის თეორია; თბ., 2015; გვ.258

³⁶⁵ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2011; გვ.213-214

სამართლის დანაწილება საჯაროდ და კერძოდ იმდენად მისაღები აღმოჩნდა მომდევნო ეპოქების სახელმწიფოთა მმართველი კლასებისათვის, რომ იგი გადატანილ იქნა ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაშიც. მართლია ბურჟუაზიულ იურისტებს შორის არ არსებობდა ერთსულოვნება სამართლის ამგვარი დაყოფის დასაბუთებისა და გამიჯვნის საფუძვლების დადგენაში, მაგრამ ძირითადად ყველა მათგანი იზიარებდა იმ დებულებას, რომ სახელმწიფოს ინტერესი საჯარო სამართლის სფეროს შეადგენს, ამის საპირისპიროა კერძო სამართლის სფერო, რომელიც ცალკეულ პირთა ინტერესებს მოიცავს.³⁶⁶

საჯარო და კერძო სამართალი ეფუძნება განსხვავებულ პრინციპებს. კერძო სამართალი აღიარებს პირადი ავტონომიის პრინციპს. ადამიანი, როგორც თავისუფალი არსება, მოქმედებს საკუთარი პასუხისმგებლობით. ინდივიდუალური ავტონომია თანამედროვე განვითარებული დემოკრატიის ფუძემდებლური ღირებულებაა. ინდივიდუალური ავტონომიის გამოვლინების ფორმებია: საკუთრების თავისუფლება, გაერთიანების თავისუფლება და სხვ. კერძო პირს გარკვეულ ფარგლებში შეუძლია იმოქმედოს საკუთარი სურვილის შესაბამისად. კერძო სამართალი, ასევე, უშვებს საკუთარი ეგოისტური ინტერესების რეალიზაციის შესაძლებლობას. კერძო ურთიერთობებში არავის ეკისრება საერთო ინტერესთა განხორციელების ვალდებულება.³⁶⁷

საჯარო სამართლის დარგებს მიაკუთვნებენ: კონსტიტუციურ (სახელმწიფო) სამართალს, სისხლის სამართალს, პროცესუალურ სამართალს, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფოებრივი რეგულირების სფეროს და სხვ. კერძო სამართლის დარგებად კი მიიჩნე-

³⁶⁶ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011; გვ.216

³⁶⁷ გ. ხუბუა; სამართლის თეორია; თბ., 2015; გვ.261

ვა: სამოქალაქო სამართალი, სანივთო(ქონებრივი) სამართალი, ვალდებულებითი სამართალი ინტელექტუალური სამართალი, საოჯახო სამართალი, სამემკვიდრეო სამართალი, შრომის სამართალი და სხვ.³⁶⁸

საჯარო და კერძო სამართლის გამიჯვნის თვალსაზრისით დღეისათვის დამკვიდრებულია სხვადასხვა თეორიები: მათ შორის გამოიყოფა, ინტერესების თეორია, სუბორდინაციის თეორია და სუბიექტის თეორია.

ინტერესების თეორია დასაბამს იღებს რომაელი იურისტის ულპიანესაგან. ინტერესების თეორიის მიხედვით, საჯარო და კერძო სამართალი ერთმანეთისაგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელ ინტერესს ანჭებს იგი უპირატესობას. რაც შეეხება³⁶⁹ ინტერესთა თეორიის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მთელი რიგი ნორმები, როგორც საჯარო, ისე კერძო ინტერესების დაცვას ემსახურება და ხშირად შეუძლებელია ნორმის მიზნის ცალსახად დადგენა.³⁷⁰

სუბორდინაციის თეორია იმას გულისხმობს, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები თანასწორნი არიან. მაშინ, როდესაც საჯარო სამართლისათვის დამახასიათებელია ურთიერთობის იერარქიული ხასიათი. კერძო სამართალი, თავის მხრივ, ეფუძნება თანასწორობისა და ინდივიდუალური ავტონომიის პრინციპს. საჯარო სამართალი, ძირითადად, აგებულია ვერტიკალურ, იერარქიულ ურთიერთობებზე.

რაც შეეხება სუბიექტის თეორიას, მისი მიხედვით საჯარო სამართლის ნორმის ადრესატია მხოლოდ სახელისუფლებო უფლებამოსილებით აღჭურვილი სუბიექტი. კერძო სამართ-

³⁶⁸ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2011; გვ.218

³⁶⁹ გ. ზუბუა; სამართლის თეორია; თბ., 2015; გვ.260-261

³⁷⁰ კ. ტურავა, ნ. წკეპლაძე; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო; თბ., 2013; გვ.43

ლის ნორმა უფლებებსა და ვალდებულებებს ანიჭებს „ყველას“, მათ შორის „ჩვეულებრივ“ მოქალაქეებსაც. სუბიექტის თეორია ეფუძნება განსხვავებას, ერთი მხრივ, კერძო სამართლის იურიდიულ პირსა და, მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს შორის.³⁷¹

სამართლის სისტემასთან დაკავშირებულია კიდევ ერთი იურიდიული ცნება-კანონმდებლობის სისტემა. მათ შორის, საერთო ისაა, რომ ორივეს მიზანი და დანიშნულებაა საზოგადოებრივი ურთიერთობის გარკვეულ სფეროს რეგულირების უზრუნველყოფა. განსხვავება კი ისაა, რომ სამართლის სისტემის შინაარსი შეიცავს: დარგებს, ნორმებს, ინსტიტუტებს, კანონმდებლობის სისტემა კი-კანონებს, სხვა ნორმატიულ აქტებს, მათ ცალკეულ თავებსა და მუხლებს.³⁷² დარგები კანონმდებლობისაც არსებობს, მაგრამ თითოეული მათგანი მოიაზრება შესაბამისი სამართლის დარგის საფუძველზე.

სამართლის დარგს შეადგენს იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც, როგორც წესი, არეგულირებენ საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ კონკრეტულ სფეროს. მოქმედი სამართლის სისტემა იყოფა კონსტიტუციურ, ადმინისტრაციულ, სისხლის, შრომის, საოჯახო სამართლად და ა.შ.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ეწოდება სამართლის სისტემა?
2. სამართლებრივი ოჯახის რამდენ სისტემას გამოყოფენ?
3. სამართლებრივი სისტემის კლასიფიკაციის რომელი სახეობა არსებობს?

³⁷¹ გ. ხუბუა; სამართლის თეორია; თბ., 2015; გვ.264

³⁷² გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2011; გვ.220

4. განმარტეთ სამართლის აქსიოლოგიური სისტემა?
5. რომელ დარგებად იყოფა სამართალი?
6. განმარტეთ სუბორდინაციის თეორია?
7. განმარტეთ სუბიექტის თეორია ?
8. განმარტეთ ინტერესთა თეორია?
9. რას ეწოდება სამართლის დარგი?
10. რა იგულისხმება კანონმდებლობის სისტემაში?

ნაწილი მეორე

თავი პირველი

ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები

1.1. ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების ზოგადი დახასიათება

ადამიანის ძირითადი უფლებების დამკვიდრების პირველ ეტაპზე ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის ცნება მხოლოდ დაცულ სფეროში სახელმწიფოს ჩაურევლობას გულისხმობდა. დროთა განმავლობაში ცხადი გახდა სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიური ვალდებულებით აღჭურვის არაეფექტურობა და საფუძველი ჩაეყარა ძირითადი უფლებების დაცვაზე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების აღიარებას.³⁷³ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები დიდ როლს თამაშობენ სახელმწიფოებრივი მმართველობის სისტემაში.³⁷⁴

თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი ადამიანის უფლებების დაცვის სხვადასხვა მექანიზმს იცნობს. მათ შორისაა: საერთო სასამართლოები, საკონსტიტუციო სასამართლო, სახალხო დამცველი და სხვები.

სამართლებრივი დანაწესების საყოველთაო დაცვის უზრუნველყოფა სახელმწიფოსა და მისი ორგანოების ამოცანაა. ფლობს რა აუცილებელ ორგანიზაციულ, მატერიალურ და იძულებით საშუალებებს, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისი მოქალაქეების კანონიერი უფლებები და ინტერესები, სოციალური თავისუფლება და თანასწორობა კანონის წინაშე.³⁷⁵

³⁷³ დ. გეგენავა, ბ. ქანთარია, ლ. ცანავა, და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლი, მესამე გამოცემა; თბ., 2015; გვ.351

³⁷⁴ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ.545

³⁷⁵ თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015; გვ.372

როგორც უკვე დავინახეთ, ერთი მხრივ, ადამიანს გარკვეული უფლებები აქვს, მეორე მხრივ, სახელმწიფოსაც აქვს მოვალეობები-დაიცვას თავისი უფლებები და მოთხოვნისთანავე უპასუხოს საჭიროებებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეცა და ხელისუფლებაც ურთიერთმოვალენი არიან. სახელმწიფოს ფუნქცია სწორედ ისაა, რომ დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მიუხედავად იმისა, თვით ეს პირი მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას ასრულებს თუ არა. ამის გარდა, ასევე იკვეთება სახელმწიფოს ვალდებულებათა სამი დონე: პატივისცემის ვალდებულება, დაცვის ვალდებულება, შესრულების ვალდებულება.³⁷⁶

ეს ისეთი ორგანოებია, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს სამართალდაცვის განხორციელებას, მოქმედი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების პრაქტიკაში სწორად გატარებას და მისი დამრღვევი პირების მიმართ იყენებს სამოქალაქო-სამართლებრივ, ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივი ხასიათის სხვადასხვა სახის იძულებით ღონისძიებებს ჩადენილი ქმედების საშიშროების ხარისხისა და მისი ჩამდენი პირისათვის დამახასიათებელი გარემოებების გათვალისწინებით.

როგორც უკვე აღინიშნა, სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპი, როგორც სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთპასუხისმგებლობაა, მულავნდება იმით, რომ სახელმწიფო იძლევა ადამიანთა უფლებების შესრულების გარანტიას მთელი იურიდიული და იდეოლოგიური საშუალებებით, სამართლებრივ სახელმწიფოში უფლებები და თავისუფლებები არამხოლოდ გაცხადებულია, არამედ არსებობს კიდევ ფაქტობრივი პირობები და იურიდიული მექანიზმები მათი რე-

³⁷⁶ გ. ბუროუსი, ზ.რუხაძე, მ.კვაჭაძე და სხვები; დემოკრატია და მოქალაქეობა, თბ., 2011; გვ.108

ალიზაციისათვის.³⁷⁷ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი უფლებების ისტორია, ფაქტობრივად სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის ისტორიაა. ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ კონცეფცია სათავეს ადამიანის ბუნებითი უფლებების თეორიიდან იღებს, რომლის მიხედვითაც, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალი და თანასწორია.³⁷⁸

საგულისხმოა ისიც, რომ ძირითადი უფლებები ბოჭავს კონკრეტულ სახელმწიფო ხელისუფლებას და იცავს ინდივიდის კერძო ცხოვრების სფეროს სახელმწიფოს უკანონო ჩარევისაგან,³⁷⁹ რასაკვირველია, ძირითადი უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებელი პირი სახელმწიფოა და იგი ვალდებულია უზრუნველყოს მათი დაცვა შესაბამისი ორგანოების მეშვეობით.

1.2. საქართველოს საერთო სასამართლოები

სახელმწიფო ორგანოებს შორის სასამართლო არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანო, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო მართლმსაჯულებას ახორციელებს.

სასამართლო ორგანოები ხელისუფლების ერთ-ერთი დამოუკიდებელი შტოა, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს.³⁸⁰ დიდი ხნის მანძილზე ადამიანის უფლებების დაცვის ფუნქციას

³⁷⁷ ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009; გვ. 170

³⁷⁸ დ. გეგენავა, ბ. ქანთარია, ლ. ცანავა, და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლი, მესამე გამოცემა; თბ., 2015; გვ. 378

³⁷⁹ ლ. იზორია, ლ.კორკელია და სხვები; საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი; თბ., 2005; გვ.14

³⁸⁰ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ. 553

საერთო სასამართლოების სისტემა ასრულებდა და ამ გზით უფლებების დაცვა სასამართლოს მეშვეობით ყველაზე ეფექტურ მექანიზმად იყო აღიარებული.³⁸¹

ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოში სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.³⁸² შესაბამისად, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა საკონსტიტუციო სასამართლო, ხოლო მართლმსაჯულება სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა და მას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები.³⁸³

ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური მექანიზმი მჭიდროდაა დაკავშირებული სამართლის უზენაესობასთან, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს პირის უფლებებში ხელისუფლების ორგანოების ჩარევაზე სასამართლო კონტროლს.³⁸⁴ სასამართლო ხელისუფლება, როგორც გარკვეული შესაძლებლობებით აღჭურვილი სასამართლო ორგანოთა სისტემა, სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი განშტოებაა, რომელსაც განშტოებათა კლასიკურ ტრიადაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების გვერდით მოიხსენიებენ.³⁸⁵

საქართველოში მოქმედებს 3 ინსტანციის სასამართლო, რაც მოსარჩელეს საშუალებას აძლევს, მისი საქმე რამდენიმე

³⁸¹ დ. გეგენავა, ბ. ქანთარია, ლ. ცანავა, და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლი, მესამე გამოცემა; თბ., 2015; გვ. 351

³⁸² საქართველოს 2009 წლის ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 82

³⁸³ ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე, გ. თევდორაშვილი და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; თბ., 2017; გვ.471

³⁸⁴ ა. ფირცხალაშვილი, გ. მირიანაშვილი; საქართველოს სახელმწიფო მონეობის საფუძვლები; თბ., 2018; გვ.95

³⁸⁵ ავ. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე; კონსტიტუციური სამართალი, მეორე გამოცემა; თბ., 2014; გვ.259

ჯერ იქნეს გადასინჯული მოსამართლეთა სხვადასხვა შემადგენლობის მიერ.³⁸⁶ როგორც ვხედავთ, სასამართლოების სისტემა, იურისდიქციის მიხედვით იყოფა შემდეგ დონეებად: რაიონული სასამართლოები, სააპელაციო სასამართლოები და უზენაესი სასამართლო.³⁸⁷

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის საფუძველზე, „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. არავის აქვს უფლება მოსახოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას“.³⁸⁸ კანონმდებლობა განსაზღვრავს მოსამართლის როგორც პერსონალური, ისე ფუნქციური დამოუკიდებლობის გარანტიებს.

მოსამართლისა და სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობა უზრალო დეკლარაცია კი არაა, არამედ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონითაა განმტკიცებული და კონკრეტული საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის დაბრკოლებისა და უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მიღწევის მიზნით მოსამართლეზე ზემოქმედება, რა ფორმითაც უნდა მოხდეს, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პირის დამნაშავედ ცნობაც სასამართლოს წმინდა პრეროგატივაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა არც ერთ ორგანოსა და თანამდებობის პირს არა აქვს უფლება დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნოს პირი, თუ არა

³⁸⁶ დ. გეგენავა, ბ. ქანთარია, ლ. ცანავა, და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლი, მესამე გამოცემა; თბ., 2015; გვ. 353

³⁸⁷ იქვე

³⁸⁸ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 59

სასამართლომ გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანის გზით.

საქართველოში მართლმსაჯულებას ახორციელებს მხოლოდ საერთო სასამართლოები. სპეციალიზებული სასამართლოების შექმნა კონსტიტუციის 59-ე მუხლის მესამე პუნქტით, საერთო სასამართლოების სისტემაში დასაშვებადაა მიჩნეული და ისიც მხოლოდ სამხედრო სასამართლოების შემოღება საომარი მდგომარეობის დროს. ყოველგვარი სხვა სასამართლოების შექმნა დაუშვებელია. რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვას, ეს მოიაზრება მხოლოდ საერთო სასამართლოებში კანონით დადგენილი წესით.³⁸⁹

სასამართლოში მართლმსაჯულება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილემ არ იცის სახელმწიფო ენა მას დაენიშნება თარჯიმანი.³⁹⁰ მოსამართლეს ეკრძალება სხვა ანაზღაურებად თანამდებობაზე შეთავსებითი მუშაობა, სამეცნიერო – პედაგოგიური საქმიანობის გარდა.

საერთო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. საქართველოს ახალი კონსტიტუციით დადგენილია, რომ საერთო სასამართლოს მოსამართლე თანამდებობაზე განწესდეს უვადოდ. ამასთან, ერთად, მოსამართლედ შეირჩევა პიროვნება თავისი კეთილსინდისიერებითა და კომპეტენტურობის ნიშნით. გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით.³⁹¹

³⁸⁹ იქვე

³⁹⁰ საქართველოს 2009 წლის ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 10

³⁹¹ საქართველოს 1995 წლის 24 კონსტიტუცია, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 63

სასამართლო არის სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ის ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეები, მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ჩამდენი პირი ცნოს დამნაშავედ ან უდანაშაულოდ და მის მიმართ სახელმწიფოს სახელით გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი. სასამართლო, ასევე, იხილავს რა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, მასზე გამოაქვს შესაბამისად სწორი, დასაბუთებული გადაწყვეტილება ან განჩინება.

როგორც წესი, პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა ხდება ერთპიროვნულად, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ რაიონულ ან საქალაქო სასამართლოში საკმარისია მოსამართლეთა რაოდენობა, საქმე კი თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით მეტად რთულია, ამ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის საქმე შეიძლება განიხილონ კოლეგიალურადაც. ასეთი შემთხვევების განხილვის წესი რეგლამენტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მეორე პუნქტით, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონულ [საქალაქო] სასამართლოში არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით საქმეთა განხილვისათვის, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ საქმის განხილვასა და გადაწყვეტას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ან საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულისაა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა

საქმე განიხილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.³⁹²

სააპელაციო სასამართლო, როგორც ზემდგომი სასამართლო ორგანო, არსებითად იხილავს რაიონული და საქალაქო სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენს, გადაწყვეტილებებსა და განჩინებებს, თუ ამ საქმეებზე შეტანილ იქნა სააპელაციო საჩივარი.³⁹³

სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე, განჩინებასა ან სხვა შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარს, თუ იგი ქვემდებარეა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, მას იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო სასამართლო კოლეგია ან სასამართლო პალატა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო მოხსენიებულია საკასაციო სასამართლოდ.

აღსანიშნავია, რომ, საქართველოში მოქმედებს აგრეთვე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც ძირითადად იხილავს განზრახ მკვლელობის საქმეებს. ამ სასამართლოს უმთავრესი თავისებურება ისაა, რომ ბრალდებულის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის საკითხს წყვეტს არა მოსამართლე, არამედ ნაფიცი მსაჯულები და ამასთან დაკავშირებით მათ გამოაქვთ ვერდიქტი ბრალდებულის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე. პირის უდანაშაულოდ ცნობის ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში მოსამართლე ასრულებს ნაფიც მსაჯულთა ნებას და ბრალდებულს დარბაზიდანვე ათავისუფლებს. ნაფიც მსაჯულთა მიერ დამნაშავედ ცნობის ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში მოსამართლე კანონით დადგენილი წესით ბრალდებულს დამოუკიდებლად უფარდებს შესაბამის სასჯელს.

³⁹² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 22

³⁹³ საქართველოს 2009 წლის ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 24

1.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ისტორიულადაც კი ადამიანის უფლებების დაცვის ფუნქციას საერთო სასამართლო სისტემა ასრულებდა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სასამართლოს მეშვეობით ყველაზე ეფექტურ მექანიზმად იყო აღიარებული.³⁹⁴ თუმცა დროთა განმავლობაში აუცილებელი გახდა კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა. ასეთ მექანიზმად კი მოიაზრებოდა სპეციალიზებული სასამართლო დაწესებულება, რომელიც უპირატესად ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას უზრუნველყოფდა. სწორედ ამ ფუნქციის შესასრულებლად შეიქმნა საკონსტიტუციო სასამართლო.³⁹⁵

საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის შექმნის აუცილებლობა 1995 წელს კონსტიტუციით იქნა გათვალისწინებული და ამის შესაბამისად 1996 წლის 31 იანვარს მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. ცოტა უფრო მოგვიანებით, იმავე წლის 21 მარტს, მიღებულ იქნა კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“. სწორედ ეს კანონები დაედო საფუძვლად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნას.

საკონსტიტუციო სასამართლოს ყოველდღიური გამონვევაა,

³⁹⁴ ჯ. ხეცურიანი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, სტატია, ჟურნალი „საკონსტიტუციო სასამართლოს მიმოხილვა; №4; თბ., 2011; გვ.52

³⁹⁵ გ. კახიანი; საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი; თბ., 2008; გვ.42

ერთი მხრივ, საკუთარი მანდატის სრულად გამოყენება, ფუნქციის ეფექტურად განხორციელება, ამ პროცესში თამამი ნაბიჯების გადადგმა კონსტიტუციის და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების საუკეთესო პერსპექტივით დასაცავად, მეორე მხრივ, თავისი კომპეტენციის ფარგლების მკაფიო, მყარი შეგრძნება და მოქმედება მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებამოსილების ზედმიწევნით დაცვით.³⁹⁶ ნებისმიერი სახელმწიფო ორგანო გარკვეული მიზნით იქმნება. კონკრეტულად კი საკონსტიტუციო სასამართლოს მიზანია, უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობა, კონსტიტუციური კანონიერება და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.³⁹⁷

საკონსტიტუციო კონტროლი არის სამართლებრივი აქტებისა და ქმედებების შემოწმება და შეფასება მათი კონსტიტუციასთან შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, ხოლო საკონსტიტუციო კონტროლის არსია კონსტიტუციის უზენაესობისა და მისი პირდაპირი მოქმედების, სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვასა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა.³⁹⁸

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა მოსამართლისგან. აქედან სამს ირჩევს საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის არანაკლები სამი მეზუთედით; სამს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო; დანარჩენ სამს კი ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. საკონსტიტუციო სასამართლო ამ ცხრა მოსამართლიდან ერთს ირჩევს თავმჯდომარედ ხუთი წლის ვადით, რომლის ხელმეორედ არჩევა ამავე თანამ-

³⁹⁶ ქ. ერემაძე; თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში; თბ., 2018; გვ.383

³⁹⁷ ჯ. ხეცურიანი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება; თბ., 2016; გვ.10

³⁹⁸ ვ. გონაშვილი, ქ.ერემაძე, გ. თევდორაშვილი და სხვები; შესავალი საკონსტიტუციო სამართალი; თბ., 2016; გვ.437

დებობაზე არ შეიძლება; ორს ირჩევს თავმჯდომარის მოადგილედ და ერთს – საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნად.³⁹⁹

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ არსებული ორგანული კანონით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე განიხილოს და გადაწყვიტოს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებების მიმართებით; საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლები ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე; საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე განიხილოს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხი, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ და რომელიც, მისი საფუძვლიანი ვარაუდით, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას; საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გენერალური პროკურორის, ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალური აუდიტორის, სახალხო დამცველის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს სარჩელის საფუძველზე განიხილოს დავა შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ; საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის სარჩელის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის ან წარდგინების საფუძველზე განიხილოს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი.⁴⁰⁰

³⁹⁹ საქართველოს 1996 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი, კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 6-7

⁴⁰⁰ საქართველოს 1996 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი, კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით მუხლი 21

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია აგრეთვე შესაბამისი სარჩელის საფუძველზე განიხილოს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი; პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხი; რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეკომენდაციების ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული დავა და სხვ.⁴⁰¹ საკონსტიტუციო სამართალწარმოების ძირითადი სტადია სასამართლო განხილვაა. ამ სტადიაზე საკონსტიტუციო სასამართლო უშუალოდ კონსტიტუციურ სარჩელსა თუ წარდგინებაში დასმულ საკითხებზე მსჯელობს და იღებს მათზე საბოლოო გადაწყვეტილებას.⁴⁰² საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად შეიძლება არჩეული ან დანიშნული იქნეს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე 35 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს 10 წლის გამოცდილება და გამოირჩევა პროფესიული კვალიფიკაციით.⁴⁰³ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის არჩევა ხდება ათი წლით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა კი - ხუთი წლით.⁴⁰⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ სრულყოფილად და ეფექტურად რომ იფუნქციოს, აუცილებელი პირობაა თავად სა-

⁴⁰¹ საქართველოს 1996 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი, კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 19-21

⁴⁰² ვ. გონაშვილი, ქ.ერემაძე, გ. თევდორაშვილი და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; თბ., 2017; გვ.465

⁴⁰³ საქართველოს 1996 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი, კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 8

⁴⁰⁴ იქვე, მუხლი 11

სამართლოსა და მისი მოსამართლეების დამოუკიდებლობა.⁴⁰⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. ამასთანავე, იგი სარგებლობს ხელშეუხებლობის იმუნიტეტით, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას წაასწრეს დანაშაულის ჩადენაზე. ამასთან, სასამართლოს წევრს უფლება არა აქვს პარალელურად იმუშაოს სხვა რომელიმე ანაზღაურებად თანამდებობაზე, გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისა.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ქვემდებარე განხილულ საქმეზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება⁴⁰⁶. ამასთანავე, სასამართლოს გადაწყვეტილება მთლიანად უნდა გამოქვეყნდეს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

1.4. საქართველოს სახალხო დამცველი

ომბუდსმენის-სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში თავდაპირველად 1995 წლის კონსტიტუციის საფუძველზე შეიქმნა. მისი კომპეტენცია ზოგადია-მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებას; მისი უფლებამოსილება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.⁴⁰⁷ შესაბამისად, ადამიანის უფლებების დარღვევის

⁴⁰⁵ ვ.გონაშვილი, ქ.ერემაძე, გ. თევდორაშვილი და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; თბ., 2017; გვ.453

⁴⁰⁶ საქართველოს 1996 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი, კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 25

⁴⁰⁷ ვ.გონაშვილი, ქ.ერემაძე, გ. თევდორაშვილი და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბ, 2017, გვ.95

პრევენციის ან დარღვეული უფლებების დაცვის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს სახალხო დამცველის ინსტიტუტი.⁴⁰⁸

როგორც აღინიშნა, საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დაცვას ზედამხედველობს სახალხო დამცველი, რომელიც აირჩევა 6 წლის ვადით საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით.⁴⁰⁹

სახალხო დამცველი თავისი უფლებამოსილებით არის დამოუკიდებელი და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მის საქმიანობაში ჩარევის უფლება არავის არა აქვს და მასზე ყოველგვარი ზემოქმედება კანონით დასჯადია. ამასთანავე, არავის აქვს უფლება, რომ იგი დააკავოს ან დააპატიმროს და მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მის მიმართ, ასევე, არ შეიძლება ჩატარდეს რაიმე იძულებითი სახის საგამოძიებო მოქმედება – მისი ბინის, ავტომანქანის, სამუშაო ოთახის ჩხრეკა, დაკავება და დაპატიმრება, თუ მას არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენაზე.⁴¹⁰ სახალხო დამცველის დაკავების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს პარლამენტს. სახალხო დამცველის დაკავების ან მისი დაპატიმრების ნებართვის მისაცემად საქართველოს პარლამენტს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა წერილობით უნდა მიმართოს.

პარლამენტის მიერ თანხმობის მიუცემლობის შემთხვევაში სახალხო დამცველი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს და განაგრძოს თვისი საქმიანობა.⁴¹¹ კანონმდებლობით დაცულია აგრეთვე სახალხო დამცველის მიერ მოპოვებული ინფორ-

⁴⁰⁸ დ, გეგენავა, ბ, ქანთარია, ლ, ცანავა, და სხვები, საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლი, მესამე გამოცემა, თბ, 2015, გვ. 390

⁴⁰⁹ საქართველოს 1996 წლის ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 6

⁴¹⁰ იქვე, მუხლი 10

⁴¹¹ საქართველოს 1996 წლის ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 10

მაცის გააუცემლობის საკითხი საგამოძიებო ორგანოებისათვის, ანუ უფრო სწორად, მას უფლება აქვს დაკითხვის დროს არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტობრივი გარემოების შესახებ, რაც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა, კანონი იცავს როგორც პირადად მას, ისე მისი ოჯახის წევრებს. მისი დაცვის უზრუნველყოფა ევალება შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ამასთან, კანონი მოითხოვს, რომ სახალხო დამცველს ჰქონდეს სრული შესაძლებლობა და შესაბამისი პირობები თავისი უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელებისათვის.⁴¹²

სახალხო დამცველის საქმიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება სათანადო აპარატი, რომლის მუშაობის წესს და ორგანიზებას დამოუკიდებლად განსაზღვრავს ომბუდსმენი აპარატის დებულებით.⁴¹³ სახალხო დამცველი არ შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც ერთი განყენებული პიროვნება. ცხადია, კანონით მინიჭებულ ფართო უფლებამოსილებას, იგი მარტო, დამოუკიდებლად ვერ შეასრულებს ამიტომაც აქვს კარგად დაკომპლექტებული შესაბამისი აპარატი, რომელსაც ხელმძღვანელობს მისი მოადგილე. აპარატის თანამშრომლები მოქმედებენ მისი რწმუნებითა და სახალხო დამცველის სამუშაო აპარატის დებულებით. საქართველოს სახალხო დამცველის კონტროლის მასშტაბი მოიცავს მხოლოდ ადამიანის ძირითად უფლებებს. ძირითად უფლებებში იგულისხმება საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი უფლებები და თავისუფლებები... ზოგადად ომბუდსმენთა კონტროლის სფერო არის სახელმწიფო ხელისუფლება. არსებითად იმავე პრინციპს ითავისებს საქართველოს სახალხო დამცველიც, რომლის კონტროლის სფეროს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილო-

⁴¹² იქვე, მუხლი 23-26

⁴¹³ ვ.გონაშვილი, ქ.ერემაძე, გ, თევდორაშვილი და სხვები, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბ, 2017, გვ.101

ბრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა წარმოადგენს.⁴¹⁴

საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, „სახალხო დამცველი დამოუკიდებლად ამონმებს ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, ასევე, აღნუსხავს მათი დარღვევის ფაქტებს როგორც მიღებული განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით“.⁴¹⁵ სახალხო დამცველის უფლებამოსილებათა ზუსტ ჩამონათვალს განსაზღვრავს ზემოაღნიშნული კანონის მე-3 მუხლი, რომელიც არეალის მიხედვით საკმაოდ ფართო უფლებამოსილებათა ნუსხას წარმოგვიდგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს, გავაკეთოთ დასკვნა: სახალხო დამცველი და მისი აპარატი თავიანთი უფლებამოსილებით ქმნიან მნიშვნელოვან ორგანოს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია თქვენი დარღვეული უფლების აღდგენა.

საკონტროლო კითხვები:

1. სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის სტრუქტურაში არსებული ორგანოებიდან რომელი მიეკუთვნება სამართალდამცავ ორგანოებს?

2. რა თავისებურებებით ხასიათდება საერთო სასამართლო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი სამართალდამცავი ორგანო?

⁴¹⁴ დ. გეგენავა, ბ. ქანთარია, ლ. ცანავა, და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლი, მესამე გამოცემა; თბ., 2015; გვ.399

⁴¹⁵ საქართველოს 1996 წლის ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 3

3. როგორია საერთო სასამართლოების სტრუქტურა?
4. რომელი სასამართლო მიეკუთვნება პირველი ინსტანციის სასამართლოს?
5. როგორ და რა წესით ხდება პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეების განხილვა?
6. როგორ და რა წესით ხდება სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა?
7. როგორ ხდება საკასაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა?
8. რა არის საკონსტიტუციო სასამართლო და როგორია მისი შემადგენლობა?
9. რა ძირითად საკითხებს იხილავს საკონსტიტუციო სასამართლო?
10. რა უფლებამოსილება აქვს სახალხო დამცველს?

თავი მეორე

კონსტიტუციური სამართალი

2.1. კონსტიტუციური სამართლის ცნება, არსი და მნიშვნელობა

საკონსტიტუციო სამართალი სამართლის დარგებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია და სამართლებრივ სისტემაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს.⁴¹⁶

საკონსტიტუციო სამართალი, რომელსაც ზოგჯერ კონსტიტუციურ სამართალსაც უწოდებენ, სახელმწიფოს მიერ დადგენილი და უზრუნველყოფილი ნორმათა სისტემაა, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფო ორგანოებს, მათ ურთიერთკავშირს, სახელმწიფო ხელისუფლების ერთიან სტრუქტურასა და უფლებამოსილებებს,⁴¹⁷ მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას, სუვერენტეტს, სახელმწიფოს სამართლებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემას.⁴¹⁸

მაშასადამე, საკონსტიტუციო სამართლის მთავარი ამოცანა არის შექმნას წესრიგის მყარი ფუნდამენტი, სადაც ადამიანის თავისუფლება უმაღლესი ფასეულობაა.⁴¹⁹ საამისოდ საკონსტიტუციო სამართალი, პირველ ყოვლისა, არის ღირებულებათა ერთობლიობა, ამასთანავე, დაფუძნებული ამავე ღირებულებების პრიორიტეტულობის დეკლარირებაზე. ღირებულებათა სისტემის ფორმირების პროცესში სამიზნეც და გზამკვლევიც

⁴¹⁶ დ. გეგენავა, ბ.ქანთარია და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეორე გამოცემა; თბ., 2014; გვ.14

⁴¹⁷ ო.მელქაძე; კონსტიტუციონალიზმი; თბ., 2013; გვ.19

⁴¹⁸ დ. გეგენავა, ბ.ქანთარია და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეორე გამოცემა; თბ., 2014; გვ.4

⁴¹⁹ ვ.გონაშვილი, ქ.ერემაძე და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; თბ., 2017; გვ.16

ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფაა, ამიტომ სწორად შერჩეული ღირებულებების ქმედითობის საბოლოო შედეგი უნდა იყოს: 1) ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მათი ნამდვილი არსით აღიარება და მათი დაცვის, რეალიზაციის საკმარისი გარანტიების განჭვრეტადობა, ხელშესახებობა; 2) ხელისუფლების დაფუძნება შეზღუდვის, თვითშეზღუდვის, გამჭვირვალობის, საზოგადოებისა და ცალკეული ინდივიდების მხრიდან კონტროლის ფუნდამენტურ პრინციპზე“.⁴²⁰

საკონსტიტუციო სამართლის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს სახელმწიფო ორგანოების მუდმივი და კანონზომიერი ცვლა, შეზღუდოს არსებული ხელისუფლება, შექმნას იმგვარი გარემო, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები თავისუფლების სფეროში ვერ ჩაერიონ.⁴²¹

ყველა ქვეყანა ისტორიული გამოცდილების, ეროვნული ტრადიციების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გათვალისწინებით კონსტიტუციის თავისებურ მოდელს ირჩევს. კონსტიტუცია ეროვნული განვითარების უმაღლესი სტადიის, სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანესი იურიდიული დოკუმენტია, რომელიც განაპირობებს სახელმწიფო ცხოვრების მათორგანიზებელი ფუნქციის მქონე ინსტიტუტების ქმედუნარიანობას.⁴²²

საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი შეისწავლის იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობას, რომლითაც დადგენილი და მონესრიგებულია საქართველოს სახელმწიფო ნესწყობილება და პოლიტიკური საფუძვლები, სახელმწიფოს

⁴²⁰ ვ.გონაშვილი, ქ.ერემაძე, ქ.თევდორაშვილი და სხვები; შესავალი საკონსტიტუციო სამართალში; თბ., 2016; გვ.15

⁴²¹ დ. გეგენავა, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები; თბ., 2012; გვ.1

⁴²² ი. კვესელავა, ე. გვენეტაძე; საქართველოს კონსტიტუციური განვითარების პოლიტიკური, სამართლებრივი და ისტორიული ასპექტები; თბ., 2019; გვ.8

ტერიტორიული ორგანიზაცია, მოქალაქეთა პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობა, სახელმწიფო ორგანოების სისტემა და მათი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და სხვ.

მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობები ძირითადად მოწესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ნორმებით და, ამდენად, კონსტიტუციურ სამართალს სამართლის სხვა დარგებს შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ქმედითობისათვის უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ გარანტიას წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი, რომლის თანახმად: 1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.⁴²³

დემოკრატიული, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც მიღებულ იქნა 1955 წლის 24 აგვისტოს, შედგებოდა პრეამბულის, 9 თავისა და 109 მუხლისაგან. საქართველოს ამ მოქმედ კონსტიტუციაში ამჟამად შეტანილია ცვლილებები საქართველოს პარლამენტის მიერ. 2017 წლის 13 ოქტომბერს მიღებულ იქნა საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია. ამ ახალი ცვლილებების შეტანის შემდეგ ეს კონსტიტუცია შედგება იმავე პრეამბულის, თერთმეტი თავისა და 78 მუხლისგან.

კონსტიტუციის პრეამბულაში ჩამოყალიბებულია საქართველოს მოქალაქეთა მიზნები და ამოცანები; სწორედ ამ პრეამბულაში არის დეკლარირებული საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება⁴²⁴ „დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყოთ ადამიანის

⁴²³ ვ.გონაშვილი, ქ.ერემაძე და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; თბ., 2017; გვ.24

⁴²⁴ იქვე: გვ.18

საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი..“⁴²⁵
„საქართველოს კონსტიტუციის ეს დებულება არის მთავარი, ძირითადი კარი თითოეული ჩვენგანის თავისუფლებისა და გვაძლევს სამართლებრივ შესაძლებლობას, ერთი მხრივ, თავად მივიღოთ უშუალო მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, ხოლო, მეორე მხრივ, მოვთხოვოთ ქვეყნის ხელისუფლებას, ქვეყანა მართოს და განავითაროს ჩვენ მიერ ერთხელ უკვე არჩეული გზის შესაბამისად“.⁴²⁶

2.2. საარჩევნო სისტემა

დემოკრატიის თეორიის თანახმად, მოქალაქეების მიერ ხელისუფლების კონტროლის ძირითადი საშუალება თავისუფალი არჩევნებია. დემოკრატიის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა არჩევნების თეორია და იზრდებოდა მისი ფუნქცია.⁴²⁷

ქართული კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს საარჩევნო სამართალი წარმოადგენს. არჩევნები, არის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი, ემსახურება როგორც ამომრჩეველთა, ისე ასარჩევი პირების ინტერესების დაცვას, საერთო მიზნის-დემოკრატიული საჯარო მმართველობის უზრუნველყოფას.⁴²⁸ საარჩევნო უფლე-

⁴²⁵ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პრეამბულა, კონსოლიდირებული ვერსია

⁴²⁶ ქ. ერემაძე; ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში; თბ., 2013; გვ.7

⁴²⁷ დ.გეგენავა, ბ.ქანთარია და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეოთხე გამოცემა; თბ., 2016; გვ.147

⁴²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე-საქართველოს მოქალაქეები-სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2,N10

ბა პოლიტიკურ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება⁴²⁹ კონსტიტუციის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს არჩევნების გზით მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლების ლიგიტიმაციის პროცესში, ხოლო რეფერენდუმზე გადანაცვითოს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები. არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული წესრიგისათვის.⁴³⁰ არჩევნები ხალხის ნების გამოხატვის იდეალური საშუალებაა, ხოლო ხალხის ნება ხელისუფლების ძალაუფლების გამომხატველია.⁴³¹

საარჩევნო სისტემა ეწოდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისეთ სისტემას, რომელიც დაკავშირებულია და რომლის მეშვეობითაც ხდება სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნა-ჩამოყალიბება.

საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს საყოველთაო, თავისუფალი, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე ჩატარებული არჩევანის უფლებას.⁴³²

არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს. უცხოელები არ განეკუთვნებიან სახელმწიფო ერს-ხალხს. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ სააქართველოს მოქალაქე; ხელისუფლების დემოკრატიული ლეგიტიმაციის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება უცხოელებზე არ ვრცელდება.⁴³³

⁴²⁹ ო. მელქაძე; საარჩევნო სამართალი თეორია და ქართული პრაქტიკა; თბ., 2012; გვ.13

⁴³⁰ გ. ხუბუა; საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი; თბ., 2005; გვ.242

⁴³¹ დ. გეგენავა, ბ.ქანთარია და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეოთხე გამოცემა; თბ., 2016; გვ.148

⁴³² ავტორთა კოლექტივი; საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი; თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი; თბ., 2013; გვ.335

⁴³³ გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი

საკონსტიტუციო სამართალში ტერმინი „არჩევნები“ აღნიშნავს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა შექმნისა და თანამდებობის პირთა არჩევის პროცედურას, რომელსაც კენჭისყრის მეშვეობით უფლებამოსილი პირები ახორციელებენ.⁴³⁴

„ქართული სახელმწიფოს არსებობის მანძილზე პირველი დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვალს გაიმართა, რომლის შედეგადაც საქართველოს ისტორიაში პირველად არჩეულ იქნა ლეგიტიმური ორგანო-დამფუძნებელი კრება.⁴³⁵ მის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა „დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება“, ის მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 22 ნოემბერს.⁴³⁶ არჩევნები ჩატარდა საყოველთაო, თანასწორი და პრიდაპირი საარჩევნო პრინციპების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. იგი გაიმართა „პროპორციული წარმომადგენლობის წესისამებრ“, პარტიული სიების მიხედვით, ერთ საარჩევნო ოლქში, რომელიც ხმის მისაცემად დაყოფილი იყო საარჩევნო უბნებად. მაშინდელი ქართველი მოაზროვნეები მიიჩნევდნენ, რომ პარლამენტში დაცული უნდა ყოფილიყო ძალთა განწყობის პროპორცია⁴³⁷. მნიშვნელოვანია, რომ ქართული საარჩევნო კანონმდებლობის ისტორია იცნობს არა მხოლოდ ცენტრალურ, არამედ ქვედა დონეზე ასარჩევი ორგანოების არჩევის წესის

უფლებანი და თავისუფლებანი; თბ., 2005; გვ.242

⁴³⁴ დ. გეგენავა, ბ. ქანთარია და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეოთხე გამოცემა; თბ., 2016; გვ.147

⁴³⁵ ვ. გონაშვილი, ქ.ერემაძე და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; თბ., 2017, გვ.167-168

⁴³⁶ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921); შემდგენელი ე.გურგენიძე; თბ., 1990; გვ.82

⁴³⁷ გ. გვაზავა; ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა წიგნში, ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები; ზ.კორძაძისა და თ.ნემსიწვერიძის რედაქტორობით; თბ., 2016; გვ.72

მომწესრიგებელ აქტებს.⁴³⁸ აღსანიშნავია, რომ პირველ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 15-მა პოლიტიკურმა პარტიამ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 505477 ხმის კანონიერება ცნო. 130 მანდატიდან 109 სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო.⁴³⁹

ასე თუ ისე, კონსტიტუციონალიზმის ევოლუციის პროცესში, საარჩევნო სამართალში მრავალი კლასიკური სტანდარტი დამკვიდრდა. ამ სტანდარტების გათვალისწინებით⁴⁴⁰ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია საარჩევნო სისტემის პრინციპები და მას მიეკუთვნება არჩევნების ჩატარება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით.

საყოველთაობა ნიშნავს იმას, რომ საარჩევნო უფლება მინიჭებული აქვს გარკვეულ ასაკს მიღწეულ ყველა მოქალაქეს, იმ პირების გარდა, ვინც სასამართლოს მიერ ცნობილია უუნაროდ. აგრეთვე, მასში არ იღებენ მონაწილეობას სასჯელალსრულებით დაწესებულებებში მყოფი თავისუფლებააღკვეთილი პირები.

პირდაპირი საარჩევნო უფლება ნიშნავს იმას, რომ ამომრჩეველსა და საარჩევნო კანდიდატსა თუ საარჩევნო სუბიექტს შორის არ არსებობს რაიმე ინსტიტუცია, რომელიც საკუთარი შეხედულებით აირჩევს კანდიდატებს; მათ უშუალოდ ირჩევს ხალხი.⁴⁴¹ თანასწორი საარჩევნო უფლება ზოგადი თანასწორობის პრინციპის სპეციალური ნორმაა, რომელიც გულისხმობს კონკრეტულად აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების

⁴³⁸ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921); შემდგენელი ე.გურგენიძე; თბ., 1990; გვ.82

⁴³⁹ ვ. გონაშვილი, ქ.ერემაძე და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; თბ., 2017; გვ.167-169

⁴⁴⁰ ო, მელქაძე; საარჩევნო სამართალი თეორია და ქართული პრაქტიკა; თბ., 2012; გვ.27

⁴⁴¹ ავტორთა კოლექტივი; საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი; თბ., 2013; გვ.338

განხორციელებას თანასწორ პირობებში.⁴⁴² თანასწორი საარჩევნო პრინციპი უშუალოდ არის მიმართული ხელისუფლების დანაწილების სისტემაზე, როგორც მისი პოლიტიკური ბალანსის განმაპირობებელი ფაქტორი.⁴⁴³

ფარული საარჩევნო უფლება უზრუნველყოფს იმას, რომ ხმის მიცემის პროცესი, ისევე, როგორც მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც ხმის მიცემის პროცესისთვის არის აუცილებელი, სხვისთვის უცნობი უნდა იყოს.⁴⁴⁴ ფარულობის უზრუნველმყოფ ნორმებად ითვლება იმ ბიულეტენის ბათილად ცნობა, რომლის შინაარსიც გამჟღავნებულია, არჩევნებზე მისულ ამომრჩეველთა სიის გამოქვეყნების აკრძალვა და სხვ.⁴⁴⁵

არჩევნები უნდა წარიმართოს ყოველგვარი სახელმწიფო, პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედების გარეშე. არჩევნების თავისუფლება უნდა იყოს რეალიზებული არა მარტო ფორმალურად, არამედ ფაქტობრივადაც. დაუშვებელია პოლიტიკური ზეწოლა როგორც სახელმწიფოს, ისე სხვა ამომრჩევლებისა და ჯგუფების მხრიდან.⁴⁴⁶

არსებობს არჩევნების ორი ძირითადი სახე: პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირია არჩევნები როდესაც ამომრჩეველი უშუალოდ ირჩევს სასურველ კანდიდატს, ამომრჩეველსა და კანდიდატს შორის არ არსებობს შუალედური რგოლი, მაგალითად, პირდაპირი არჩევნებით არჩევიან პარალემენტარები და სხვები. არაპირდაპირია არჩევნები, როდესაც ამომრჩეველსა

⁴⁴² იქვე,

⁴⁴³ ო. მელქაძე; საარჩევნო სამართალი თეორია და ქართული პრაქტიკა; თბ., 2012; გვ.44

⁴⁴⁴ ავტორთა კოლექტივი; საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მერე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი; თბ., 2013; გვ.341

⁴⁴⁵ ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; თბ., 2017; გვ.195

⁴⁴⁶ გ. ხუბუა; საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი; თბ., 2005; გვ.148

და კანდიდატს შორის არის შუალედური რგოლი, ანუ სასურველი კანდიდატის არჩევის საკითხს წყვეტს არა უშუალოდ ამომრჩეველი არამედ მათ მიერ არჩეული პირები.⁴⁴⁷

პერიოდულობის მიხედვით, არსებობს საყოველთაო, შუალედური, მორიგი და რიგგარეშე არჩევნები. საყოველთაო არჩევნები, როდესაც არჩევნებში მონაწილეობას იღებს ქვეყნის ყველა ამომრჩეველი.

შუალედურია არჩევნები, რომლითაც საკანონმდებლო ან წარმომადგენლობითი ორგანოების ნაწილობრივი განახლება ხდება, ანუ უფლებამოსილების ვადის ამონურვამდე წევრების გამოკლების შემთხვევაში ხდება ახალი წევრებით ჩანაცვლება.⁴⁴⁸

მორიგი არჩევნები ტარდება კონსტიტუციასა და კანონში მითითებულ ვადებში ან მაშინ, როდესაც შესაბამის ორგანოს გასდის უფლებამოსილების ვადა. რიგგარეშე არჩევნები საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი დაშლილია, ასევე, პრეზიდენტისა და არჩეული თანამდებობის პირის გარდაცვალების, თანამდებობიდან გადაყენების, იმპიჩმენტის ან ვადამდე გადადგომის შემთხვევაში.⁴⁴⁹

როგორც უკვე აღინიშნა, საარჩევნო სისტემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესზე ახდენს ზეგავლენას.⁴⁵⁰ საარჩევნო სისტემის შემდეგ სახეებს გამოყოფენ: მაჟორიტარული, პროპორციული და შერეული.⁴⁵¹

⁴⁴⁷ ა. დემეტრაშვილი; კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო; თბ., 2005; გვ.157

⁴⁴⁸ საქართველოს 2011 წლის საარჩევნო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით; მუხლი 2

⁴⁴⁹ დ. გეგენავა, ბ. ქანთარია და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; მეოთხე გამოცემა; თბ., 2016; გვ.147

⁴⁵⁰ მ. მაცაბერიძე; არჩევნები და საზოგადოება; თბ., 2003; გვ.325

⁴⁵¹ თ. პაპაშვილი, საარჩევნო სისტემის საკონსტიტუციო ჩარჩო: საქართველოში მიმდინარე რეფორმის პერსპექტივა; კონსტიტუციონალიზმის 800 წელი; თბ.,

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის დროს ყველა საარჩევნო ოლქში პარტიების მიერ წარმოდგენილია თითო კანდიდატი და პირადად იყრის კენჭს. არჩეულად მიჩნევა ის, ვინც ოლქის საარჩევნო უბანში მონაწილე ამომრჩეველთა ერთი მესამედიდან ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს დეპუტატობის მანდატები ნაწილდება არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და ბლოკებს შორის პროპორციული რაოდენობით.

შერეული საარჩევნო სისტემა გულისხმობს ისეთ საარჩევნო სისტემას, რომელშიც პარლამენტთა მანდატის ერთი ნაწილი მაჟორიტარული, ხოლო მეორე-პროპორციული სისტემის მეშვეობით ნაწილდება. ასეთი სისტემით სარგებლობს დღეს ევროპის ბევრი სახელმწიფო (მაგ:გერმანია, იტალია, ლიტვა).⁴⁵²

2.3. საქართველოს პარლამენტი

თანამედროვე პარლამენტარიზმის ისტორიული საფუძვლები ინგლისის ფეოდალურ ეპოქასთან არის დაკავშირებული, როცა მეფესა და დიდგვაროვნებს შორის დაპირისპირების შედეგად შეთანხმებასა და სამეფო ძალაუფლების მხრიდან კომპრომისს მიაღწიეს, რაც ჯონ უმინანცლოს მიერ „თავისუფლების დიდი ქარტიისათვის“ ხელმოწერით გაფორმდა.⁴⁵³ თავის მხრივ, ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დამკვიდრების მცდელობა მეთორმეტე საუკუნეს უკავშირდება. ეს ის პერიოდია, როდესაც სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესის ყუთლუ-არსლანის მეთაურობით შემუშავდა პარლამენტის

2017; გვ.93

⁴⁵² მ. მაცაბერიძე; არჩევნები და საზოგადოება; თბ., 2003; გვ.206

⁴⁵³ დ. გეგენავა, ბ. ქანთარია და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეოთხე გამოცემა; თბ.,2014; გვ.180

მსგავსი ორგანოს- კარავის შექმნის იდეა.⁴⁵⁴ თანამედროვე სახელმწიფოთა უმრავლესობაში კანონშემოქმედებით საქმიანობა კონსტიტუციით ფორმირებულ არჩევით ნარ- მომადგენლობით ორგანოებს ეკისრება.⁴⁵⁵ მსგავსი ორგანოს ტერმინი „პარლამენტი“ სიტყვასიტყვით ნიშნავს მოლაპარაკებას, თათბირს, მას ინგლისური გაგებით სახელმწიფო საქ- მეებზე საზეიმო თათბირსაც კი უწოდებდნენ.⁴⁵⁶

ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა შორის პარლამენტი ყველაზე უფრო მეტად არის ხალხის ნების გამომხატველი, რო- გორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო მოქმედებს კონსტიტუციით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, მისი გადაწყვეტილებები გამომდინარეობს ხალხისაგან.⁴⁵⁷ სახ- ელმწიფო ხელისუფლების სისტემაში საქართველოს პარლა- მენტის ადგილის გასარკვევად ფასდება არა მარტო მისი კომ- პეტენცია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მისი ურთერთობა ხელისუფლების სხვა განშტოებებთან და მისი დამოუკიდე- ბლობის ხარისხი, მისი როლი ხელისუფლების დანაწილების პრინციპში.⁴⁵⁸

კონსტიტუციებით აღირებული დემოკრატიზაციის სისტე- მა ეფუძნება პრინციპს, რომ ხელისუფლების უმაღლესი ორ- განოები, მართალია სხვადასხვა გზით, მაგრამ ფორმირდება დემოკრატიულად, ლეგიტიმურად და ხელისუფლების დან- აწილების პრინციპის მიხედვით.⁴⁵⁹

⁴⁵⁴ ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამარ- თალი; თბ., 2017; გვ.245

⁴⁵⁵ ო. მელქაძე; საპარლამენტო სამართალი მსოფლიო პრაქტიკაში და ქართულ რეალობაში; თბ.,2013; გვ.11

⁴⁵⁶ იქვე:

⁴⁵⁷ ავ. დემეტრაშვილი, გ.გოგიაშვილი; კონსტიტუციური სამართალი; თბ., 2016; გვ.232

⁴⁵⁸ ა. ფირცხალაიშვილი, გ. მირიანაშვილი; საქართველოს სახელმწიფო მონყობის საფუძვლები, თბ, 2018, გვ.19

⁴⁵⁹ ავ. დემეტრაშვილი, გ. გოგიაშვილი; კონსტიტუციური სამართალი; თბ., 2016;

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც, ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.⁴⁶⁰

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან. პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი. პარლამენტი შედგება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული სისტემით არჩეული 150 წევრისაგან.⁴⁶¹

პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამონურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს. პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში არჩევნები ტარდება პარლამენტის დათხოვნიდან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა. თუ არჩევნების თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები

გვ.232

⁴⁶⁰ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 38

⁴⁶¹ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 37

ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა.⁴⁶²

პარლამენტის ნევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც. პარლამენტის ნევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა.⁴⁶³ პარლამენტის კომპეტენცია, ანუ უფლებამოსილების ფრონტი და მოცულობა, რომელთა ფარგლებშიც ხდება მისი ძირითადი ფუნქციის რეალიზება, მთლიანობად წარმოაჩენს მის სამართლებრივ ბუნებას.⁴⁶⁴ პარლამენტის საქმიანობის ძირითად პრინციპად აღიარებულია:

- ა) მრავალპარტიულობა;
- ბ) წარმომადგენლობითი პროპორციულობის დაცვა;
- გ) საკითხების თავისუფალი, კოლექტიური განხილვა-გადანყვეტა;
- დ) საქართველოს კონსტიტუციის, კანონების, პარლამენტის რეგლამენტისა და სხვა ნორმატიული აქტების განუხრელი დაცვა და მათი შესრულების კონტროლი;
- ე) საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვა და პატივისცემა;
- ვ) საჯაროობა;
- ზ) სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების ერთიანობა.

პარლამენტი შეიძლება დაითხოვოს საქართველოს პრეზიდენტმა მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებ-

⁴⁶² ა. ფირცხალაიშვილი, გ. მირიანაშვილი; საქართველოს სახელმწიფო მონეობის საფუძვლები; თბ., 2018; გვ.20

⁴⁶³ ავ. დემეტრაშვილი, ი.კობახიძე; კონსტიტუციური სამართალი; თბ., 2014; გვ.185

⁴⁶⁴ ო. მელქაძე; საპარლამენტო სამართალი მსოფლიო პრაქტიკაში და ქართულ რეალობაში; თბ., 2013; გვ.49

ში. კერძოდ, პრეზიდენტს ეკრძალება პარლამენტის დათხოვნა, ისეთ გარემო-ვითარებაში, როგორიცაა:

ა) საპარლამენტო არჩევნების ჩატარებიდან 6 თვის განმავლობაში;

ბ) პარლამენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას;

გ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში.

პარლამენტის ორგანოებია: ბიურო, კომიტეტი და ფრაქცია. კომიტეტის საქმიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება პარლამენტის კომიტეტები და დროებითი საგამოძიებო კომისია.⁴⁶⁵ პარლამენტში ცალკეული თანამდებობის პირებად მიიჩნევიან: პარლამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგილე; კომიტეტის თავმჯდომარე; უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერი; ფრაქციის თავმჯდომარე; საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების თავმჯდომარეები; კომიტეტისა და ფრაქციის თავმჯდომარეთა მოადგილეები; პარლამენტის აპარატის უფროსი.⁴⁶⁶

2.4. საქართველოს პრეზიდენტი

ტერმინი „პრეზიდენტი“ წარმოიშვა ლათინური Presidents-იდან, რაც სიტყვასიტყვით „წინ მჯდომს“, ხოლო აზრობრივად „თავმჯდომარეს“, „მეთაურს“ ნიშნავს.⁴⁶⁷

რესპუბლიკური მმართველობის ქვეყნებში პრეზიდენტი არის სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც

⁴⁶⁵ ა. ფირცხალაიშვილი, გ. მირიანაშვილი; საქართველოს სახელმწიფო მონეტის საფუძვლები; თბ., 2018; გვ.39

⁴⁶⁶ ავ. დემეტრაშვილი, ი.კობახიძე; კონსტიტუციური სამართალი, სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა; თბ., 2014; გვ.179-180

⁴⁶⁷ ლ. შაიშველაშვილი; პრეზიდენტის ინსტიტუტი; თბ., 2008; გვ.31

განასახიერებს ქვეყნისა და ერის ერთიანობისა და განუყოფლობის სიმბოლოს⁴⁶⁸. პრეზიდენტი ეფექტურობისა და ლიბერალიზმის სიმბოლოა, რამდენადაც საკონსტიტუციო სამართალში იგი წარმოადგენს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს, რომელიც, ამავე დროს, მოქმედებს კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი თვითნებობა.⁴⁶⁹

სხვადასხვა სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში პრეზიდენტის ინსტიტუტის მრავალფეროვანი მოდელებია გავრცელებული. პრეზიდენტის სტატუსსა და უფლებამოსილებებზე არსებით ზეგავლენას სახელმწიფოს ამა თუ იმ მმართველობის ფორმისადმი მიკუთვნება ახდენს, თუმცა ის საფრთხეები, რომლებიც მმართველობის სხვადასხვა ფორმას ახასიათებს (საპარლამენტო რესპუბლიკაში „ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის ურთიერთსაპირისპირო ლეგიტიმურობა და სახელისუფლო კრიზისების მაღალი ალბათობა“,⁴⁷⁰ საპრეზიდენტო რესპუბლიკაში უფლებამოსილებათა ერთი პირის ხელში თავმოყრის საფრთხე და სხვ), სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა შორის პრეზიდენტის განსაკუთრებულ ადგილს განსაზღვრავს.⁴⁷¹

ორგანოს თუ თანამდებობის პირის ლეგიტიმურობის ხარისხი და არცთუ იშვიათად როლი სახელმწიფოებრივ მექანიზმში ბევრადაა დამოკიდებული მისი ფორმირების ან თანამდებობაზე გამწესების წესებზე. ამიტომ სულაც არ იყო მოულოდნელი დღევანდელი კონსტიტუციის პროექტის შემუშავების

⁴⁶⁸ დ. გეგენავა, ბ. ქანთარია და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეორე გამოცემა; თბ., 2014; გვ.227

⁴⁶⁹ პ. პაკტე, პ. მელენ-სუკრამანიანი; კონსტიტუციონალიზმის შესავალი; მ.მაისურაძის თარგმანი; თ.ნინიძის რედაქტორობით; თბ., 2003, გვ.215

⁴⁷⁰ ა. შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი; თ.ნინიძის რედაქტორობით; თბ., 2003, გვ.215

⁴⁷¹ დ. გეგენავა, ბ. ქანთარია და სხვები, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; მეორე გამოცემა; თბ., 2014; გვ.227

დროს პრეზიდენტის გამწესების თაობაზე გამართული მწვავე დისკუსიები.⁴⁷²

საქართველოს კონსტიტუციით, პრეზიდენტი აღიარებულია სახელმწიფოს მეთაურად და სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდლად და ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტად.⁴⁷³

პრეზიდენტის უფლებამოსილება განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით. საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია და თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი არც დაპატიმრება და არც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ, გამონაკლისია შემთხვევა, როცა პრეზიდენტი დაარღვევს კონსტიტუციას და ჩაიდენს სამშობლოს ღალატს ან სხვა სახის დანაშაულს. ამ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია გადააყენოს იგი დაკავებული თანამდებობიდან.⁴⁷⁴

საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებების თანახმად, ამჟამინდელი რედაქციის მიხედვით „საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით დებატების გარეშე ღია კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კოლეგია. ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ“. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში შედის 300 წევრი, მათ შორის საქართველოს პარლამენტის და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების

⁴⁷² ვ. ბაბუკი/ვაული; კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში; (1993-1995); თბ., გვ.160

⁴⁷³ ა. ფირცხალაიშვილი, გ. მირიანაშვილი; საქართველოს სახელმწიფო მოწყობის საფუძვლები; თბ., 2018; გვ.69

⁴⁷⁴ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია; კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლები: 49-52

ყველა წევრი. კვოტები განისაზღვრება პროპორციული გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვითა და ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების პროპორციის მიხედვით. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.⁴⁷⁵

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება პარლამენტის სასახლეში. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს საარჩევნო კოლეგიის არანაკლებ 30 წევრს. საარჩევნო კოლეგიის ერთ წევრს შეუძლია მხარი დაუჭიროს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენას. საარჩევნო კოლეგიის ერთ წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს. არჩევნების პირველ ტურში არჩეულად მიიჩნევა კანდიდატი, რომელიც მიიღებს საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ხმების ორ მესამედს მაინც. თუ პირველ ტურში საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩა, მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. არჩევნების პირველი ან მეორე ტური შემდგარად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თუ არჩევნები არ შედგა ან საარჩევნო კოლეგიამ საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩია, 30 დღის ვადაში იმართება საქართველოს პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები.⁴⁷⁶

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართ-

⁴⁷⁵ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია; კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით; მუხლი 50

⁴⁷⁶ იქვე

ველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება უფლებამოსილების შეწყვეტიდან 45 დღის ვადაში. თუ არჩევის თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან 45 დღის ვადაში. თუ საქართველოს პრეზიდენტის არჩევის თარიღი ემთხვევა პარლამენტის არჩევნების ან მის წინა თვეს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვიდან 45 დღის განმავლობაში. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს ნიშნავს პარლამენტი, გარდა ხელახალი არჩევნებისა, რომელსაც ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.⁴⁷⁷

საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი თავის უფლებამოსილებას წყვეტს არჩეული ახალი პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძვლით საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც მას განიხილავს და პარლამენტს დასკვნას წარუდგენს ერთი თვის ვადაში. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს. საქართველოს პრეზიდენტი

⁴⁷⁷ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია; კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით; მუხლი 50

იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. მთავრობის წევრი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, გენერალური პროკურორი, გენერალური აუდიტორი ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.⁴⁷⁸

2.5. საქართველოს მთავრობა

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სახელმწიფოებრივი ორგანიზმისა და კონსტიტუციური წყობის წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს ხელისუფლების დანაწილება წარმოადგენს. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შესაბამისად კი, აღმასრულებელი ხელისუფლება წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოს, რომლის ძირითადი ფუნქცია კანონების აღსრულებასა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მათ რეალიზაციაში მდგომარეობს.⁴⁷⁹

სახელმწიფოთა უმრავლესობაში აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა მთავრობა, რომელიც ახორციელებს სახელმწიფოს უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და სახელმწიფო საქმეების საერთო მართვას. მთავრობა გვევლინება კოლეგიურ სახელმწიფო ორგანოდ, რომელიც უზრუნველყოფს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას,

⁴⁷⁸ იქვე, მუხლი 48

⁴⁷⁹ ვ. გონაშვილი, ქ.ერემაძე და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; თბ., 2017, გვ.393

სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობის დაცვას⁴⁸⁰. მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობის ხელმძღვანელობას, განაგებს სახელმწიფო ადმინისტრაციას, სახელმწიფო ფინანსებს, საერთაშორისო ურთიერთობებს და შეიარაღებულ ძალებს.⁴⁸¹

მთავრობის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, სტატუსი განპირობებულია შესაბამისი მმართველობის სისტემის თავისებურებით, რომელიც ყოველი კონკრეტული სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სივრცის მიხედვით, განსხვავებულია⁴⁸². სამთავრობო კაბინეტის უფლებამოსილებები, ცალკეული სამართლებრივი სისტემებისა და სახელმწიფო მმართველობის ფორმების მიხედვით განსხვავდება და ეს განსხვავებები ძირითადად სამთავრობო კაბინეტის ფორმირების, მთავრობის გადაყენებისა და პარლამენტის დათხოვნის უფლებამოსილებების საკითხებშია.⁴⁸³

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმებამდე საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის პირველ პუნქტში არსებობდა ჩანაწერი; „მთავრობა უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას“, რაც სრულყოფილად ვერ ასახავდა მთავრობის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელი და უმაღლესი ორგანოს სამართლებრივ ბუნებას. მთავრობის კონსტიტუციური სტატუსი უშუალო კავშირშია მის კომპეტენციებთან და ხელისუფლების ორგანოთა შორის ადგილის განსაზღვრასთან. 2010 წლის 15 ოქტომბრის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად მთავრობა ჩამოყალიბდა აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებ-

⁴⁸⁰ ვ. გონაშვილი, ქ.ერემაძე და სხვები; შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში; თბ, 2016; გვ.409

⁴⁸¹ ო. მელქაძე; კონსტიტუციონალიზმი; თბ., 2005; გვ.318

⁴⁸² დ. გეგენავა, ბ. ქანთარია და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; მეოთხე გამოცემა, თბ., 2016; გვ.256

⁴⁸³ იქვე, გვ.256

ელ უმაღლეს ორგანოდ, რომელიც ახორციელებს ქვეყნის სა-
შინაო და საგარეო პოლიტიკას.⁴⁸⁴

მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრები-
საგან . მთავრობის შემადგენლობაში, ასევე, შესაძლოა, იყოს
ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო მინისტრი, რომლის თანამდებ-
ობა, შესაძლოა, შემოღებულ იქნას კანონით განსაკუთრებულ
ამოცანათა შესრულების მიზნით.⁴⁸⁵ მინისტრი ხელმძღვანელობს
სამინისტროს და კანონით დადგენილი წესით თავისი კომპე-
ტენციის ფარგლებში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

საქართველოს კონსტიტუციის 55-ე მუხლის თანახმად,
მთავრობის მეთაურია საქართველოს პრემიერ-მინისტრი,
რომელიც განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის ძირითად
მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას,
ახორციელებს მინისტრების საქმიანობის კოორდინაციასა და
კონტროლს, ხელს აწერს მთავრობის სამართლებრივ აქტებს.
ცხადია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს
მთავარ ძალას საგარეო ურთიერთობებში, დებს საერთაშორ-
ისო ხელშეკრულებებს საქართველოს სახელით. პრემიერ-მინ-
ისტრი ნიშნავს საკუთარ კაბინეტს, იგი, ასევე, ათავისუფლებს
მინისტრებს; უფლებამოსილია ერთ-ერთ მინისტრს დააკისროს
პირველი ვიცე-პრემიერის, აგრეთვე ერთ ან რამდენიმე მინის-
ტრს ვიცე-პრემიერის მოვალეობა.⁴⁸⁶

საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლე-
ბამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს
კანონის შესაბამისად მთავრობა აღმასრულებელ ხელისუფლე-
ბას ახორციელებს სამინისტროების, მათი მმართველობის სფერ-

⁴⁸⁴ ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამარ-
თალი; თბ., 2017; გვ.403

⁴⁸⁵ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, კონსოლიდირებული
ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 54

⁴⁸⁶ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, კონსოლიდირებული
ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 55

ოში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებების, მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებელი დაწესებულების, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით.⁴⁸⁷

პრემიერ-მინისტრი მთავრობის საქმიანობისთვის ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე პარლამენტის მოთხოვნით სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მიმდინარეობის ანგარიშს.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ახალარჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შექენისთანავე მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას პარლამენტის წინაშე და განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე. გადადგომის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრს უფლებამოსილება უწყდება გადადგომისთანავე. პრემიერ-მინისტრის გადადგომის ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტის შემთხვევაში მთავრობა განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე. პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას⁴⁸⁸.

ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტი უფლებამოსილია უნდობლობის საკითხი აღძრას მთავრობის წინააღმდეგ. უნდობლობის საკითხის აღძვრასთან ერთად ინიციატორები წამოაყენებენ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს, ხოლო პრემიერ-მინის-

⁴⁸⁷ ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; თბ., 2017; გვ.413

⁴⁸⁸ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 56

ტრობის კანდიდატი პარლამენტს წარუდგენს მთავრობის ახალ შემადგენლობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა.⁴⁸⁹

გარდა ამისა, თავად პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია პარლამენტის წინაშე დასვას მთავრობის ნდობის საკითხი. ნდობის საკითხს კენჭი ეყრება მისი დასმიდან არაუადრეს მე-7 და არაუგვიანეს მე-14 დღისა. თუ პარლამენტი ნდობას არ გამოუცხადებს მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტი ნდობის არგამოცხადებიდან არაუადრეს მე-8 და არაუგვიანეს მე-14 დღისა დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს.

⁴⁸⁹ იქვე, მუხლი 57

საკონტროლო კითხვები

1. რა არის და რას შეისწავლის საკონსტიტუციო სამართალი?
2. როგორია საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის სისტემა?
3. რას ნიშნავს არჩევნების მაჟორიტარული და პროპორციული სისტემა?
4. ვისგან შედგება პარლამენტი?
5. რა პრინციპები ახასიათებს პარლამენტის საქმიანობას?
6. რა შემთხვევაში არ შეიძლება პარლამენტის გაუქმება?
7. რამდენი და რა სახელწოდების კომიტეტები არსებობს პარლამენტში?
- 8 ვინ შეიძლება აირჩიონ საქართველოს პრეზიდენტად?
9. რა უფლებამოსილება აქვს საქართველოს პრეზიდენტს?
10. პრეზიდენტი უფლებამოსილია თუ არა დაითხოვოს პარლამენტი?
11. ვის მიერ და რა შემთხვევაში შეიძლება საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება?
12. რა უფლებამოსილება აქვს საქართველოს პრემიერ-მინისტრს?
13. არის თუ არა უფლებამოსილი პარლამენტი უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას?

თავით მესამე

სამოქალაქო სამართალი

3.1. სამოქალაქო სამართლის ცნება, წყაროები და სისტემა

სამოქალაქო სამართლის კვლევის სფერო უაღრესად ფართო და მრავალმხრივია, რადგან იგი შეისწავლის და აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. ახალი სამოქალაქო კოდექსი მიიღეს 1997 წელს, რომელმაც უფრო გააფართოვა სამოქალაქო სამართლის სფერო და მას მიაკუთვნა სამართლის ზოგიერთი დამოუკიდებელი დარგი, მაგალითად, საოჯახო სამართალი.⁴⁹⁰

სამოქალაქო სამართლის უმთავრესი წყაროა საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ქართველი და უცხოელი, კერძოდ, გერმანელი ცივილისტების ერთობლივი მუშაობის შედეგად იქნა შემუშავებული.

კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ცნებაში იგულისხმება ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც კერძოსამართლებრივი ნორმით არის მონესრიგებული. ხშირად მას მიიჩნევენ „პირებს შორის სამართლებრივ კავშირად“.⁴⁹¹

სამოქალაქო კოდექსი შედგება ექვსი წიგნისა და ათას ხუთას ოცი (1520) მუხლისაგან.

პირველი წიგნი დათმობილი აქვს სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებს და მოიცავს პირველიდან ას ორმოცდაექვს (1-146) მუხლს;

მეორე წიგნში გაშუქებული და დადგენილია სანივთო, ანუ

⁴⁹⁰ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.245

⁴⁹¹ ზ. ჭეჭელაშვილი; სანივთო სამართალი; თბ., 2008; გვ.11

ქონებრივი სამართლის ამსახველი ნორმები და მოიცავს 147-315 მუხლებს;

მესამე წიგნი ეთმობა ვალდებულებითი სამართლის ნორმების გადმოცემას და მოიცავს 316-1016 მუხლებს; მეოთხე წიგნი დათმობილი აქვს ინტელექტუალური საკუთრების ამსახველ ნორმებს და მოიცავს 1017-დან 1105 მუხლს; 1999 წლიდან ამ საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.

მეხუთე წიგნში ასახულია საოჯახო სამართლის მარეგულირებელი ნორმები და მოიცავს 1106-1305 მუხლებს;

მეექვსე წიგნში დადგენილი და გადმოცემულია მემკვიდრეობითი სამართლის მარეგულირებელი ნორმები და მოიცავს 1305- 1503 მუხლს.⁴⁹²

როგორც ვხედავთ, სამართლის ყველაზე მეტი ნორმები დათმობილი აქვს ვალდებულებით სამართალს (წიგნი მესამე), რომელიც პრაქტიკულად, უმეტეს შემთხვევაში, ხორციელდება სახელშეკრულებო ვალდებულებით. იგი მოიცავს საკითხების ფართო წრეს; კერძოდ, სახელშეკრულებო სამართლის ზოგად დებულებებს, ხელშეკრულების დადების, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების, ხელშეკრულებიდან გასვლის, ფულადი ვალდებულების შესრულების, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების, მოვალის მიერ ვადის გადაცილების, ორმხრივი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის, ზიანის ანაზღაურების, მოვალეობის, პირის გასამტეხლოს „ბე“-ს, მოვალის გარანტიის, ვალდებულების შეწყვეტის, ტურისტული მომსახურების, გადაზიდვა-გადაყვანის, საკუთრების მინდობის, ქირავნობის, სესხების, მიზარების, დაზღვევის, საბანკო მომსახურების, ანაბრის, თავდებობის, ფასიანი ქალაქების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულების, ერთობლივი საქმიანობის

⁴⁹² შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.245

(ამხანაგობის), სამისდღემშო რჩენის, თამაშობისა და სანა-
ძღვოს კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების, დელ-
იქტური ვალდებულებების, საავტორო სამართლის, სამრეწვე-
ლო საკუთრების და მთელი რიგი სხვა სახის სახელმეკრულეობ
ვალდებულებით წარმოქმნილ უფლება-მოვალეობებს.⁴⁹³

სამოქალაქო სამართალი არის სამართლის დამოუკიდე-
ბელი დარგი, რომელიც აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე
დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირადი
ურთიერთობებს.⁴⁹⁴ უფრო კონკრეტულად, სამოქალაქო სამარ-
თალი იმ ნორმების ერთობლიობაა, რომლებიც თანასწორო-
ბის საფუძველზე არეგულირებენ კერძო ხასიათის ქონებრივ,
საოჯახო და პირად ურთიერთობებს ფიზიკურ პირთა შორის,
ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შორის.⁴⁹⁵

ქონებრივი ურთიერთობა არის ისეთი საზოგადოებრივი
ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია ნებით განსაზღ-
რულ წარმოებით ურთიერთობასთან და აქვს გარკვეული ეკო-
ნომიკური ფასეულობა.⁴⁹⁶ სამოქალაქო სამართალი შეისწავ-
ლის და აწესრიგებს მოქალაქეებს შორის, მოქალაქეებსა და
ორგანიზაციებს შორის ან უშუალოდ ორგანიზაციებს შორის
აღმოცენებულ ქონებრივ და ზოგიერთი პირადი არაქონებრივი
ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობებს.⁴⁹⁷

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს
შორის აღმოცენებული ყველა დავა, რომლის ობიექტი შეიძლე-
ბა იყოს როგორც ქონება, სხვადასხვა მატერიალური ღირებ-
ულების მქონე ნივთები, ისე შემოქმედებით-ინტელექტუალური
შრომის პროდუქტები, მოქმედება ან არაქონებრივი ხასიათის

⁴⁹³ იქვე

⁴⁹⁴ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შეს-
ავალი (საფუძველი); თბ., 2012; გვ.363

⁴⁹⁵ ლ. ჭანტურია; სამოქალაქო სამართლის კოდექსი; თბ., 1997; გვ.108

⁴⁹⁶ ა. კობახიძე; სამოქალაქო სამართალი; ზოგადი ნაწილი; თბ., 2001; გვ.12

⁴⁹⁷ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.245

სიკეთე და სხვ., წესრიგდება სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით. უფრო სწორად, ზემოთ მოხსენიებული სამოქალაქო კოდექსის ნორმებით გახლავთ მონესრიგებული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირთა უფლებები და მოვალეობები.

სამოქალაქო სამართალი, როგორც იურიდიული მეცნიერება, არის სამართლის მეცნიერების დარგი, რომელიც იკვლევს და შეისწავლის მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობას როგორც ისტორიულ, ისე პოზიტიურ და პერსპექტიულ მიმართებაში, ხოლო სამოქალაქო სამართალი, როგორც სასწავლო დისციპლინა, არის სამართლებრივი სპეციალობა, რომელიც სამოქალაქო სამართლის მეცნიერების მიღწევების საფუძველზე გადმოსცემს სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების, მისი ცალკეული ინსტიტუტების შინაარსს და მიზნად ისახავს პიროვნების თეორიულ-შემეცნებით და პრაქტიკულ-გამოყენებით მომზადებას.⁴⁹⁸

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების უფლებაში იგულისხმება ის, რომ მას უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე პირს, პირებს ან ორგანიზაციას შეასრულოს ამა თუ იმ სახის მოქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული სახის მოქმედების შესრულებისაგან. მოვალეობა კი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის მიერ შესასრულებელი ისეთი სავალდებულო ქცევაა, რომლის შესრულება ან შეუსრულებლობა სავალდებულოა ამ ურთიერთობის მონაწილე სხვა პირის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.⁴⁹⁹

სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება და მოვალეობა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ისინი ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ.

⁴⁹⁸ ა. კობახიძე; სამოქალაქო სამართალი, პირველი ზოგადი ნაწილი; თბ., 2001; გვ.26

⁴⁹⁹ დ. ძამუკაშვილი; ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი; თბ., 2012; გვ.187

მაგალითად, კრედიტორს უფლება აქვს დათქმული დროის გასვლის შემდეგ მოვალეს მოსთხოვოს ვალის გადახდა. ამ უკანასკნელს კი ევალება აღებული სესხის უკან დაბრუნება.

სესხად აღებული ვალის უკან დაბრუნებით წყდება კრედიტორსა და მევალეს შორის აღმოცენებული ვალდებულებითი ურთიერთობა.

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ყველაზე მეტად გავრცელებული სახეობაა გარიგება, რომელიც შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით დადებული.

თავის მხრივ, ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საფუძველს ხელშეკრულება წარმოადგენს, როგორც იურიდიული დოკუმენტი⁵⁰⁰

ხელშეკრულება კანონიერად ჩაითვლება, თუ მისი დადების დროს დაცულ იქნება კანონით დადგენილი ყველა წესი. ხელშეკრულების დადების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად მიჩნეულია შერაცხადობა, უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. ხელშეკრულება იმგვარი შეთანხმებაა, რომლითაც ხელშეკრულების მხარეებს წარმოემოხათ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.⁵⁰¹

ხელშეკრულების დადების მონაწილე სუბიექტის სამოქალაქო უფლებაუნარიანობა ნიშნავს პირის უნარს, იქონიოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

ადამიანს ასეთი უფლებაუნარიანობა აღმოუცენდება დაბადების მომენტიდან, ზოგჯერ კი იგი შეიძლება უფრო ადრინდელ საფეხურზეც წარმოემზას, კერძოდ, მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

მაგალითად, ფეხმძიმედ მყოფი ქალის მეუღლის გარდაცვა-

⁵⁰⁰ სახელშეკრულებო სამართალი; გიორგი ჯუღელის რედაქტორობით; თბ., 2014; გვ.87

⁵⁰¹ ლ. ჭანტურია; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები; წიგნი მესამე; თბ., 2001; გვ.45

ლების შემთხვევაში ჯერ კიდევ დედის მუცელში მყოფ ცოცხალ არსებას უფლება აქვს იყოს თავისი გარდაცვლილი მამის მიერ დანატოვარი ქონების მემკვიდრე და სხვ., რომლის პრაქტიკულ რეალიზაციას იგი მოახდენს დაბადების შემდეგ თავისი დედის, ბებულის ან სხვა მეურვის მეშვეობით.

მაშასადამე, სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებაუნარიანობა ნიშნავს პირის შესაძლებლობას, იქონიოს სამოქალაქო სახის უფლებები და მოვალეობები. კერძოდ, დადოს სხვადასხვა სახის გარიგებები და ხელშეკრულებები, მემკვიდრეობით მოიპოვოს საკუთრების უფლება და სხვ.

ქმედუნარიანობა კი ნიშნავს ფიზიკური პირის უნარს, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს ზემოაღნიშნული სახის ქმედუნარიანობა აღმოუცენდება ასაკობრივი ზრდის შესაბამისად ჯერ შეზღუდული სახით, შემდეგ კი სრულყოფილი, ანუ შეუზღუდავი სახით 18 წლის ასაკიდან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას: ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მიღებული წესების ერთობლიობას, რომელიც მხარეთა შორის არსებული კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად არის დადებული.⁵⁰²

როგორც წესი, ხელშეკრულება მინიმუმ ორი მხარის ნებათა თანხვედრის ლოგიკური შედეგია. შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად მიიჩნევა, თუ მხარეები ურთიერთმზობაჯვ შეთანხმებას მიაღწევენ და ერთმანეთის წინაშე იკისრებენ გარკვეულ ვალდებულებებს და ერთმანეთის მიმართ შეიძენენ გარკვეული მოთხოვნის უფლებებს.⁵⁰³

⁵⁰² სახელშეკრულებო სამართალი; გიორგი ჯუღელის რედაქტორობით; თბ., 2014; გვ.87

⁵⁰³ იქვე

3.2. საკუთრების ცნება და მისი ელემენტები

საკუთრების უფლება ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და თითოეულ ინდივიდთან მჭიდროდაა დაკავშირებული. მეტიც, იგი ბუნებითი უფლებაა და ადამიანს დაბადებიდანვე აქვს.⁵⁰⁴ საკუთრების როლი და მნიშვნელობა ადამიანის სრულფასოვანი არსებობისთვის უდავოა, აღნიშნულის პარალელურად კი ძალზე დიდია მისი დანიშნულება დემოკრატიული საზოგადოებისათვის.⁵⁰⁵ როგორც უკვე აღინიშნა, დემოკრატიულ სახელმწიფოში საკუთრებას, როგორც პირველი თაობის უფლებას, მაღალი სოციალური ფუნქცია აკისრია.⁵⁰⁶

საკუთრების უფლება თითოეულ ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, ქონებით-სამართლებრივ სფეროში, საკუთარი პასუხისმგებლობით, უცხო პირთა ღირებულებებისგან დამოუკიდებლად წარმართოს ცხოვრება⁵⁰⁷. საკუთრების უფლების ბუნებით ხასიათს განსაზღვრავს მისი თანმდევი მომენტი მესაკუთრესთან: კერძოდ, ადამიანს, სანამ ის ცოცხალია, აქვს საკუთრების უფლება და, მთელი ქონებაც რომ წაართვან, იგი ამ უფლების მატარებელი მაინც იქნება, რადგან საკუთრების უფლება ქონების შეძენის შესაძლებლობაა და არა თვით ეს ქონება.⁵⁰⁸

ქონებრივი სახის სამოქალაქო, სამართლებრივ ურთიერ-

⁵⁰⁴ ბ. ზოიძე; ქართული სანიეთო სამართალი, მე2 გამოცემა; თბ., 2003; გვ.85

⁵⁰⁵ მ. გაბუნია; საკუთრების სოციალური ფუნქცია მიწაზე საკუთრების უფლების განხორციელების კონტექსტში; თბ., 2016; გვ.36

⁵⁰⁶ რ. პაიპსი; საკუთრება და თავისუფლება; გ. კვრჭიშვილის თარგმანი; თბ., 2004; გვ.247

⁵⁰⁷ კ.კორკელია; ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები; ბ, ლოლაძე, საკუთრების უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაცვა საქართველოში; თბ., 2010; გვ.99

⁵⁰⁸ გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 1999; გვ.168

თობებზე მსჯელობა უაზრო და უსაგნო იქნება, თუ არ გვეცოდინება საკუთრების ცნების გამომხატველი აუცილებელი ელემენტები, მათი არსი და მნიშვნელობა.

ქონება საკუთრების უფლების ობიექტია. ქონებაში შემავალ თითოეულ კატეგორიაზე - ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე-საკუთრების უფლების წარმოშობისა და შეწყვეტის სპეციალური წესებია დადგენილი.⁵⁰⁹

საკუთრების ცნების აუცილებელი ელემენტებია: მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა.

ქართულ სანივთო სამართალში მფლობელობა განიხილება, როგორც საკუთრების უფლების შინაარსში შემავალი ერთ-ერთი ელემენტი და როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი. მესაკუთრის მიერ ქონებით უშუალო სარგებლობისა და მესაკუთრე თავად არის ნივთის პირდაპირი მფლობელი.⁵¹⁰ მფლობელობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებით მოპოვების მდგომარეობაა. მფლობელობა ნიშნავს პირის (სუბიექტის) უფლებას, ფლობდეს ამა თუ იმ საგანს, ნივთს, ობიექტს ისე, რომ არ იყოს მისი მესაკუთრე, მაგალითად, დროებით ფლობდეს მიზარებულ ნივთს.⁵¹¹ სარგებლობა ნიშნავს პირის (სუბიექტის) უფლებას, გამოიყენოს ნივთი, საგანი, ან საწარმოო საშუალება თავისი დანიშნულებისამებრ და ისარგებლოს ამის შედეგად მიღებული მონაცემებით, პროდუქტებით და სხვ. ამასთანავე, მას უფლება აქვს დროებით სარგებლობისათვის გადასცეს სხვა პირს მის სარგებლობაში მქონე ნივთი, საგანი ან საწარმოო საშუალება ისეთი სახით, რომ მასზე არ დაკარგოს საკუთრების უფლება მისმა მესაკუთრემ.

განკარგვა არის საკუთრების ისეთი მძლავრი მესამე ელ-

⁵⁰⁹ თ. შოთაძე; სანივთო (ქონებრივი) სამართალი, თეორია, პრაქტიკა შედარებითი კვლევა; თბ., 2017; გვ.125

⁵¹⁰ იქვე

⁵¹¹ ბ. ზოიძე; ქართული სანივთო სამართალი; თბ., 2003; გვ.55

ემენტი, რომელიც გულისხმობს მესაკუთრის მიერ ქონების იურიდიული ბედის გადანყვეტას.⁵¹²

მფლობელობაც და სარგებლობაც შეიძლება ცალ-ცალკე ან ერთად მესაკუთრის მიერ უშუალოდ იქნეს განხორციელებული ან დროებით გადაეცეს სხვას.⁵¹³

სამოქალაქო სამართალი, მხარეთა ავტონომიურობის აღიარებული პრინციპისაგან განსხვავებით, რომელიც ყველაზე თვალნათლივ ვლინდება ხელშეკრულების თავისუფლებაში, ამ უფლების ნებისაგან დამოუკიდებლად აღიარებს საკუთრების გადასვლას სხვა პირებზე.⁵¹⁴

სამოქალაქო სამართალი იცნობს საკუთრების მოპოვების ისეთ ხერხებსა და საშუალებებს, როგორცაა: საკუთრებაზე უფლების მოპოვება შრომითი გასამრჯელოს მიღების, ჩუქების, გაცვლის, ყიდვის ან სხვა სახის ხელშეკრულებით, მატერიალური ღირებულების საგნების, ობიექტებისა და პროდუქტების დამზადებით, მემკვიდრეობით და სხვ.

3.3. მემკვიდრეობითი სამართალი

საკუთრების მოპოვების ერთ-ერთი მეტად საინტერესო და ქმედითი საშუალებაა საკუთრების გადასვლა სხვა პირზე სამკვიდროს დამტოვებელი პირის გარდაცვალების შემთხვევაში, რაც წესრიგდება მემკვიდრეობითი სამართლის შესაბამისი ნორმებით.

მემკვიდრეობა როგორც დოქტრინის, ისე კანონმდებლობის

⁵¹² თ. შოთაძე; სანივთო (ქონებრივი) სამართალი, თეორია, პრაქტიკა შედარებითი კვლევა; თბ., 2017; გვ.127

⁵¹³ ლ. ნადიბაძე; საკუთრების შექმნის სამართლებრივი საფუძვლები; თბ., 2002; გვ.7

⁵¹⁴ იქვე, გვ10

მიხედვით, არის გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლებები-სა და მოვალეობების სხვა პირზე გადასვლა მემკვიდრეობის სამართლის ნორმების შესაბამისად.⁵¹⁵ პირის გარდაცვალებით ფაქტობრივად წყდება ყველა ის ურთიერთობა, რომელიც მას აკავშირებდა სხვა პირებთან და თვით ქონებასთან.⁵¹⁶

მემკვიდრეობის დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს აძლევს გარანტირებულ შესაძლებლობას, იცხოვროს და იზრომოს იმის შეგნებით, რომ მის მიერ სიცოცხლეში შექმნილი მატერიალური თუ სულიერი თავისივე ნების საფუძველზე მისი გარდაცვალების შემდეგ გადავა ახლობელი ადამიანების ხელში.⁵¹⁷

მოქმედი კანონმდებლობით მემკვიდრეობის საფუძველებს წარმოადგენს ანდერძი და კანონი.⁵¹⁸ აქედან გამომდინარე, არსებობს ორი სახის მემკვიდრეობა: კანონით (კანონისმიერი) და ანდერძით (ანდერძისმიერი) მემკვიდრეობა.⁵¹⁹

ა) კანონისმიერი მემკვიდრეობა

კანონისმიერი მემკვიდრეობა მაშინ წარმოიშობა, თუკი მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი ან ბათილად იქნა ცნობილი ანდერძის ნაწილი, ან მთლიანად ანდერძი და სხვა შემთხვევებში.⁵²⁰ სამოქალაქო სამართალი იცნობს კანონისმიერ მემკვიდრეთა ხუთ ძირითად ჯგუფს.

კანონით მემკვიდრეთა პირველ რიგს, სამოქალაქო კოდექ-

⁵¹⁵ რ. შენგელია, ე. შენგელია; საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბ., 2017; გვ.310

⁵¹⁶ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი, საფუძველები; თბ., 2012; გვ.401

⁵¹⁷ რ. შენგელია, ე. შენგელია; საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი; თბ., 2017; გვ.313

⁵¹⁸ რ. შენგელია, ე. შენგელია; მემკვიდრეობის სამართალი; თბ., 2007; გვ.17

⁵¹⁹ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.248

⁵²⁰ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძველები; თბ., 2000; გვ.180

სის 1336-ე მუხლის თანახმად, მიეკუთვნება: გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).⁵²¹

აქვე უნდა აღინიშნოს: ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებსა და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ღვიძლი ნათესავების, აგრეთვე დებისა და მამების გარდაცვალების შემდეგ.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ ნილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.⁵²²

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე.

მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებულნი არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ღვიძლ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ღვიძლ ნათესავებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნით კანონისმიერი მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ.

მეორე რიგის მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონისმიერ მემკვიდრეებად ითვლებიან,

⁵²¹ საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 1336

⁵²² ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ.180-181

თუ სამკვიდროს გახსნის დროისთვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც სამკვიდრების მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონითი მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდათ⁵²³.

მესამე რიგის მემკვიდრეებს მიეკუთვნება ბებია და პაპა, ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად მიიჩნევიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან;

მეოთხე რიგის მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები;

მეხუთე რიგის მემკვიდრეები არიან გარდაცვლილის ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო, თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები.

კანონით დადგენილი ეს რიგითობა კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს მკაცრად უნდა იქნეს დაცული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა, გამორიცხავს შემდგომი რიგის წარმომადგენელთა მემკვიდრეობას.

ბ) ანდერძით მემკვიდრეობა

„ანდერძი“ სპარსული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს პირის უკანასკნელ ნება-სურვილს, შეგონებას, დარიგებას მითითებას ან დანაბარებს⁵²⁴. ანდერძით მემკვიდრეობის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ მონდერძე უფლებამოსილია ანდერძით თავისი კუთვნილი ქონება დაუტოვოს ნებისმიერ პირს, ორგანიზაციას ან პირთა ჯგუფს, ხოლო, თუ მონდერძეს თავისი კუთვნილი ქონება ანდერძით არავი-

⁵²³ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ.182

⁵²⁴ რ. შენგელია, ე. შენგელია. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი; თბ., 2017; გვ.340

სათვის არ გადაუცია, მაშინ მისი კუთვნილი ქონება გადაეცემა მათ მის კანონიერ მემკვიდრეებს.

იმ შემთხვევაში კი, როცა არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ან როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, ამ ვითარებაში უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.⁵²⁵ თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, სამკურნალო, აღმზრდელი და სოციალური დაცვის სხვა დანესებულებების კმაყოფაზეა, მაშინ მისი კუთვნილი ქონება გადადის ამ იურიდიული პირის საკუთრებაში.

ანდერძი ყოველთვის გამოხატავს მამკვიდრების ნებას. ნების გამოვლენა იმდენად მნიშვნელოვანია სამართლებრივად, რომ იგი გარიგების სინონიმადაა მიჩნეული.⁵²⁶ კანონის შესაბამისად, ანდერძით მემკვიდრეობის დროს ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს. მოანდერძე ანდერძის შედგენის დროს უნდა იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი და შეძლოს თავისი ნების თავისუფლად გამოხატვა. ამასთან ერთად, კანონი მოითხოვს, რომ ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად თვითონ მოანდერძემ. ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ შეიძლება. ასევე, ანდერძი არ შეიძლება შედგენილ იქნეს პირთა ჯგუფის მიერ. ასეთი გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ ცოლ-ქმართა მიერ ანდერძის ერთობლივი შედგენისას, მაგრამ აქაც მათ მიერ შედგენილი ეს ერთობლივი ანდერძი შეიძლება გაუქმდეს მათგან ერთ-ერთის მოთხოვნით მხოლოდ მაშინ, როცა ჯერ კიდევ ორივე მოანდერძე ცოცხალია.⁵²⁷

⁵²⁵ საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 1343

⁵²⁶ რ. შენგელია, ე. შენგელია; საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი; თბ., 2017; გვ. 342

⁵²⁷ იქვე, გვ. 313

ანდერძი შედგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. კანონი დასაშვებად მიიჩნევს, რომ ანდერძი შედგენილ იქნეს სანოტარო წესით ან უამისოდ. სანოტარო წესით ანდერძის შედგენისას იგი ხელმოწერილ და დადასტურებულ უნდა იქნეს ნოტარიუსისა და მოანდერძის მიერ.⁵²⁸

კანონი უშვებს ისეთ შემთხვევასაც, როცა ანდერძის შედგენა ხდება იქ, სადაც ნოტარიუსი არაა, მაგრამ იგი დადასტურებული უნდა იყოს, მაგალითად, გემის კაპიტნის, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის, სამხედრო ნაწილის უფროსის, სამკურნალო დაწესებულების მთავარი ექიმის მიერ.

კანონით დასაშვებადაა მიჩნეული ისეთი შემთხვევაც, როცა ანდერძი შეიძლება შედგენილ იქნეს ნოტარიუსის მიერ მოანდერძის სიტყვების მიხედვით ორი მოწმის თანდასწრებით, მაგრამ იგი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ. იმ შემთხვევაში, როცა მოანდერძეს ობიექტური მიზეზების გამო თვითონ არ შეუძლია ანდერძზე ხელის მოწერა, მაშინ მის მაგივრად, მისივე თხოვნით შეიძლება ხელი მოაწეროს სხვა პირმა, მაგრამ ანდერძში უნდა მიეთითოს იმ გარემოებაზე რა მიზეზითა და რის გამოც თვითონ მოანდერძემ ვერ შეძლო მასზე ხელის მოწერა.⁵²⁹

ანდერძის შედგენაში მონაწილე პირებმა უნდა დაიცვან ანდერძის საიდუმლოება სამკვიდროს გახსნამდე.

ზემოაღნიშნული სახის ანდერძის გარდა, კანონი იცნობს აგრეთვე დახურული სახის ანდერძს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოანდერძის მიერ მოწმეების თანდასწრებით შედგენილ ანდერძს ისე უნდა მოაწერონ ხელი, რომ არ გაეცნონ მის შინაარსს.⁵³⁰ ასეთი დახურული ანდერძის დადასტურებისას მოწმეებმა იქვე

⁵²⁸ საქართველოს 1977 წლის სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 1357

⁵²⁹ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ. 181-182

⁵³⁰ საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 1336

უნდა მიუთითონ, რომ ანდერძი შედგენილ იქნა მათი თანდასწრებით მონადერძის მიერ, მაგრამ ისინი არ გასცნობიან ანდერძის შინაარსს. ახალი კანონმდებლობით დადასტურებულია ანდერძის ცნება. მონადერძეს შეუძლია თავისი ხელით დაწეროს ანდერძი და ხელი მოაწეროს მას.⁵³¹

მიუხედავად იმისა, რომ ანდერძის თავისუფლება მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი პრინციპია კანონი ითვალისწინებს მის შეზღუდვას მამკვიდრებლის ინტერესებიდან გამომდინარე.⁵³² ახალი კანონმდებლობით შემოღებულ იქნა სავალდებულო წილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ანდერძით მემკვიდრეობის დროს მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამკვიდროს წილის მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით.

3.4. სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების ზოგადი დახასიათება

სამოქალაქო სამართლის კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულებები, რომლებიც, თავიანთი წარმოქმნის საფუძვლის მიხედვით შეიძლება იყოს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო სახის. სახელშეკრულებო ვალდებულება, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, წარმოიშობა ხელშეკრულების საფუძველზე.

იქიდან გამომდინარე, რომ ხელშეკრულება და კანონი რე-

⁵³¹ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ.182

⁵³² იქვე

ალურად არ არსებობს უერთმანეთოდ მიიჩნევა, რომ ხელშეკრულება, როგორც მხარეთა ნებელობითი აქტი, პირველწყაროა, ხოლო კანონი ამ ნებას ავსებს ან ზღუდავს.⁵³³

სამოქალაქო სამართალი არ ცნობს ხელშეკრულებათა ამომწურავი ჩამონათვალის პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეებს უფლება აქვთ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც, მართალია, არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსით ან სხვა საკანონმდებლო აქტებით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კანონს.⁵³⁴ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების უმეტესობა თავიანთ იურიდიულ გამოსატყულებას პოულობენ სწორედ ხელშეკრულებაში, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით. ხელშეკრულება მხარეთა ნების გამოყენებაა, რომელიც მიმართულია სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება, თუ მხარეები ხელშეკრულების არსებით მხარეებზე ვერ შეთანხმდებიან. სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია ნასყიდობის ხელშეკრულება, ჩუქებისა და სესხის ხელშეკრულებები.

ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მხარეებადაც გვევლინება მყიდველი და გამყიდველი, შეიძლება დადებულ იქნეს ზეპირი ან წერილობითი სახით, ამ ხელშეკრულების უმთავრესი პირობაა მხარეების ფასზე შეთანხმება, რომელიც შეიძლება იყოს როგორც წინასწარ დადგენილი, ისე უშუალოდ ყიდვა-გაყიდვის პროცესში აღმოცენებული და განსაზღვრული.⁵³⁵

ნასყიდობის საგანი შეიძლება იყოს ფუფუნებისა და ფარ-

⁵³³ М. И. Брагинский Договорное право М. 1997, 22

⁵³⁴ ზ. ახველიანი; ვალდებულებითი სამართალი; თბ., 1998; გვ.8

⁵³⁵ საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 477

თო მოხმარების საგნები. მისი საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე მატერიალური მომსახურების სფეროში დადებული შეთანხმება გარკვეული სახის მოქმედების შესრულების ან მომსახურების განევის შესახებ. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი ისაა, რომ მასში მონაწილე თითოეულ მხარეს ამ ხელშეკრულების დადების მომენტიდანვე აღმოუცენდება გარკვეული უფლებები და მოვალეობები. კერძოდ, გამყიდველი ვალდებულია გადასცეს საგანი ან ქონება მყიდველს, თუკი ამ უკანასკნელმა ხელშეკრულებაში მითითებული ყველა პირობა (გადაიხადა მისი ღირებულება და სხვ.) შეასრულა.⁵³⁶

თუ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარე დაარღვევს ხელშეკრულებაში მითითებულ პირობას, მასში მონაწილე თითოეული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს მისი შესრულება ან ხელშეკრულების მოშლა. მაგალითად, თუ გამყიდველი მყიდველს არ გადასცემს ნაყიდ საქონელს, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია მოითხოვოს მისი გადაცემა ან საერთოდ მათ შორის დადებული ხელშეკრულების მოშლა და ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ჩუქების ხელშეკრულების დროს მჩუქებელი ახდენს თავისი კუთვნილი ქონების გადაცემას უსასყიდლოდ მეორე მხარისათვის და იგი დადებულად ითვლება ჩუქების საგნის გადაცემის მომენტიდან, თუ დასაჩუქრებული თანახმაა მიიღოს საჩუქარი; თუ ჩუქების საგანი უძრავი ქონებაა, მაშინ ამის შესახებ უნდა შეადგინონ წერილობითი ხელშეკრულება და იგი დამოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით.⁵³⁷

ნასყიდობის ან სესხის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ჩუქების ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ მის დამდებ მხარეებს არავითარი უფლება-მოვალეობა

⁵³⁶ ზ. ახვლედიანი; ვალდებულებითი სამართალი; თბ., 1999; გვ.99

⁵³⁷ საქართველოს 1977 წლის სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლები 524-ე -530-ე

არ აღმოუცენდებათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დასაჩუქრებულ პირს გამჩუქებლის მიმართ არავითარი მოვალეობა არ აღმოუცენდება მისთვის მატერიალური ღირებულების გადახდის თვალსაზრისით. საგულისხმოა ისიც, რომ დასაჩუქრებულ პირს უფლება არა აქვს წარუდგინოს პრეტენზია მჩუქებელს გაჩუქებული ნივთისათვის დამახასიათებელი რაიმე ნაკლოვანი მხარის აღმოჩენის შემთხვევაში. აქედან გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როცა გაჩუქებული ნივთისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანი მხარე წინასწარ იყო ცნობილი მჩუქებლისათვის და ამ ნაკლის გამო სერიოზული ქონებრივი ზიანი მიადგა დასაჩუქრებულის ქონებას. ასეთ შემთხვევაში ამ უკანასკნელს უფლება აქვს მჩუქებელს მოსთხოვოს გაჩუქებული საგნით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.⁵³⁸

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონი ადგენს ჩუქების შეზღუდვის გარკვეულ პირობასაც, რაც აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩუქების დროს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლი ადგენს: „პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.“⁵³⁹

კანონით დადგენილია ისიც, თუ ჩუქება რა შემთხვევაში შეიძლება გაუქმდეს და ნაჩუქარი ნივთი მჩუქებელს დაუბრუნდეს, ანდა გამოთხოვილ იქნეს გამჩუქებლის მიერ. ასეთ გარემოებად სამოქალაქო სამართლის კოდექსის 529-ე მუხლი მიიჩნევს დასაჩუქრებულის დიდ უმადურობასა და დასაჩუქრებულისადმი მძიმე შეურაცხყოფის მიყენებას. ამ შემთხვევაში ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას

⁵³⁸ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ.151-152

⁵³⁹ საქართველოს 1977 წლის სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 526

ჩუქების გაუქმების საფუძველს აძლევს.

გაჩუქებული ნივთის უკან მოთხოვნის უფლება აქვს მიუქებელს აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა იგი აღმოჩნდა ისეთ მძიმე მდგომარეობაში, რომ მას არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მაგრამ, თუ ამ დროისთვის არსებობს მის მიერ გაჩუქებული ნივთი ან საგანი და თუ ამ საგნის უკან დაბრუნება დასაჩუქრებელს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში.

3.5. საოჯახო სამართალი

სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგადაა მიჩნეული საოჯახო სამართალი, რომლის უპირველესი ამოცანაა ოჯახის განმტკიცება, საოჯახო ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგება. ქალისა და მამაკაცის ქორწინების სამართლებრივი პირობების შემუშავება და მათი დაცვა, ქორწინების შედეგად აღმოცენებული მეუღლეთა უფლებებისა და მოვალეობების დაცვა, მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობები და მათი ინტერესების დაცვა, მშობელთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა, მეურვეობა, მზრუნველობა და სხვ.⁵⁴⁰

საქართველოში საოჯახო ურთიერთობის ყველა საკითხი მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-1305-ე მუხლებით. კერძოდ, საქართველოს საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობით დადგენილია ქორწინების ისეთი აუცილებელი პირობები, რომელთა დაუცველობისას ქორწინება შეიძლება ცნობილი იქნას ბათილად. ასეთ სავალდებულო პირობად კანონით მიჩნეულია⁵⁴¹:

⁵⁴⁰ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ.161-162

⁵⁴¹ საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 1106

- 1) დასაქორწინებელ პირთა თანხმობა ქორწინებაზე;
- 2) ქორწინებაში შემავალი პირები უნდა იყვნენ კანონით დადგენილ საქორწინო ასაკს მიღწეულნი;
- 3) ქორწინებაში არ შეიძლება შევიდეს პირი, რომელიც სხვასთან ქორწინებაშია რეგისტრირებული და მასთან არა აქვს განქორწინება, ე.ი. დაცული უნდა იყოს ერთქორწინების პრინციპი;
- 4) ქორწინება დაუშვებელია ღვიძლ და არაღვიძლ და-ძმას შორის;
- 5) ქორწინება დაუშვებელია პირდაპირ აღმავალი ან დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის;
- 6) ქორწინება დაუშვებელია მშვილებელსა და ნაშვილებს შორის;
- 7) ქორწინება დაუშვებელია იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ.

ზემოთ ჩამოთვლილი პირობების დაუცველობა იწვევს ქორწინების ბათილად ცნობას.

ქორწინება ბათილად შეიძლება ჩაითვალოს მაშინაც, როცა დადგინდება, რომ იგი ფიქციურია. (ანუ მიზნად არ ისახავს ოჯახის შექმნას) ქორწინების რეგისტრაციის შედეგად მეუღლეებს აღმოუცენდებათ მთელი რიგი იურიდიული უფლება-მოვალეობები, რომელთაგან აღსანიშნავია მათი ქონებრივი უფლებები.⁵⁴² მეუღლეების ინდივიდუალურ საკუთრებას მიეკუთვნება ქორწინებამდელი ან ქორწინებისა და მის შემდგომ პერიოდში მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონება, სახელმწიფო ან სახელობითი პრემია, ჯილდო, რაიმე გამოგონების აღმოჩენისათვის მიღებული ქონებრივი გასამრჯელო და სხვ.

სამოქალაქო კოდექსის 1172-1181-ე მუხლებით დადგენილია მეუღლეთა საქორწინო ხელშეკრულების პირობები მათი

⁵⁴² იქვე, მუხლი 1140

ქონებრივი ურთიერთობის შესახებ. ხელშეკრულება შეიძლება დადონ ქორწინების რეგისტრაციამდე ან რეგისტრაციის შემდეგ. მათ მიერ დადებული ხელშეკრულებით შეიძლება წინასწარ იქნეს განსაზღვრული მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას.⁵⁴³

ქორწინების რეგისტრაციის შედეგად არა მარტო მეუღლეებს აღმოუცენდებათ გარკვეული იურიდიული უფლებები და მოვალეობები, არამედ ამ ქორწინების შედეგად გაჩენილ მათ შვილებსაც.

აღსანიშნავია, რომ საოჯახო კანონმდებლობით ერთიმეორესთანაა გათანაბრებული ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ გაჩენილი შვილისა და შვილად აყვანილი პირის უფლება-მოვალეობები. ასევე, ერთიმეორესთანაა გათანაბრებული თავიანთი უფლება-მოვალეობებით მშობლებისა და შვილად ამყვანი პირების უფლება-მოვალეობები⁵⁴⁴.

აქედან გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება რეგისტრირებული ქორწინებისა და უამისოდ გაჩენილი ბავშვების სამართლებრივი საკითხები. ამ უკანასკნელი სახით გაჩენილი ბავშვების სამართლებრივი საკითხების გარკვევისას სათანადო მნიშვნელობა ენიჭება გაჩენილ ბავშვთან მშობლების ნათესაური კავშირის დადგენას.

როგორც წესი, ბავშვთან დედის სისხლით ნათესაური კავშირის დასადგენად მნიშვნელობა არა აქვს ქორწინების რეგისტრაციას. ამ დროს მნიშვნელოვანია გაირკვეს მხოლოდ მეორე მხარის – მამის ნათესაური კავშირი ბავშვთან. თუ ქორწინების რეგისტრაციის გარეშე გაჩენილი ბავშვის მამობას ნებაყოფლობით აღიარებს ესა თუ ის პირი და ბავშვის დედაც მას ბავშვის

⁵⁴³ საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 1172

⁵⁴⁴ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ.163

მამად მიიჩნევს, იგი გატარდება მის გვარსა და სახელზე.⁵⁴⁵ თუ პირი თავს არიდებდა ბავშვის მამობას, მაშინ ადრე ბავშვის მამად იგი შეიძლება ცნობილი ყოფილიყო იძულებით სასამართლო წესით, თუკი ამისათვის არსებობდა შემდეგი მონაცემები⁵⁴⁶:

1) მონაცემები ბავშვის დაბადებამდე, ფეხმძიმობის პერიოდის გათვალისწინებით, ამ მამაკაცისა და ბავშვის დედის ერთად ცხოვრებისა და მათი ერთობლივი მეურნეობის წარმოების შესახებ;

2) მონაცემები დაბადებული ბავშვის დედისა და მოპასუხე პირის (მამაკაცის) ბავშვის ერთად აღზრდისა და რჩენის შესახებ;

3) სხვა მონაცემები და მტკიცებები იმისა, რომ ეს პირი მამის სახით სისხლით ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა ბავშვთან;

4) ზოგჯერ ატარებდნენ აგრეთვე გენეტიკურ-დაქტილოსკოპიურ ექსპერტიზას.

ამჟამად კი, ამის დადგენის უტყუარ მტკიცებულებას იძლევა სისხლის კვლევის საფუძველზე ჩატარებული გენეტიკური ექსპერტიზა.

ბავშვის მიმართ მშობლების უფლება-მოვალეობები შეიძლება აღმოცენდეს დაბადებულ ბავშვთან მათი სისხლითი ნათესაობის გარეშეც და ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როცა ადგილი აქვს ბავშვის შვილად აყვანას.

ამ იურიდიული აქტის გაფორმების შემდეგ შვილად აყვანილი პირი თავისი უფლებებით აბსოლუტურად უთანაბრდება ქორწინების რეგისტრაციის შედეგად გაჩენილი ბავშვის იურიდიულ უფლებებს. ამასთანავე, შვილად აყვანილი პირი კარგავს თავის იურიდიულ უფლებებს ღვიძლი მშობლებისა და მისი სხვა

⁵⁴⁵ იქვე, გვ.168

⁵⁴⁶ საქართველოს 1977 წლის სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 1212

სისხლით ნათესავეების მიმართ. მშობლები ვალდებულნი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი და შრომისუნარო შვილები, თუ მშობლები კანონის ამ მოთხოვნას არ შეასრულებენ და განქორწინდებიან, მაშინ მათ სასამართლოს მეშვეობით დაეკისრებათ ალიმენტის გადახდა. ალიმენტის გადახდა შეიძლება დაეკისროს ბავშვის მამას ან დედას, იმისდა მიხედვით, თუ ბავშვი ვისთან რჩება აღსაზრდელად.⁵⁴⁷ მშობლები ვალდებულნი არიან ალიმენტი გადაუხადონ აგრეთვე პირველი, მეორე და მესამე ჯგუფის ინვალიდ სრულწლოვან შვილებს, თუ ისინი მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ.

კანონის თანახმად, ალიმენტის გადამხდელ მშობელს შეიძლება დაეკისროს სხვა ისეთი დამატებითი ხარჯების გადახდა და ისეთ ხარჯებში მონაწილეობა, რაც დაკავშირებულია ბავშვის მძიმე ავადმყოფობასთან, მის დასახიჩრებასთან, ჯანმრთელობის საზიანო გარემოებასთან და სხვ.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის სამოქალაქო სამართალი და რაა მისი კვლევის საგანი?
2. როდის იქნა მიღებული საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი?
3. რა არის სამოქალაქო სამართლის ძირითადი წყარო?
4. როგორია სამოქალაქო კოდექსის სისტემა?
5. ვინ შეიძლება იყოს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი?
6. რა ძირითადი ნიშნები უნდა ახასიათებდეს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს?

⁵⁴⁷ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ.169
234

7. რას ნიშნავს სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა?

8. რა არის საკუთრება და მისი ელემენტები?

9. რას ნიშნავს ანდერძით მემკვიდრეობა?

10. რას შეისწავლის სამემკვიდრეო სამართალი?

11. რას ნიშნავს სამკვიდრო ქონების სავალდებულო წილი?

12. როგორ უნდა შედგეს ანდერძი?

13. ვინ უნდა ესწრებოდეს ანდერძის შედგენას?

14. რას ნიშნავს დახურული სახის ანდერძი?

15. რას ნიშნავს კანონისმიერი მემკვიდრეობა?

16. როგორაა კანონისმიერი მემკვიდრეების რიგითობა დადგენილი?

17. რა არის და რას შეისწავლის სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულება?

18. რა თავისებურებებით ხასიათდება ყიდვა-გაყიდვისა და ჩუქების ხელშეკრულებები?

19. რას ნიშნავს ჩუქების შეზღუდული უფლება?

20. რას შეისწავლის საოჯახო სამართალი?

21. რა აუცილებელი პირობები უნდა იქნეს დაცული ქორწინებისათვის?

თავი მეოთხე

სამოქალაქო საპროცესო სამართალი

4.1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება და მნიშვნელობა

სამოქალაქო საპროცესო სამართალი არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლითაც ხდება სასამართლოში სამოქალაქო საქმეების განხილვა – წარმოება და სასამართლოს მიერ საქმეზე სწორი სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა. იგი არის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების სამართლის დამოუკიდებელი დარგი. მისი არსი და მნიშვნელობაც იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოში საქმის განხილვის დროს მაქსიმალურად იქნას დაცული მხარეებისა და სხვა მონაწილე პირთა უფლებები და მოხდეს სწორი, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება.⁵⁴⁸

სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმების საფუძველზე ხდება პირთა თანასწორობის პრინციპზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და ზოგიერთი პირადი ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგება. ამ კანონით დადგენილი ნორმების დარღვევით გამოწვეული სამოქალაქო სამართლებრივი სუბიექტების უფლებების აღდგენა და სწორი მართლმსაჯულების განხორციელება კი წარმოუდგენელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების გამოუყენებლად.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. განასხვავებენ სამოქალაქო სამართალწარმოების შემდეგ სახეებს: 1) სასარჩელო წარმოე-

⁵⁴⁸ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი, სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძვლები), თბ, 2012, გვ410-411

ბას, 2) გამარტივებულ წარმოებას 3) უდავო (განსაკუთრებულ) წარმოებას.⁵⁴⁹

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ნორმების საფუძველზე ხდება საქართველოში სამოქალაქო საქმეების განხილვა სასამართლოში და ამ კატეგორიის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება. თუ პირი გრძნობს, რომ დაირღვა კანონით მინიჭებული მისი უფლება, თავისი ამ უფლების აღსადგენად მან უწყებრივი ქვემდებარეობის მიხედვით განცხადებით უნდა მიმართოს საერთო სასამართლოს.

პირი, რომელმაც სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი თავისი დარღვეული ან სადაო უფლების დაცვისა და აღდგენის მიზნით სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს ენოდება მოსარჩელე. ხოლო პირი, რომელმაც ამ სარჩელის გამო სასამართლოში შეიტანა მისი შესაგებებელი ენოდება მოპასუხე. სასამართლოში საქმის განხილვის დროს შეიძლება მონაწილეობდეს აგრეთვე მესამე პირი.⁵⁵⁰

იმისათვის, რომ გაირკვეს და დადგინდეს, მართლა დაირღვა თუ არა მოცემული პირის უფლება, ან ნამდვილად საჭიროებს თუ არა პირის მიერ წამოყენებული უფლება სამართლებრივ დაცვას, ამ საკითხს განიხილავს სასამართლო და საქმის მასალების სრული, ყოველმხრივი განხილვა – გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საუძველზე გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებას.

რაიონული საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პირი უფლებამოსილია სააპელაციო საჩივარი შეიტანოს სააპელაციო სასამართლოში და, თუ ამ სასამართლოს გადაწყვეტილებითაც უკმაყოფილო დარჩა, შეუძლია დავა გააგრძელოს საკასაციო სასამართლოში. სამოქალაქო საქმის მოძრაობის მთელი ეს პროცესი მოწეს-

⁵⁴⁹ ავტორთა კოლექტივი, ქართული სამართლის საფუძვლები, თბ, 2000, გვ.187

⁵⁵⁰ შ.ფაფიაშვილი, შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.247

რიგებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.⁵⁵¹

სასამართლოში სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს აუცილებლად დაცული უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორცაა: კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის პრინციპი; სასამართლოში მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი; შეჯიბრებითობის პრინციპი; სასამართლოში საქმის სახელმწიფო ენაზე განხილვის პრინციპი; სამოქალაქო პროცესის საქვეყნურობის პრინციპი; კანონიერების დაცვის პრინციპი; სასამართლოში საქმის განხილვის ზეპირობის, უშუალოებისა და წერილობითობის პრინციპი, დისპოზიციურობის პრინციპი და სხვ.

სასამართლოში სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს ამ პრინციპების მოთხოვნათა დაუცველობა შეიძლება გახდეს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

4.2. სამოქალაქო პროცესში მონაწილე მხარეთა უფლებების ზოგადი დაცვისათვის

სამოქალაქო საქმეების განხილვის პროცესში მონაწილე მხარეები, მართალია, თანასწორი უფლებებით სარგებლობენ, მაგრამ თითოეულ მხარეს მაინც აქვს თავისთვის დამახასიათებელი სპეციფიური უფლებამოსილება. კერძოდ:

მოსარჩელე უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს სარჩელის საგანი და მოცულობა ან უარი თქვას შეტანილ სარჩელზე და უკანვე გამოიხმოს იგი. ამასთან ერთად, მოსარჩელე თვითონ ირჩევს მოპასუხეს და მის მიმართ იწყებს საქმის წარმოებას პირველი ინსტანციის სასამართლოში

⁵⁵¹ იქვე

და სხვ⁵⁵².

კანონით დადგენილი წესის შესაბამისად მოპასუხესაც აქვს თავისი პროცესუალური ულებამოსილება, რაც, უწინარეს ყოვლისა, პირველ რიგში გამოიხატება იმით, რომ შეიტანოს სასამართლოში შესაგებებელი, აღძრას შეგებებული სარჩელი ან ცნოს სარჩელი მთლიანად ან ნაწილობრივ და სხვ.

სასამართლოში საქმის განხილვა შეიძლება დამთავრდეს სარჩელზე უარის თქმით, ან სარჩელის აღიარებით, ან მხარეთა ურთიერთ მორიგებით. ⁵⁵³

სარჩელზე უარის თქმა ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელემ უარი თქვა სასამართლოში შეტანილ სარჩელზე, ანუ უარი თქვა თავის მატერიალურ – სამართლებრივ მოთხოვნაზე და ამასთან უარი თქვა სასამართლო პროცესის გაგრძელებაზე.

ასევე მოპასუხე, როგორც აღვნიშნეთ, უფლებამოსილია უარი თქვას მის მიმართ წარდგენილ სარჩელზე ან აღიაროს მის მიმართ წარდგენილი სარჩელი სრული მოცულობით ან ნაწილობრივ.

სარჩელის აღიარებისა და სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაშიც სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

პროცესში მონაწილე მხარეებს აუცილებლად უნდა ახასიათებდეთ კანონით დადგენილი სამოქალაქო და საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. საპროცესო ქმედუნარიანობა დამახასიათებელია ყველა იმ სუბიექტისათვის, ვისაც აქვს სამოქალაქო უფლებაუნარიანობა. ისევე, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს, საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტსაც სასამართლოში მხარედ ყოფნის შესაძლებლობა – უფლებაუნარიანობა აღმოუცენდება დაბადების მომენტიდან, სრული ქმედუნარიანობა კი

⁵⁵² ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2013; გვ.205

⁵⁵³ შ.ფაფიაშვილი, შესავალი იურიდიულ სპეციალობაში, თბ, 2006, გვ248

კანონით გათვალისწინებული 18 წლის ასაკის მიღწევის მომენტიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 80-ე მუხლის თანახმად, საპროცესო უფლებაუნარიანობა ეს არის პირის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები.⁵⁵⁴ სასამართლოში უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი ფიზიკური პირები თავიანთ უფლება-მოვალეობას ახორციელებენ თვითონ ან თავიანთი წარმომადგენლის მეშვეობით, იურიდიული პირები კი თავიანთი წარმომადგენლის მეშვეობით. იურიდიული პირი ქმედუნარიანად მიიჩნევა სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, როგორც აღვნიშნეთ, ფიზიკური პირი სრულ ქმედუნარიანად ითვლება 18 წლის ასაკიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო პროცესში მას შეუძლიან დამოუკიდებლად გამოვიდეს მხარედ – მოსარჩელედ ან მოპასუხედ.⁵⁵⁵ 7 -დან 18 წლამდე კი იგი მიიჩნევა შეზღუდულ ქმედუნაროდ და სასამართლოში მხარედ ან სხვა – მესამე პირად- შეიძლება გამოვიდეს მხოლოდ თავისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით. თუმცა აქედან გამონაკლისის სახით არსებობს ისეთი შემთხვევები, როცა პირი 16 წლის ასაკიდან მშობლების თანხმობით უფლებამოსილია განახორციელოს ზოგიერთი სახის სამართლებრივი უფლება-მოვალეობები. ასეთ გარემოებებზე მიჩნეულია საოჯახო – საქორწინო და შრომითი კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი ნესი და სხვ.

⁵⁵⁴ ავტორთა კოლექტივი, ქართული სამართლის საფუძვლები, თბ, 2000, გვ187

⁵⁵⁵ საქართველოს 1998 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 81

4.3. სამოქალაქო საპროცესო ვადები

სამოქალაქო საპროცესო ვადებად მიჩნეულია დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს სასამართლოში შეტანილი განცხადების [სარჩელის] განხილვა – გადანყევტა. ამ მიმართებით სამოქალაქო პროცესში ერთიმეორისაგან განასხვავებენ სამოქალაქო საპროცესო კანონით დადგენილ ვადებსა და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადებს.⁵⁵⁶

კანონით დადგენილი საპროცესო ვადის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს ორ თვეში განიხილოს საქმე და მასზე მიიღოს შესაბამისი გადანყვეტილება. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეების საქმის განხილვისას ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ხუთ თვემდე.

ზოგიერთი მარტივი სახის საქმის განხილვისათვის კი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მეტად შეზღუდული ვადები. კერძოდ, ასეთი მარტივი არასასარჩელო საქმეების განხილვა სასამართლომ უნდა უზრუნველყოს განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში.

სამოქალაქო საპროცესო კანონით დადგენილია არა მარტო საქმეების სასამართლოში განხილვის ვადები, არამედ ცალკეული საპროცესო მოქმედებების შესრულების ვადებიც, კერძოდ, მხარისათვის დაუსწრებელი გადანყვეტილების ასლის გაგზავნისათვის დადგენილია 5 დღე; ასევე, სასამართლო ვალდებულია განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში განიხილოს და გადანყვიტოს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი და სხვ.⁵⁵⁷

ზემოაღნიშნული სამოქალაქო საპროცესო კანონით დადგენილი ვადების გარდა, როგორც აღვნიშნეთ, არსებობს აგრეთვე

⁵⁵⁶ იქვე, მუხლი 59

⁵⁵⁷ საქართველოს 1998 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლები 53-59

სასამართლოს მიერ დადგენილი ზოგიერთი სახის სპეციალური ვადები, რაც უპირველესად გამოიხატება სასამართლოში მონაწილე პირის ან მხარისათვის რაიმე სახის მოქმედების [დამატებით რაიმე სახის დოკუმენტის წარმოდგენის და სხვ.] შესრულებისათვის განსაზღვრული დროის დანიშვნით; შეტანილ სარჩელზე საქმის განხილვის დაწყების დღის დადგენითა და სხვ.⁵⁵⁸

სამოქალაქო საქმის განხილვის დროს სასამართლომ უნდა უზრუნველყოს საქმის სრული, ყოველმხრივი გამოკვლევა, საქმის ირგვლივ შეკრებილი მტკიცებულებებით ობიექტურად შეაფასოს და მის საფუძველზე გამოიტანოს სწორი გადაწყვეტილება.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ნიშნავს სამოქალაქო პროცესის ცნება, არსი და მნიშვნელობა?
2. რის საფუძველზე ხდება სასამართლოში სამოქალაქო საქმეების განხილვა?
3. კანონით ვინ მიიჩნევა მოპასუხედ და მოსარჩელედ?
4. რა უფლებები აქვთ სასამართლოში მოპასუხესა და მოსარჩელეს?
5. რა სახის სამოქალაქო უფლებამოსილება უნდა ახასიათებდეს სასამართლოში მონაწილე მხარეებს?
6. როდის ითვლება სრულ უფლებათუნარიანად ფიზიკური და იურიდიული პირი?
7. ვინ ითვლება შეზღუდულ ქმედუუნაროდ და როგორ ხორციელდება სასამართლოში მისი უფლებათუნარიანობა?

⁵⁵⁸ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.187

8. რა სახის საპროცესო ვადები არსებობს სამოქალაქო პროცესში?

9. სასამართლო არის თუ არა უფლებამოსილი თვითონ დაადგინოს სამოქალაქო საქმის განხილვასთან დაკავშირებული საპროცესო ვადები?

10. რა სახის იურიდიული აქტები გამოაქვს სასამართლოს სამოქალაქო საქმეებზე?

11. სად შეიძლება გასაჩივრდეს საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება?

თავი მეხუთე

სისხლის სამართალი

5.1. სისხლის სამართლის ცნება და სისტიმა

სისხლის სამართალი სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგია და, ამდენად, სამართლის ზოგადი ნიშნებისაგან მოწყვეტილი არაა. კერძოდ, სისხლის სამართალიც, ისევე როგორც სამართალი საზოგადოდ, განსაზღვრული ნორმების, ანუ ქცევის წესების ერთობლიობაა, რომელიც აწესრიგებს გარკვეულ ურთიერთობებს. სისხლის სამართლის ნორმა, ისევე როგორც სამართლის ნორმა, სახელმწიფოებრივად სავალდებულო ქცევის წესია და იგი საზოგადოების ყველა დელიქტურუნარიანი პირის მიმართ ვრცელდება (თუმცა, როგორც ასაბუთებენ, ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეიძლება შეურაცხადმაც კი ჩაიდინოს). სისხლის სამართლის ნორმის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე ზოგიერთი კატეგორიის იურიდიულ პირებზეც.⁵⁵⁹

სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის პროცესში, ისევე, როგორც სამართლის სხვა დარგებში, სისხლის სამართალმაც განიცადა გარკვეული ცვლილება. 1999 წლის 22 ივლისს მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი და იგი ამოქმედდა 2000 წლის 1 ივნისიდან. ამ კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, იგი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რა სახის ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს მის შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.

ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის პრაქტიკული

⁵⁵⁹ ი.გაბისონია, ჯ.გაბელია, თ.დარსანია; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი; თბ., 2019; გვ.11

განხორციელება დანაშაულის ჩადენას ჯერ კიდევ არ ნიშნავს, ეგ ბუნებრივია, რადგან “დანაშაული” ნიშნავს ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად განხორციელებას.⁵⁶⁰ სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გამოხატულია, ერთი მხრივ, ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა, ხოლო, მეორე მხრივ, გათვალისწინებულია სასჯელი ქმედების ამ შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად განხორციელებისათვის. აღნიშნულის გამო პროფ. თ. წერეთელი მართებულად დაასკვნოდა, რომ სისხლის სამართლის კანონი ქმედების შემადგენლობის შექმნით და მასთან სასჯელის დაკავშირებით ქმნის ნორმას, რომელიც სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის.⁵⁶¹

სისხლის სამართალი - სახელმწიფო საქმეა, ასე ფართო მნიშვნელობით წარმოადგინა სისხლის სამართლის არსი და მისი კავშირი, “სახელმწიფო საქმესთან” ქართველმა მოაზროვნემ ნიკო ხიზანიშვილმა.⁵⁶²

მიუხედავად იმისა, რომ ამ ახალ სისხლის სამართლის კოდექსში, წინა კოდექსისაგან განსხვავებით, შეტანილია მრავალი სიახლე და არსებითი ცვლილება, მისი სისტემა ძირითადად კვლავ უცვლელი დარჩა და, ტრადიციულად, შედგება ორი ნაწილისაგან: სისხლის სამართლის ზოგადი და განსაკუთრებული, ანუ კერძო ნაწილისაგან.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი შეისწავლის და ადგენს ისეთ ზოგად დებულებებს, რომელთა ცოდნის გარეშე შეუძლებელია ვიმსჯელოთ პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობაზე, მის სწორ კვალიფიკაციაზე, პირის სისხლისსამართლებრივ პასუხ-

⁵⁶⁰ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 7

⁵⁶¹ თ. წერეთელი; სისხლის სამართლის პროცესები, ტომი1; თბ., 2007; გვ.36

⁵⁶² ავტორთა კოლექტივი; სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო; თბ., 2016; გვ.27

ისმგებლობაზე, დანაშაულის ჩადენაში პირის თანამონაწილეობაზე, ბრალის სახეობაზე და სხვ.⁵⁶³

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი ადგენს და შეისწავლის:

- სისხლის სამართლის მიზნებსა და ამოცანებს;
- სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლებს;
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს;
- სისხლის სამართლის საერთო პრინციპებს;
- სისხლის სამართლის კანონსა და მის ახსნა-განმარტების ხერხებსა და საშუალებებს;

- დანაშაულისა და ბრალის ცნებასა და სახეებს;
- მიზეზობრივ კავშირს სისხლის სამართალში;
- განზრახ დანაშაულის განვითარების სტადიებსა და მასში თანამონაწილეობას;

- არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობას;
- მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს;

- სასჯელის მიზნებსა და სახეებს;
- სასჯელის დანიშვნის წესსა და საფუძვლებს;
- პირობითი სასჯელის ცნებასა და მისი გამოყენების პირობებს;

- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების წესსა და პირობებს;

- არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და მისგან გათავისუფლების წესსა და სხვ.

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი კი ადგენს და შეისწავლის იმას, თუ კონკრეტულად რა სახის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) შეიძლება ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებად, ანუ დანაშაულად, და რა სახის სასჯელი შეიძლება შეეფარდოს მის ჩამდენ პირს. იგი

⁵⁶³ ავტორთა კოლექტივი; სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი; თბ., 2014; გვ.3

შეისწავლის და ადგენს იმ კონკრეტული სახის ქმედებებს, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებადაა გამოცხადებული.⁵⁶⁴ სასჯელი სახელმწიფო იძულების ისეთი ღონისძიებაა, რომლის გამოყენება მხოლოდ სასამართლოს შეუძლია, რადგან სასამართლო დამნაშავეს სასჯელს უნიშნავს.⁵⁶⁵ უკეთესი იქნება, საუბარი იყოს არა დამნაშავისათვის სასჯელის დანიშვნაზე, არამედ დანაშაულებრივ ქმედების ჩადენაში ბრალდებულ პირზე⁵⁶⁶.

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სისტემაში, ადრე მოქმედი კოდექსისაგან განსხვავებით, რომელსაც საფუძვლად ედო ხელყოფის ერთგვაროვანი ობიექტი, განლაგებულია ისე, რომ ყოველთვის არაა დაცული დანაშაულებრივ ქმედებათა ხელყოფის ობიექტის ერთგვაროვნება და იგი სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი⁵⁶⁷:

- ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;
- ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;
- ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა;
- სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;
- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;
- ოჯახისა და არასრულწლოვანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;

⁵⁶⁴ ზ. წულაია; სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი; თბ., 2000; გვ.43

⁵⁶⁵ Ткаченко В И Общие начала наказания “Российская юстиция “ 1997; №1, С. 12-13

⁵⁶⁶ ი. გაბისონია, ჯ.გაბელია; ბრალდებული, მსჯავრდებული თუ დამნაშავე?!; იურისტები №3, 2017; გვ.83

⁵⁶⁷ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.261

- საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;
- დანაშაული სამენარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ;
- ფულად-საკრედიტო სისტემაში ჩადენილი დანაშაული;
- საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაული;
- დანაშაული სამენარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ;
- დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ;
- სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა;
- დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ;
- ნარკოტიკული დანაშაული;
- სატრანსპორტო დანაშაული;
- კიბერდანაშაული;
- გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;
- საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;
- ტერორიზმი;
- სამოხელეო დანაშაული;
- მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;
- სასამართლო ორგანოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;
- მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;
- სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;
- სამხედრო სამსახურისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

მამასადამე, სისხლის სამართალი არის სამართლის ის დარგი, რომელიც შეისწავლის მოძღვრებას დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, სასჯელთა დანიშვნისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პირობებს, აგრეთვე იმას, თუ რა სახის მოქმედება ან უმოქმედობა უნდა ჩაითვალოს დანაშაულად და რა სასჯელი შეიძლება შეეფარდოს მის ჩამდენ პირს.⁵⁶⁸

სისხლის სამართლის პრინციპებიდან აღსანიშნავია:

- კანონიერების პრინციპი;
- ბრალეულის პასუხისმგებლობის პრინციპი;
- პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი;
- პასუხისმგებლობის აუცდენლობის პრინციპი;
- ჰუმანიზმის პრინციპი;
- პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი;
- დემოკრატიზმის პრინციპი.

სისხლის სამართლის მთლიანი კურსით გათვალისწინებულ საკითხების განხილვა-გადმოცემას, ცხადია, აქ არ შევეუდგებით. განვიხილავთ მხოლოდ სსკ კოდექსის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილით გათვალისწინებულ რამდენიმე ძირითად საკითხს.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილიდან განვიხილავთ მხოლოდ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა ცოდნის გარეშე ვერ განვსაზღვრავთ – ჩადენილი ქმედება საერთოდ შეიცავს თუ არა დანაშაულის ნიშნებს, დადებით შემთხვევაში, როგორ უნდა მოხდეს მისი კვალიფიკაცია, ხომ არაა იგი ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში და სხვ.

განსაკუთრებული ნაწილიდან კი, კიდევ უფრო ზოგადი ასპექტებით, განვიხილავთ მხოლოდ ადამიანის ულებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი სახის დანაშაულს.

⁵⁶⁸ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.262

5.2. დანაშაულის ცნება

დანაშაულის ცნების მართებული ანალიზი საკმაოდ რთულია, რადგან ერთია დანაშაულის ცნების სამწვეროვანი დაყოფა ქმედების შემადგენლობის, მისი მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის სახით, და მეორე- ამ ელემენტების სწორი, მეცნიერულად გამართული და დანაშაულობასთან სისხლისსამართლებრივი ბრძოლის პრაქტიკასთან შეფასებული გაგება.⁵⁶⁹

პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად საჭიროა მის მიერ ჩადენილი ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) იყოს სისხლის სამართლის კანონით დასჯადი და ატარებდეს განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედების ხასიათს.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი, ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ამასთანავე, აუცილებელია, რომ ასეთი ქმედება შეიცავდეს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტს, კერძოდ: ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ნიშნებს.⁵⁷⁰

დანაშაულის ობიექტი არის ის, რომლის ხელყოფისაკენ მიმართულია დანაშაულებრივი ქმედება, ე.ი. რასაც ზიანი ადგება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენით. ერთიმეორისაგან განასხვავებენ დანაშაულის საერთო, გვაროვნულ, ანუ სპეციალურსა და უშუალო სახის ობიექტებს. არ არსებობს დანაშაული, რომელიც გარკვეულ ზიანს არ აყენებდეს ან ასეთის მიყენების საფრთხეს არ უქმნიდეს რომელიმე სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს.

ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე კი გამოიხ-

⁵⁶⁹ ავტორთა კოლექტივი; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი; თბ., 2016; გვ.96-97

⁵⁷⁰ გ. ნაჭყებია; სისხლის სამართლის საგანი; თბ., 1997; გვ.36

ატება ჩადენილი ქმედების სახეობით – მოქმედებით ან უმოქმედობით, მისი ჩადენის ხერხებით. ზოგიერთი სახის დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირის აქტიური მოქმედებით. ზოგი კი შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით.

ცნობილია, რომ მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც ცეცხლსასროლი, ისე ცივი იარაღის (დანის და სხვ.) გამოყენებით, ე.ი. დამნაშავე პირის აქტიური მოქმედებით. სხვა შემთხვევაში მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს პირის უმოქმედობითაც.

მაგალითად, თუ მედიცინის მუშაკმა ექიმის მიერ დანიშნული წამალი ავადმყოფს დროზე არ მიანოდა, ან თუ დედამ თავის ახალშობილ ბავშვს არ მისცა საკვები და ამის გამო დადგა სიკვდილი, მაშასადამე, მედიცინის მუშაკისა და დედის ამგვარ უმოქმედობას მოჰყვა ავადმყოფის ან ჩვილის სიკვდილი. ცხადია, ამ დროს ადგილი აქვს ამ პირთა უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულს – პირის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას.⁵⁷¹

დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტებია აგრეთვე სუბიექტისა და სუბიექტური მხარის დამახასიათებელი ნიშნები.

დანაშაულის ჩადენის სუბიექტი შეიძლება იყოს გარკვეულ ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი, ე.ი. დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტიდან შერაულებული აქვს კანონით დადგენილი ასაკობრივი ცენზი და შერაცხადია.

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირს შეიძლება დაეკისროს 14 წლის ასაკიდან.⁵⁷² კანონის თანახმად, სისხლის სამართ-

⁵⁷¹ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.262-263

⁵⁷² იქვე

ლის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმ პირს, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში, ე.ი. როცა მას არ შეეძლო ანგარიში გაენია თავისი მოქმედებისათვის ან ეხელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის ქრონიკული სულიერი დაავადების, სულიერი მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო.⁵⁷³

პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელია, რომ მას ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაში მიუძღოდეს ბრალი, ე.ი. კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება მოცემული პირის მიერ ჩადენილი იყოს განზრახ ან გაუფრთხილებლობით.

თავის მხრივ, განზრახვა შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი. პირდაპირი განზრახვით ჩადენილად ითვლება ქმედება, თუ მის ჩამდენ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას.

არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილად ითვლება ისეთი ქმედება, როცა პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.⁵⁷⁴

რაც შეეხება გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულს, ასეთი ქმედება შეიძლება ჩადენილი იყოს თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით.

⁵⁷³ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 20

⁵⁷⁴ შ.ფაფიაშვილი, შესავალი იურიდიულ სპეციალობაში, თბ, 2006, გვ262-263

თვითიმედოვნებით ჩადენილად ითვლება ისეთი ქმედება, როცა პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.⁵⁷⁵

დაუდევრობით ჩადენილად კი ჩაითვლება ისეთი ქმედება, როცა პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ.⁵⁷⁶

სისხლის სამართლს ახალმა კოდექსმა აღარ გაითვალისწინა ადრე მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ტრადიციულად მოცემული დანაშაულის ცნება, მისი განმარტება მისთვის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშნები უბრალოდ, ზოგადად მოიხსენია მე-7 მუხლში, რომლის თანახმად, დანაშაულად აღიარებულია, „ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება“.⁵⁷⁷

აქვე მითითებულია იმაზე, თუ რა არ უნდა მივიღოთ დანაშაულად და ასეთად მიჩნეულია ისეთი ქმედება, „რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.“⁵⁷⁸

⁵⁷⁵ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 10

⁵⁷⁶ იქვე,

⁵⁷⁷ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 7

⁵⁷⁸ იქვე

5.3. განზრახი დანაშაულის განვითარების სტადიები

სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს პასუხისმგებლობას განზრახი ქმედებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გაუფრთხილებლობით ქმედების დასჯადობაზე სპეციალურად არის მითითებული კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში.⁵⁷⁹

გაუფრთხილებლობითი ბრალით ჩადენილი ქმედებისაგან განსხვავებით, განზრახ ქმედება გაივლის თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურებს. კერძოდ, ერთიმეორისაგან განასხვავებენ განზრახ დანაშაულის ჩადენის მომზადებას, მისი ჩადენის მცდელობასა და დასრულებულ დანაშაულს.

დანაშაულის მზადებად მიიჩნევა დანაშაულის ჩასადენად საჭირო იარაღის შექმნა, მომარჯვება ან სხვა სათანადო პირობების შექმნა. დანაშაულის მომზადებისათვის პირი შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ დანაშაულებრივი ქმედების ამსახველ მუხლშია მითითებული.

დანაშაულის მცდელობად მიჩნეულია ისეთი განზრახ მოქმედების ან უმოქმედობის შესრულება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ იგი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.⁵⁸⁰

განზრახ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება მაშინ, როცა მისმა ჩამდენმა პირმა მიაღწია სასურველ შედეგს.

მაგალითად, დ.-ემ, მოინადინა რა გზიდან ჩამოეცილებინა თავისი კონკურენტი გ.-ე., გადაწყვიტა მისი მოკვლა და ამისათვის შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი, იცოდა რა სამსახურიდან

⁵⁷⁹ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი; კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 10, მეოთხე ნაწილი

⁵⁸⁰ იქვე, მუხლი 19

მისი დაბრუნების გზა და, გრაფიკი, ჩაუსაფრდა ცეცხლსასროლი იარაღით და როცა მას დაუპირისპირდა, ესროლა, მაგრამ ტყვია ასცდა და გ.-ემ გაქცევით უშველა თავს. მეორე შემთხვევაში, დაფუშვათ, რომ დ.-ეს ნასროლი ტყვია გ.-ეს გულში მოხვდა და ადგილზევე მოკვდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში იარაღის შექენა და მისი მომარჯვება არის დანაშაულის ჩადენის მომზადება, ანუ განზრახ დანაშაულის განვითარების პირველი ეტაპი – დანაშაულის მომზადება; მეორე შემთხვევა: როცა დ.-ემ ესროლა, მაგრამ ააცდინა და გ.-ემ გაქცევით თავს უშველა, აქ ადგილი აქვს დამთავრებულ მცდელობას, ხოლო როცა მან ესროლა და მოკლა – ეს უკვე დამთავრებული დანაშაულია, რადგან მან ამით მიაღწია თავის სასურველ შედეგს.⁵⁸¹

მეორე შემთხვევაში, როცა ჩასაფრებულმა დ.-ემ თავის კონკურენტ გ.-ეს ესროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, მაგრამ გასროლილი ტყვია ააცდინა ან იგი მსუბუქად დაჭრა. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არა დამთავრებულ დანაშაულს, არამედ განზრახი მკვლელობის მცდელობას, რადგან მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დამდგარიყო მისთვის სასურველი შედეგი – მოეკლა გ.-ე, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

მესამე შემთხვევაში კი, როცა დ.-ემ თავის მსხვერპლს ნასროლი ტყვია მოახვედრა და მოკლა, აქ ადგილი აქვს დამთავრებულ დანაშაულს – განზრახ მკვლელობას.

ზემოაღნიშნული დანაშაულის მომზადების, დანაშაულის მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულისაგან უნდა განვასხვაოთ დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე პირის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღება. დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ცნების უკეთ გასაგებად, ზემოაღნიშნულ შემთხვევას დავამატოთ მეოთხე შემთხვევის სახეობა: ცეცხლსასროლ იარაღმომარჯვებული დ.-ე ელოდება თა-

⁵⁸¹ შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.266

ვის სამსხვერპლოს გამოჩენას და, როცა იგი გამოჩნდა ხელში აყვანილ თავის მცირეწლოვან ბავშვთან ერთად და დაინახა, როგორ ესაუბრებოდა და ეფერებოდა თავის შვილს, უეცრად მის ადგილზე თავისი თავი წარმოიდგინა, შეეცოდა დამიზნებული და ჩახმასხე შეყენებული თოფი ძირს დაუშვა და გადაიფიქრა მისი მოკვლა. ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მას ხელის შემშლელი არავინ ჰყავდა და თვისუფლად შეეძლო თავისი განზრახვის სისირულეში მოყვანა გ.-ეს მოკვლა, მან თავისივე ნებით აიღო ხელი საკუთარი განზრახვის ბოლომდე მიყვანაზე. კანონით ასეთი შემთხვევა მიჩნეულია დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებად და დ.-ე პასუხს არ აგებს არც განზრახ მკვლელობის მომზადებისა და არც განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის. მისი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ იარაღის უნებართვოდ ტარებისათვის, თუკი მას ასეთი ნებართვა არ მოეპოვება.⁵⁸²

5. 4 თანამონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში

სისხლის სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია თანამონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში. თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ განზრახ და არა გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩადენის დროს. ამიტომ მისი განმარტების დროს ამ გარემოებაზე აუცილებლად უნდა მიეთითოს. ამ გარემოების გათვალისწინებით იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

თანამონაწილეობა არის ორი ან მეტი პირის განზრახ ერ-

⁵⁸² შ.ფაფიაშვილი, შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.267

თობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში.⁵⁸³

განზრახი დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირების როლები კი შეიძლება გამოიხატოს დანაშაულის ჩადენის ორგანიზატორობაში, წამქეზებლობასა და დახმარებაში.

კანონის თანახმად, ორგანიზატორად ითვლება პირი, ვინც აწყობს ან ხელმძღვანელობას უწევს დანაშაულის ჩადენას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას.⁵⁸⁴ დანაშაულის ჩადენაში წამქეზებლად ითვლება ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩადენაში,⁵⁸⁵

დამხმარედ კი ითვლება ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას რჩევა-დარიგებით, მითითებით, საშუალებათა მიცემით ან დაბრკოლებათა თავიდან აცილებით; დამხმარედ ჩაითვლება, აგრეთვე ის, ვინც წინასწარ დაჰპირდება დამნაშავეს დამალვაში, ან მის მიერ გამოყენებული დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დამალვაში.

რაც შეეხება ამსრულებელს, სისხლის სამართლის კოდექსით, იგი ცალკეა გამოყოფილი თანამონაწილეთა რიცხვიდან და თანამონაწილედ არ ითვლება, კერძოდ: სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

⁵⁸³ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი; კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 23

⁵⁸⁴ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი; კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 25

⁵⁸⁵ იქვე

კანონით განსაზღვრულია ისიც, თუ როგორ უნდა დადგეს პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩამდენი – ამსრულებლისა და მის ჩადენაში მონაწილე პირისა. ამასთან, დაკავშირებით სსკ-ს 25-ე მუხლი ადგენს, რომ „ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით.“⁵⁸⁶

ამასთან დაკავშირებით, აქვე უნდა აღვნიშნოთ სისხლის სამართლის თეორიასა და კანონმდებლობაში არსებული ეგრეთ წოდებული ამსრულებლის ექსცესის ცნების თაობაზე.

სსკ-ის 26-ე მუხლის თანახმად, ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა.

ამავე მუხლის თანახმად, ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

მაგალითად, ანზორმა, გიგიმ და ნოდარმა გადაწყვიტეს მათი ნაცნობს ბიზნესმენ შადურის ბინის გაქურდვა. ამ მიზნით მათ შეარჩიეს დრო და როლებიც წინასწარ გაინაწილეს. ანზორი და გიგი ბინაში შევიდნენ, ნოდარი კი გარეთ დატოვეს და დაავალეს: რაიმე საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში მათთვის ეცნობებინა. ქურდობის დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ ნოდარმა დაინახა ბინის მცველის მოსვლა და, როცა იგი ბინის შესასვლელში შევიდა, ნოდარს შეეშინდა რომ ის ბინაში შესულ მის მეგობრებს დაიჭერდა. ამიტომ მცველი მოკლა. ამ შემთხვევაში ანზორი და გიგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცემიან მხოლოდ ქურდობისათვის, რადგან მათ არ განუზრახავთ მცველის მოკვლა. ნოდარი კი პასუხს აგებს ქურდობის

⁵⁸⁶ იქვე

ჩადენაში თანამონაწილეობისა და განზრახვი მკვლევარობისათვის.⁵⁸⁷

5. 5. სასჯელის ცნება, სახეები, მიზნები და ამოცანები

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იძლევა სასჯელის ცნებას. სასჯელი განმარტებულია სისხლის სამართლის თეორიაში: სასჯელი ზოგჯერ სამართალსაც ნიშნავდა, X-XII საუკუნეებში სასჯელი ნიშნავდა სამსჯავროს, განკითხვას, გასამართლებას.⁵⁸⁸

ჟან პრადელი მიუთითებს, რომ სასჯელი არის განსაზღვრული საზოგადოებრივი წყობის ხელყოფის დამსჯელი ფიზიკური და მორალური ზემოქმედება. წარმოადგენს დანაშაულის შესმრულებლის ქცევის გაკიცხვას.⁵⁸⁹

ზ.გოთუა მიუთითებს, რომ სასჯელი არის სახელმწიფო იძულების ღონისძიება, ამასთანავე, სახელმწიფო იძულების ღონისძიებათა ნებისმიერ სხვა ფორმას შორის ყველაზე მკაცრი და მძიმე, რომელიც გამოიყენება მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ.⁵⁹⁰

ადამიანის ყველა ქმედებას აქვს თავისი მიზანი. არ არსებობს უმიზნო ქმედება. ამიტომ სასჯელს, როგორც სახელმწიფო ქმედებას, სამართლის სფეროში გარკვეული მიზნები უნდა ჰქონდეს.

გრუნდელი მიუთითებდა, რომ სასჯელის მიზნების შესახებ

⁵⁸⁷ შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.270

⁵⁸⁸ გ.ნანეიშვილი; ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; თბ., 2005; გვ.116

⁵⁸⁹ ჟ. პრადელი; შედარებითი სისხლის სამართალი (ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან); თბ., 1999; გვ.417

⁵⁹⁰ ზ.გოთუა; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი; თბ., 2006; გვ.6

კითხვაზე პასუხი უნდა გახდეს ფსიქოლოგების, პედაგოგებისა და თეოლოგების კვლევის საგანი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში ჩამოყალიბებულია სასჯელის მიზანი და მისი განხორციელების გზები, ხერხები და საშუალებები.

ამ მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით. მსჯავრდებულზე ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია საქართველოს სასჯელალსრულების კანონმდებლობით.

სსკ-ის ამავე მუხლში მითითებულია იმაზეც, რომ „სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება“.⁵⁹¹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლით კი რეგლამენტებულია იმ სასჯელთა სახეები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ: კერძოდ, თავისუფლების შეზღუდვა, ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაო, თავისუფლების ვადიანი აღკვეთა, თავისუფლების უვადო აღკვეთა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა; ქონების ჩამორთმევა და შინა პატიმრობა.⁵⁹²

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, შინა პატიმრობა, ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინ-

⁵⁹¹ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი; კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 39

⁵⁹² იქვე, მუხლი 40

იშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად. ერთდროულად შესაძლებელია რამდენიმე დამატებითი სასჯელის დანიშვნა.

რაც შეეხება სასჯელის ისეთ სახეობას, როგორიცაა: გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად.⁵⁹³

დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებისას სასამართლო მხედველობაში იღებს დამნაშავის პიროვნებასა და საქმის იმ გარემოებებს, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პირის პასუხისმგებლობას. კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებისას გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, მის პირად და ეკონომიურ პირობებს, ყოფაქცევასა და მისწრაფებას მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შემდეგ, მის სურვილს – აანაზღაუროს ჩადენილი ქმედებით მიყენებული ზიანი და შეურიგდეს დაზარალებულს.⁵⁹⁴

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, ახლმა სისხლის სამართლის კოდექსმა უარი თქვა ცალკე შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების ჩამოთვლაზე, რადგან ეს გარემოებები თითოეული კონკრეტული სახის დანაშაულებრივი ქმედების ამსახველ მუხლებშია ჩამოყალიბებული.

მაგალითად, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ამსახველ სსკ 109-ე მუხლში ცალკე ნაწილებად

⁵⁹³ იქვე, მუხლი 41

⁵⁹⁴ შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.272

ჩამოთვლილია ის გარემოებები, რომელთა არსებობისას განზრახ მკვლელობა უნდა ჩაითვალოს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობად და სხვ.

მაშასადამე, სასამართლო წყვეტს რა საკითხს განსასჯელი პირის ბრალეულობის შესახებ, სათანადო მტკიცებულებათა არსებობის საფუძველზე ცნობს მას დამნაშავედ, გამოაქვს მის შესახებ გამამტყუნებელი განაჩენი და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, მუხლებით, ან მუხლის რომელიმე ნაწილით განუსაზღვრავს სასჯელს ჩადენილი ქმედების საშიშროების, პიროვნებისა და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით.⁵⁹⁵

სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილია ისიც, თუ ვის არ შეიძლება შეეფარდოს უვადო თავისუფლების აღკვეთა და ასეთად მიჩნეულია პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენამდე 18 წელს არ იყო მიღწეული, ან ვისაც განაჩენის გამოტანის დროს უკვე შეუსრულდა 60 წელი.⁵⁹⁶ როგორც აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი შეისწავლის კანონით დადგენილი ცალკეული სახის მართლსაწინააღმდეგო დანაშაულებრივ ქმედებებსა და მისი ჩამდენი პირებისათვის შესაფარდებელ სასჯელებს. ამ დანაშაულებრივი ქმედებებიდან ზოგად ასპექტებში განვიხილავთ და გადმოვცემთ ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ღირსებისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებათა სისხლისსამართლებრივ დახასიათებას.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთაგან ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია მკვლელობა.

საქართველოს უზენაესი კანონმდებლობით – კონსტიტუ-

⁵⁹⁵ შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.272

⁵⁹⁶ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი; კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 51

ციით დადგენილია, რომ „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი“. მკვლევლობის დროს პირი თავისი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით მეორე ადამიანს ართმევს ყველაზე ძვირფას, ბუნებით ნაბოძებ სიცოცხლეს. ამიტომ, ცხადია, განზრახ ადამიანის სიცოცხლის მოსპობა თავისთავად მძიმე და შემზარავია. მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იურიდიული თვალთახედვით ადამიანისათვის ყველანაირი სახით სიცოცხლის მოსპობა მკვლევობად არ ითვლება.⁵⁹⁷

მაგალითად, მკვლევობა, თუ იგი ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის გარემოებაში, ან ომიანობის დროს ბრძოლის პროცესში, როცა ერთი მხარე ებრძვის მეორეს და, თუ იგი არ მოკლავს მტრის მხარეზე მყოფ მებრძოლს, მაშინ ეს უკანასკნელი მოკლავს მას. ამიტომ ამ გარემოვითარებაში ჩადენილი მკვლევობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობით მიჩნეულია მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებაში ჩადენილ მკვლევობად და პირი არ მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.⁵⁹⁸ მკვლევობა შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. პირდაპირი განზრახვით ჩადენილად მოიაზრება ისეთი მკვლევობა, როცა პირს გაცნობიერებულ აქვს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ითვალისწინებს თავისი ამ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით შედეგის დადგომის- პიროვნების მოკვლის შესაძლებლობას და სურს ასეთი შედეგის დადგომა, ან ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას. არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ მკვლევობას კი ადგილი ექნება მაშინ, როცა პირი ით-

⁵⁹⁷ ი. გაბისონია, ჯ.გაბელია, თ.დარსანია; სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი; თბ., 2018; გვ.56

⁵⁹⁸ ი. გაბისონია, ჯ.გაბელია, თ.დარსანია; სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი; თბ., 2018; გვ.56

ვალისწინებდა ასეთი მძიმე შედეგის – მკვლელობის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა პიროვნების სიკვდილის დადგომას.⁵⁹⁹ რას შეეხება პიროვნების სიცოცხლის მოსპობას გაუფრთხილებლობით, ეს ქმედებაც შეიძლება ჩადენილ იქნეს თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით.

თვითიმედოვნებით სიცოცხლის მოსპობის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი შემთხვევა, როცა პირს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი ახორციელებს წინდახედულობის ნორმით აკრძალულ ქმედებას და ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ იმედოვნებს, რომ მოსალოდნელ საფრთხეს თავიდან მაინც აიცილებს,

მაგალითად, დიმიტრი დარწმუნებული იყო თავისი ავტომანქანის გამართულობასა და ავტომანქანის მართვის დიდ გამოცდილებაში. იგი ავტომანქანას ქალაქშიც დიდი სისწრაფით ატარებდა. ერთერთი ასეთი სიჩქარით მიმავალს ქუჩაში გადმოვარდნილი ბურთის ასაღებად გაქცეული ბავშვი შენიშნა და შეეცადა ბავშვზე შეჯახების თავიდან აცილებას, მაგრამ ამოდ, ბავშვი ავტომანქანის ბორბლების ქვეშ აღმოჩნდა მძიმე შედეგით.

ამ შემთხვევაში, ცხადია, დიმიტრი ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა, მაგრამ ვერ შეძლო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, დასჯად მკვლელობადაა გამოცხადებული ისეთი სახის განზრახ მკვლელობები, როგორიცაა:⁶⁰⁰

1. დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ჩადენილი განზრახი მკვლელობა [სსკ 108 მუხლი];

⁵⁹⁹ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.274

⁶⁰⁰ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი; კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლები 108-116

2. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახი მკვლელობა [სსკ 109 მუხ.];

3. მსხვერპლის თხოვნით ჩადენილი მკვლელობა [სსკ 110 მუხ.];

4. უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა [სსკ 111 მუხ.]

5. დედის მიერ ახალშობილი ბავშვის განზრახ მკვლელობა [სსკ 112 მუხ.];

6. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობა [113 მუხ.];

7. დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით ჩადენილი მკვლელობა [114 მუხ.];

8. თვითმკვლელობამდე მიყვანით ჩადენილი მკვლელობა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა [115-116 მუხ.];

ზემოთ აღნიშნული მკვლელობებიდან განსაკუთრებით მკაცრი სასჯელებია დაწესებული დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის.

მაგალითად, ორი ან მეტი პირის განზრახი მკვლელობა; განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა; ანგარებით ან შეკვეთით ჩადენილი მკვლელობა; მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით ჩადენილი მკვლელობა; არაერთგზის ჩადენილი მკვლელობა; მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ჩადენილი მკვლელობა სსკ 109 მუხლის მესამე ნაწილით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

ასევე, მკაცრი სასჯელებია დაწესებული პიროვნების წინააღმდეგ მიმართული სხადასხვა სახის დანაშაულისათვის. მაგალითად, თოთხმეტ წელს მიუღწეველი პირის გაუპატიურებისათვის სსკ 137-ე მუხლის მეხუთე პუნქტით დადგენილია

თავისუფლების აღკვეთა ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე.⁶⁰¹ ყველა ზემოაღნიშნული სახის დანაშაულის ჩადენის სუბიექტი შეიძლება იყოს 14 წელს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი ფიზიკური პირი. მკვლელობის იურიდიული შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, განზრახ მკვლელობა ჩადენილი იქნა ჯანმრთელი ახალგაზრდა კაცისა, თუ ღრმად მოხუცებული ავადმყოფი პირისა, არც იმას მკვლელობა ჩადენილი იქნა მამაკაცისა, თუ ქალის. ამ უკანასკნელის მკვლელობა კიდევ უფრო მკაცრად ისჯება თუ მან იცოდა, რომ იგი კლავდა ფეხმძიმე ქალს.⁶⁰²

5. 6. პასუხისმგებლობა ქურდობის, კარცვის, ანალოგისა და თაღლითობისათვის

ოთხივე ზემოაღნიშნული დანაშაული მიეკუთვნება ეკონომიკურ დანაშაულთა ჯგუფს და თითოეული მათგანი ერთიმეორისაგან ძირითადად განსხვავდებიან ობიექტური მხარის ნიშნებით. კერძოდ იმით, რომ სსკ 177-ე მუხლის თანახმად, ქურდობად მიჩნეულია „სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით“.⁶⁰³

ქურდობის ამგვარ კანონისმიერ განმარტებაში ყურადღებას იპყრობს შემდეგი სამი ძირითადი გარემოება: მიზანი, საგანი და ამ საგნის დაუფლების ხერხი.

ქურდობის მთავარი მიზანია ფარულად სხვისი კუთვნილი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და თავის საკუთრებაში გადაქცევა. ქურდობის დაუფლების საგანია მს-

⁶⁰¹ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი; კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 137

⁶⁰² ავტორთა კოლექტივი; სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი; თბ., 2006; გვ.39

⁶⁰³ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი; კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 177

ოლოდ სხვისი კუთვნილი მოძრავი ნივთები [ფული, ძვირფასი სამკაულები, ავტომანქანა და სხვ.] და არა უძრავი ქონება – მიწის ნაკვეთი, ბინა და სხვ. და, რომ სხვისი კუთვნილი ამ მოძრავი ნივთების დაუფლება და მართლსაწინააღმდეგოდ თავის საკუთრებაში გადაქცევა ხდება ფარულად, ამ ნივთების კანონიერი მესაკუთრე-მფლობელისაგან შეუმჩნეველად.

ქურდობის გზით ხელყოფის მთავარი გვარეობითი ობიექტია არა სხვისი კუთვნილი მოპარული ნივთი, არამედ ამ მოპარული მოძრავი ნივთის კანონიერი მფლობელი პირის მართლზომიერი უფლება საკუთრებაზე.

ობიექტური მხრივ ქურდობა გამოიხატება მისაკუთრების მიზნით სხვადასხვა სახისა და ღირებულების მქონე სხვისი კუთვნილი მოძრავი ნივთების ფარულ დაუფლებასა და მართლსაწინააღმდეგოდ თავის საკუთრებად გადაქცევაში.

სუბიექტური მხრივ ქურდობა შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ქურდობის სუბიექტი შეიძლება იყოს 14 წელს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი ფიზიკური პირი.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქურდობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე.

ქურდობა საკმაოდ გავრცელებული დანაშაულია. იგი, სხვისი მოძრავი ქონების სხვა მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისგან განსხვავებით, შედარებით ნაკლები საშიშროების შემცველია. დამნაშავე როდი იყენებს ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ძალადობას.⁶⁰⁴

ძარცვა და ყაჩაღობა, ქურდობისაგან განსხვავებით, ატარებს ამკარა აგრესიულ ხასიათს და მიმართულია სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისა და თავის საკუთრებაში გადაქცევისაკენ. ორივე ამ დანაშაულებრივ

⁶⁰⁴ ავტორთა კოლექტივი; სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი; თბ., 2006; გვ.330

ქმედებას, მთელ რიგ შემთხვევებში, თან სდევს მესაკუთრის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაზიანებლად. ამიტომ, ქურდობისაგან განსხვავებით, ძარცვისა და ყაჩაღობის ხელყოფის ობიექტია არა მარტო საკუთრების უფლება, არამედ ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობაც.

ქურდობა და ძარცვა დამთავრებულად ითვლება სხვისი კუთვნილი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ ამოღებასა და თავის საკუთრებაში გადაქცევის მიზნით მასზე დაუფლების მომენტიდან. იმ შემთხვევაში, როცა ძარცვას თან ერთვის მესაკუთრისათვის ჯანმრთელობის დაზიანების ან მისი სიცოცხლისათვის საშიში მუქარა მაშინ ადგილი ექნება არა ძარცვას, არამედ ყაჩაღობას და ამ ქმედების ჩამდენი პირი კიდევ უფრო მკაცრად დაისჯება.

ქურდობა და ძარცვა იურიდიული თვალთახედვით მატერიალური სახის დანაშაულს მიეკუთვნება, ყაჩაღობა კი ფორმალური შემადგენლობის მქონე დანაშაულთა ჯგუფს. ყაჩაღობა, ქურდობისა და ძარცვისაგან განსხვავებით დამთავრებულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას ყაჩაღური თავდასხმის ჩამდენმა პირმა შეძლო თუ არა სხვისი კუთვნილი მოძრავი ნივთის დაუფლება და თავის საკუთრებაში გადაქცევა.⁶⁰⁵

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ძარცვა ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან თერთმეტ წლამდე, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ყაჩაღობა კი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, თაღლითობად მიჩნეულია მართლსაწინააღ-

⁶⁰⁵ ავტორთა კოლექტივი; სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი; თბ., 2006; გვ.327-328

მდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით.⁶⁰⁶

თაღლითობა შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც პირის აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობით. საგამოძიებო – სასამართლო პრაქტიკაში შემჩნეული და დადგენილია თაღლითობის მრავალი სახეობა, მაგრამ ყველა მათგანისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ მისი ჩადენა ხდება იურიდიული ან ფიზიკური პირის მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით მათი ან მათთან არსებული სხვისი მოძრავი ნივთის, ფულის ან სხვა რაიმე სახის მატერიალური ღირებულების მქონე საგნის დაუფლება. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი თაღლითობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შეიდიდან ათ წლამდე,

ყველა ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენის სუბიექტი შეიძლება იყოს 14 წელს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი ფიზიკური პირი.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის სისხლის სამართალი?
2. როგორია სისხლის სამართლის საგნის სისტემა?
3. რას შეისწავლის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი?
4. რას შეისწავლის სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი?
5. რა არის დანაშაულის ხელყოფის ობიექტი და ობიექტური მხარე?
6. რა ნიშნებით ხასიათდება დანაშაულის სუბიექტი და სუბიექტური მხარე?

⁶⁰⁶ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი; კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 180

7. რომელი წლიდან დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა?

8. რა არის განზრახი დანაშაული?

9. რა ნიშნებით ხასიათდება გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული?

10. რას ნიშნავს განზრახი დანაშაულის განვითარების სტადიები?

11. რა არის და რა ნიშნებით ხასიათდება დანაშაულის მომზადება და მცდელობა?

12. რა არის თანამონანილეობა დანაშაულის ჩადენაში?

13. ვინ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის ჩადენის ორგანიზატორად, წამკეზებლად და დამხმარედ?

14. რას ნიშნავს ამსრულებლის ექსცესი?

15. რა არის დანაშაული?

16. რა არის სასჯელი და მისი მიზნები?

17. რა სახის სასჯელები გამოიყენება?

18. რომელი სახის სასჯელები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ძირითადი სახის სასჯელებად?

19. რა სახის სასჯელები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამატებითი სახის სასჯელებად?

20. რა არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი და რა უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ სასჯელის შეფარდების დროს?

21. რა ითვლება განზრახ მკვლელობად?

22. რა სახის მკვლელობებია გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით?

23. რა არის ქურდობა?

24. რა განსხვავებაა ქურდობასა და ძარცვას შორის?

25. რა არის ყაჩაღობა და რა განსხვავებაა ძარცვასა და ყაჩაღობას შორის?

თავი მეექვსე

სისხლის საპროცესო სამართალი

6.1. სისხლის საპროცესო სამართლის ცნება, არსი და მნიშვნელობა

იურიდიულ მეცნიერებათა ციკლის სისტემაში შემავალ სამართლის ცალკეულ დარგებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სისხლის საპროცესო სამართალს. სიტყვა “პროცესი” მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს მოვლენათა თანმიმდევრულ მონაცვლეობას, რისიმე განვითარების გზას. იურიდიული გაგებით, იგი იხმარება როგორც სასამართლომდელი გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის კანონით დადგენილი წესის ამსახველი ცნება, სასამართლოში საქმის განხილვა.

მაშასადამე, სიტყვა „პროცესი“ ნიშნავს მოძრაობას, წინსვლას, განვითარებას, რაიმე მოვლენის მიმდინარეობას.⁶⁰⁷ სამართალი კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სხვა არა არის რა, თუ არა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქცევის წესების ერთობლიობა, რომელთა შესრულება და დაცვა უზრუნველყოფილია თვით სახელმწიფოს მიერ.⁶⁰⁸

სისხლის სამართლის პროცესის მიზანია სიმართლის ძიება. ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ მოვლენების აღმოჩენა, რომლებიც სასამართლოს მიერ განიხილება. სისხლის სამართლის პროცესის ყველა წესი მეტ-ნაკლებად ემსახურება სიმართლის დადგენის მიზანს: გამოძიებისა და მტკიცებულებების მოგროვებასა და წარდგენას; გამოძიების, სასამართლო პროცე-

⁶⁰⁷ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძვლები); თბ., 2012; გვ.352

⁶⁰⁸ შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.271

სისა და აპელაციის თანმიმდევრობას; ამასთანავე, საქმის წარმოებიდან მონაწილეთა გამორიცხვისა და დუმის უფლების გამოყენებას. ყველა ეს წესი მიმართულია სიმართლის დადგენისკენ.⁶⁰⁹ სისხლის სამართლის ამოცანაა დაადგინოს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტორები გარემოებანი და მისი ჩამდენი პირები.⁶¹⁰ სისხლის საპროცესო სამართალი კი არ აწესრიგებს სისხლის სამართლის ნორმათა მოძრაობას, მათ მონაცვლეობას, არამედ იგი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, ადგენს იმ ნორმათა ერთობლიობას, ანუ ქცევის ისეთ სავალდებულო წესებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა დანაშაულებრივ ფაქტებზე წარმოებული გამოძიების და სასამართლოში საქმის განხილვის დროს, ე.ი. იგი ადგენს და სწავლობს იმ ნორმებს, რომელთა მიხედვითაც უნდა წარიმართოს გამოძიება, სასამართლოში საქმის განხილვა, მასთან დაკავშირებული სხვა მთელი რიგი პროცესუალური მოქმედებები და, საერთოდ, სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება.

სასამართლომდელი გამოძიებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს კანონით დადგენილი პროცესუალური ნორმების დაუცველობა ითვლება კანონის უხემ დარღვევად და მას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებათა დაუმეგბელ მტკიცებულებად ცნობა, დანაშაულის გაუხსნელობა, ან საქმეზე გამოტანილი განაჩენის გაუქმება, ან პირის უმართებულო მსჯავრდება და სხვ.

მაშასადამე, პროცესუალურ ლიტერატურაში სისხლის საპროცესო სამართალი გაგებულია, როგორც სისხლის სამართლის საქმის მოძრაობა, მისი წინსვლა, მისი განვითარების

⁶⁰⁹ ვ. ჰასემერი; სახელმწიფო აღარ არის ლევიათანი; ქარჩავას თარგმანი დ.გეგენავას რედაქტორობით; თბ., 2016; გვ.14

⁶¹⁰ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2000; გვ.387

მთლიანი პროცესი. კერძოდ, გამოძიების აუცილებლად ჩატარება და საქმის სასამართლოში განხილვა. სისხლის სამართლის საქმეთა მოძრაობის პროცესუალური მონესრიგება და ამ პროცესში მონაწილე პირების პროცესუალური უფლებების დაცვა და მათი პროცესუალური გარანტიების უზრუნველყოფა.⁶¹¹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უფრო სწორი და ლოგიკურია, სამართლის ამ დამოუკიდებელ დარგს ეწოდოს არა „სისხლის სამართლის პროცესი“, როგორც ეს დღემდეა დამკვიდრებული ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებში, არამედ „სისხლის საპროცესო სამართალი.“ ჩვენი აზრით, ეს ცნება უფრო სწორად ასახავს და უკვეთ შეესაბამება ამ დამოუკიდებელი სამართლის დარგის არსსა და მნიშვნელობას. ამიტომ, უფრო სწორი იქნება თუ სისხლის სამართლის პროცესის ნაცვლად, დავამკვიდრებთ „სისხლის საპროცესო სამართალი“-ს ცნებას. მაგრამ, ვინაიდან კანონი იცნობს და იყენებს სისხლის სამართლის პროცესს, ჩვენც გვევალება სისხლის საპროცესო სამართლის ნორმების გადმოცემა მოვახდინო მისი ყოველგვარი შელამაზების გარეშე. საკითხების თეორიულ ასპექტში გაშუქების დროს კი გამოვიყენებთ სისხლის საპროცესო სამართლის სახელწოდებას.⁶¹²

სისხლის საპროცესო სამართლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი აწესრიგებს სამართალდამცავი ორგანოების ძირითად საქმიანობას და სისხლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ნორმების მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა იმ სამართალდამცავი ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ, ვისაც ეხება და ევალება მისი შესრულება. ამიტომ შემთხვევით არ ვუნოდებთ მას სამართალდამცავი ორგანოების მცირე კონსტიტუციას.

⁶¹¹ შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.272

⁶¹² შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.272

6.2. სისხლის საპროცესო სამართლის ზოგადი და ბანსაკუთრებული ნაწილი

გამოძიების პროცესში და სასამართლოში საქმის განხილვის დროს, მრავალი პირი მონაწილეობს, რომლებიც ალჭურვილნი არიან გარკვეული უფლებებით და მოვალეობებით და პროცესუალური ფუნქციებით. ამ უკანასკნელ ფუნქციებს ახორციელებს არა პროცესის ყველა მონაწილე, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც თავიანთი საქმიანობით დაკავშირებულნი არიან სისხლის სამართლის პროცესის ძირითად მიმართულებებთან. სისხლის საპროცესო სამართალში ასეთ პირებად ძირითადად გვევლინება: სასამართლო [მოსამართლე], პროკურორი, გამომძიებელი, ადვოკატი, ექსპერტი და სხვ.

ერთიმეორისაგან განასხვავებენ გამოძიების ფუნქციას, დაცვის ფუნქციას, სასამართლო ფუნქციას და ზოგიერთი მიმართულებით კანონის დაცვაზე ზედამხედველობის ფუნქციას.

გამოძიების ფუნქცია აკისრიათ საგამოძიებო ორგანოებს (გამომძიებელს), რომელთა მოვალეობაა საქმეზე სრული და ყოველმხრივი გამოძიების ჩატარება და ამით საქმის სრული, ყოველმხრივი გახსნა. გამოძიების დროულად და სრულად ჩატარება უზრუნველყოფს გამოძიების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტას, სასამართლოს მიერ სამართლიანი და კანონიერი განაჩენის დადგენას, რადგან გამოძიება გარკვეული სამზადის წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განსახორციელებლად.⁶¹³

სასამართლო ფუნქცია აკისრია სასამართლო ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ სისხლის სამართლის საქმეების არსებითად განხილვა-გადაწყვეტას, ბრალდებულის გამართლებას ან მის დამნაშავედ ცნობას.

⁶¹³ ავტორთა კოლექტივი; სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი; თბ., 2013; გვ. 9

დაცვის ფუნქციას ახორციელებს ამ უფლებით აღჭურვილი პირი ადვოკატის ან ბრალდებულის წარმომადგენლის სახით. დაცვის ეს ფუნქცია ხორციელდება როგორც საქმის გამოძიების პროცესში, ისე სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

დაცვა შეიძლება განახორციელოს როგორც საქართველოში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეობის მქონე ადვოკატმა, ისე უცხოელმა ადვოკატმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობით. ამასთან, დაცვა შეიძლება მოხდეს შეთანხმებით, დანიშნითა და იძულების წესით.

კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობის ფუნქციას ახორციელებს პროკურორი, როგორც გამოძიების პროცესუალური ხელმძღვანელი და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებაში კანონიერების ზუსტ ერთგვაროვან გატარებაზე ზედამხედველი.

პროცესის მონაწილე თითოეული პირის უფლებები დაცული და გარანტირებულია საპროცესო კანონმდებლობით, რომელიც უზრუნველყოფს საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას, ე.ი. საპროცესო გარანტიები არის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ის საშუალებები, რომლებითაც უზრუნველყოფილია სისხლის საპროცესო სამართლის მონაწილეთა უფლებების განხორციელება და მათი ამ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.⁶¹⁴

სისხლის საპროცესო სამართალი შედგება ორი – ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილისაგან.

ზოგადი ნაწილი შეისწავლის სისხლის საპროცესო სამართლის ზოგად დებულებებს; სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპებს; სისხლისსამართლებრივი დევნის ცნებასა და სახეებს; სამოქალაქო სარჩელის ზოგად საკითხებს სისხლის სამართლის საქმეში; კოდექსში გამოყენებული ზოგიერთი ცნების ახსნა-განმარტებას; სისხლის საპროცესო სამართლის

⁶¹⁴ შ.ფაფიაშვილი, შესავალი იურიდიულ სპეციალობაში, თბ, 2006, გვ274

მონაწილეების უფლებამოსილებას; სისხლის საპროცესო სამართლის მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებებს; აცილებისა და პროცესის მონაწილეთა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის საკითხებს⁶¹⁵; სისხლის საპროცესო სამართლის მონაწილეთა დაცვის სპეციალურ ღონისძიებებს; მტკიცებულებებისა და მტკიცების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს; სისხლის საპროცესო-სამართლებრივი იძულების ღონისძიებებსა და მათი გამოყენების საერთო პირობებს; აგრეთვე სისხლის საპროცესო სამართლის სხვა ისეთ ზოგად დებულებებს, როგორცაა: საპროცესო ვადები, სასამართლო ხარჯები და მათი ანაზღაურების წესი, რეაბილიტაციისა და სისხლის საპროცესო სამართლის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხები; აგრეთვე შუამდგომლობის, საჩივრის, სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების, გამოყოფისა და სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ურთიერთქმედების საზღვარგარეთის სახელმწიფოთა შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირებთან სამართლებრივი დახმარების განწვევის საკითხები.

სისხლის საპროცესო სამართლის განსაკუთრებული ნაწილი კი შეისწავლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ გამოძიების ზოგად დებულებებს, გამოძიების ჩატარების პირობებს, პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის, ბრალდების წაყენების, ბრალდების შეცვლისა და ბრალდებაზე უარის თქმის საკითხებს; საგამომძიებო მოქმედებების – დაკითხვის, გამოკითხვის, ამოღებისა და ჩხრეკის, დათვალიერების, საგამომძიებო ექსპერიმენტის, ჩვენების ადგილზე შემოწმების, ამოსაცნობად წარდგენის, შემოწმების, ექსპერტიზის, საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშების აღებისა და გვამის ექსჰუმაციის ჩატარების პროცესუალურ წესს; გამოძიების

⁶¹⁵ ავტორთა კოლექტივი; სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი; თბ., 2013; გვ.9

დამთავრებისა და შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესუალურ წესს; პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის წესს; სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენისა და სხვა გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესს; სასამართლო განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულების წესსა და ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების თავისებურებების საკითხებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: სისხლის საპროცესო სამართალი არის სამართლის დამოუკიდებელი დარგი, რომელიც შეისწავლის და ადგენს ისეთ სპეციალურ პროცესუალურ ნორმათა ერთობლიობას, რომლითაც წესრიგდება საგამოძიებო, საპროკურორო, საადვოკატო და სასამართლო ორგანოების საქმიანობა და მათი ურთიერთდამოკიდებულება იმ მოქალაქეებთან, რომლებზეც ვრცელდება მათი უფლებამოსილება.⁶¹⁶

6.3. სისხლის საპროცესო სამართლის მიზნები, პრინციპები და სტადიები

მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, არაფერია ნათქვამი საპროცესო სამართლის მიზნებსა და ამოცანებზე. სსსკ I მუხლში, რომელიც დასათაურებულია „კოდექსის მიზნის“ სახელწოდებით, მასში მხოლოდ ზოგადადაა მითითებული იმაზე, რომ „ეს კოდექსი ადგენს დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს.“ მაგრამ, სამწუხაროდ, მასში არაფერია ნათქვამი ამ წესების დადგენის მიზანზე, მათი განხორციელების იმ პრო-

⁶¹⁶ შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.275

ცესუალურ ხერხებსა და საშუალებებზე, რომელთა სწორი თანმიმდევრული გამოყენებით შესაძლებელია ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო დანაშაულებრივი ქმედებისა და მისი ჩამდენი პირის გამოვლინება, მომხდარი დანაშაულის სრული ყოველმხრივი გამოკვლევა, დანაშაულის აღკვეთა და თავიდან აცილება, გამოძიებასა და სასამართლოში დაშვებული შეცდომების გამოსწორება და სწორი სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დაცვა-განმტკიცება და სხვ.⁶¹⁷ აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის საპროცესო სამართლის მიზნები და ამოცანები იმდენად მჭიდროდაა ერთიმეორესთან დაკავშირებული, რომ მთელ რიგ შემთხვევებში მათი ერთიმეორისაგან გამიჯვნა მეტად ჭირს.⁶¹⁸

სისხლის საპროცესო სამართლის უმთავრესი მიზანია შექმნას და დაადგინოს საპროცესო სამართლის ისეთი ნორმები, რომელთა თანმიმდევრული გამოყენება ხელს შეუწყობს მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების სწრაფ, სრულ გახსნასა და სწორი სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის საპროცესო სამართლის მიზნები და ამოცანები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებებისა და მისი ჩამდენი პირის დადგენა;
2. კანონის სწორად გამოყენების უზრუნველყოფა;
3. უდანაშაულო პირის მსჯავრდების დაუშვებლობა;
4. საგამოძიებო და სასამართლო შეცდომების გამოსწორება და აღმოფხვრა;

⁶¹⁷ შ.ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006; გვ.278

⁶¹⁸ ავტორთა კოლექტივი; სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი; თბ., 2013; გვ.9

5. მოქალაქის, ბრალდებულის, დაზარალებულის აგრეთვე სისხლის საპროცესო სამართლის ყველა მონაწილის უფლებების და თავისუფლებების დაცვა;

6. კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემა და ამ იდეების საზოგადოებაში დამკვიდრება.

სისხლის საპროცესო სამართალს საფუძვლად უდევს კანონიერების, პიროვნების ხელშეუხებლობის, მისი ღირსების პატივისცემის, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის ზოგადსამართლებრივი პრინციპები. და, რომ, სწორედ, სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპები განსაზღვრავს მოცემული საგნის ამოცანებს, სტრუქტურას, ფუნქციებსა და წესს.⁶¹⁹ სისხლის სამართლის პოლიტიკა, ისე როგორც ზოგადად, პოლიტიკა, დინამიურია, ცვალებადია და ქვეყანაში რეალურად არსებულ გამოწვევებს უნდა პასუხობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და, პირველ რიგში, სამართლიანი სასამართლოს დამკვიდრებას უშლის ხელს. ასეთ შემთხვევაში სასამართლოსადმი ნდობა საზოგადოების მხრიდან ან უარყოფითია, ანდა მკვეთრად დაბალი.⁶²⁰

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ასეთი მნიშვნელოვან ფუნდამენტურ პრინციპებად აღიარებულია:

1. პიროვნების ღირსების ხელშეუვალობა;
2. უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია;
3. ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა;
4. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა;
5. სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება;

⁶¹⁹ ავტორთა კოლექტივი; სისხლის სამართლის პროცესი; კერძო ნაწილი, თბ, 2013, გვ10-11

⁶²⁰ ჯ, გახოკიძე, მ.მამნიაშვილი, ზ.მელქაძე, ნ.ლომიძე; სისხლის სამართალწარმოების პოლიტიკა არსებითად უნდა შეიცვალოს; შრომები, ტომი XI. 2013; გვ.34

6. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა;
7. სასამართლო სხდომის საჯაროობა და ზეპირობა;
8. სამართალწარმოების სახელმწიფო ენაზე განხორციელება;
9. კანონიერება და სასამართლოს დამოუკიდებლობა;
10. მტკიცებულება;
11. მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევა;
12. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება;
13. სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა;
14. ბრალის წაყენება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე;

15. ერთსა და იმავე გამოსაძიებელ ფაქტზე პირის განმეორებითი დაკავების, ბრალის წაყენებისა და მსჯავრდების აკრძალვა. სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპებია ის ძირითადი დებულებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სისხლის საპროცესო სამართლის მიზნებს და ამოცანებს დემოკრატიულ პრინციპებზე განმარტებული ნორმათა ერთობლიობას.⁶²¹ რაც შეეხება სისხლისსამართალწარმოების მონაწილეებს -არიან ყველა ის პირები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ სისხლისსამართალწარმოების ურთიერთობაში და მათ გააჩნიათ გარკვეული უფლებები და ვალდებულებები. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა ცნება იგივეა, რაც სისხლისსამართალწარმოების სუბიექტთა ცნება.⁶²²

საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების მიერ ამ პრინციპების დაუცველობა იწვევს მიღებული შედეგების გაუქმებას, ამ პრინციპების მოთხოვნების დაუცველად მოპოვებული მტკიცებულების მიჩნევას დაუშვებელ მტკიცებულებად. ხოლო, თუ

⁶²¹ გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძვლები); თბ., 2012; გვ.358

⁶²² ი.გაბისონია, მ. მამნიაშვილი; საჯარო სამართლის აქტუალური პრობლემები; თბ., 2014; გვ.129

ასეთი დარღვევების მიუხედავად სასამართლო მაინც გამოიტანს განაჩენს, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ აუცილებლად გაუქმდება, ან მასში შეტანილი იქნება შესაბამისი ცვლილება.

სისხლის საპროცესო სამართლის სტადიები, რომელიც სისხლის საპროცესო სამართლის ზოგად ნაწილს მიეკუთვნება, ფაქტობრივად, აგებულია განსაკუთრებული ნაწილის სისტემის მიხედვით, დღევანდელი კანონმდებლობის გათვალისწინებით, იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირი თანმიმდევრობით:

1. გამოძიების დაწყება; 2. პირისადმი ბრალის წარდგენა და ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა;

3. წინა სასამართლო გამოძიება; 4. სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში; 5. სისხლის სამართლის საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში; 6. სისხლის სამართლის საქმის განხილვა უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში; 7. განაჩენის გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

6.4. მტკიცებულება

სისხლის საპროცესო სამართლის კანონმდებლობით, მტკიცებულებებისადმი წარდგენილი თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, მტკიცებულების ცნება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: მტკიცებულება არის მხარეთა მიერ კანონით დადგენილი წესით მოპოვებული და სასამართლოს მიერ დასაშვებ მტკიცებულებად მიჩნეული ყოველგვარი ფაქტობრივი მონაცემები, რომლითაც დგინდება დანაშაულებრივი ფაქტის არსებობა ან არარსებობა და ბრალდებულად ცნობილი პირის უდანაშაულობა ან ბრალეულობა სისხლის სამართლის

პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებთან ერთად.

სისხლის საპროცესო სამართლის ლიტერატურაში არსებული მტკიცებულების ყველა განმარტებას წითელ ზოლად გასდევდა მითითება იმის შესახებ, რომ იგი არის კანონით პირდაპირ გათვალისწინებული წყაროებიდან და წესით მიღებული ცნობები, რომელთა საფუძველზე დგინდება. არსებობს თუ არა დანაშაულებრივი ქმედება და ვინ ჩაიდინა იგი.⁶²³

მტკიცებულების ამგვარი განმარტება გვხვდებოდა სისხლის საპროცესო კოდექსში. ამჟამად მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა, სამწუხაროდ, აშკარად გასცდა მტკიცებულების „კანონით პირდაპირ გათვალისწინებული წყაროებიდან და წესით მიღებული ცნობების“ ცნებას, როდესაც მტკიცებულებად იქნა აღიარებული „ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან და როდესაც კანონით დაცვის მხარეს მიეცა შესაძლებლობა ჩაატაროს ზოგიერთი სახის საგამოძიებო მოქმედება და ამ გზით მოპოვებული მტკიცებულება წარადგინოს სასამართლოში.“⁶²⁴

პროცესუალურ ლიტერატურაში ზოგჯერ ერთნაირი მნიშვნელობით იყენებენ მტკიცებისა და მტკიცებულების ცნებებს, მაშინ, როდესაც მათ შორის უფრო მეტი განსხვავებაა, ვიდრე მსგავსება; მტკიცებულება სხვა არაფერია, თუ არა ის ფაქტობრივი მონაცემები, რომელთა მეოხებითაც გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს დგინდება პირის ბრალეულობა ან მისი არაბრალეულობა ე.ი. უდანაშაულობა.⁶²⁵

სისხლის საპროცესო ლიტერატურასა და კანონმდებლობაში

⁶²³ ავტორთა კოლექტივი; საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი; თბ., 2013; გვ.263

⁶²⁴ იქვე, გვ.233-234

⁶²⁵ ი.გაბისონია, ჯ.გაბელია; მტკიცებულებითი საქმიანობის როლი და დანიშნულება სისხლის სამართლის პროცესში; სტატია, ჟურნალი იურისტი №7; თბ., 2019; გვ.42

მტკიცებულების ცნებასთან დაკავშირებით აზრთა სხვაობა ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს. მაგალითად, სისხლის საპროცესო კოდექსის ავტორებმა თავიანთ ფუნდამენტურ ნაშრომში მტკიცებულებებისადმი წარდგენილი თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით მტკიცებულების დეფინიცია ჩამოაყალიბეს შემდეგნაირად:⁶²⁶ მტკიცებულება არის მხარეთა მიერ კანონით დადგენილი წესით მოპოვებული და სასამართლოს მიერ დასაშვებ მტკიცებულებად მიჩნეული ყოველგვარი ფაქტობრივი მონაცემები, რომლითაც დგინდება დანაშაულებრივი ქმედების ფაქტის არსებობა ან არარსებობა და ბრალდებულად ცნობილი პირის უდანაშაულობა ან ბრალეულობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელ გარემოებებთან ერთად.⁶²⁷ თუმცა, გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოში, რომელიც გამოიცა 2017 წელს, მტკიცებულების ცნება უფრო მეტადაა დაკონკრეტებული: მტკიცებულება-კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დანაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებ-

⁶²⁶ ავტორთა კოლექტივი; საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი; თბ., 2013; გვ.265

⁶²⁷ კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი; დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი; თბ., 2007; გვ..275

ულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ანდა ფოტო-კინო, ვიდეო, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.⁶²⁸

მტკიცებულებათა ზოგადი ცნების განსაზღვრება მრავლადაა. თუმცა, ისინი განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, მაგრამ არა არსებითად ერთ-ერთ ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს განმარტება, რომელსაც იძლევა ჩ. ფრიკი, „მისი აზრით, მტკიცებულება არის ნებისმიერი საშუალება, რომელიც წარმოდგენილია მხარეთა მიერ იურიდიული წესების დაცვით შესრულებული განსაზღვრული მოქმედების გზით, ანდა მოწმეების, ოქმების, დოკუმენტების, ხელშესახები საგნების და ა.შ მეშვეობით, მათი მოსაზრების შესახებ მოსამართლისა და ნაფიც მსაჯულებისათვის რწმენის შექმნის მიზნით სხვადასხვა საკითხების სასამართლო განხილვის მცდელობისას“. ავტორთა ერთ ნაწილს სურს არსებითად განმარტოს მტკიცებულების ცნება, მაგალითად, ანგლო-საქსური მტკიცებულებითი თავისებურებების ამსახველი დეფინიცია, რომელსაც იურიდიული ტერმინთა თავის ელექტრონულ ლექსიკონში გვთავაზობს კანადელი იურისტი ლ.დიუჰანიმი, უკიდურესად მარტივია. მისი აზრით, მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს „ფაქტის დადასტურება, რომელიც წარმოდგენილია საქმის არსებითი განხილვისას“.⁶²⁹

მტკიცებულება, რაზეც აგებულია მთლიანად მტკიცებულებითი სამართალი, საბოლოოდ XIX საუკუნის შუა პერიოდისთვის ჩამოყალიბდა. სწორედ მაშინ გამოითქვა მოსამართლეთ-

⁶²⁸ გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო; თბ., 2017; გვ.14-15

⁶²⁹ კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი; დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი; თბ., 2007, გვ.275

ბის მიერ გამაოგნებელი ფრაზა: როგორც არ უნდა მოიპოვოთ მტკიცებულება თქვენ, თუნდაც მოიპაროთ, მტკიცებულება დასაშვებად იქნება ცნობილი“.⁶³⁰ ამის შემდეგ ძნელია ვისაუბროთ, თუ რა არის ინგლისის სამართლისათვის დაუშვებელი მტკიცებულება, თუმცა ის მაინც განსაზღვრავს მას ეს გახლავთ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება, რომელიც შეხედულებისამებრ შეიძლება იყოს დაუშვებელი სასამართლოს მიერ, მაგრამ არა ავტომატურად. ერთ-ერთ რთულ და რეზონანსულ საქმეზე ლორდთა პალატამ საკმაოდ შეზღუდულად განმარტა სასამართლოს თავისუფლება არასწორად მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად მიიჩნევიან დაკავშირებით. ლორდთა პალატამ ამკარად უარყო პოლიციის მიერ მტკიცებულების შეგროვების პროცესზე სასამართლოს ზედამხედველობის როლის არსებობა და დაასკვნა, რომ მტკიცებულების დაუშვებლად ჩათვლა უნდა მომხდარიყო მხოლოდ მისი არასაიმედოობის საფუძველზე, თუმცა სასამართლოს რჩებოდა ეგრეწოდებული. „ნარჩენი უფლებამოსილება“ დაუშვებლად ეცნო მტკიცებულება, რომელიც ზიანს აყენებდა დაცვას სასამართლოში საქმის განხილვისას“⁶³¹.

სისხლის საპროცესო სამართლებრივ ლიტერატურაში ყოველგვარი სახის მტკიცებულება დაყოფილია შემდეგ სამ ჯგუფად:

1. გამამართლებელ და გამამტყუნებელ მტკიცებულებებად;
2. პირველად და ნაწარმოებ მტკიცებულებად;
3. პირდაპირ და არაპირდაპირ მტკიცებულებად.

მტკიცებულების დაყოფას გამამართლებელ და გამამტყუნებელ მტკიცებულებად საფუძველად უდევს ის დემოკრატიული პრინციპი, რომლის თანახმად სასამართლოში საქმის განხილვის

⁶³⁰ კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი; დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი; თბ., 2007, გვ.275

⁶³¹ ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემის ანალიზი; თბ., 2002; გვ.112

დროს აუცილებლად სრულყოფილად უნდა მოხდეს, როგორც ბრალის გამომრიცხველი ან შემამსუბუქებელი გარემოებების გამოკვლევა, ისე მისი გამამტყუნებელი ან ბრალის დამადასტურებელი და პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები.

მტკიცებულებებს კი მტკიცების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან მხოლოდ მათზე დაყრდნობით და მის საფუძველზე შეიძლება საქმის ირგვლივ ფაქტობრივი გარემოებების მართებულობის ან უმართებულობის შესახებ მონაცემების გამოკვლევა-დადგენა. რაც შეეხება მტკიცების ტვირთს, მასში მოიაზრება მტკიცებულებათა წარდგენისა და გარემოებათა თაობაზე მტკიცება. უფრო კონკრეტულად დარწმუნდება მოიაზრება. მტკიცების ტვირთი მხარეებს ერთიანად ეკისრებათ და მათ შორის თანაბრად ნაწილდება, რაც შეეხება კონკრეტულ მითეთებას, თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტები უნდა დაამტკიცოს, ეს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებითაა განსაზღვრული.⁶³²

პირველადი და ნაწარმოები სახის მტკიცებულებათა დაყოფას საფუძვლად უდევს ის, თუ ვისგან მომდინარეობს მტკიცებულებად წარმოდგენილი ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, როცა ასეთი ინფორმაცია მომდინარეობს უშუალოდ დანაშაულის შემსწრე მონმისაგან, მაშინ მისი ჩვენება იქნება პირველადი მტკიცებულების სახის. მტკიცებულება, რომელიც პირდაპირ კავშირშია მოვლენასთან, პირდაპირ და უშუალოდ ამტკიცებს და უარყოფს მოვლენას, პირდაპირი მტკიცებულებაა.⁶³³ ხოლო, თუ მოწმე განმარტავს რომ ამ მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ მან შეიტყო თავისი მეზობელის ან მეგობრისაგან მისი ასეთი ჩვენება იქნება ნაწარმოები მტკიცებულება, რადგან მან თვითონ ეს ინფორმაცია მიიღო მეორე ან მესამე პირისაგან.

⁶³² ი. გაგუა; მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში-ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, (27); თბ., 2010; გვ.92

⁶³³ მ.ლომსაძე; სისხლის სამართლის პროცესი; თბ., 2015; გვ.114

საპროცესო კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, ირიბ-ია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ირიბი ჩვენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად შემოწმება შესაძლებელია.⁶³⁴

რაც შეეხება პირდაპირ და ირიბ, ანუ არაპირდაპირ მტკიცებულებად დაყოფას მას საფუძვლად უდევს ის, თუ რა კავშირშია და რამდენად მნიშვნელოვანია მოწმის მიერ მოწოდებული ინფორმაცია გამოსაძიებელი დანაშაულის მთავარი ფაქტის ან მისი რომელიმე გარემოების დადგენის მიმართებაში. იმ შემთხვევაში, როცა გამოსაძიებელ საქმეზე მოპოვებული მტკიცებულება პირდაპირ მიუთითებს მომხდარი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაზე, მაშინ იგი აუცილებლად იქნება პირდაპირი მტკიცებულება.

მაგალითად, მოწმე თავის ჩვენებაში მიუთითებს, რომ დაინახა როგორ დაარტყა გიგიმ დანა მის წინ მდგომ ტიტეს მუცლის არეში და ეს უკანასკნელი ძირს როგორ დავარდა. მოწმისაგან მიღებული ასეთი ჩვენება იქნება პირდაპირი სახის მტკიცებულება, რადგან ამით დგინდება გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევის მთავარი ფაქტი.

რაც შეეხება ნივთიერ მტკიცებულებას, იგი არის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს.⁶³⁵

⁶³⁴ იქვე,

⁶³⁵ სახელმძღვანელო სასამართლო უნარ-ჩვევებში; ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა; თბ., 2012; გვ.215

როგორც აღვნიშნეთ, იმ შემთხვევაში, როცა მონმის ჩვენებით დგინდება გამოსაძიებელი შემთხვევის არა მთავარი ფაქტი, ან ამ დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ელემენტი, არამედ სხვა ისეთი გარემოება რაც საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებთან არაა პირდაპირ კავშირში და სხვა გარემოებებთან ერთად ქმნის მტკიცებულებათა გარკვეულ ჯაჭვს გამოსაძიებელი შემთხვევის ან მისი რომელიმე მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობის შესახებ, ასეთ მტკიცებულებას მიღებულია ვუნდოთ ირიბი ანუ არაპირდაპირი მტკიცებულება.

მაგალითად, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს შესასვლელში დილით ჩადენილ მკვლელობასთან დაკავშირებით, თუ მონმემ თავის ჩვენებაში აღნიშნა, რომ მან დაინახა გვერდითი კორპუსის სადარბაზოდან, იქ, სადაც ჩადენილი იყო მკვლელობა, დაახლოებით დილის 6 საათზე სირბილით გამოვარდა მისი ნაცნობი ტიტე და თან შემკრთალ – შეშინებული უკან იყურებოდა, ამ პირის მიმართ მისი ასეთი ჩვენება იქნება არაპირდაპირი მტკიცებულება და მან შეიძლება საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებთან ერთად გარკვეული როლი შეასრულოს ტიტეს ბრალდებასთან მიმართებით.

დიდი ბრიტანეთში მტკიცების პროცესში ერთმანეთისაგან განასხვავებენ მტკიცებულებას და მტკიცებულების მატარებელს. მტკიცებულების მატარებლად მიიჩნევა მონმე, დოკუმენტი ან ნივთი, ხოლო მონმის მიერ მიცემული ჩვენება, დოკუმენტის შინაარსი, ნივთის მონაცემები, ანუ ის ინფორმაცია, რომლის სასამართლოში გადმოცემასაც დადგენილი წესით უზრუნველყოფას მტკიცებულების მატარებელი, თვით მტკიცებულებაა.⁶³⁶

სისხლის სამართალწარმოების პროცესში მტკიცებულებათა შეკრება ხორციელდება არა მარტო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედე-

⁶³⁶ Civil Evidence Act, 1995, Art 5/1

ბათა ჩატარების გზით, არამედ არასაპროცესო მოქმედებების ერთობლიობითაც, რომელსაც პრაქტიკასა და თეორიაში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას უწოდებენ და რეგულირდება “ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ” კანონით.

6.5. გამოძიების დაწყება და საქმის სასამართლოში განხილვა

მომხდარი დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის შემთხვევაში გამოძიებელი ვალდებულია დაიწყოს გამოძიება და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურორს.

რაც შეეხება გამოძიების დაწყების საფუძველს, მის შესახებ აღნიშნულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლში, კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ წერილობით, ზეპირად ან სხვაგვარად დაფიქსირებული ინფორმაცია, მათ შორის ანონიმური შეტყობინება, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიანოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში.⁶³⁷

ამრიგად, გამოძიების დაწყების საფუძველია საპროცესო კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია დანაშაულის შესახებ.⁶³⁸

მოქალაქისაგან მიღებული ზეპირი ინფორმაციის შემთხვევაში საჭიროა შედგეს ოქმი და მას ხელი მოაწეროს განმცხადებელმა, ასევე, ოქმის შემდგენმა პირმა. თუ განცხადება გაკეთებულია 14 წელს მიღწეული პირის მიერ, მაშინ იგი უნდა გააფრთხილონ და ხელწერილი ჩამოართვან ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

⁶³⁷ ჯ. გახოკიძე, ი.გაბისონია, მ.მამნიაშვილი, პ. მონიავა; საგამოძიებო სამართალი, წიგნი პირველი; თბ., 2018; გვ.247

⁶³⁸ Ученик уголовное процесса М.1995, 132

გამომძიებელი ვალდებულია სრულად და ობიექტურად წარმართოს გამოძიება. გამოძიების პროცესში, მას ხელმძღვანელობს პროკურორი, რომელიც უფლებამოსილია შესაბამისი მისცეს მითითებები, იგი, ასევე, უფლებამოსილია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ისეთი საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, რომლებითაც იზღუდება პიროვნების კონსტიტუციური უფლებები.⁶³⁹ გამოძიების დაწყების მომენტიდან გამომძიებელმა უნდა იზრუნოს გამოსაძიებელ საქმეზე საჭირო მტკიცებულებების შეკრებაზე და ამ მიზნით, კანონით დადგენილი წესით, ჩაატაროს სხვადასხვა სახის საგამომძიებლო მოქმედებები. კერძოდ, სხვადასხვა პირთა გამოკითხვა, მონმის, დაზარალებულისა და ბრალდებულის დაკითხვები, ჩხრეკა და ამოღება, დათვალიერება, საგამომძიებლო ექსპერიმენტი, ამოცნობა და სხვა სახის საჭირო საგამომძიებლო და პროცესუალური მოქმედებები.

გამომძიებელი უფლებამოსილია ჩაატაროს ყველა საგამომძიებლო და სხვა საპროცესო მოქმედება, გარდა მოქმედებისა, რომლის ჩატარებაც პროკურორის კომპეტენციაა. ზემოთქმული ცხადყოფს, რომ გამოძიების პროცესში ჩასატარებელი საგამომძიებლო და სხვა საპროცესო მოქმედებები იყოფა ორ ჯგუფად, მათგან პირველს განეკუთვნება მოქმედებები, რომლებსაც გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი ატარებს დამოუკიდებლად, ხოლო მეორეს - მოქმედებები, რომლებიც მხოლოდ პროკურორს შეუძლია ჩაატაროს და თანაც ისე, რომ მათ ჩასატარებლად არც გამომძიებლის თხოვნა სჭირდება და არც იმის ვალდებულება გააჩნია, რომ მათი ჩატარების თაობაზე წინასწარ, ან თუნდაც ჩატარების შემდეგ მანაც აცნობოს გამომძიებელს.⁶⁴⁰

⁶³⁹ ი. გაბისონია, მ.მამნიაშვილი; საჯარო სამართლის აქტუალური პრობლემები, თბ., 2014, გვ.168

⁶⁴⁰ ჯ. გახოკიძე, ი.გაბისონია, მ.მამნიაშვილი, პ, მონიავა; საგამომძიებლო სამართალი, წიგნი მეორე; თბ., 2018; გვ.7

სათანადო მტკიცებულებების შეკრების შემთხვევაში პირს დაკავების მომენტიდან 48 საათის განმავლობაში უნდა წარედგინოს ბრალდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. კანონის მოთხოვნის შესაბამისად პირი მართალია დაკავების მომენტიდან ითვლება ბრალდებულად, მაგრამ, დაკავების შემდეგ მას აუცილებლად უნდა წარედგინოს ბრალდება და მოხდეს მისი ბრალდებულის სახით დაკითხვა.

დაკავებულ და ბრალდებულად ცნობილ პირს შეუძლია არ მისცეს ჩვენება და აირჩიოს დუმილის უფლება. ამასთან იგი უფლებამოსილია დაკავების მომენტიდან იყოლიოს დამცველი. ამ მოქმედებათა შესრულების შემდეგ პროკურორი ბრალდებულს ურჩევს აღმკვეთ ღონისძიებას და მას დასამტკიცებლად წარუდგენს სასამართლოს.

როგორც აღვნიშნეთ, პირველი ინსტანციის სასამართლოში ძირითადად ერთპიროვნულად ბრალდებისა და დაცვის მხარეთა მონაწილეობით, ხდება სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა. საქმის სირთულის შემთხვევაში შეიძლება მისი განხილვა წარმართოს კოლეგიალურადაც. სასამართლოში საქმის განხილვის დროს არსებითად და სრულყოფილად ხდება საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების გამოკვლევა და შეფასება, რის შემდეგაც სასამართლოს სახელმწიფოს სახელით გამოაქვს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი. იგი რომელიც კანონით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში. ამის შემდეგ კი, გასაჩივრების შემთხვევაში, საქმე შეიძლება განხილულ იქნას საკასაციო წესით უზენაესი სასამართლოს პალატაში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

პირველი ინსტანციის წესით სისხლის სამართლის საქმის განხილვა შეიძლება მოხდეს აგრეთვე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის და რას შეისწავლის სისხლის საპროცესო სამართალი?
2. რას ნიშნავს სიტყვა „პროცესი“?
3. რა ითვლება კანონის უხეშ დარღვევად?
4. რაში გამოიხატება სისხლის საპროცესო სამართლის არსი და მნიშვნელობა?
5. ვის აკისრია გამოძიების ფუნქცია?
6. ვინ ახორციელებს დაცვის ფუნქციას?
7. უცხოელმა შეიძლება აწარმოოს თუ არა საქართველოში დაცვის ფუნქცია? რა ფორმითა და საშუალებებით შეიძლება განხორციელდეს დაცვა?
8. რა ითვლება სისხლის საპროცესო სამართლის სტადიებად?
9. რა ძირითად მიმართულებებსა და პროცესუალურ ფორმებს ადგენს სისხლის საპროცესო სამართლის კანონმდებლობა.
10. რამდენი ნაწილისაგან შედგება სისხლის საპროცესო სამართალი?
11. რას შეისწავლის სისხლის საპროცესო სამართლის ზოგადი ნაწილი?
12. რას შეისწავლის სისხლის საპროცესო სამართლის განსაკუთრებული ნაწილი?
13. რა მიზნები და ამოცანები აქვს სისხლის საპროცესო სამართალს?
14. რა არის პროცესის პრინციპები და ვინ არიან პროცესის მონაწილენი?
15. როგორ ხდება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყება?
16. რა მომენტიდან ითვლება პირი ბრალდებულად?

17. რა არის მტკიცებულება?
18. როგორია მტკიცებულებათა კლასიფიკაცია?
19. რა განსხვავებაა პირდაპირ და არაპირდაპირ მტკიცებულებას შორის?

თავი მეშვიდე

ადმინისტრაციული სამართალი

7.1. ადმინისტრაციული სამართლის ცნება, მიზნები და ამოცანები

ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერება, როგორც იურიდიული მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი, სახელმწიფო სამართლის წიაღში წარმოიქმნა.⁶⁴¹ აღსანიშნავია, რომ იგი დაკავშირებულია სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმიანობის განხორციელებასთან. სახელმწიფო მმართველობა საჯარო ხელისუფლების წარმოშობასთან ერთად ჩამოყალიბდა. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოებრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე შეიქმნა მმართველობითი საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები.⁶⁴²

ადმინისტრაციული სამართალი, როგორც საჯარო სამართლის ერთ-ერთი დარგი, ორგანულად არის დაკავშირებული კონსტიტუციურ სამართალთან. იგი, უწინარეს ყოვლისა, ეყრდნობა და გამომდინარეობს კონსტიტუციური სამართლის ძირითადი პრინციპებიდან და მისი დოგმატიკიდან. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, კონსტიტუციური სამართლის დომინირებულ რეგულირებას სწორედ ადმინისტრაციულ სამართალში ვხვდებით,⁶⁴³ ვინაიდან კონსტიტუციური სამართლის ძირითადი პრინციპები ზოგადად

⁶⁴¹ ზ. ადეიშვილი, ქ.ვარდიაშვილი, ლ.იზორია, ნ.კალანდაძე, მ.კობალეიშვილი და სხვები; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო; თბ., 2005; გვ.15

⁶⁴² ა.ნ. კოზირინი, მ.ა. შტატინა; საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი რედაქტორები; ი.ხარშილაძესა და ნ. ოვსიანიკოვას თარგმანი; თბ., 2014; გვ.12

⁶⁴³ Weber. W., Referat zum 43. DJT *Verhandlungen Deutschen Juristen Tagen), Bd. II, BECK Verlag, Munchen, 1962, s.51

ადმინისტრაციულ სამართალში, ყველა სხვა დარგისგან განსხვავებით, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტი ინტენსივობით არის მიმართული.⁶⁴⁴ თანამედროვე ადმინისტრაციული სამართლის მთავარი დანიშნულებაა უზრუნველყოს როგორც ფიზიკური, ასევე, კერძო სამართლის იურიდიული პირების დაცვა ადმინისტრაციულ ორგანოთა მხრიდან.⁶⁴⁵ ადმინისტრაციული სამართალი სამართლის ისეთი დარგია, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფოში მმართველობის ორგანოების საქმიანობას⁶⁴⁶ და ადგენს ამ ორგანოების მიერ გამოყენებულ მმართველობის ფუნქციებს, ფორმებსა და მეთოდებს. იგი აწესრიგებს მმართველობის ორგანოების სისტემას, მათ კომპეტენციასა და შექმნის წესს. იგი იცავს და აწესრიგებს აგრეთვე მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების, საწარმოო-დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების დადგენილ წესს.

ადმინისტრაციული სამართლის არსის სრულად გაგება შეუძლებელია, თუ არ გაირკვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგულირების მიზანი. ადმინისტრაციული სამართალი შედარებით რაციონალიზმის ეპოქაში წარმოიშვა. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერების შესწავლის საგანია საჯარო მმართველობა. საჯარო მმართველობის განხორციელებისათვის აუცილებელია სუბიექტს ჰქონდეს ორი მთავარი ელემენტი- ორგანიზაციული მოწყობის და საქმიანობის ფორმა. შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სასწავლო დისციპლინის ფარგლებში ხდება ზოგადი ადმინ-

⁶⁴⁴ქ. ცხადაძე; წამომადგენლობის ინსტიტუტი ადმინისტრაციულ სამართალში; თბ., 2018, გვ.11

⁶⁴⁵პ. ტურავა, ნ. წეკულაძე; ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო; თბ., 2005; გვ.7

⁶⁴⁶ვ. ლორია; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; თბ., 2005; გვ.4

ისტრაციული სამართლის ძირითადი ინსტიტუტების საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის და ფუნქციის განხორციელების სამართლებრივი ფორმების შესწავლა.⁶⁴⁷

ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი მოიცავს იმ პრინციპებს, ცნებებსა და სამართლის ინსტიტუტებს, რომლებიც საერთოა მმართველობის საქმიანობის ყველა სფეროსათვის.⁶⁴⁸ ყოველ ქვეყანაში ადმინისტრაციული სამართლის მიზნები სხვაგვარად განიმარტება, მაგრამ როგორც წესი, ისინი მკვეთრად განსხვავდება კონტინენტური და ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემების ქვეყნების სამართალში.⁶⁴⁹

თავის მხრივ, ადმინისტრაციული სამართალი ემიჯნება სამოქალაქო სამართალს. მათი გამიჯვნა იმაში გამოიხატება, რომ ადმინისტრაციული სამართალი საჯარო სამართლის დარგია, ხოლო სამოქალაქო სამართალი-კერძო სამართლის. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში სუბიექტები თანასწორნი არიან ერთმანეთის მიმართ, ადმინისტრაციული-სამართლებრივ ურთიერთობებში კი ერთი სუბიექტი ექვემდებარება მეორეს.⁶⁵⁰ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული სამართალი კავშირშია სისხლის სამართალთან. ვინაიდან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ზოგჯერ გადაიზრდება სისხლის სამართლის დანაშაულში.

ამდენად, ადმინისტრაციული სამართლის ცნება შეიძლება ზოგადად შემდეგნაირად ჩამოვაცალიბოთ: ადმინისტრაციული სამართალი არის იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს აღმასრულებელი ხელისუფლების

⁶⁴⁷ პ. ტურავა; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; თბ., 2016; გვ.13

⁶⁴⁸ პ. ტურავა; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; თბ., 2016; გვ.44

⁶⁴⁹ საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, რედაქტორები ა.ნ. კოზირინი, მ.ა. შტატინა, ი.ხარშილაძესა და ნ. ოვსიანიკოვას თარგმანი; თბ., 2014; გვ.21

⁶⁵⁰ ვ. ლორია; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; თბ., 2005; გვ.33

განხორციელების სფეროში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, აგრეთვე ზოგიერთ ორგანიზაციული ხასიათის ურთიერთობებს, რომელსაც ადგილი აქვს აღნიშნული სფეროს ფარგლებს გარეთ.⁶⁵¹

7.2. ადმინისტრაციული სამართლის სისტემა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები

ადმინისტრაციული სამართალი იყოფა ზოგად და განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ სამართლად. ეს დაყოფა უკავშირდება მონესრიგების ობიექტს.⁶⁵² კონტინენტური სამართლის ქვეყნებში განსაკუთრებით აღიარებულია ის მეცნიერული შეხედულება, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი ნაწილი მოიცავს იმ ნორმებს, პრინციპებსა და სამართლებრივ ინსტიტუტებს, რომლებიც ვრცელდება ყველა სფეროსა და ადმინისტრაციული საქმიანობის ყველა სამართლებრივ ურთიერთობაზე.⁶⁵³ ადმინისტრაციული სამართლის ზოგად ნაწილს მიეკუთვნება მმართველობის ფუნქციები, მმართველობის ფორმები და მეთოდები, სახელმწიფოს სამსახური, სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები, ადმინისტრაციული სამართლის წყაროები და მათი კოდიფიკაცია. ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები, ადმინისტრაციული სამართლის სუბიექტები და მმართველობის ორგანოები.

⁶⁵¹ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2013; გვ.311

⁶⁵² პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო; თბ., 2013; გვ.28

⁶⁵³ საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი; რედაქტორები ა.ნ. კოზირინი, მ.ა. შტატინა, ი.ხარშილაძესა და ნ. ოვსიანიკოვას თარგმანი; თბ., 2014; გვ.25

განსაკუთრებული ნაწილი, აერთიანებს მმართველობის საქმიანობის ცალკეულ სფეროებს. შესაბამისად, შეგვიძლია გამოვყოთ მუნიციპალური სამართალი, სამშენებლო სამართალი, საგადასახადო სამართალი, საპოლიციო სამართალი, საბაჟო სამართალი, ეკოლოგიური სამართალი და ა.შ.⁶⁵⁴ განსაკუთრებული ნაწილი ასევე შეისწავლის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ცალკეული სახის გადაცდომისათვის, მმართველობას შინაგან საქმეთა ორგანოებში; მმართველობას იუსტიციის დარგში; მმართველობას სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვის დარგში და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას. ადმინისტრაციული სამართალი მმართველობის ფორმებს მიაკუთვნებს მმართველობის აქტების გამოცემას, ორგანიზაციულ და მატერიალურ-ტექნიკური ღონისძიებების გატარებას და სხვ., მმართველობის მეთოდებს კი მიაკუთვნებს იმ ხერხებსა და საშუალებებს, რომლებითაც ხორციელდება მმართველობა. კერძოდ, მას მიეკუთვნება მართვის ისეთი ხერხები, საშუალებები და მეთოდები, როგორცაა: ნახალისება და იძულებითი ღონისძიებების გატარების კონკრეტული ხერხები და საშუალებები.

ანგლოსაქსური სამართლის ოჯახის ქვეყნებში არ არის მიღებული ადმინისტრაციული სამართლის დაყოფა ზოგად და კერძო ნაწილებად. თუმცა, ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტები ქვედარგებად უნდა ჯგუფდებოდეს.⁶⁵⁵

ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი პრაქტიკულ დანიშნულებას იძენს კერძო ნაწილის დარგებში. ერთიანი პრინციპის და დებულებების დადგენით მიიღწევა საჯარო მმართველობის სფეროების სტაბილურობა და გამჭვირვალობა, რაც აფერხებს

⁶⁵⁴ პ. ტურავა; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; თბ., 2016; გვ.44

⁶⁵⁵ საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, რედაქტორები ა.ნ. კოზირინი, მ.ა. შტატინა, ი.ხარშილაძესა და ნ. ოვსიანიკოვას თარგმანი, თბ, 2014, გვ26

ცალკეული სფეროების იზოლირებას.⁶⁵⁶ ყველა ქვეყანაში ადმინისტრაციული სამართალი აერთიანებს როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური სამართლის ნომრებს. ამიტომ საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყნებში ცალკე გამოყოფენ მატერიალურ და პროცესუალურ ადმინისტრაციულ სამართალს, როგორც ამ სამართლის დარგის საერთო ნაწილის ძირითად კომპონენტს.⁶⁵⁷

სამართლის ნორმის საფუძველზე მონესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას სამართლებრივ ურთიერთობას უწოდებენ. სამართალი ურთიერთობას არ წარმოშობს. ურთიერთობები ადამიანებსა თუ სხვა სუბიექტებს შორის წარმოიშობა გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების გამო, ხოლო სამართალი ამ ურთიერთობების ნორმატიულ რეგულირებას ახდენს, რის გამოც საზოგადოებრივი ურთიერთობები სამართლებრივ ხასიათს იძენს და სამართლებრივ ურთიერთობებად იქცევა.⁶⁵⁸

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს კანონი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება და ადმინისტრაციული რეალაქტი. ურთიერთობის საგანი შეიძლება იყოს ყველაფერი რაც კანონით დასაშვებია, ეს შეიძლება იყოს ერთჯერადი ურთიერთობა ან განგრძობადი პროცესი.⁶⁵⁹

ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობა თავისი შინაარსით ორგანიზაციული ხასიათისაა. მართალია, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოებსაც ახასიათებთ

⁶⁵⁶ პ. ტურავა; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; თბ., 2016; გვ.44

⁶⁵⁷ საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი; რედაქტორები ა.ნ. კოზირინი, მ.ა. შტატინა, ი.ხარშილაძესა და ნ. ოსიანიკოვას თარგმანი; თბ., 2014; გვ.26

⁶⁵⁸ ვ. ლორია; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; თბ., 2005; გვ.40

⁶⁵⁹ ავტორთა კოლექტივი; ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო; თბ; 2018; გვ.373

ორგანიზაციულობის ელემენტები, მაგრამ ეს მათი საქმიანობის მთავარ ფუნქციას არ წარმოადგენს. ამიტომაც, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოიშობა ნებისმიერი მხარის მოთხოვნით, მაგრამ ამ დროს აუცილებელი არ არის მეორე მხარის თანხმობა.⁶⁶⁰ როგორც ყოველგვარ სამართლებრივ ურთიერთობას, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებსაც ახასიათებს თავისი მხარეები ანუ ელემენტები: ურთიერთობის სუბიექტი, ურთიერთობის ობიექტი, უფლება-მოვალეობები.⁶⁶¹ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი არიან როგორც მმართველობის ორგანოები, ისე მოქალაქეები და მათი გაერთიანებები, მაგრამ აქ უნდა გამოიყოს აუცილებელი სუბიექტის-მმართველობის ორგანოს პრიორიტეტული როლი. ურთიერთობის ობიექტს კი წარმოადგენს სუბიექტის კონკრეტული მოქმედება.⁶⁶² ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის საკითხი აქტუალობას იძენს მაშინ, როდესაც სამართლის ნორმა არის სამოქალაქო კოდექსში, თუმცა ის საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობაში ხდება ადმინისტრაციული სამართლის ნაწილი. მაგ, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმა შესაძლებელია გახდეს ადმინისტრაციული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა.⁶⁶³

⁶⁶⁰ ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2013; გვ.317

⁶⁶¹ ვ. ლორია; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; თბ., 2005; გვ.44

⁶⁶² ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები; თბ., 2013; გვ.318

⁶⁶³ ავტორთა კოლექტივი; ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო; თბ., 2018; გვ.373

7.3. ადმინისტრაციული სამართლის წყაროები და პრინციპები

ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის წყარო გულისხმობს იმ ფორმას, რომელშიც პოულობს გამოვლენას ადმინისტრაციული სამართლის ნორმა.⁶⁶⁴ ადმინისტრაციული სამართლის წყაროები უნდა გავყოთ ორ ნაწილად: პოზიტიურ სამართლად და ჩვეულებით სამართლად.⁶⁶⁵

საზღვარგარეთის ქვეყნებში ადმინისტრაციული სამართლის წყაროებად ითვლება: ნორმატიული სამართლებრივი აქტები, სასამართლო პრეცედენტები, სასამართლო პრაქტიკა, აგრეთვე სამართლებრივი ჩვეულებები. კონტინენტური სამართლის ოჯახის ქვეყნებში, როგორც წესი, სამართლის წყაროები დალაგებულია იურიდიული ძალის მიხედვით. ეს წესი ვრცელდება ადმინისტრაციულ სამართალზეც. ანგლოსაქსური ქვეყნებისათვის მიუღებელია სამართლის წყაროების იერარქიულობა. ამიტომ თითოეული მათგანი არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობის საკუთარ სფეროს.⁶⁶⁶

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები მოცემულია მრავალრიცხოვან სამართლებრივ აქტებში. ეს აქტები მიღებულია ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ.⁶⁶⁷ ადმინისტრაციული სამართლის უმთავრესი წყაროა საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მოცემული სხვა მარეგულირებელი, სამართლებრივი აქტები.

⁶⁶⁴ პ. ტურავა; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; თბ., 2016; გვ.46

⁶⁶⁵ პ.ტურავა, ნ. წკეპლაძე; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო; თბ., 2013; გვ.28

⁶⁶⁶ საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი; რედაქტორები ა.ნ. კოზირინი, მ.ა. შტატინა, ი.ხარშილაძესა და ნ. ოვსიანიკოვას თარგმანი; თბ., 2014; გვ.27

⁶⁶⁷ ვ. ლორია; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; თბ., 2005; გვ. 54

რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებს, კონსტიტუციური სამართლის წიაღიდან არის აღმოცენებული. სწორედ ადმინისტრაციული სამართლის სფეროში ხდება ნათელი, თუ რამდენად ზუსტია გამოთქმა: „ადმინისტრაციული სამართალი არის კონკრეტიზებული კონსტიტუციური სამართალი“. კონსტიტუციურ-სამართლებრივი წარმომავლობის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებს აქვს კონსტიტუციური რანგი.⁶⁶⁸ თავის მხრივ, ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები გულისხმობს იმ ძირითად დებულებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სამართლის ამ დარგს და განსაზღვრავს მის არსს. ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები წითელ ზოლად გასდევს ადმინისტრაციული სამართლის ყველა ინსტიტუტს. ამ პრინციპების ნორმატიული რეგულირება ხდება ქვეყნის ძირითადი კანონით-კონსტიტუციით, მაგრამ მათი რეცეფცია განხორციელებულია ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში ცალკეული დებულებების სახით.⁶⁶⁹

მთელ რიგ ქვეყნებში მეცნიერები და მოსამართლეები ადმინისტრაციული კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე ადგენენ ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებს. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამართლის საერთო პრინციპები, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ამ სამართლის სფეროსათვის. სპეციალურ პრინციპებს მიეკუთვნება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგულირების პრინციპები, ასევე, ცალკეული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ინსტიტუტების ორგანიზებისა და ფუნქციონირების პრინციპები.⁶⁷⁰

⁶⁶⁸ პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო; თბ., 2013; გვ.48

⁶⁶⁹ ვ. ლორია; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; თბ., 2005; გვ.70

⁶⁷⁰ საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი; რედაქტორები ა. კოზირინი, მ. შტატინა, ი. ხარშილაძეს, ნ. ოვსიანიკოვას თარგმანი; თბ., 2014; გვ.27

პრინციპი არის სახელმძღვანელო იდეა, რომელიც სამართლის ამა თუ იმ დარგის არსს განსაზღვრავს. პრინციპებში აისახება სახელმწიფოს არსი, დემოკრატიულობის ხარისხი, სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი სტურუქტურის ბუნება. სამართლის პრინციპების თვისობრიობა სახელმწიფოს პოლიტიკასთან, მის ორგანიზაციულ მონყობასთან არის დაკავშირებული და კონკრეტული სახელმწიფოს შინაარსით არის განპირობებული. სამართლებრივი სახელმწიფოს სამართალი დემოკრატიულ, მაღალი სამართლებრივი კულტურით გამსჭვალულ პრინციპებს ემყარება. სამართლის პრინციპები სათავეს ქვეყნის კონსტიტუციაში იღებენ და სამართლის ყველა დარგში აისახებიან. მიზანშეწონილია განვიხილოთ ადმინისტრაციული სამართლის ის ფუნქციონალური პრინციპები, რომელთაც ეფუძნება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგულირების საგანი.⁶⁷¹

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის საფუძველზე განმტკიცებულია კანონიერების პრინციპის არსი, რომელიც შემდეგნაირად არის გამოხატული: „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“⁶⁷² კანონის უზენაესობის პრინციპი, რომელიც ჩადებულია ნორმის ამ ნაწილში, ადმინისტრაციულ ორგანოებს უკრძალავს კანონისგან გადახვევას. ამასთან ერთად, იგი მათ ავალდებულებს კანონის გამოყენებას. ადმინისტრაციულ ორგანოებს არა აქვთ უფლება, მიმართონ ისეთ ღონისძიებას, რომლიც კანონსაწინააღმდეგო იქნება.⁶⁷³ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუ-

⁶⁷¹ მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე.ქარდავა, პ. ტურავა; ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო; თბ., 2008; გვ.19

⁶⁷² საქართველოს 1999 წლის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 5

⁶⁷³ პ. ტურავა; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; თბ., 2016; გვ.66

ციის მე-14 მუხლიდან, ეს დებულება გულისხმობს სახელმწიფო აპარატის მხრიდან თვითნებობის აკრძალვას,⁶⁷⁴ დაუშვებელია არსებითად იდენტური საქმის გარემოებების თვითნებურად არათანაბრად შეფასება და, პირიქით, არსებითად არათანაბარი საქმის გარემოებების თვითნებურად თანაბარი შეფასება და, აქედან გამომდინარე, უკანონო გადაწყვეტილების მიღება.⁶⁷⁵ თანასწორობის პრინციპი არ შეიძლება გავიგოთ, როგორც ფაქტებისადმი დიფერენციული მიდგომის აკრძალვა. ის არ მოითხოვს, რომ ყველაფერი თანაბრად შევაფასოთ, რამდენადაც ყოველდღიური ცხოვრების ფაქტობრივი გარემოებები იმდენად მრავალფეროვანია, რომ შეუძლებელია მათი „ერთი საზომით“ გაზომვა.⁶⁷⁶

საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპი ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, მასში ასახულია ადმინისტრაციული წარმოების არსი. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს იმას, რომ საქმეზე გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ პირს ან იმ პირს, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღებაზე, არ უნდა ჰქონდეს პირადი ინტერესი, ანუ გადაწყვეტილება არ უნდა იყოს სარგებლის მომტანი მისთვის, ან მისი ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავებისათვის.⁶⁷⁷

გონივრულობისა და აუცილებლობის პრინციპი ადმინისტრაციული სამართლის მიერ დადგენილი არანაირი მოთხოვნა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ჯანსაღ აზრს. ის უნდა იყოს გონივრული და დასაბუთებული.⁶⁷⁸ საქვეყნოობის პრინციპი

⁶⁷⁴ იხ: საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 14

⁶⁷⁵ პ. ტურავა; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; თბ., 2016; გვ.66

⁶⁷⁶ პ. ტურავა, ნ.წკეპლაძე; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო; თბ., 2013; გვ.48

⁶⁷⁷ პ. ტურავა; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; თბ., 2016; გვ.75

⁶⁷⁸ საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, რედაქტორები

ადმინისტრაციული სამართლისა და ადმინისტრაციული წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია. ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობის მოთხოვნიდან გამომდინარე, დაინტერესებულ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს.⁶⁷⁹

ადმინისტრაციული სამართალი ამ ძირითადი პრინციპების საფუძველზე ახდენს ფუნქციონირებასა და ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოებს გარკვეულ უფლებამოსილებებს.

7.4. პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული და დისციპლინური გადაცდომისათვის

ადმინისტრაციულ სამართალში ერთიმეორისაგან განასხვავებენ დისციპლინურ გადაცდომასა და ადმინისტრაციულ გადაცდომას. მათ შორის არსებული უმთავრესი სხვაობა ისაა, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დადგება სამართალდარღვევისათვის, განურჩევლად სამსახურებრივი ქვემდებარეობისა; დისციპლინური პასუხისმგებლობა კი დაკავშირებულია სწორედ ასეთ ქვემდებარეობასთან ან ადმინისტრაციის წინაშე ქვემდებარეობასთან სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ან დაუდევრად შესრულებისათვის.⁶⁸⁰

დისციპლინური გადაცდომისათვის პირს შეიძლება მიეცეს გაფრთხილება, საყვედური ან გადაყვანილ იქნეს დაბალ თანამდებობაზე ან საერთოდ დათხოვნილ იქნეს სამუშაოდან.

ადმინისტრაციული გადაცდომის, ანუ ადმინისტრაცი-

ა.ნ. კოზირინი, მ.ა. შტატინა, ი.ხარშილაძესა და ნ. ოვსიანიკოვას თარგმანი; თბ., 2014; გვ.43

⁶⁷⁹ პ.ტურავა, ნ. წკეპლაძე; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო; თბ., 2013; გვ.59

⁶⁸⁰ ვ. ლორია; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; თბ., 2005; გვ.375

ული სამართალდარღვევისათვის, პირს შეიძლება შეეფარდოს ან დაედოს ადმინისტრაციული სახდელები⁶⁸¹. კერძოდ, ჯარიმა, კონფისკაცია, რეკვიზიცია, უფლების ჩამორთმევა, გამასწორებელი სამუშაოები ან ადმინისტრაციული პატიმრობა. აღსანიშნავია, რომ გარკვეულ დროსა და პირობებში ჩადენილი ზოგიერთი სახის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ანუ სამართალდარღვევა, თუ იგი ჩადენილ იქნება განმეორებით, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ამიტომაც ამბობენ რომ თავიანთი იურიდიული ბუნებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და გადაცდომები ახლოს დგას დანაშაულებრივ ქმედებებთან.⁶⁸²

უცხოელ პირს ჩადენილი ადმინისტრაციული გადაცდომისათვის შეიძლება შეეფარდოს აგრეთვე გაძევება. ამგვარი სახის სამართალდარღვევისათვის პირს შეიძლება ერთდროულად დაეკისროს ადმინისტრაციული, დისციპლინური და სხვა სახის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც.⁶⁸³

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს შეიძლება მიეცეს გაფრთხილება მხოლოდ წერილობით. ჯარიმა კი შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ ფულადი გადასახადის სახით, რომლის რაოდენობა სხვადასხვა სახის ქმედებისათვის შეიძლება სხვადასხვა იყოს.

კონფისკაციის შეფარდების დროს კი მოხდება სამართალდარღვევის საგნის უსასყიდლოდ ჩამორთმევა.

უსასყიდლოდ ჩამორთმევა, ანუ კონფისკაცია, ხდება იმ საგნისა, რომელიც იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან საბაჟო წესების დარღვე-

⁶⁸¹ საქართველოს 1984 წლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 2019 წლის მდგომარეობით, კონსოლიდირებული ვერსია, მუხლი 25

⁶⁸² გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმცოდნეობის შესავალი(საფუძვლები); თბ., 2012; გვ.429

⁶⁸³ საქართველოს 1984 წლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 2019 წლის მდგომარეობით, კონსოლიდირებული ვერსია, მუხლი 24

ვის საგანი, ან საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 296-ე მუხლის თანახმად, კონფისკაციის შესახებ გამოტანილი დადგენილების აღსრულება უნდა მოხდეს კონფისკაცია ქმნილი საგნის ჩამორთმევისა და სახელმწიფო საკუთრებად ამ საგნის იძულებითი, უსასყიდლოდ გადაქცევით.⁶⁸⁴

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც მიღებულია ჯერ კიდევ ადრე 1984 წლის 15 დეკემბერს და, რომელშიც დღემდე მრავალი ცვლილება შეტანილი.

ზემოაღნიშნული კოდექსი შედგება ზოგადი დებულებების, ზოგადი ნაწილისა და განსაკუთრებული ნაწილებისაგან.

ზოგადი დებულებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი მუხლის რედაქცია, რომელშიც ჩამოყალიბებულია ამ კანონის ამოცანები. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის ამოცანაა საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების ზუსტი და განუხრელი დაცვის, სხვა მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის,

⁶⁸⁴ საქართველოს 1984 წლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 2019 წლის მდგომარეობით, კონსოლიდირებული ვერსია, მუხლი 296

დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით.⁶⁸⁵

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი ნაწილი შედგება სამი თავისა და 10-41-ე მუხლებისაგან, რომლებშიც ასახულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის, ადმინისტრაციული სახდელებისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების მარეგულირებელი ნორმები. განსაკუთრებული ნაწილი კი ადგენს ცალკეული დარგების მიხედვით საქართველოში ადმინისტრაციული მმართველობის მარეგულირებელ ნორმებს და მოიცავს 27 თავსა და 42-314-ე მუხლებს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ თექვსმეტი (16) წლის ასაკს მიღწეულ ყველა შერაცხად პირს.

ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირისათვის უფლების ჩამორთმევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში, კერძოდ: ტრანსპორტის მართვის, ნადირობის წესების დარღვევისათვის და სხვ.

ტრანსპორტის მართვისა და ნადირობის წესების დარღვევისათვის პირს შეიძლება ჩამოერთვას უფლება ერთ წლამდე ვადით ან დაეკისროს ფულადი ჯარიმა.

ადმინისტრაციული გადაცდომისათვის პირს გამასწორებელი სამუშაოები შეიძლება შეეფარდოს ორ თვემდე ვადით ან არანაკლებ 15 დღისა ხელფასიდან 20%-ის დაქვითვით.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ პატიმრობას, იგი შეიძლება შეეფარდოს ადმინისტრაციული დარღვევის ჩამდენ პირს ვადით არა უმეტესი 15 დღე-ღამის. ამასთან, სასჯელის ეს უკანასკნელი სახეობა არ შეიძლება შეეფარდოს პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირებს, აგრეთვე

⁶⁸⁵ საქართველოს 1984 წლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 2019 წლის მდგომარეობით, კონსოლიდირებული ვერსია, მუხლი პირველი

ორსულ ქალებსა და დედებს, რომელთაც 12 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევ პირებს უფლების ჩამორთმევა, გამასწორებელი სამუშაოები და ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდებათ მხოლოდ სასამართლოს მიერ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად აღიარებულია: 1) ბრალეულის გულწრფელი მონანიება; 2) ბრალეულის მიერ სამართალდარღვევის მავნე შედეგების თავიდან აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება; 3) სამართალდარღვევის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების გავლენით, ან მძიმე, პირად თუ ოჯახურ გარემოებათა დამთხვევის გამო; 4) სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვნის მიერ; 5) სამართალდარღვევის ჩადენა ორსული ქალის ან იმ ქალის მიერ, რომელსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს.⁶⁸⁶ შემამსუბუქებელი გარემოებების ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა შემამსუბუქებელი გარემოებებიც. ამასთანავე, სამართალდარღვევის საქმის განმხილველ ორგანოს კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანიც, რომლებიც არ არის კანონით დადგენილი.⁶⁸⁷

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებად ითვლება: 1) მართლსაწინააღმდეგო ქცევის განგრძობა მისი შეწყვეტის შესახებ საამისოდ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის მიუხედავად; 2)

⁶⁸⁶ პრაქტიკული რეკომენდაციები მაგისტრატი მოსამართლისათვის; საქართველოს უზენაესი სასამართლო; თბ., 2010; გვ.110-111

⁶⁸⁷ პრაქტიკული რეკომენდაციები მაგისტრატი მოსამართლისათვის; საქართველოს უზენაესი სასამართლო; თბ., 2010; გვ.110-111

ნლის განმავლობაში ერთგვაროვანი სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა, რომლის გამოც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სახდელი; სამართალდარღვევის ჩადენა წინათ დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ; 3) არასრულწლოვნის ჩაბმა სამართალდარღვევაში; 4) სამართალდარღვევის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ; 5) სამართალდარღვევის ჩადენა სტიქიური უბედურების პირობებში ან სხვა საგანგებო გარემოებათა დროს; 6) სამართალდარღვევის ჩადენა ნასვამ მდგომარეობაში. დამამძიმებელ გარემოებათა ეს ნუსხა არის ამომწურავი და მისი განვრცობა საქმის განმხილველი ორგანოს მიერ დაუშვებელია. ამასთან, ადმინისტრაციული სახდელის დამდებ ორგანოს (თანამდებობის პირს), ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გათვალისწინებით, შეუძლია არ მიიჩნიოს ეს გარემოებები დამამძიმებლად.

საკონტროლო კითხვები:

1. რას შეისწავლის ადმინისტრაციული სამართალი?
2. როგორია ადმინისტრაციული სამართლის საგნის სისტემა?
3. რა არის ადმინისტრაციული სამართლის წყარო?
4. რა განსხვავებაა დისციპლინურ გადაცდომასა და ადმინისტრაციულ გადაცდომას შორის?
5. რა სახის სახდელები გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის?
6. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შეიძლება თუ არა პირს მიეცეს გაფრთხილება წერილობითი სახით?
7. პრაქტიკულად როგორ და რა შემთხვევაში შეიძლება ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევ პირს შეეფარდოს ქონების კონფისკაცია?
9. როგორია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის სისტემა?
10. რა ასაკიდან შეიძლება დადგეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა?

თავი მერვე

ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი

8.1. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის ზოგადი დებულებები

თანამედროვე პირობებში სახელმწიფო მმართველობა აღმასრულებელი ხელისუფლების მექანიზმს უკავშირდება. ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ადამიანი ამა თუ იმ ფორმით უამრავ კონტაქტს ამყარებს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. ვინაიდან მმართველობა ყოველდღიურად ზემოქმედებს ადამიანთა ცხოვრებისეულ ინტერესებზე, ამ ზემოქმედებისთვის ცივილიზებული ხასიათის მინიჭების, ანუ კანონმდებლობის მკაცრ დაცვაზე მისი დაფუძნების მიზნით, ობიექტურად წარმოიქმნება მმართველობითი საქმიანობისთვის იურიდიული ფორმის მიცემის მოთხოვნილება. სწორედ ამგვარი ფორმაა ადმინისტრაციული სამართალი. მისი მონოდებაა, მოაწესრიგოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ანუ სახელმწიფო მმართველობის სფეროში წარმოქმნილი საზოგადოებრივი ურთიერთობები.⁶⁸⁸

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებული საჯარო ურთიერთობანი ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონირების ყველა სფეროს მოიცავს.⁶⁸⁹

ადმინისტრაციული პროცესი ესაა საქმის განმხილველი საერთო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და შესაბამისი მატერიალური სამართლებრივი ნორმების შეფარდების გზით იმ სამართლებრივ ურთიერ-

⁶⁸⁸ ავტორთა კოლექტივი; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო თბ., 2005; გვ.19-20

⁶⁸⁹ ჯ. რუსიაშვილი, ი. ტაბუცაძე; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ., 2000; გვ.8

თობებთან დაკავშირებული საქმეების განხილვა-გადანყვეტა, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.⁶⁹⁰

ვინაიდან ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერება, როგორც იურიდიული მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი, სახელმწიფო სამართლის წიაღიდან წარმოიქმნა, ეს არის სახელმწიფო-მმართველობითი, ადმინისტრაციული შეხედულებების, იდეების, წარმოდგენების სისტემა სახელმწიფო მმართველობის (აღმასრულებელი ხელისუფლების), მისი სოციალური განპირობებულობის და ეფექტურობის, ადმინისტრაციული კანონმდებლობის რეფორმირების და განვითარების ტენდენციების, პერსპექტივების, კანონიერების, ადმინისტრაციული სამართლის პრინციპების და უცხოეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართლის შესახებ.⁶⁹¹

გარდა ზემოაღნიშნულისა, ადმინისტრაციული პროცესი, პირველ რიგში ემსახურება მატერიალური ადმინისტრაციული სამართლის რეალიზაციას, ამიტომ თუ ამ სამართალში მოცემულია ზოგიერთი ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმა, იგი გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სასარჩელო წარმოებაშიც.⁶⁹²

საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციული სამართალი ეფუძნება კონსტიტუციური სამართლის სანყისებს. შესაბამისად, კონსტიტუციური სამართლის პრინციპები არის ადმინისტრაციული საპროცესო სამართლისთვისაც კონკრეტული იდეების განმსაზღვრელი. ამიტომაც ადმინისტრაციულ პროცესისთვის დამახასიათებელი პრინციპებია. კერძოდ, ეს არის დისპოზიცი-

⁶⁹⁰ მ. კოპალეიშვილი, პ.ტურავა და სხვები; ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2018, გვ.11

⁶⁹¹ ავტორთა კოლექტივი; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო; თბ., 2005; გვ.19-20

⁶⁹² ავტორთა კოლექტივი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ., 2008; გვ.6

ურობის, შეჯიბრებითობის, ინკვიზიციურობის, კანონის წინაშე თანასწორობის, მართლმსაჯულების განხორციელების, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, პროცესის საქვეყნოობის, სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულოობის და სხვა პრინციპები. რასაკვირველია, ეს ყოველივე არ არის ამომწურავი.

რაც შეეხება საჩივრის უფლებას, ეს მოქალაქეთა საყოველთაო უფლებაა, რომლითაც ისინი უზრუნველყოფენ საკუთარი ინტერესების დაცვას. საჩივარი გამოიყენება პირადი ინტერესების დასაცავად და ეხება უშუალოდ პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვას და, როგორც წესი, აქ მოიცავს მესამე პირის-სხვისი სახელით საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას.⁶⁹³

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ვადები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. კანონის თანახმად, საპროცესო ვადა ეს არის დროის ის მონაკვეთი, რომელსაც უკავშირდება გარკვეული სამართლებრივი მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობა. საპროცესო ვადები ადგენს, თუ დროის რა მანძილზეა შესაძლებელი პროცესის მონაწილე მხარეებისა თუ სასამართლოს მიერ საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება.⁶⁹⁴

საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლებამოვლობებით, რაშიც იგულისხმება, რომ, დისპოზიციურობის პრინციპის თანახმად, მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებების მოსაპოვებლად ან დასაცავად, შეუძლია მოურიგდეს მხარეს, უარი თქვას სარჩელზე და სხვ.

⁶⁹³ ვ. ლორია; საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი; თბ., 2002; გვ.174

⁶⁹⁴ მ. კოპალეიშვილი, პ. ტურავა და სხვები, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო; თბ., 2018; გვ.43

8.2. მხარეები და მესამე პირები ადმინისტრაციულ პროცესში

მხარეთა ინსტიტუტს ადმინისტრაციულ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სწორედ უშუალოდ მხარეების ნებაზეა დამოკიდებული ადმინისტრაციული პროცესის დაწყება, მისი მიმდინარეობა და დასრულება. ადმინისტრაციული პროცესი მთლიანად აგებულია მხარეების აქტიურობაზე, მათ მონაწილეობასა და მათ მიერ პროცესის წარმართვის ნებაზე.⁶⁹⁵ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული პირების გარდა, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედება.⁶⁹⁶

მოსარჩელე არის პირი, რომელმაც აღძრა სარჩელი თავისი დარღვეული ან სადავო უფლების დასაცავად. მოსარჩელედ ვერ მიიჩნევა პირი, რომელმაც სარჩელი შეიტანა მესამე პირის უფლებისა და ინტერესის დასაცავად.

მოპასუხე არის პირი, რომელმაც, მოსარჩელის მტკიცებით, დაარღვია ან სადავო გახადა მისი უფლება. მოპასუხეს ასახვლებს მოსარჩელე.

მოსარჩელეც და მოპასუხეც შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები და ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები.

ადმინისტრაციული პროცესის მხარე შეიძლება იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია საპროცესო

⁶⁹⁵ ავტორთა კოლექტივი; ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო; თბ., 2008; გვ.225

⁶⁹⁶ საქართველოს 1999 წლის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 14

უფლებუნარიანობა და საპროცესო ქმედუნარიანობა. არ აქვს მნიშვნელობა, იურიდიული პირი კერძო სამართლისა თუ საჯარო სამართლის.⁶⁹⁷

სამოქალაქო პროცესისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ პროცესში ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა, რაც განპირობებულია ადმინისტრაციულ პროცესში დავის საგნის თავისებურებებით.⁶⁹⁸

7-დან 18 წლამდე პირთა, ასევე, ქმედუნაროდ ცნობილ მოქალაქეთა უფლებებს სასამართლოში იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები. კერძოდ, მშობლები, მშვილებლები და მეურვეები. ადმინისტრაციული პროცესისათვის დამახასიათებელ წესს წარმოადგენს ის, რომ ქმედუნარო პირის მიერ შეტანილი სარჩელი განსახილველად არ დაიშვება. კერძოდ, სასამართლო სარჩელის დასაშვებობის შემოწმების სტადიაზე განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ აღმოჩნდა, რომ სარჩელი შეტანილია ქმედუნარო პირის მიერ.⁶⁹⁹ აქვე შეიძლება პარალელი გავავლოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლთან, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ იგი შეიტანა ქმედუნარო პირმა.⁷⁰⁰

რაც შეეხება მესამე პირების ინტიტუტს, ადმინისტრაციულ პროცესში იგი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია და წარმოადგენს ადმინისტრაციულ პროცესში სუბიექტივიზმის დამკვიდრების შედეგს. მესამე პირების ინსტიტუტმა ფართო გამოყენება პოვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების მრავალ

⁶⁹⁷ ავტორთა კოლექტივი; ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო; თბ., 2008; გვ.227

⁶⁹⁸ მ. კოპალეიშვილი, პ. ტურავა და სხვები; ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო; თბ., 2018; გვ.188

⁶⁹⁹ ავტორთა კოლექტივი; ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2008, გვ.228

⁷⁰⁰ საქართველოს 1999 წლის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 182

სფეროში. ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სხვადასხვა დარგში შეიმჩნევა ამ ინსტიტუტის დანიშნულების და მისი ფართოდ გამოყენების ტენდენცია.⁷⁰¹

მესამე პირი ის პირია, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს გარკვეული ინტერესი საქმის შედეგის მიმართ: საქმის მოსარჩელის ან მოპასუხის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში მას შეიძლება მიადგეს ზიანი ან შეეზღუდოს გარკვეული უფლებამოსილებები.

საკონტროლო კითხვები:

1. რას გულისხმობს ადმინისტრაციული პროცესი?
2. რას ეფუძნება ადმინისტრაციული სამართალი?
3. ვინ არიან მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში?
4. განმარტეთ მესამე პირთა ინსტიტუტი?
5. როგორ განისაზღვრება ვადები ადმინისტრაციულ პროცესში?

⁷⁰¹ ავტორთა კოლექტივი; ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო; თბ., 2008; გვ.228

თავი მეცხრა

საგადასახადო სამართალი

9.1. საგადასახადო სამართლის ცნება და საგანი

საგადასახადო სამართალი საჯარო სამართლის დარგია. საგადასახადო სამართალი წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების სისტემას. ეს ნორმები არეგულირებენ გადასახადების დანესებასთან, შემოღებასთან, აკრეფვასთან, ასევე, გადასახადებით დაბეგვრის პროცესთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. რაც შეეხება გადასახადებს სახელმწიფოს არსებობა განუყოფლად არის დაკავშირებული გადასახადებთან. გადასახადების მნიშვნელობაზე საუბრისას ერთობ საინტერესოა ბენჟამინ ფრანკლინის სიტყვები: „ცხოვრებაში ორი რამაა გარდაუვალი: სიკვდილი და გადასახადები“.⁷⁰²

გადასახადი ნებისმიერი სახელმწიფოს უცილობელი ატრიბუტია,⁷⁰³ თომა აკვინელის შეხედულებით „გადასახადი-ძარცვის ნებადართული ფორმაა“. სახელმწიფო სწორედ ამ გზით ახორციელებს მთელი რიგი სოციალური სისტემების უზრუნველყოფას⁷⁰⁴ და იკმაყოფილებს ფინანსურ მოთხოვნილებებს, რომლის მეშვეობითაც ეფექტურად ასრულებს ხალხის მიერ მასზე დაკისრებულ ამოცანებს.⁷⁰⁵ გადასახადების მნიშვნელობაზე კარლ მარქსი წერდა: „გადასახადი - ეს არის მეხუთე

⁷⁰² ი. გაბისონია, ჯ.გაბელია; საგადასახადო დანაშაულებრივ ქმედებათა კვალი-ფიკაციის პრობლემა; ჟურნალი „იურისტი“ თბ., 2016; №1, გვ.58-60

⁷⁰³ გადასახადისაგან თავის არიდება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, შედარებითი ანალიზი, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის ასოციაცია, თბ., 2012; გვ.5

⁷⁰⁴ Grundsätze der Steuerepolitik, <https://www.bpd.de/izpb/147061/grundsatzeder-steuerpolitik/p=all>

⁷⁰⁵ ი. გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბ., 2003; გვ.7

ღმერთი კერძო საკუთრებასთან, ოჯახთან, წესრიგსა და რელიგიასთან ერთად”.⁷⁰⁶ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გადასახადების გარეშე ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეძლებს საკუთარი ფუნქციების სათანადოდ შესრულებას.

საგადასახადო სამართალს, როგორც დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინას აქვს რეგულირების საკუთარი საგანი და მეთოდი. რეგულირების საგანი საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობის განხორციელების პროცესში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობებია.

9.2. გადასახადის ცნება და მნიშვნელობა

გადასახადები ერთ-ერთი უძველეს, ამასთანავე უალრესად აქტუალურ სამართლებრივ და ეკონომიკურ კატეგორიებს განეკუთვნება. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში საგადასახადო სისტემა წარმოადგენს მისი არსებობის უმთავრეს საფუძველს. საგადასახადო სისტემის სტრუქტურის მოწყობა-ფუნქციონირებასა და მისი ყველა ელემენტის ჰარმონიულ ურთიერთობაზე ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობა.⁷⁰⁷

საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადასახადი არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.⁷⁰⁸

⁷⁰⁶ ევროპული იდეების ისტორია და ქართული კულტურა, გადასახადის იდეა: სიკვდილი, ეშმაკი, თუ მეხუთე ღმერთი? კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი Centre for Training and Consultancy; თბ., 2007; გვ.89

⁷⁰⁷ ი.გაბისონია, მ. მამნიაშვილი; საჯარო სამართლის აქტუალური პრობლემები; თბ., 2014; გვ.70-71

⁷⁰⁸ საქართველოს 2010 წლის საგადასახადო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერ-

საკანონმდებლო განმარტებიდან ნათლად ჩანს გადასახადის დამახასიათებელი ნიშნები. ასეთ ნიშნებს განეკუთვნება: 1. გადასახადის სავალდებულო ხასიათი, 2. გადასახადის არაეკვივალენტური ხასიათი. 3. გადასახადის უსასყიდლო ხასიათი.

გადასახადის სავალდებულო ხასიათი გულისხმობს გადასახადის გადამხდელის სამართლებრივ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე. საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის თანახმად. გადასახადის გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით სავალდებულოა.

რაც შეეხება გადასახადის არაეკვივალენტურ, უსასყიდლო ხასიათს, დარიცხული გადასახადი არის ვალი სახელმწიფოს წინაშე და ექვემდებარება ბიუჯეტში აუცილებელ გადახდას. გადასახადის გადამხდელის მიერ კანონით დადგენილი ოდენობით გადახდილი გადასახადის თანხა ან მისი ეკვივალენტი უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

გადასახადი ინდივიდუალურად უსასყიდლოა. რაც იმას ნიშნავს, რომ გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადის გადახდა არ წარმოშობს სახელმწიფოს კონტრვალდებულებას გადასახადის გადამხდელს გაუნიოს საჯარო მომსახურება ან განახორციელოს კონკრეტული მოქმედებები მის სასარგებლოდ.

გადასახადი პირდაპირი მნიშვნელობით - ეს არის სავალდებულო ფულადი შენატანი, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო მომსახურებათა დასაფინანსებლად.⁷⁰⁹ სახელმწიფო სწორედ გადასახადის მეშვეობით ახორციელებს მთელი რიგი სოციალური სისტემების უზრუნველყოფას, მაგალითად, საპენსიო და ჯანდაცვის სფეროების. საგადასახადო სისტემა განისაზღვრება სახელმწიფო წყობილების მიხედვით და ასევე სახელმწიფოს

სია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 6

⁷⁰⁹ Wirkungsorientierung im Bereich der Steuern und Abgaben, Paul Eckerstorfer Budgetdienst, Republik Österreich parlament, Seite 3.

შემადგენელი ნაწილების უფლებამოსილებით.⁷¹⁰ შესაბამისად, გადასახადები არის ყველასთვის და ყველა იხდის მას, თუმცა ზოგიერთი ვერც კი ხვდება, რომ იმ კონკრეტულ მომენტში იგი გადასახადის გადამხდელია.⁷¹¹

9.3. საგადასახადო სამართლის სისტემა და წყაროები

საგადასახადო სამართლის წყაროებს წარმოადგენს: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. საგადასახადო კოდექსი და მათ შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. გარდა ამისა, გადასახადებით დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა; საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული ინსტრუქციები, ბრძანებები და შიდა ხასიათის ინსტრუქციები, მეთოდური მითითებები.⁷¹²

როგორც აღვნიშნეთ, კონსტიტუცია საგადასახადო სამართლის ძირითადი წყაროა. კონსტიტუციური ნორმები განსაზღვრავენ სახელმწიფოს ფინანსურ-სამართლებრივი პოლიტიკის, მათ შორის, საგადასახადო პოლიტიკის რეგულირების საფუძვლებს. გადასახადები კი სახელმწიფოს მიერ ფინანსურ-სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი საშუალებაა. ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კონ-

⁷¹⁰ Бурова А, Налоговое Право, 2-е издание, под редакцией И.А. Цинделиани; Проспект, москва, 2017.ст. 45

⁷¹¹ Grundsätze der Steuerepolitik, <https://www.bpd.de/izpb/147061/grundsatzeder-steuerpolitik/p=all>

⁷¹² გ. ლობჯანიძე, სამართალმცოდნეობის შესავალი (საფუძვლები); თბ., 2012., გვ 507-508

სტიტუციით დადგენილი გადასახადების გადახდის ვადლებულების შესრულება უზრუნველყოფს სახელმწიფოში ყველა დონის ბიუჯეტის ფორმირებას. სწორედ ამიტომ მოცემულ კონსტიტუციურ ვალდებულებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც სახელმწიფო ხელისუფლების საჯარო-სამართლებრივი ხასიათითაა განპირობებული.⁷¹³ როგორც აღვნიშნეთ, საგადასახადო ურთიერთობებზე მსჯელობისას ძირითადი აქცენტი უნდა გავაკეთოთ საგადასახადო სისტემის მნიშვნელობასა და ელემენტებზე. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების გადახდევინების პრინციპებს, ფორმებს, მეთოდებს, საგადასახადო ორგანოებს, საგადასახადო კონტროლს და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას.⁷¹⁴ საგადასახადო სისტემა განისაზღვრება სახელმწიფო წყობილების მიხედვით და, ასევე, სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილების უფლებამოსილებით.⁷¹⁵ იგი არის მოცემული ქვეყნის საგადასახადო ორგანოების, გადასახადების სახეებისა და საგადასახადო ადმინისტრირების მეთოდების, სახელმწიფოს მიერ ამოსაღები გადასახადებისა და მეთოდების ერთობლიობა.⁷¹⁶ უფრო მეტიც, სხვადასხვა ქვეყანაში საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედებს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორებიც კი.⁷¹⁷

⁷¹³ ი. გაბისონია; საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები; თბ., 2013; გვ.10

⁷¹⁴ საქართველოს 2010 წლის საგადასახადო კოდექსი, კოდიფიცირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 2.

⁷¹⁵ Бурова А, Налоговое Право, 2-е издание, под редакцией И.А. Цинделиани; Проспект, москва, 2017.ст. 45

⁷¹⁶ გ. ურიდია; საგადასახადო ენციკლოპედია; თბ., 2016; გვ.310

⁷¹⁷ გ. ყუფარაძე; საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში; თბ., 2013; გვ.17

ამკარაა, რომ საგადასახადო სისტემის ბუნების განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული საკითხები აქტუალურია გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად სრულყოფილი სამართლებრივი საფუძვლების შესაქმნელად. საგადასახადო სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ცალკეული ელემენტების ერთობლიობა, მათ შორის გადასახადებისა და მოსაკრებლების სისტემა. იგი ფორმირდება საუკუნეების მანძილზე და იცვლება ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად.⁷¹⁸ საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს კანონით გათვალისწინებული გადასახადების გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, საგადასახადო ორგანოებისა და საგადასახადო კონტროლის, აგრეთვე კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას.

საგადასახადო სისტემამ არ შეიძლება იარსებოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტის გარეშე. კანონით დანესებული გადასახადების გადახდის კონსტიტუციური ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობით, აგრეთვე საგადასახადო სანქციებით.⁷¹⁹

საგადასახადო კანონმდებლობა თავის თავში მოიცავს ადმინისტრაციული, სამოქალაქო, სისხლის სამართლის ელემენტებსაც. იგი გარკვეულწილად კომპლექსიკური დარგია, რომელსაც ძალზე ფაქიზი მიდგომა და რეგულირება სჭირდება.

აქედან გამომდინარე, საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა, მსოფლიო სავაჭრო-სატრანზიტო სისტემაში საქართველოს ჩართვა მძლავრი საფინანსო ინსტიტუტების შექმნის კიდევ ერთი სასიკეთო სვლა იქნება, რომლებიც ხელს

⁷¹⁸ См. подр соколова э. Д. к вопросу о понятии налоговой системы, // Финансовое право, 2011. #1. С.28-31

⁷¹⁹ ი. გაბისონია, ჯ. გაბელია, საგადასახადო დანაშაულებრივი ქმედებათა კვალი-ფიკაციის პრობლემა, იურისტი2, თბ, 2012, გვ 41

შეუწყობს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური ამაღლების მყარ გარანტი იქნება.⁷²⁰

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური ნორმები განსაზღვრავენ სახელმწიფოს ფინანსურ-სამართლებრივი პოლიტიკის, მათ შორის, საგადასახადო პოლიტიკის რეგულირების საფუძვლებს. გადასახადები კი სახელმწიფოს მიერ ფინანსურ-სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი საშუალებაა. ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კონსტიტუციით დადგენილი გადასახადების გადახდის ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფს სახელმწიფოში ყველა დონის ბიუჯეტის ფორმირებას.⁷²¹ კანონით დაწესებული გადასახადების გადახდის კონსტიტუციური ვალდებულების შესრულება, ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა, ვინაიდან თვით სახელმწიფოს არსებობა განუყოფლადაა დაკავშირებული გადასახადებთან.⁷²²

საგადასახადო სისტემა მოიცავს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათ უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას, გადასახადებს, მათი დაწესების, შემოღების, შეცვლისა და გაუქმების წესებს, გადასახადის გადახდასთან და საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფორმებს, მეთოდებსა და წესებს;

⁷²⁰ ი, ხარაზი, საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და საქართველოს ასოციაციის იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, თბ., 2015, 2, 11, გვ.145

⁷²¹ ი. გაბისონია; საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები; თბ., 2013; გვ.10

⁷²² ი.გაბისონია, თ.ბარამია, საგადასახადო სისტემის პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური მახასიათებლები, სტატია, ჟურნალი იურისტი №7, გვ 26

საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობისას წარმოშობილ დავათა გასაჩივრებისა და გადაწყვეტის წესს.⁷²³

რაც შეეხება საგადასახადო სისტემას, „საგადასახადო სისტემა“, როგორც ცნება, არსებითად განსხვავდება „გადასახადების სისტემისგან“, უმთავრეს განმასხვავებელ ნიშანს კი წარმოადგენს ის, რომ საგადასახადო სისტემას აქვს გარკვეული სახის ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტები.

საგადასახადო სისტემა არის ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ეკონომიკური ერთიანობის მქონე ცალკეული გადასახადების ერთობლიობა, ხოლო გადასახადების სისტემის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ერთიანობა გადასახადის სახეებისა და მათი იურიდიული შემადგენლობის ძირითადი ელემენტების დაწესების ცენტრალიზებული წესია.

რაც შეეხება საგადასახადო სისტემის ელემენტებს, მათ მიეკუთვნება: გადასახადებით დაბეგვრის პრინციპები, გადასახადების დაწესების, შეცვლისა და გაუქმების წესი, გადასახადების სისტემა, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის საგადასახადო შენატანების განაწილების წესი, საგადასახადო ურთიერთობების მონაწილეთა უფლებები და ვალდებულებები, საგადასახადო კონტროლის ფორმები და მეთოდები, საგადასახადო ურთიერთობების მონაწილეთა პასუხისმგებლობა, გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებები, საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის პრობლემების გადაწყვეტისადმი მიდგომები და სხვ.⁷²⁴

საგადასახადო სისტემის დასახასიათებლად, რა თქმა უნდა, გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებით და-

⁷²³ გ. იმედაშვილი, საგადასახადო საქმე; თბ., 2010; გვ.33

⁷²⁴ ი.გაბისონია, თ, ბარამია, საგადასახადო სისტემის სამართლებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მახასიათებლები, ჟურნალი "იურისტი" №7, გვ.24

ბეგერის თანაფარდობა. რაც დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების დონეზე.⁷²⁵

საგადასახადო სისტემის სამართლებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მახასიათებლების შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ უცხო ქვეყნების საგადასახადო სისტემები, რათა გავერკვეთ საგადასახადო სისტემის განვითარების კანონზომიერებაში.

საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები ყალიბდებოდა სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების ზემოქმედებით. გადასახადების სახეებით, მათი სტრუქტურით, აკრეფის საშუალებებით, განაკვეთებით, ხელისუფლების სხვადასხვა დონის ფისკალური უფლებამოსილებით, საგადასახადო ბაზით, გადასახადების მოქმედების სფეროთი, საგადასახადო შეღავათებით საგადასახადო სისტემები ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან.⁷²⁶

გერმანიაში საგადასახადო სისტემა ეფუძნება შემდეგ მნიშვნელოვან პრინციპებს: გადასახადები შესაძლებლობისამებრ უნდა იყოს მინიმალური; მათი ამოღების დანახარჯები, ასევე უნდა იყოს მინიმალური; გადასახადებმა არ შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიოს კონკურენციას; გადასახადები უნდა შეესაბამებოდეს სტრუქტურულ პოლიტიკას; ისინი ორიენტირებულია შემოსავლების სამართლიან განაწილებაზე; საგადასახადო სისტემა უნდა აიგოს ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემაზე.⁷²⁷

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის საგადასახადო სისტემა მსოფლიოში ცნობილია როგორც ყველაზე რთული. არსებობის

⁷²⁵ ზ. როგავა. გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი; თბ., 2002; გვ.81

⁷²⁶ ზ. როგავა, მ. სხიერელი; საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები; თბ., 2003; გვ.7

⁷²⁷ Fiscal Incentive Effects of the German Equalization System, Sven Jari Stehn and Annalisa Fedelino, IMF Working Paper, 2009

გადასახადების სამი დონე: ფედერალური გადასახადები, რომელიც დგინდება ფედერალურ დონეზე. გადასახადი, რომელიც რეგულირდება ცალკეული შტატების მიერ და ქალაქის, ოლქის ან რაიონის ადგილობრივი გადასახადები.⁷²⁸

როგორც ი.ი. კუჩეროვი აღნიშნავს, ფედერალური სახელმწიფოს საგადასახადო სისტემის მონყობას საფუძვლად უდევს ფედერალური გადასახადები, ეს, თავის მხრივ, წარმოადგენს სისტემის პრინციპსა და კომპეტენციის დელეგირებას ცენტრალურსა და რეგიონლურ ხელისუფლებას შორის საგადასახადო ურთიერთობების სფეროში.⁷²⁹ ფედერალური გადასახადები მთელ ქვეყანაში ერთნაირად მიიღება, ხოლო ადგილობრივი და შტატის გადასახადები რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისგან და ზოგან არც არსებობენ.⁷³⁰

რაც შეეხება საგადასახადო კანონმდებლობას, ცალსახად იგი წარმოადგენს ფორმალურად დადგენილ ქცევის ნებს, რომლითაც ხდება საგადასახადო სფეროში წარმოშობილ ამა თუ იმ ურთიერთობებთან რეგულირება. ცხადია, სახელმწიფო მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების უზრუნველსაყოფად განსაზღვრავს საკანონმდებლო ჩარჩოებს, რომლის მიხედვითაც ფუნქციონირებს ქვეყნის ეკონომიკური სივრცე.⁷³¹

საქართველოს საგადასახადო გარემო კომპლექსურია და სწრაფად ცვალებადი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებასა და სტაბილურობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქნილი, სამართლიანი და სრულყოფილი საგადასახადო სისტემის შესაქმნელად აუცილებელია დაბეგვრის პირდაპირი

⁷²⁸ <http://nygeorgians.com/?ts=>

⁷²⁹ Кучеров И. И. налоговое право зарубежных стран М Юринфор, 2003, 113

⁷³⁰ აშშ-ს საგადასახადო სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი: <https://www.irs.gov/individuals/get-transcript>

⁷³¹ გადასახადისაგან თავის არიდება და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, შედარებითი ანალიზი, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის ასოციაცია, თბ., 2012; გვ.7

და არაპირდაპირი გადასახადების ოპტიმალური შეთანხმება, რაც, ჩვენი აზრით, პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის სკალის შემოღებით მიიღწევა. როდესაც საუბარია სოციალური მხარდაჭერის რეალიზებაზე უპირველეს ყოვლისა საჭიროა სახელმწიფომ გაითავისოს იმ ქვეყნების საგადასახადო სისტემა, რომელშიც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია დიფერენცირებული დაბეგვრის გზით, საშემოსავლო გადასახადის პროგრესული განაკვეთის დანესებაზე, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების შემოსავლების გამოთანაბრებაზე. აღნიშული კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საგადასახადო სფეროში თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვას.⁷³²

საკონტროლო კითხვები:

1. რომელ დარგს მიეკუთვნება საგადასახადო სამართალი?
2. განმარტეთ გადასახადის ცნება?
3. ჩამოთვალეთ საგადასახადო სამართლის წყაროები?
4. განმარტეთ საგადასახადო სისტემა?
5. რა იცით საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემის შესახებ?

⁷³² ი.გაბისონია, თ, ბარამია, საგადასახადო სისტემის სამართლებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მახასიათებლები, ჟურნალი "იურისტი" №7, გვ.25

თავი მათე

კრიმინალისტიკა

10.1. კრიმინალისტიკის საგნის ცნება, არსი და მნიშვნელობა

სიტყვა „კრიმინალისტიკა“ მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს დანაშაულთან დაკავშირებული გარემოებების ახსნას.⁷³³ კრიმინალისტიკის საგნის სრულყოფილი ცოდნა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის უნარ-ჩვევები ესაჭიროება სამართალდამცავი ორგანოების ყველა თანამშრომელს, ყველა იმას, ვისი პრაქტიკული საქმიანობაც დაკავშირებულია დამნაშავეობასთან ბრძოლის პრობლემებთან. იგი განსაკუთრებით ესაჭიროვება: გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს, ადვოკატს, ოპერატიულ მუშაკს, ანუ დედექტივს, და ექსპერტ – კრიმინალისტს, რადგან კრიმინალისტიკის საკითხების სრულყოფილი ცოდნა ამ პირთა რთული საქმიანობის წარმატების სანინდარია.

კრიმინალისტიკა არის იურიდიული მეცნიერების ის მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი დარგი, რომელიც საგამომძიებო – სასამართლო და საექსპერტო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე შეისწავლის და ადგენს, კანონით დასაშვებ ფარგლებში, მტკიცებულებათა აღმოჩენის, დამაგრების, შემოწმების, გამოკვლევისა და შეფასებისათვის საჭირო სამეცნიერო – ტექნიკურ საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებსა და ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების ზოგად და კერძო მეთოდებს.

კრიმინალისტიკაში ზოგჯერ ერთნაირი მნიშვნელობით იყენებენ დანაშაულის „გამომძიებასა“ და „გახსნას“, რაც არას-

⁷³³ შ. ფაფიაშვილი; კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი); თბ., 2013; გვ.12

ნორია. დანაშაული შეიძლება იყოს გამოძიებული მაგრამ არ იყოს გახსნილი, არ იყოს გამოკვლეული და დადგენილი დანაშაულის მთავარი ფაქტის ყველა გარემოება. მაგრამ, როცა ამბობენ, რომ დანაშაული გაიხსნაო, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეზე უკვე ჩატარებულია გამოძიება, მოხდა საქმის სრული ყოველმხრივი გამოკვლევა და მასზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ დანაშაულის „გამოძიებისა“ და „გახსნის“ ცნება ტოლფარდოვანი არაა. დანაშაულის „გახსნა“ მოიცავს გამოძიებასაც.⁷³⁴ დანაშაულის გახსნას ყოველვის წინ უსწრებს გამოძიება. ამიტომ არასწორია როცა პირი ბრალდებულად დაკავების დროსაც ამბობენ – დანაშაული გაიხსნაო, მაშინ, როცა ეს არის მხოლოდ დანაშაულპირივი შემთხვევის გამოვლინება და არა მისი გახსნა. დანაშაულის გახსნილად ცნობისათვის არც ისაა საკმარისი, რომ დაკავების მომენტიდან ბრალდებულად ცნობილ პირს ბრალი წარედგინა, ბრალდებულის სახით დაიკითხა და აღიარა კიდეც ჩადენილი დანაშაული.

როგორც აღვნიშნეთ, დანაშაული გახსნილად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა „გამოძიებულ საქმეზე სასამართლომ გამოიტანა გამამატყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი და სასამართლოს მიერ საქმეზე გამოტანილი ფინალური შეფასების ეს აქტი – განაჩენი, კანონით დადგენილი წესით, ძალაში იქნა შესული.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში, კრიმინალისტიკა გაგებულ და განხილულია ორი ძირითადი მიმართულებით: კრიმინალისტიკა, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი და, როგორც სასწავლო იურიდიული დისციპლინა.⁷³⁵

⁷³⁴ შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013; გვ.13

⁷³⁵ შ.ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013; გვ.14

პირველს მიეკუთვნება: დანაშაულებრივი ქმედების სრული, ყოველმხრივი გამოკვლევა და ამ მიზნით კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული სამეცნიერო ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით წარმოებული გამომძიებლის მთელი შემოქმედებითი საქმიანობა.

მეორეს მიეკუთვნება კრიმინალისტიკა, როგორც სასწავლო იურიდიული დისციპლინა, რომელიც სტუდენტებს აძლევს საფუძვლიან ცოდნას დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების სამეცნიერო – ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის მეთოდის საკითხებზე და სტუდენტებს პრაქტიკულ – სემინარული და ლაბორატორიული მეცადინეობებისა და საქმიანი თამაშების ჩატარებით გამოუმუშავდებათ გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, ექსპერტის, ადვოკატისა და ოპერატიული მუშაკის – დედექტივის საქმიანობისათვის დამახასიათებელი უნარ – ჩვევები.

10.2. კრიმინალისტიკის მიზნები, ამოცანები და კავშირი სამართლის მომიჯნავე მეცნიერებებთან

კრიმინალისტიკის საგნის მიზნად თავიდანვე იქნა დასახული დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილებისათვის საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და გამომძიების მეთოდის საკითხების შესწავლა – შემუშავება.

თანამედროვე კრიმინალისტიკის უმთავრეს მიზნად მიჩნეულია საგამომძიებო – სასამართლო და საექსპერტო პრაქტიკის განზოგადებისა და ბუნებრივი და ტექნიკური მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით შექმნას და საგამომძიებო – სა-

სამართლო და საექსპერტო პრაქტიკაში დანერგოს ისეთი სამეცნიერო – ტექნიკური საშუალებები, ტაქტიკური ხერხები და დანაშაულთა გამოძიების მეთოდები, რომელთა სწორი, თანმიმდევრული გამოყენება ხელს შეუწყობს საგამოძიებო – სასამართლო ორგანოებისა და ოპერატიული სამსახურის მუშაკებს – დეტექტივებს ჩასწვდნენ ნებისმიერი შენიღბული სახის დანაშაულის საიდუმლოებას, დროულად შეძლონ და დაადგინონ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისა და მისი ჩამდენი პირის გამოვლინება – დადგენა, საჭირო მტკიცებულებათა აღმოჩენა, მათი პროცესუალური დამაგრება, მომხდარი დანაშაულის ყოველმხრივი გამოკვლევა, მისი სწრაფი, სრული გახსნა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, დანაშაულის აღკვეთა და თავიდან აცილება, მართლსაწინააღმდეგო დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირთა მართებული დასჯა და მოხდეს ქვეყნად სწორი, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება.

კრიმინალისტიკის უმთავრეს ამოცანად კი მიჩნეულია: სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების – გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, ექსპერტი კრიმინალისტის, ოპერატიული მუშაკისა და ადვოკატის -შეიარაღება დანაშაულის გამოძიების, გახსნისა და თავიდან აცილების სამეცნიერო ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და გამოძიების მეთოდების ცოდნის სისტემით; დაეხმაროს მათ აიმაღლონ კვალიფიკაცია და შეძლონ თავიანთ რთულ პრაქტიკულ საქმიანობაში ამ მიღწევების გამოყენება, დანაშაულის სწრაფად, სრულად გახსნისა და გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

მაშასადამე, კრიმინალისტიკა თავისი მიზნებითა და ამოცანებით უშუალოდ არის დაკავშირებული სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობასთან, მისი მოწოდებაა ხელი შეუწყოს ამ ორგანოების მუშაკების საქმიანობას დამნაშავეობის წინააღ-

332

მდეგ ბრძოლის ამოცანების წარმატებით განხორციელებაში.⁷³⁶

კრიმინალისტიკას უაღრესად მჭიდრო კავშირი აქვს სისხლის სამართალთან, სასჯელაღსრულებით სამართალთან, სისხლის საპროცესო სამართალთან, კრიმინოლოგიასთან და სამართლის სხვა დარგებთან. მაგრამ, აქედენ შევჩერდებით მხოლოდ კრიმინალისტიკის კავშირზე სისხლის სამართალთან და სისხლის სამართლის პროცესთან.

კრიმინალისტიკის კავშირი სისხლის სამართალთან იმდენად დიდია, რომ ზოგიერთი ავტორი კრიმინალისტიკას სისხლის სამართლის თავისებურ გაგრძელებად მიიჩნევდა, რადგან, მათი აზრით, კრიმინალისტიკა მოქმედებას იწყებს იქ, სადაც სისხლის სამართალი წყვეტს თავის საქმიანობას. ეს სახობრივად სწორია, რადგან კრიმინალისტიკა თავის რეალურ საქმიანობას იწყებს სწორედ დანაშაულებრივ ქმედებათა ჩადენის შემდეგ, რათა დადგინდეს ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებული ყველა გარემოება. მაგრამ, როგორც წესი, კრიმინალისტიკა თავის მოქმედებას უფრო ადრეც იწყებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ატარებს დანაშაულის აღკვეთისა და თავიდან აცილების ღონისძიებებს.

სისხლის სამართალი ძირითადად შეისწავლის და ადგენს იმას, თუ რა არის დანაშაული, ვინ შეიძლება იყოს დანაშაულის სუბიექტი, რა ნიშნებით ხასიათდება იგი, რა შეიძლება იყოს დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რა არის სასჯელი და რა სახის სასჯელი შეიძლება გამოყენებული იქნას კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის მიმართ და სხვ.

კრიმინალისტიკა კი შეისწავლის და ადგენს ყველა შენიღბული დანაშაულის გამოვლინების, მისი გახსნისა და თავიდან აცილების ისეთ სპეციალურ სამეცნიერო – ტექნიკურ

⁷³⁶ შ.ფაფიაშვილი; კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013; გვ.15

საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებსა და გამოძიების მეთოდებს, რომელთა სწორი თანმიმდევრული გამოყენებით შესაძლებელი ხდება გამოსაძიებელი შემთხვევის სრული, ყოველმხრივი გამოკვლევა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა.

კრიმინალისტიკას განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვს სისხლის საპროცესო სამართალთან, რომელიც თავის უმთავრეს ამოცანად მიიჩნევს დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებებისა და მისი ჩამდენი პირის დადგენას; კანონის სწორად გამოყენების უზრუნველყოფას; უდანაშაულო პირის მსჯავრდების დაუშვებლობას; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას; საქმის გარემოებათა სრულ, ყოველმხრივ და ობიექტურ გამოკვლევას და სხვ.

კრიმინალისტიკის მიზანიც სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის განხორციელებას ემსახურება თავის მიერ შექმნილი და ჩამოყალიბებული დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების სპეციალური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და ცალკეული სახის დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეთოდებით.

სისხლის საპროცესო სამართალი ადგენს აგრეთვე გამოძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ზოგად წესს. კრიმინალისტიკური მეცნიერება კი შეისწავლის და ადგენს იმ სამეცნიერო ტექნიკურ საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებსა და მეთოდებს რომელთა სწორი, თანმიმდევრული გამოყენება, თავისი შედეგებით, უფრო ეფექტურს ხდის ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას.⁷³⁷

მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ზოგადი წესი, რაც აუცილებლად დაცული უნდა იქნას მისი ჩატარების დროს. მაგრამ, მასში არაფერია ნათქვამი და არც შეიძლება იყოს იმაზე მითითება, თუ მისი ჩატარების დროს რა სახის

⁷³⁷ შ.ფაფიაშვილი; კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013; გვ.16

სამეცნიერო – ტექნიკური საშუალებები და რა ტექტიკური ხერხები უნდა იქნეს გამოყენებული, რათა შევძლოთ შემთხვევის ადგილზე არსებული სხვადასხვა სახის ხილვადი და უჩინარი კვლებისა და მიკრონანილაკების აღმოჩენა, მათი ამოღება და დამაგრება. აგრეთვე ის, თუ როგორ უნდა ჩატარდეს დათვალიერება და რა ტექტიკური ხერხები უნდა იქნეს გამოყენებული დათვალიერების სტატიკურ და დინამიკურ სტადიაზე, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერება თავისი შედეგებით უფრო ეფექტური იყოს. ყოველივე ეს, ცხდია, კრიმინალისტიკური მეცნიერების პრეროგატივაა და მისი კვლევის საგანია.

სისხლის საპროცესო სამართალი სწავლობს და ადგენს ისეთ პროცესუალურ ნორმებს, რომელთა დაცვა პროცესის ყველა მონაწილისათვის სავალდებულოა. გამოძიების მიმართაც იგი ადგენს ისეთ ნორმებს, რომელთა დაცვა აუცილებელია გამოძიებლის, პროკურორის, სასამართლოს, ოპერატიული მუშაკის, ადვოკატის, ექსპერტი კრიმინალისტიკისა და პროცესის სხვა მონაწილეების მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოსაძიებელ საქმეზე ამ ნორმების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება მიჩნეული იქნება დაუშვებელ მტკიცებულებად. თავის მხრივ, კრიმინალისტიკა საპროცესო ნორმების დაცვით, შეისწავლის და ადგენს გამოსაძიებელ საქმეზე საჭირო მტკიცებულებების აღმოჩენის, ფიქსაციისა და გამოკვლევისათვის საჭირო სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ტექტიკურ ხერხებსა და ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის მეთოდის საკითხებს.

ამ მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით კრიმინალისტიკა თავიდანვე მართებულად იქნა განმარტებული, როგორც მეცნიერება დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების შესახებ.⁷³⁸

⁷³⁸ შ.ფაფიაშვილი; კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი); თბ., 2013; გვ.16-17

10.3. კრიმინალისტიკური კვლევის მეცნიერული მეთოდები

როგორც ყველა დარგის მეცნიერებას, ისევე, კრიმინალისტიკურ მეცნიერებასაც საფუძვლად უდევს დიალექტიკური კვლევის მეთოდი. ეს არის ფილოსოფიურ მეცნიერებაში აღიარებული და დადგენილი მეცნიერული კვლევის ის უმთავრესი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ხდება ყველა მოვლენის, გარემოების, ობიექტებისა და საგნების ობიექტური ასახვა ადამიანის აზროვნებაში, მათი სრული შემეცნება ბუნებაში არსებულ მთელ რიგ გარემოებებთან მჭიდრო კავშირში. სწორედ ამგვარი შემეცნების პროცესით სდება ადამიანის აზროვნებაში სამეცნიერო კვლევის საგნების, ობიექტებისა და მოვლენების სრული ადექვატური ასახვა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა.

მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიების დროსაც დიალექტიკური კვლევის მეთოდითა და ლოგიკური აზროვნების – ინდუქციური და დედუქციური კვლევის მეთოდებით წარმოებულ შემეცნების მთელ ამ პროცესსა და კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებული დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილებისათვის სჭირო სამეცნიერო – ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის მეთოდის რეკომენდაციების შემეცნების თანმიმდევრულ გამოყენებას მივყევართ გამოსაძიებელი დანაშაულის გახსნისა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისაკენ.

ისევე, როგორც ყველა მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად აღიარებას ხელს უწყობს და აყალიბებს მის მიერვე შექმნილი და ჩამოყალიბებული სამეცნიერო კვლევის კერძო მეთოდები, კრიმინალისტიკასაც თავის დამოუკიდებელ დარგად აღიარებას უდავოდ ხელი შეუწყობს საკუთრივ დანაშაულის

გახსნისა და თავიდან აცილების მიზნებისათვის კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ შემუშავებულმა ისეთმა კვლევის კერძო მეთოდებმა, როგორიცაა:

1. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის კვლევის სპეციალური მეთოდი;

2. გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებათა აღმოჩენისა და გამოკვლევის სპეციალური ხერხები და მეთოდები;

3. დაქტილოსკოპიური კვლევის მეთოდი;

4. კრიმინალისტიკური რეგისტრაციის სისტემური კვლევის მეთოდი;

5. ოდოროლოგიური კვლევის მეთოდი;

6. საგამოკვლევო ფოტოგრაფიაში შემუშავებული ნივთიერ მტკიცებულებათა კვლევის მეთოდი;

7. საგამოძიებო ვერსიების აგება – შემოწმებისა და გამოძიების დაგეგმვის მეთოდი;

8. გარეგანი ნიშნებით პიროვნების დადგენის მეთოდი;

9. სიტყვიერი პორტრეტის შედგენის კვლევის მეთოდი;

10. ცეცხლსასროლი იარაღების იდენტიფიკაციის კვლევის მეთოდი;

11. დანაშაულის ჩადენის ხერხების, პრაქტიკის განზოგადების, მისი ანალიზისა და სინთეზის კვლევის მეთოდი და სხვ.

ზემოაღნიშნული საკუთარი სპეციალური კვლევის მეთოდების გარდა კრიმინალისტიკამ გადამუშავებული სახით საკუთარ მიზნებს დაუქვემდებარა აგრეთვე საერთო სამეცნიერო კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

1. ლოგიკური აზროვნების ინდუქციური და დედუქციური კვლევის მეთოდები;

2. ტაქტიკურ-ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები;

3. ნივთიერ მტკიცებულებათა კვლევის ქიმიური, ბიოლოგიური და ბიომეტრიული კვლევის მეთოდები;

4. ფიზიკური, მათემატიკური და კიბერნეტიკული კვლევის მეთოდები;
5. ისტორიულ-შედარებითი და სისტემური კვლევის მეთოდები;
6. მოდელირებისა და საინფორმაციო კვლევის მეთოდი;
7. საინფორმაციო რეგისტრაციის კვლევის მეთოდი;
8. კომპიუტერული ტექნიკის კვლევის მეთოდი;
9. დაკვირვებისა და აღწერილობის კვლევის მეთოდი;
10. განზომილებისა და შედარებითი კვლევის მეთოდი;
11. დათვალიერებისა და ექსპერიმენტული კვლევის მეთოდი და სხვ.

10.4. დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეთოდების ზოგადი დახასიათება

სასწავლო პროგრამებით კრიმინალისტიკის საგნის შესწავლა გათვალისწინებულია მხოლოდ ერთ სემესტრში ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, ამიტომ კრიმინალისტიკის მთლიანი კურსი გაყოფილია ორ ნაწილად: ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილად. კრიმინალისტიკის მთლიანი კურსი შედგება შემდეგი ხუთი განყოფილებისაგან:

1. კრიმინალისტიკის კურსის შესავალი, ანუ მეთოდოლოგია;
 2. დანაშაულთა გახსნის კრიმინალისტიკური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, ხერხები და მეთოდები;
 3. დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის კრიმინალისტიკური ორგანიზაცია და ტაქტიკა;
 4. დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის ზოგადი მეთოდიკა;
 5. ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა.
- კრიმინალისტიკის კურსის შესავალში განხილულია:

კრიმინალისტიკის საგნის ცნება, არსი და მნიშვნელობა; კრიმინალისტიკის მიზნები და ამოცანები; საგნის სისტემა; კრიმინალისტიკის საგნის იურიდიული ბუნება და კავშირი მომიჯნავე მეცნიერებებთან; კრიმინალისტიკის აღმოცენება – განვითარების მოკლე იტორიული მიმოხილვა და მისი კვლევის მეცნიერული მეთოდები.

კრიმინალისტიკური ტექნიკა შეისწავლის გამოძიების პროცესში დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით შექმნილ სპეციალურ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებსა და მათი გამოყენების წესს; კრიმინალისტიკური ტექნიკის ცნებას, საგანსა და სისტემას; მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღებისათვის განკუთვნილ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, მათი გამოყენების ხერხებსა და მეთოდებს; მტკიცებულებათა გამოკვლევისათვის საჭირო სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს; სპექტრის უხილავ სხივებში მტკიცებულებათა გამოკვლევის ხერხებსა და მეთოდებს; გამოძიებლისა და ოპერატიული მუშაკის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და ოპერატიული ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობას დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილებისათვის.

კრიმინალისტიკური ტექნიკა შეისწავლის აგრეთვე მტკიცებულებების აღმოჩენის, ფიქსაციის, გამოკვლევისა და შეფასების ისეთ სპეციალურ დამოუკიდებელ დარგებს, როგორცაა: კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია, ტრასოლოგია, დაქტილოსკოპია, ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევა, დოკუმენტების ტექნიკურ – კრიმინალისტიკური გამოკვლევა, კრიმინალისტიკური ბალისტიკა, პიროვნების გაიგივება გარეგანი ნიშნების მიხედვით და კრიმინალისტიკური რეგისტრაცია.

კრიმინალისტიკური ტაქტიკა არის კრიმინალისტიკის საგნის ის მნიშვნელოვანი განყოფილება, რომელიც ერთიმეორესთან აკავშირებს კრიმინალისტიკურ ტექნიკასა და დანაშაულთა გახსნის მეთოდებს.

დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდის შეისწავლის კრიმინალისტიკურ მეცნიერებაში შემუშავებულ იმ რეკომენდაციებს, რომლებიც თავიანთი დანიშნულებით უფრო ზოგადია კერძობასთან მიმართებით და მეტნაკლები სიღრმით გამოიყენება ყველა სახის დანაშაულთა გამოძიებასა და გახსნაში. კერძოდ, იგი შეისწავლის დანაშაულთა გახსნის მეთოდის ცნებას, მის არსსა და მნიშვნელობას; გამოსაძიებელი შემთხვევის შემცნების მეცნიერულ ჰიპოთეზურ გზებსა და საშუალებებს; დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეთოდის ცნებას, სტრუქტურასა და მისი განვითარების მოკლე იტორიულ მიმოხილვას; დანაშაულთა გახსნის მეთოდის პრინციპებსა და ზოგად დებულებებს; სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებისა და დანაშაულთა ჩადენის ხერხების როლს, ადგილსა და მნიშვნელობას დანაშაულთა გახსნის მეთოდის სტრუქტურაში.

ცალკეული სახეების დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეთოდის შეისწავლის ერთგვაროვანი კერძო სახეობის დანაშაულთა გახსნის მეთოდის საკითხებს ცალ-ცალკე, შესაბამისი თანმიმდევრობით. კერძოდ, იგი შეისწავლის ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა გახსნის მეთოდის მკვლევარობის ჩადენის ხერხების კლასიფიკაციის მიხედვით; სქესობრივი დანაშაულის გახსნის მეთოდის; ქურდობის გახსნის მეთოდის, ძარცვისა და ყაჩაღობის გახსნის მეთოდის; თაღლითობისა და გამოძალვის გახსნის მეთოდის; სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, გადამეტებითა და სამსახურებრივი გულგრილობით ჩადენილ დანაშაულთა გახსნის მეთოდის; მექრთამეობის გახსნის მეთოდის; კანონით აკრძალული საჩუქრის მიღების გახსნის მეთოდის; საბაჟო, საგადასახადო წესების დანაშაულებრივი დარღვევის გახსნის მეთოდის; ცეცხლის ნაკიდებისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევის გახსნის მეთოდის; სატრანსპორტო დანაშაულთა გახ-

სნის მეთოდიკას; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესების დანაშაულებრივი დარღვევის გახსნის მეთოდიკა და ნარკოტიკული დანაშაულის გახსნის მეთოდ-
იკას.⁷³⁹

მაშასადამე, ცალკეული სახეების დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა არის კრიმინალისტიკის საგნის ის მმშვნელოვანი ნაწილი, სადაც თავს იყრის და თავის პრაქტიკულ რალიზაციას პოულობს კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ტაქტიკის თანამე-
დროვე მიღწევები.

საკონტროლო კითხვები:

1. რას ნიშნავს სიტყვა კრიმინალისტიკა?
2. რაში მდგომარეობს კრიმინალისტიკის მიზნები და ამო-
ცანები?
3. სამართლის რომელ დარგებთან აქვს კავშირი კრიმინალ-
ისტიკას?
4. როგორია კრიმინალისტიკის საგნის სისტემა?
5. რა თეორიებს ემყარება კრიმინალისტიკა?
6. რას ნიშნავს დანაშაულის გახსნა?
7. რას ემყარება კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის
თეორია?
8. რას შეისწავლის კრიმინალისტიკური ტექნიკა?
9. კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის რა ხერხები და
მეთოდები გამოიყენება გამოძიებაში?
10. რას ემყარება ხელნაწერთა კვლევა და რა არის მისი
მიზანი?
11. რას შეისწავლის ტრასოლოგია?

⁷³⁹ შ.ფაფიაშვილი; კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), თბ., 2013; გვ.14

12. როგორია კვალთა კლასიფიკაცია, წარმოქმნის მექანიზმის მიხედვით?
13. რა ხერხებითა და საშუალებებით შეიძლება უჩინარ კვალთა გამოვლინება – დამუშავება?
14. რა არის დოკუმენტების კვლევის მიზანი?
15. რას შეისწავლის კრიმინალისტიკური ბალისტიკა?
16. როგორ შეიძლება გასროლის ადგილისა და გამოყენებული იარაღის დადგენა?

თავი მეთერთმეტი

შრომის სამართალი

11.1. შრომის სამართლის ცნება, მიზნები და ამოცანები

შრომის სამართალი კერძო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. იგი ძირითად როლს ასრულებს დამსაქმებლისა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობის რეგულირების სფეროში.

ზოგიერთ ქვეყანაში შრომითი ურთიერთობები სამოქალაქო კოდექსით, ზოგან კი ცალკე შრომის კოდექსით არის მონესრიგებული. არის ქვეყნები, სადაც მათ აწესრიგებს როგორც სამოქალაქო კოდექსი, ისე სხვადასხვა სპეციალური აქტი.⁷⁴⁰

შრომითი ურთიერთობა მრავალგვაროვანი სამართალურთიერთობაა. გამოსაყოფია მისი შემადგენელი სულ მცირე სამი ძირითადი ტიპი: ინდივიდუალური, კოლექტიური და ორგანიზაციული.⁷⁴¹ ქართულ სინამდვილეში შრომის სამართალი სამოქალაქო სამართლის ნაწილი იყო, სოციალური განვითარების შედეგად კი ცალკე დარგად ჩამოყალიბდა.⁷⁴² შრომის უფლება, მიუხედავად იმისა, მიეკუთვნებოდა იგი ძირითად უფლებას თუ არა, ისტორიულად ქართველ კანონმდებელთა საგანგებო მონესრიგების საგანს წარმოადგენდა. დემოკრატიული საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ადამიანის შრომის უფლებას მიიჩნევს ისეთ უფლებად, რომელიც, როგორც

⁷⁴⁰ ბ. ზოიძე; ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში; თბ., 2005; გვ.189

⁷⁴¹ დ. ძამუკაშვილი; შრომის სამართალი, როგორ დავიცვათ დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები; თბ., 2012; გვ.13

⁷⁴² გ. ამირანაშვილი; დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობაში, (სამართლო პრაქტიკის მიმოხილვა), შრომის სამართალი, სტატიათა კრებული; თბ., 2011; გვ.139

წყარო ადამიანის ღირსეული არსებობისა, სახელმწიფოს არსებობის საფუძველიცაა.⁷⁴³ საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად: „შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ“.⁷⁴⁴

როგორც ვხედავთ, საქართველოს შრომის კოდექსით კიდევ ერთი ნიშანია მოცემული შრომითი ურთიერთობის საგნის ამოსაცნობად- შრომა საზღაურიანი უნდა იყოს.⁷⁴⁵ შრომის სამართლით მოწესრიგებული კერძო სამართლებრივი ურთიერთობა და წარმოიშობა პირთა შორის ვალდებულების საფუძველზე.⁷⁴⁶

სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ, კერძოდ კი, მისი ისეთი სახეობა, როგორც შრომითი ურთიერთობაა, ნებისმიერი საზოგადოების არსებობის ქვაკუთხელია და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისა და, შესაბამისად, საზოგადოების წევრთა კეთილდღეობის ზრდის მიზნებს ემსახურება.⁷⁴⁷

შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით, თანასწორობის პრინციპი რეალიზდება წინასახელშეკრულებო ეტაპზე და ხელშეკრულების დადების შემდეგ გარდაიქმნება ქვემდებარეობის პრინციპად. შრომითი ურთიერთობის წარმოშობისას სამართლებრივი ურთ-

⁷⁴³ ბ. ზოიძე; შრომის თავისუფლების არსი საქართველოს საკონსტიტუციო სამართლოს პრაქტიკაში; შრომის სამართალი, სტატიათა კრებული, თბ., 2011, გვ.2

⁷⁴⁴ საქართველოს 2010 წლის შრომის კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 2

⁷⁴⁵ დ. ძამუკაშვილი; შრომის სამართალი, როგორ დავიცვათ დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები; თბ., 2012; გვ.14

⁷⁴⁶ იქვე

⁷⁴⁷ ვ. ზაალიშვილი; შრომითი ხელშეკრულების მოშლის ზოგიერთი მექანიზმი(სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა); შრომის სამართალი, სტატიათა კრებული; თბ., 2011; გვ.11

იერთობებისათვის ფუძემდებლური ყველა თავისუფლების შენარჩუნება ხდება, მათ შორის იგულისხმება ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი.⁷⁴⁸

შრომითი ხელშეკრულება არის შეთანხმება დამსაქმებულსა და დასაქმებულს შორის, რომლის დროსაც დასაქმებული (კანდიდატი) იღებს ვალდებულებას შეასრულოს გარკვეული სამუშაო თავისი სპეციალობის ან თანამდებობის მიხედვით და დაემორჩილოს შრომის შინაგანანებს. თავის მხრივ, დამსაქმებელი (იურიდიული პირი, ფიზიკური პირი, პირთა გაერთიანება) იღებს ვალდებულებას, დასაქმებულს მისცეს შესაბამისი ანაზღაურება და შეუქმნას შრომისთვის შესაბამისი პირობები.

დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმის. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შრომითი ხელშეკრულება შედგენილი იქნება რამდენიმე ენაზე, მაშინ ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს ისიც, თუ აქედან რომელ ენაზე შესრულებულ ხელშეკრულებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა ამ ხელშეკრულებებში აღმოჩენილი სხვაობის დროს.⁷⁴⁹

კანონით აკრძალულია შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებელობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი,

⁷⁴⁸ ზ. შველიძე; საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დასაქმებულის სამართლებრივი სტატუსის მახასიათებლები; „შრომის სამართალი“, სტატიათა კრებული; თბ., 2011; გვ.102

⁷⁴⁹ ა. ზენაიშვილი; საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარები; თბ., 2015; გვ.12

კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.⁷⁵⁰ შრომითი ურთიერთობებისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.⁷⁵¹

თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით შრომის კოდექსის ეს ნორმა ფართოდ უნიფიცირებული ნორმაა.⁷⁵²

შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დადებულ იქნეს წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ამასთანავე, დამსაქმებელს (ადმინისტრაციას) უფლება აქვს დასაქმებულს დაუდგინოს გამოსაცდელი ვადა, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს ექვს თვეს.⁷⁵³ გამოსაცდელი ვადით ხელშეკრულება შეიძლება დადებულ იქნეს მხოლოდ ერთხელ, ისიც წერილობითი ფორმით.⁷⁵⁴ დასაქმებულის სამუშაოზე მიღება გამოსაცდელი ვადით ემსახურება დამსაქმებლის ინტერესებს. ასეთ წესს ყოველთვის დამსაქმებელი სთავაზობს და ამას აკეთებს მაშინ, როდესაც სურს დარწმუნდეს გააჩნია თუ არა დასაქმების მაძიებელს შესაფერისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.⁷⁵⁵

დასაქმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების დადებისას თავისუფალია საკუთარი ნების გამოვლენის თვალ-

⁷⁵⁰ საქართველოს 2010 წლის შრომის კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 2

⁷⁵¹ ა. ზენაიშვილი; საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარები; თბ., 2015; გვ.13

⁷⁵² დ. ძამუკაშვილი; შრომის სამართალი, როგორ დავიცვათ დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები; თბ., 2012; გვ.54

⁷⁵³ საქართველოს 2010 წლის შრომის კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 9

⁷⁵⁴ ა. ზენაიშვილი; საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარები; თბ., 2015; გვ.34

⁷⁵⁵ დ. ძამუკაშვილი; შრომის სამართალი, როგორ დავიცვათ დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები; თბ., 2012; გვ.75

საზრისით და დამსაქმებელთან შრომის ხელშეკრულების გაფორმების გადაწყვეტილების მიღების დროს დამოკიდებულია მხოლოდ საკუთარ ნებაზე.⁷⁵⁶

საქართველოს ახალი შრომის კოდექსი საჭიროდ მიიჩნევს დამსაქმებლის მიერ დასასაქმებელი პირის შესახებ მოიპოვოს ინფორმაცია, რომელიც არ შეიძლება სხვებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს კანდიდატის თანხმობის გარეშე.

კანდიდატთან წინასახელშეკრულებო ურთიერთობა დამთავრებულად ჩაითვლება მხარეთა მიერ შრომითი ხელშეკრულების დადებით ან დასაქმებაზე უარის თქმით. ამასთანავე, დამსაქმებელი ვალდებული არ არის დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება პირის (კანდიდატის) დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან: დამსაქმებელი ან დამსაქმებელთა გაერთიანება და დასაქმებული ან დასაქმებულთა გაერთიანება, რომელიც შექმნილია „პროფესიული კავშირების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №87 და №98 კონვენციებით გათვალისწინებული მიზნებითა და წესით (შემდგომ — დასაქმებულთა გაერთიანება). დამსაქმებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო.⁷⁵⁷ დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის გარკვეულ სამუშაოს ასრულებს.

საერთაშორისო გამოცდილების კვლევების შესაბამისად,

⁷⁵⁶ ზ. შველიძე; საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დასაქმებულის სამართლებრივი სტატუსის მახასიათებლები; „შრომის სამართალი“, სტატიათა კრებული; თბ., 2011; გვ.105

⁷⁵⁷ საქართველოს 2010 წლის შრომის კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 3

ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები როგორც წესი, არიან: დამსაქმებელი და დასაქმებული, ხოლო კოლექტიური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები, მუშაკთა-დასაქმებულთა წარმომადგენლობა პროფკავშირის პრეროგატივაა.⁷⁵⁸

1. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან.

2. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის (მეურვეობის) ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის (მეურვეობის) ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

3. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე, სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად. კანონი კრძალავს არასრულწლოვანთან ისეთი შრომის ხელშეკრულების დადებას, რომელიც დაკავშირებულია სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასა და რეალიზაციასთან.

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას აწესრიგებს შრომის კოდექსის 37-ე, 38-ე, და 381 -ე მუხლები. კოდექსი ითვალ-

⁷⁵⁸ ა. ზენაიშვილი; საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარები; თბ., 2015; გვ.15

ისწინებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, აგრეთვე მხარეთა შეთანხმებით ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლით, მაგ, ხელშეკრულების ვადის გასვლა, ხანგრძლივი შრომისუუნარობა, გარდაცვალება და სხვ.)⁷⁵⁹

კანონით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლად მიჩნეულია:⁷⁶⁰

ა) ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას;

ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;

დ) დასაქმებულის მიერ თანამდებობივი სამუშაოს ნებით-წერილობით განცხადების საფუძველზე დატოვება;

ე) ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

ვ) შრომითი ხელშეკრულების მოშლის პირობაა აგრეთვე შესასრულებელ სამუშაოსთან დასაქმებულის კვალიფიკაციის შეუსაბამობა;

ზ) მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

თ) დასაქმებულის მიერ შრომის შინაგანანენსის უხეში დარღვევა;

ი) დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ მის მიმართ ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკვე გამოყენებული იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა;

⁷⁵⁹ ი. ჭანტურია; შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები; შრომის კოდექსის კომენტარები; პ, ბელთაძე, რ.ლიპარტელიანის რედაქტორობით; თბ., გვ.126

⁷⁶⁰ საქართველოს 2010 წლის შრომის კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 37-38

კ) სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;

ლ) თუ ხანგრძლივი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს ან ექვსი თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს და, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს შვებულება;

მ) დამსაქმებელი ფიზიკური პირის ან დასაქმებულის გარდაცვალება;

ნ) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.⁷⁶¹

მასობრივი დათხოვნის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია ამის შესახებ დასაქმებულთა დათხოვნამდე არანაკლებ 45 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და იმ დასაქმებულებს, რომელთაც უწყდებათ შრომითი ხელშეკრულება.⁷⁶²

11.2. სამუშაო დრო, დასვენების დრო და შრომის ანაზღაურების წესი

სამუშაო დრო, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს. ამასთანავე, ამ სამუშაო დროში არ შედის შესვენებისა და დასვენების დრო. ასევე დადგენილია, რომ სამუშაო დღეებს (ცვლებს) შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს

⁷⁶¹ საქართველოს 2010 წლის შრომის კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 37-38

⁷⁶² შრომის კოდექსის კომენტარები; პ.ბელთაძეს და რ. ლიპარტელიანის რედაქტორობით; თბ., 2018; გვ.182

12 საათზე ნაკლები.⁷⁶³ კანონით დაშვებულია ზეგანაკვეთური სამუშაოების შესრულება ანაზღაურებითა და ანაზღაურების გარეშე. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიჩნეულია სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვანისათვის აღემატება კვირაში 40 საათს. 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის კვირაში 36 საათს, 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის 24 საათს კვირაში.⁷⁶⁴

კანონი კრძალავს ღამით სამუშაოზე არასრულწლოვანის, ორსული ქალის, ახალნამშობიარები ქალის ან მეძუძური ქალის დასაქმებას. ასევე, სამ წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელს ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს დასაქმებისას მათი თანხმობის გარეშე.⁷⁶⁵

რაც შეეხება დასაქმებული პირისათვის შვებულების მიცემას, ეს საკითხი შეიძლება დადგეს წარმოებაში მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ. გამონაკლის შემთხვევაში პირს შვებულება შეიძლება მიეცეს თერთმეტი თვის გასვლამდეც. შვებულების ხანგრძლივობა განსაზღვრულია სულ მცირე 24 სამუშაო დღით. ამასთან, დასაქმებულს უფლება აქვს დამატებით აიღოს შვებულება თხუთმეტი (15) კალენდარული დღით ანაზღაურების გარეშე.⁷⁶⁶

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს 730 კალენდარული დღე. აქედან ანაზღაურებადია მხოლოდ

⁷⁶³ საქართველოს 2010 წლის შრომის კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 14

⁷⁶⁴ იქვე

⁷⁶⁵ საქართველოს 2010 წლის შრომის კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 18

⁷⁶⁶ ზ. შველიძე; საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დასაქმებულის სამართლებრივი სტატუსის მახასიათებლები; „შრომის სამართალი“, სტატიათა კრებული; თბ., 2011; გვ.121

183 კალენდარული დღე. მშობიარობის გართულებისა და ტყუპი ბავშვის შობის შემთხვევაში დასაქმებულს შვებულება მიეცემა 200 კალენდარული დღის რაოდენობით.⁷⁶⁷

ახალშობილის შვილად აყვანის შემთხვევაში დასაქმებულს შვებულება მიეცემა ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღე, საიდანაც მას აუნაზღაურდება მხოლოდ 90 კალენდარული დღე.⁷⁶⁸

ხუთ წლამდე ბავშვის მოვლისათვის პირს შეიძლება მიეცეს დამატებითი შვებულება 12 კვირის ოდენობით ანაზღაურების გარეშე.

კანონით დადგენილია ისიც, თუ როგორ უნდა ანაზღაურდეს დასაქმებულის შრომის ანაზღაურება. როგორც წესი, შრომის ანაზღაურება უნდა მოხდეს თვეში ერთხელ ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროს. შრომის ანაზღაურების ყოველდღიური გადაცდენის ან ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს გადაუხადოს დაყოვნებული თანხის 0,07 %.⁷⁶⁹ კანონით დადგენილია, რომ დამსაქმებლის ბრალით გამონვეული იძულებითი მოცდენის შემთხვევაში დასაქმებულს შრომის ანაზღაურება უნდა მიეცეს სრული ოდენობით. თუ შრომის იძულებითი მოცდენა გამონვეული იყო დასაქმებულის ბრალით, მაშინ მას ანაზღაურება არ მიეცემა.⁷⁷⁰ დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს დასაქმებული პირი (პირები) სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.⁷⁷¹ შრომის კოდექსი ადგენს აგრეთვე შრომითი ურთიერთობის

⁷⁶⁷ საქართველოს 2010 წლის შრომის კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 27

⁷⁶⁸ საქართველოს 2010 წლის შრომის კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 28

⁷⁶⁹ იქვე

⁷⁷⁰ იქვე, მუხლი 32

⁷⁷¹ იქვე, მუხლი 35

შეცვლის, შეჩერებისა და შეწყვეტის პირობებს და სხვ.⁷⁷² იმ შემთხვევაში, თუ საჯარო სამსახურში მყოფი პირი უკმაყოფილოა და არასწორად მიიჩნევს ადმინისტრაციის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობისაგან (თანამდებობისაგან) განთავისუფლებას, მას შეუძლია, კანონით დადგენილი წესით, მიმართოს სასამართლოს.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის და რას შეისწავლის შრომის სამართალი?
2. რა არის შრომის სამართლის უმთავრესი წყარო?
3. ვინ შეიძლება იყოს შრომითი ხელშეკრულების სუბიექტი და რა ნიშნები უნდა ახასიათებდეს მას?
4. როდის იქნა მიღებული საქართველოს შრომის კოდექსი და როგორია მისი სისტემა?
5. დასასაქმებელი კანდიდატისათვის დამსაქმებლის მიერ სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმა საჭიროა დასაბუთებულ იქნეს თუ არა?
6. თოთხმეტ წლამდე ასაკის მოზარდთან რა შემთხვევაში და რასთან დაკავშირებით შეიძლება დაიდოს შრომითი ხელშეკრულება?
7. რა შეიძლება იყოს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი?
- 8 არასრულწლოვანთან რა სახის შრომითი ხელშეკრულება არ შეიძლება დადებულ იქნეს?
9. შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცნენ მხარეები (დამსაქმებელი და დასაქმებული?)
10. რამდენი საათი შეიძლება იყოს დასაქმებული პირის სამუშაო კვირეული დატვირთვა?

⁷⁷² იქვე, მუხლი 36

11. როგორია მორიგი შვებულების ხანგრძლივობა?
12. მშობიარობის შემთხვევაში დედას რა რაოდენობით შეიძლება მიეცეს ანაზღაურებადი შვებულება და ანაზღაურების გარეშე?
13. როგორაა კანონით მონესრიგებული ახალშობილი ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში ბავშვის ამყვანისათვის შვებულების მიცემის ორგანიზაცია, ანუ წესი?
14. როგორია შრომის კოდექსის სისტემა?
15. როგორაა მონესრიგებული კანონით შრომის ანაზღაურება?
16. ვის ან სად შეიძლება მიმართოს პირმა, რომელსაც არასწორად მიაჩნია სამსახურიდან მისი განთავისუფლება?

თავი მეთორმეტი

სამენარმეო სამართალი

12.1. სამენარმეო სამართლის არსი, ცნება და მნიშვნელობა

სამენარმეო ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება შუა საუკუნეების ევროპაში იღებს სათავეს.⁷⁷³ ამჟამად, საქართველოში დამკვიდრდა კერძო სამართლის პრინციპულად ახალი დარგი- სამენარმეო სამართალი.⁷⁷⁴ ეკონომიკური ფორმაციის ბაზის შეცვლამ და კერძო საკუთრების ჩამოყალიბება – განვითარებამ საკუთრების მოპოვების ტრადიციულ ფორმებს შემატა სხვადასხვა სახის ბიზნესის წარმოებით მოპოვებული საკუთრება. აქედან ერთ-ერთ ასეთ სახეობას მიეკუთვნება პირადი გამდიდრების მიზნით გაშლილი სავაჭრო და სამენარმეო საქმიანობა.

სამენარმეო საქმიანობა არის მართლზომიერი, არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.⁷⁷⁵

ვაჭრობის სფეროში წარმოებული ამგვარი ბიზნესი თავისი ბუნებით არის ეკონომიკური სახის და მასში მონაწილე სუბიექტთა საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი ბიზნესის მწარმოებელ პირთა სამართლებრივი ურთიერთდამოკიდებულება.

მენარმეობა ერთგვარად რაციონალიზაციისა და რესურსების მომგებიანად დაბანდების ახალი სფეროების ძიებას, წარმოებაში ახალი კომბინაციების აპრობაციას, ახალ ბა-

⁷⁷³ ქ.ქოქრაშვილი; სამენარმეო სამართალი; თბ., 2019; გვ.5

⁷⁷⁴ ქ.ქოქრაშვილი; სამენარმეო სამართლის შესავალი; თბ., 2001; გვ.5

⁷⁷⁵ საქართველოს 1994 წლის კანონი მენარმეთა შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი.1

ზარზე დამკვიდრებას, ახალი პროდუქციების შექმნას გულისხმობს.⁷⁷⁶

მენარმე სუბიექტთან დადებული ხელშეკრულებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს თითოეული მხარის უფლება-მოვალეობა. კერძოდ, მხარეებმა უნდა იცოდნენ, თუ მათს ასეთ ქმედებას რა სახის პასუხისმგებლობა შეიძლება მოჰყვეს. ამასთან ერთად წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ, რომ მათი ამგვარი საქმიანი ურთიერთობა მოწესრიგებულია სამართლის ცალკეული ნორმებით, რომ მათი ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებიც სისტემატურად იხვეწება და იცვლება. ამიტომ მოსალოდნელი არასასიამოვნო შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა შესაბამისი კონსულტაცია მივიღოთ ამავე სფეროში მოღვაწე იურისტისაგან.

კანონმდებლობის თანახმად, მენარმე სუბიექტებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მაგრამ რიგ შემთხვევაში ამა თუ იმ საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა სპეციალური ლიცენზიის ან ნებართვის აღება, ეს ყველაფერი კი მოწესრიგებულია ცალკე კანონით “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ”⁷⁷⁷.

ისევე, როგორც ყოველგვარი სახის სამართლებრივი ურთიერთობა კანონითაა რეგლამენტირებული, ბიზნესმენტა საქმიანობაც დამყარებული უნდა იყოს მათი საქმიანობის მომწესრიგებელ სამართლის ნორმებზე.

მაგალითად, კანონი კრძალავს ნარკობიზნესს ამ მხრივ, ყოველგვარი სახის ყიდვა-გაყიდვას, ნებისმიერ საქმიანობას. ცხადია, კანონის ამ მოთხოვნის დამრღვევი მკაცრად დაისჯება.

ყოველივე ეს, იმაზე მეტყველებს, რომ ბიზნესმენტა მთელი საქმიანობა უნდა ემყარებოდეს მათი საქმიანობის მომწეს-

⁷⁷⁶ ქ.ქოქრაშვილი; სამენარმეო სამართალი; თბ., 2019; გვ.15

⁷⁷⁷ იხ: საქართველოს 2005 წლის კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით

რიგებელ სამართლის ნორმებს. მაგალითად, კომუნისტურ, ანუ სოციალისტურ საზოგადოებაში, კანონით სასტიკად იკრძალებოდა თავისუფალი ვაჭრობა – საგნებისა და ობიექტების ყიდვა-გაყიდვა მოგების მიზნით და ამ გზით მიღებული შემოსავალი უკანონოდ ითვლებოდა. ეხლა კი იგივე სახის ქმედება ბიზნესის განვითარების ფუნდამენტია.

12. 2. მენარმეთა შესახებ კანონის ზოგადი მიმოხილვა

იურიდიული ტერმინოლოგიისა და სამართლის ცალკეული დარგების ზოგადთეორიული ცოდნა დამწყებ იურისტებთან ერთად გარკვეულად შეუწყობს ხელს სხვა დარგის სპეციალისტების საერთო სამართლებრივ აღზრდასაც. ამიტომ გადავწყვიტეთ სამენარმეო სამართლის საკითხები სამართლის ზემოთ წარმოჩენილი ფუნდამენტური საკითხების გადმოცემის შემდეგ განვიხილოთ.

სამენარმეო საქმიანობას აწესრიგებს კანონი მენარმეთა შესახებ იგი შედგება ორი – ზოგადი და კერძო ნაწილისაგან. ზოგად ნაწილში გადმოცემულია სამენარმეო საქმიანობის ისეთი საკითხები, როგორცაა:

- სამენარმეო საქმიანობის ცნება და სახეები;
- პარტნიორის ცნება და სახეები;
- სანარმოს დაფუძნებისა და რეგისტრაციის წესი;
- სანარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმის წესი;
- სანარმოს საფირმო სახელწოდების ცნება და მნიშვნელობა;
- მოგების განაწილებისა და პასუხისმგებლობის საკითხები;
- სამენარმეო საქმიანობის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხები;

– გენერალური სავაჭრო მინდობილობა [პროკურა] და იურიდიული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილების წესი;

– სანარმოს ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის წესი;

კერძო ნაწილი კი შეისწავლის ცალკეული სახის სამეწარმეო საქმიანობისა და მათი ფუნქციების ყველა კონკრეტულ საკითხს. კერძო ნაწილში განხილულია იურიდიულ პირთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები.

სამეწარმეო საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი ისეთი ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმებით, როგორცაა:⁷⁷⁸

1. ინდივიდუალური მენარმე- ეს არის იურიდიული პირი და ასეთი მენარმე გამოდის ფიზიკური პირის სახელით. მაგრამ ის აუცილებლად რეგისტრირებული უნდა იყოს სამეწარმეო რეესტრში და ჰქონდეს სათანადო საბუღალტრო ჩანაწერები.⁷⁷⁹

2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ამ შემთხვევაში, რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად, დამოუკიდებელ საქმიანობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები – უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე შეუზღუდავად, მთელი თავიანთი ქონებით.⁷⁸⁰

3. კომანდიტური საზოგადოება არის ისეთი სამეწარმეო საქმიანობა, რომლის დროსაც რამოდენიმე იურიდიული პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ საქმიანობას. ამ საზოგადოებად აღიარებულია ისეთი საზოგადოებაც, როცა ერთი ან რამ-

⁷⁷⁸ საქართველოს 1994 წლის კანონი მენარმეთა შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი.2

⁷⁷⁹ საქართველოს 1994 წლის კანონი მენარმეთა შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი.3

⁷⁸⁰ იქვე, მუხლი.20

დენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორთა წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება და სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის.⁷⁸¹

4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად [შპს] კანონით აღიარებულია ისეთი საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორის წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით⁷⁸².

5. სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად.⁷⁸³

6. კოოპერატივი. მენარმეთა შესახებ არსებული კანონის თანახმად, კოოპერატივი არის მისი წევრების შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული, ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით შექმნილი ისეთი საზოგადოება, რომლის ამოცანაა თავისი წევრების ინტერესების დაკმაყოფილება და მიმართული არ არის მოგების მიღებაზე.⁷⁸⁴

მენარმე სუბიექტთა დაფუძნება ხდება კანონით დადგენილი წესით, მათი რეგისტრაციის გზით. რეგისტრაციის უმთავრესი მიზანია სამენარმეო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტთა აღრიცხვა.⁷⁸⁵

⁷⁸¹ იქვე, მუხლი34

⁷⁸² იქვე, მუხლი44

⁷⁸³ იქვე, მუხლი51

⁷⁸⁴ საქართველოს 1994 წლის კანონი მენარმეთა შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი.60

⁷⁸⁵ ქ.ქოქრაშვილი; სამენარმეო სამართალი; თბ., 2019; გვ.15

12.3. პარტნიორის ცნება და სახეები

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, „პარტნიორი არის სამენარმეო საქმიანობის ერთ-ერთი წევრი, რომელსაც აქვს საზოგადოების წესდებით გათვალსწინებულ უფლებები და მოვალეობები. პარტნიორი ენოდება იმ პირებს, რომლებიც არიან საზოგადოების დამფუძნებლები ან რომლებიც მოგვიანებით შევიდნენ საზოგადოებაში. ამასთან პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი“⁷⁸⁶.

ფიზიკური პირი, როგორც პარტნიორი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. მათ შორის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირიც ამისათვის მას არავითარი ნებართვის აღება არ ესაჭიროება. პარტნიორი შეიძლება იყოს არასრულწლოვანიც. ამასთან, ერთად, სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილი იძლევა შესაძლებლობებს, კანონიერი წარმომადგენლის ნებართვით 16 წლის ასაკს მიღწეულმა არასრულწლოვანმა დამოუკიდებლად მართოს საწარმო.

იურიდიული პირი შეიძლება იყოს სამენარმეო საზოგადოებათა პარტნიორი. მაგრამ ამ მიმართებით კანონით გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული, რაც პირველ რიგში გამოიხატება იმაში, რომ იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების [სპს] პარტნიორი და კომანდიტური საზოგადოების პერსონალური პასუხისმგებელი პარტნიორი.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება სახელმწიფოს, როგორც პარტნიორის მონაწილეობა სამენარმეო საქმიანობაში. ამ საკითხმა განსაკუთრებით თავი იჩინა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის დროს, როცა სახელმწიფოს კუთვნილი

⁷⁸⁶ საქართველოს 1994 წლის კანონი მენარმეთა შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი. 3

სანარმოები გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებებად, რომელთა აქციები თავდაპირველად სახელმწიფო ხელში იყო, მაგრამ შემდეგ საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს მეშვეობით თანდათანობით მოხდა მათი პრივატიზაცია და განკარგვა.

ასეთივე უფლებებით არიან აღჭურვილნი სხვა სამინისტროები და დეპარტამენტები იმისდა შესაბამისად, თუ რომელ სფეროში მოღვაწეობს ესა თუ ის სამეწარმეო საზოგადოება. სახელმწიფოს შეუძლია სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობა მიიღოს როგორც კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა.

12.4. სანარმოთა დაფუძნებისა და რეგისტრაციის წესი

მეწარმეთა შესახებ არსებული კანონით გათვალისწინებული სანარმო ან საზოგადოება შეუძლია დააფუძნოს ნებისმიერმა პირმა იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რაც კანონითაა დადგენილი. კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების [სპს], კომანდიტური საზოგადოების [კს] და კო-ოპერატივის დასაფუძნებლად საჭიროა არანაკლებ ორი პირის არსებობა. ამასთანავე, ამ საზოგადოებების პერსონალური პასუხისმგებელი პარტნიორი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. შპს-ა და სს [სააქციო საზოგადოების] დასაარსებლად საჭირო არაა სანესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის არსებობა. ასეთი საზოგადოება შეიძლება დააფუძნოს ერთმა პირმაც, რომლის ოდენობა განსაზღვრულია კანონით.⁷⁸⁷ სანარმოს რეგისტრაციამდე საჭიროა ჯერ განისაზღვროს დასაფუძნებელი სანარმოს მომავალი საქმიანობა, მისი მიზნები და ამოცანები, დამფუძნებელ პირთა ურთიერთშეთანხმება და

⁷⁸⁷საქართველოს 1994 წლის კანონი მეწარმეთა შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი. 3

პასუხისმგებლობა, სანარმოს კაპიტალი და მთელი რიგი სხვა ორგანიზაციული და მატერიალური საკითხები. ყოველივე ამის შემდეგ კი მოხდეს მისი დაფუძნება და რეგისტრაცია.

კანონის თანახმად, მენარმე სუბიექტის [მენარმეთა] და არასამენარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულოა. რეგისტრაცია ნარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.⁷⁸⁸

მენარმე სუბიექტი დაფუძნებულად მიჩნევა მენარმეთა და არასამენარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. მენარმე სუბიექტის არსებობა დგინდება ამონაწერით მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან. მენარმე სუბიექტის რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას.

მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულად მიიჩნევა მარეგისტრირებელი ორგანოს ვებგვერდზე განთავსებისთანავე. მენარმე სუბიექტი რეგისტრირდება განცხადებაში მითითებული მისამართის მიხედვით და ამ მისამართით გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება მიიჩნევა ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად.

სანარმოს რეგისტრაციაში გასატარებლად საჭიროა: დაინტერესებული პირის განცხადება; სანარმოს ყველა პარტნიორის ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამონმებული წესდება, რომელშიც აუცილებლად მითითებული უნდა იყოს: სანარმოს სახელწოდება; სანარმოს სამართლებრივი ფორმა; სანარმოს იურიდიული მისამართი; სანარმოს დამფუძნებელი პარტნიორ-

⁷⁸⁸ საქართველოს 1994 წლის კანონი მენარმეთა შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი.4

ის ან პარტნიორების სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი. ხოლო, თუ პარტნიორი იურიდიული პირია, მაშინ საჭიროა მიეთითოს მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, მისი მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგელობის შესახებ; საჭიროა მიეთითოს აგრეთვე საწარმოს მმართველობის ორგანო და გადაწყვეტილების მიღების წესი, ხოლო, თუ იგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, მაშინ საჭიროა მიეთითოს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის შესახებაც.⁷⁸⁹

მენარმეთა შესახებ არსებული კანონის მეხუთე მუხლში მითითებულია მთელი რიგი ისეთი გარემოებები, როგორცაა: საწარმოს სარეგისტრაციო განცხადებასა და წესდებასთან ერთად საჭიროა წარდგენილი იქნეს საწარმოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი, ხელმოწერის ნიმუში და სხვ.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირებისა და უცხო ქვეყნის იურიდიული პირების რეგისტრაცია. ამ შემთხვევაში საწარმოს პარტნიორი ან პარტნიორები, საწარმოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი სარეგისტრაციოდ წარადგენს საქართველოს მოქალაქისათვის ან საქართველოში რეგისტრირებული საწარმოსათვის დადგენილ ეკვივალენტურ მონაცემებს. სარეგისტრაციოდ წარსადგენი დოკუმენტების ეკვივალენტურობის დადგენილ წესს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. კანონით დადგენილია ისიც, რომ უცხო ქვეყნის იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამოწმებული ან ლეგალიზებული

⁷⁸⁹ საქართველოს 1994 წლის კანონი მენარმეთა შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი.4

უნდა იყოს სათანადო წესით. კანონით სავალდებულოდ არაა მიჩნეული საწარმოს რეგისტრაციისა და მისი საქმიანობისათვის საწარმოს ბეჭდის არსებობა. ასევე, საჭირო არაა რეგისტრაციის მიზნებისათვის კაპიტალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა.

კიდევ უფრო გამარტივებულია ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციის პირობები. მენარმეთა შესახებ არსებული კანონის მე-5 მუხლის მეოთხე პრიმა პუნქტით.

მენარმეთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაძლებელია უცხო ქვეყნის საწარმოს რეგისტრაციის გადმოტანა საქართველოში საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად და, პირიქით, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს რეგისტრაცია შეიძლება გადატანილი იქნეს უცხო ქვეყანაში საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად, თუ იგი საერთაშორისო ხელშეკრულებით არ არის აკრძალული, ან ამ საწარმოს წინააღმდეგ არ არსებობს სასამართლო დავა, ან თუ მას არა აქვს საგადასახადო დავალიანება. ამ პროცესს საწარმოს რედომიცილება ეწოდება.⁷⁹⁰

საწარმოსათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის სფუძვლად მიჩნეულია: წარდგენილი დოკუმენტების არასრულყოფილება; ცრუ, არაიდენტიფიცირებადი მონაცემების არსებობა; ამ ხარვეზის გამოსასწორებლად კანონით განსაზღვრულია 30 დღე. თუ ამ პერიოდში არ იქნება გამოსწორებული სარეგისტრაციო ორგანო უფლებამოსილია უარი უთხრას განმცხადებელს და დაუბრუნოს საბუთები მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთის გარდა. რეგისტრაციაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით.⁷⁹¹

ფიზიკური პირის ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრაცია-

⁷⁹⁰ საქართველოს 1994 წლის კანონი მენარმეთა შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი 5

⁷⁹¹ იქვე

ციისათვის საჭიროა წარდგენილი იქნეს განცხადება და პირადობის დამადასტურებელი საბუთი. განცხადებაში საჭიროა მიეთითოს განმცხადებლის სახელი და გვარი, საწარმოს იურიდიული მისამართი, პირადი ნომერი, განცხადების შევსების თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა, ელექტრონული ფოსტა.

მენარმეთა შესახებ არსებული კანონის მე-7 მუხლის თანახმად, მენარმეთა და არასამენარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრში შეტანილი მონაცემები საჯაროა და მისი მონაცემების გაცნობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს და რეესტრიდან მიიღოს ამონაწერი შესაბამისი ელექტრონული ასლები საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ვებგვერდიდან.

კანონით დადგენილია ისიც, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება.

12.5. საწარმოს საფირმო სახელწოდების ცნება და მნიშვნელობა

მენარმეთა შესახებ კანონის მეექვსე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „საფირმო სახელწოდება არის სახელი, რომლითაც საქმიანობს მენარმე სუბიექტი.“⁷⁹² ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის საწარმო სამენარმეო საქმიანობაში მონაწილეობს განსაზღვრული საფირმო სახელწოდებით, რაც მისი აუცილებელი ატრიბუტი და სუბსტანციის ნაწილია. საფირმო სახელწოდება მენარმის იდენტიფიკაციისა და მისი საქმიანობის ინდივიდუალიზაციის საშუალებაა.⁷⁹³

⁷⁹² საქართველოს 1994 წლის კანონი მენარმეთა შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი.6

⁷⁹³ ქ.ქოქრაშვილი. სამენარმეო სამართალი; თბ., 2019; გვ.59

ინდივიდუალური მენარმე, ყოველთვის გამოდის საკუთარი სახელით. ორწევროვანი სახით – საკუთარი სახელითა და გვარით. სხვა შემთხვევაში საფირმო სახელწოდების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს კანონით დადგენილი შემდეგი წესი:

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდების შერჩევისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას, რომ მასში აუცილებლად შეტანილი იყოს ამ საზოგადოების ერთ-ერთი პარტნიორის სახელი და გვარი იმ დამატებით, რომ იგი აუცილებლად შეიცავდეს წარმოების ფორმის ორგანიზაციულ – სამართლებრივ ნიშნებსაც. ხოლო თუ საფირმო სახელწოდება შეიცავს ყველა პარტნიორის სახელსა და გვარს ან სხვა დანარჩენ პარტნიორებზე ზოგად მითითებას, მაშინ მის საფირმო სახელწოდებაში სხვა დამატებით გარემოებაზე მითითება საჭირო არაა. მაგალითად, „სააკაძე და სხვები“, ან „სააკაძე და კომპანია“, ან „სააკაძე და მისი ძმები“ ან „ძმები სააკაძეები“ და სხვ.

კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება თავისი საზოგადოების ორგანიზაციულ – სამართლებრივ ფორმაზე მითითებასთან ერთად აუცილებლად უნდა შეიცავდეს ერთ ერთი რომელიმე პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ანუ კომპლემენტარის სახელსა და გვარს.⁷⁹⁴

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის საფირმო სახელწოდება ძირითადად ორი ელემენტისაგან შედგება, რომელთაგან ერთ-ერთი მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის აღმნიშვნელი ელემენტი სავალდებულოა. მეორე ელემენტი, შეიძლება იყოს დამფუძნებლის სახელი ან სხვა რაიმე ნიშანი. საფირმო სახელწოდება შეთანხმებული უნდა იყოს მოცემული საწარმოს ყველა დამფუძნებელთან.⁷⁹⁵

⁷⁹⁴ საქართველოს 1994 წლის კანონი მენარმეთა შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი.6

⁷⁹⁵ იქვე

ზემოაღნიშნულთან ერთად კანონი გვაფრთხილებს, რომ საფირმო სახელწოდებას არ უნდა დაერთოს ისეთი დამატება, რამაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი, ან გამოიწვიოს რაიმე სხვა გაუგებრობა.

საწარმოს სახელწოდება შეიძლება უცვლელად გადაეცეს სხვა მფლობელს ყიდვა – გაყიდვის, ჩუქების ან მემკვიდრეობით მიღების დროს და საწარმომ იარსებოს ძველი საფირმო სახელწოდებით, თუ მისი ახალი მესაკუთრე ამას მოისურვებს და არ შეცვლის ადრინდელ საფირმო სახელწოდებას.

12.6. სამეწარმეო საქმიანობის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

ზოგადად საწარმოს ხელმძღვანელობა, როგორც ბიზნესის მართვის ერთიანი სისტემა, მართვის თეორიისა და მენეჯმენტის დარგში დაგროვილი მონიწივე გამოცდილების შემოქმედებით გამოყენებას გულისხმობს. უმთავრესად ხელმძღვანელთა ნიჭსა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, რამდენად რენტაბელური იქნება კონკრეტული საწარმო.⁷⁹⁶

მეწარმეთა შესახებ არსებული კანონის თანახმად, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება ცალკეული სახის სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობა. კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ყველა პარტნიორს აქვს უფლება იყოს მისი ხელმძღვანელი; კომანდიტური საზოგადოების ხელმძღვანელობა შეიძლება სამეწარმეო დაევალოს კომპლემენტარებს; შპს-ში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში კი დირექტორებს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად:

⁷⁹⁶ ქ.ქოქრაშვილი; სამეწარმეო სამართალი; თბ., 2019; გვ.9

ხელმძღვანელობის უფლება აქვთ: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში — ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში — სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), კომპლემენტარი იურიდიული პირის შემთხვევაში — მის მიერ დანიშნულ ფიზიკურ პირს; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში — დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.⁷⁹⁷

ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში სანარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს სანარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მაშასადამე, სამენარმეო საზოგადოების მართვის ორგანოებად აღიარებულია: საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი. მათი უფლებამოსილება რეგლამენტირებულია კანონითა და საზოგადოების წესდებით.

საერთო კრება არის სამენარმეო საზოგადოების საქმიანობის მართვის უმაღლესი ორგანო. მას ატარებენ წელიწადში ერთხელ მაინც. საერთო კრების მოწვევასთან დაკავშირებით საზოგადოების ყველა პარტნიორს ეგზავნება შეტყობინება დაზღვეული წერილით ან სხვა საშუალებით. წერილს თან უნდა დაერთოს დღის წესრიგის პროექტი. კრების ჩასატარებლად საჭიროა ხმების უბრალო უმრავლესობა. თუ პირველი მოწვევისას კრებაზე არ გამოცხადდა სათანადო რაოდენობის პარტნიორი, მაშინ კრების ჩასატარებლად იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით მეორედ ხდება კრების მოწვევა. ამჟამად კი, წინა კრებისაგან გასხვავებით, კრების ჩატარება უფლებამოსილად ითვლება მაშინაც, როცა გამოცხადებულ პარტნიორთა რაოდე-

⁷⁹⁷ საქართველოს 1994 წლის კანონი მენარმეთა შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი.9

ნობა ხმების უბრალო უმრავლესობასაც არ შეადგენს. ამ დროს ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევენ კრების თავმჯდომარეს, რომელიც ადგენს ოქმს და მასზე თვითონ აწერს ხელს.⁷⁹⁸

მენარმეთა შესახებ არსებული კანონით, რეგლამენტირებულია აგრეთვე გენერალური სავაჭრო მინდობილობის [პროკურა-ს] არსი და მნიშვნელობა. ამ კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებულ, ზემოთ ჩამოთვლილ პირებსა და ინდივიდუალურ მენარმეს შეუძლიათ წერილობით მისცეს მინდობილობა მისთვის სასურველ პირს ერთობლივად და განსაზღვროს, რომ ყველა მათგანი ერთად წარმოადგენენ საწარმოს.

სავაჭრო მინდობილობის მქონე პირი [პროკურისტი] საჭიროა რეგისტრირებულ იქნეს მენარმეთა და არასამენარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრში. ამ სახით მიღებული მინდობილობით პირს შეუძლია განახორციელოს ყველა საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რაც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან.

მინდობილობის მოქმედების უფლება შეიძლება შეწყდეს მისი გაუქმებით ან მისი ძალადაკარგულად ცნობით. ძალადაკარგულად აღიარებისათვის საჭიროა მისი გამოქვეყნება მოხდეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭვდით ორგანოში.

კანონით რეგლამენტირებულია ისიც, თუ ვაკოტრებასთან დაკავშირებით როგორ უნდა მოხდეს საწარმო რეგისტრაციის გაუქმება. ვალების დაფარვის შემდეგ საჭიროა მოხდეს პარტნიორებს შორის ლიკვიდირებული საზოგადოების ქონების გადანაწილება. კანონით რეგლამენტირებულია, რომ ქონების გადანაწილება მოხდეს ლიკვიდაციიდან ერთი წლის შემდეგ. სასამართლო უფლებამოსილია ქონების განაწილება მოახდინოს ერთი წლის გასვლამდეც, თუ ამით კრედიტორებს რაიმე საფრთხე არ შეექმნებათ.

⁷⁹⁸ საქართველოს 1994 წლის კანონი მენარმეთა შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი.9

12.7. მენარმეთა ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

მენარმე სუბიექტთა რეორგანიზაცია კანონმდებლობით რეგულირებული მნიშვნელოვანი პროცესია, რაც შეიძლება მოიცავდეს ახალი კორპორაციის დაარსებას ან არსებულში მესაკუთრეთა სტრუქტურისა და მენეჯმენტის შეცვლას იმავე ან სხვა სახელწოდებით საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივით.⁷⁹⁹ პროფესორ ქეთევან ქოქრაშვილის შეფასებით, რეორგანიზაცია იურიდიული პირის ცვლილებაა, რომლის დროსაც მისი უფლებები და მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადაეცემა რეორგანიზაციის პროცესის შედეგად წარმოქმნილ, ან დარჩენილ სუბიექტს.⁸⁰⁰

მენარმე იურიდიული პირის პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება სანარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ. პარტნიორებს, ასევე, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში-სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან დირექტორს (დირექტორებს) შეუძლიათ განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ახორციელებენ სანარმოს ლიკვიდაციას (ლიკვიდატორები).

პარტნიორები საერთო კრებაზე იღებენ გადაწყვეტილებას სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც იწყება კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი.

კანონი მენარმეთა შესახებ იცნობს ლიკვიდაციის შემდეგ ფორმებს:⁸⁰¹

1. იურიდიული პირის ლიკვიდაცია სასამართლო განაჩენის საფუძველზე;

⁷⁹⁹ ი. ბურდული, გ.მახაროშვილი და სხვები; თანამედროვე ქართული სამენარმეო სამართლის განვითარება (რეფორმის ძირითადი ასპექტები); თბ., 2016; გვ.104

⁸⁰⁰ ქ.ქოქრაშვილი; სამენარმეო სამართალი; თბ., 2019; გვ.121

⁸⁰¹ საქართველოს 1994 წლის კანონი მენარმეთა შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით, მუხლი.14

2. რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება, მენარმე სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმება ხარვეზის დადგენის საფუძველზე;

3. “გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების დაწყება;

4. თვითლიკვიდაცია.

თუ საწარმოს 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, მაშინ ლიკვიდაციის წესი უნდა დაამტკიცოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა.

ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველად მიჩნეულია რეგისტრირებული მენარმის გარდაცვალება⁸⁰².

რაც შეეხება საწარმოს რეორგანიზაციას, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი გამოყოფს რეორგანიზაციის შემდეგ სახეებს:

- ა) გარდაქმნა (სამართლებრივი ფორმის ცვლილება);
- ბ) შერწყმა (გაერთიანება, მიერთება);
- გ) გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა).

რეორგანიზაციას ახორციელებენ საწარმოს პარტნიორები.

კანონით ლიკვიდაციისაგან განსხვავებულია საწარმოს რეორგანიზაცია და ასეთად მიჩნეულია საწარმოს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა და საწარმოს რეორგანიზაციისათვის ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით გათვალისწინებული შედარების აქტის წარდგენა. თუ შედარების აქტით დადგინდება, საგადასახადო ორგანოს მიმართ საწარმოს აქვს დავალიანება. მაშინ მარეგისტრირებული ორგანო საწარმოს მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს.

⁸⁰² იქვე

საკონტროლო კითხვები:

1. როგორია ბიზნესისა და სამართლის ურთიერთკავშირი?
2. რა არის და როგორ საქმიანობას ეწოდება სამენარმეო საქმიანობა?
3. რა და რა ძირითადი სახისა და ფორმის ბიზნესი არსებობს?
4. ძირითადად რომელი კანონმდებლობით წესრიგდება სამენარმეო საქმიანობა?
5. რაზეა აგებული და დამყარებული სამენარმეო საქმიანობა?
6. ვინ შეიძლება იყოს სამენარმეო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი?
7. ვინ არ შეიძლება ჩაითვალოს მენარმე სუბიექტად?
8. რა და რა სახით შეიძლება არსებობდეს სამენარმეო საქმიანობა?
9. რა უფლებამოსილება გააჩნია ინდივიდუალურ მენარმეს?
10. რა უფლებამოსილება გააჩნია კომანდიტურ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს?
11. შეიძლება თუ არა სამენარმეო საქმიანობაში სახელმწიფო იყოს პარტნიორი?
12. საწარმოს დაარსების რა წესი არსებობს?
13. შეიძლება თუ არა სამენარმეო საქმიანობის პარტნიორი იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე?
14. როგორ ხდება საწარმოს დაფუძნება და რეგისტრაცია?
15. საწარმოს დირექტორად შეიძლება თუ არა არასრულწლოვანი პარტნიორის არჩევა?
16. რა უფლებამოსილება გააჩნია პარტნიორს?
17. შეიძლება თუ არა საქართველოდან საწარმოს რეგისტრაცია?

ტრაციის გადატანა საზღვარგარეთ?

18. რა შეიძლება იყოს სანარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი?

19. რა უფლებამოსილება გააჩნია სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივს?

გამოყენებული ლიტერატურა და ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით;
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით;
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით;
5. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით;
6. საქართველოს ადმინისტრაციულსამართალდარღვევათა კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით;
7. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით;
8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით;
9. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით;
10. გაეროს ძირითადი დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. თბ., 1995;
11. საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით;
12. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით;
13. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019 წლის მდგომარეობით;
14. სამეწარმეო საქმიანობის შესახებ კანონი, 2019 წლის მდგო-

- მარეობით;
15. საქართველოს ნორმატიული აქტების კრებული. კონსოლიდირებული, თბ., 1993;
 16. ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები, თბ., 2000;
 17. ავტორთა კოლექტივი; ქართული სამართლის საფუძვლები, თბ., 2013;
 18. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013;
 19. ა. დემეტრაშვილი, კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო, თბ, 2005;
 20. ა. ზენაიშვილი, საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარები, თბ, 2015;
 21. ავ.დემეტრაშვილი, ი.კობახიძე; კონსტიტუციური სამართალი; თბ., 2014;
 22. ავ. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე; კონსტიტუციური სამართალი, მეორე გამოცემა; თბ., 2014;
 23. ა. შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ.ნინიძის რედაქტორობით, თბ, 2003;
 24. ა.ა. ივანოვი, ნ.დარბაიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2009;
 25. ა. პეტრინგი და სხვები; სოციალური დემოკრატიის კურსი 3; თბ., 2014;
 26. ალ. ვაჩიშვილი; სამართლის ზოგადი ნაწილი; თბ., 2010;
 27. ა. კუჭუხიძე; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია; თბ., 2007;
 28. ავტორთა კოლექტივი; სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში; თბ., 2016;
 29. ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, პირველი, ზოგადი ნაწილი, თბ, 2001;

30. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, თბ, 2016;
31. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, თბ, 2014;
32. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, თბ, 2006;
33. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ, 2013;
34. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესი, თბ, 2013;
35. ავტორთა კოლექტივი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ, 2005;
36. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ, 2008;
37. ავტორთა კოლექტივი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ, 2005;
38. ავტორთა კოლექტივი, ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბ, 2018;
39. ა. ფირცხალაშვილი, გ. მირიანაშვილი; საქართველოს სახელმწიფო მონეტის საფუძვლები; თბ., 2018;
40. ავ. დემეტრაშვილი, გ. გოგიაშვილი, კონსტიტუციური სამართალი, თბ, 2016,
41. ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ, 2003,
42. ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბ, 2005,
43. ბ. სავანელი, სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2007;
44. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი
45. გ. ლობჯანიძე; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2009;
46. გ. ლობჯანიძე; სამართლის მეთოდები; თბ., 2019;
47. გ. ლობჯანიძე, დ. ლობჯანიძე, დ. ივანიშვილი; სამართალმ-

- ცოდნეობის შესავალი (საფუძვლები); თბ., 2012;
48. გ. ლობჯანიძე; ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; თბ., 2001;
 49. გ. ინწკირველი; სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; თბ., 2011;
 50. გ. ნადარეიშვილი; სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; თბ.,
 51. გ. ხუბუა; სამართლის მეთოდები; თბ., 2015;
 52. გ. ხუბუა; ძალაუფლების ინსტიტუციური ბალანსი, წიგნში: საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ; თბ., 2016;
 53. გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ, 2005,
 54. გ.ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ, 2005,
 55. გ. ნაჭყებია; ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი, ნაწილი პირველი; თბ., 2000;
 57. გ.ნაჭყებია, სისხლის სამართლის საგანი, თბ, 1997;
 58. გ.ნაწიშვილი, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ, 2005
 59. გ. თუმანიშვილი, სამართალი - ბუნებაში არსებული ფენომენი თუ ადამიანის მიერ შექმნილი სისტემა? სამართლის წარმოშობის ახლებური გააზრების ასპექტი, **GESJ: Education Science and Psychology 2016 | No.4(41)**,
 60. გ. ბუროუსი და სხვები; დემოკრატია და მოქალაქეობა, თბ., 2011;
 61. გ. კახიანი; საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი; თბ., 2008;
 62. გ. გვაზავა, ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებებისა, წიგნში, ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, ზ.კორძახისა და თ.ნემსინვერიძის რედაქტორობით, თბ, 2016;
 63. გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, თბ, 2017;

64. გადასახადისაგან თავის არიდება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, შედარებითი ანალიზი, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის ასოციაცია, თბ, 2012;
65. გ. ამირანაშვილი, დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობაში, (სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა), შრომის სამართალი, სტატიათა კრებული, თბ, 2011;
66. გ. ურიდია, საგადასახადო ენციკლოპედია, გამომცემლობა :მერიდიანი“, თბილისი, 2016;
67. გ. ყუფარაძე, საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, (მონოგრაფია), თბ, 2013;
68. გ. იმედაშვილი, საგადასახადო საქმე, თბ, 2010;
69. დ. გეგენავა, ბ.ქანთარია და სხვები, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ, 2014;
70. დ.გეგენავა, ბ.ქანთარია და სხვები, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეოთხე გამოცემა, 2016;
71. დ. გეგენავა, ბ, ქანთარია, ლ, ცანავა და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მესამე გამოცემა; თბ., 2015;
72. დ. გეგენავა, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბ, 2012;
73. დ. ძამუკაშვილი, ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, თბ, 2012;
74. დ, ძამუკაშვილი, შრომის სამართალი, როგორ დავიცვათ დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები, თბ, 2012;
75. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემის თბ, 2002;
76. ევროპული იდეების ისტორია და ქართული კულტურა, გადასახადის იდეა: სიკვდილი, ეშმაკი, თუ მეხუთე ღმერთი?კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი **Centrer for Training and Conultancy**, თბ, 2007;
77. ვ. ბაბეკი/გაული, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება

- საქართველოში, (1993-1995;
78. ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე, გ. თევდორაშვილი და სხვები; შესავალი საკონსტიტუციო სამართალში; თბ., 2016;
 79. ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე, გ. თევდორაშვილი და სხვები; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; თბ., 2017;
 80. ვ. ზაალიშვილი, შრომითი ხელშეკრულების მოშლის ზოგიერთი მექანიზმი(სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა), შრომის სამართალი, სტატიათა კრებული, თბ, 2011;
 81. ვ. ჰასემერი, სახელმწიფო აღარ არის ლეგიათანი, ზურაბ ქარჩავას თარგმანი დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, თბ, 2016;
 82. ვ.ლორია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბ, 2005;
 83. ზ. დავითაშვილი, ლექსიკონ-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, იხ: <http://dictionary.css.ge/content/genocide>
 84. ზ. ქეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, თბ, 2008;
 85. ზ. ახველიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ, 1998;
 86. ზ.გოთუა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბ, 2006;
 87. ზ.ნულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, თბ, 2000;
 88. ზ. ადგიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ.კოპალეიშვილი და სხვები, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ, 2005;
 89. ზ. როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ, 2002;
 90. ზ. როგავა, მიხეილ სხიერელი, საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები, თბ, 2003;
 91. ზ. როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ, 2002;
 92. ზ. შველიძე, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დასაქმებულის სამართლებრივი სტატუსის მახასიათებლები, „შრომის სამართალი“, სტატიათა კრებული, თბ,

- 2011;
93. თ. ალფაიძე; სამართალმცოდნეობის შესავალი; თბ., 2015;
 94. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პროცესები, ტომი1, თბ, 2007;
 95. თ.პაპაშვილი, საარჩევნო სისტემის საკონსტიტუციო ჩარჩო: საქართველოში მიმდინარე რეფორმის პერსპექტივა, კონსტიტუციონალიზმის 800 წელი, თბ, 2017;
 96. თ. შოთაძე, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, თეორია,პრაქტიკა შედარებითი კვლევა,თბ, 2017;
 97. ი.გაბისონია, ჯ.გაბელია, თ.დარსანია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, თბ, 2018;
 98. ი. გაბისონია, მ.მამნიაშვილი, საჯარო სამართლის აქტუალური პრობლემები, თბ, 2014;
 99. ი.გაბისონია, ჯ.გაბელია ბრალდებული, მსჯავრდებული თუ დამნაშავე?!, იურისტი №3, 2017;
 100. ი.გაბისონია, ჯ.გაბელია, მტკიცებულებითი საქმიანობის როლი და დანიშნულება სისხლის სამართლის პროცესში, იურისტი, №7, თბ, 2019;
 101. ი.გაბისონია, ჯ.გაბელია, საგადასახადო დანაშაულებრივ ქმედებათა კვალიფიკაციის პრობლემა, ჟურნალი „იურისტი“ 2 თბ, 2016, №1;
 102. ი. გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადაამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, „იურისტების სამყარო“ თბ, 2013;
 103. ი, გაბისონია, თ. ბარამია, საგადასახადო სისტემის პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური მახასიათებლები, ჟურნალი „იურისტი“ თბ, 2018;
 104. ი. გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადაამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, „იურისტების სამყარო“ თბ, 2013,
 105. ი.გაბისონია, ჯ.გაბელია, საგადასახადო დანაშაულებრივი ქმედებათა კვალიფიკაციის პრობლემა, ჟურნალი „იურისტი“ თბ, 2016;

106. ი. გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2003;
107. ი.ი. ამინოვი; იურიდიული ფსიქოლოგია; თბ., 2008;
108. ი. კვესელავა, ჯ. გახოკიძე, ე.გვენეტაძე; საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის, მმართველობისა და თვითმმართველობის ასპექტები; თბ., 2018;
109. ი.კვესელავა, ე.გვენეტაძე, საქართველოს კონსტიტუციური განვითარების პოლიტიკური, სამართლებრივი და ისტორიული ასპექტები, თბ., 2019;
110. ირ.სურგულაძე; ქართული სამართლის ისტორიის საკითხები; თბ., 2000;
111. ი. ხარაზი, საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და საქართველოს ასოციაციის იურიდიული ჟურნალი, თბ., 2015, "2, 11;
112. ი. გაგუა, მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში, №4, (27), 2010;
113. ი.ჭანტურია, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები, შრომის კოდექსის კომენტარები, თბ;
114. ი. ბურდული, გ.მახარობლიშვილი და სხვები, თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართლის განვითარება(რეფორმის ძირითადი ასპექტები), თბ., 2016;
115. ი.კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2019;
116. კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007;
117. კ. შარია; სამართლებრივი სახელმწიფო (ნაწილი პირველი); თბ., 2009;
- 117.კ.კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, ბლოლაძე, საკუთრების უფლების კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვა საქართველოში, თბ., 2010;
118. ლ. დანელიშვილი, მ. მესხიშვილი, იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2006;

119. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში; თბ., 2000;
120. ლ, შაიშმელაშვილი, პრეზიდენტის ინსტიტუტი, თბ, 2008,
121. ლ. ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე 2001;
122. ლ, ნადიბაიძე, საკუთრების შექმნის სამართლებრივი საფუძვლები, 2002, თბ;
123. ლ.იზორია, კ.კორკელია, კ.კუბლაშვილი. გ, ხუბუა; საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; თბ, 2005;
124. მ. მაცაბერიძე, არჩვნები და საზოგადოება, თბ, 2003;
125. მ. გაბუნია, საკუთრების სოციალური ფუნქცია მინაზე საკუთრების უფლების განხორციელების კონტექსტში, თბ,2016;
126. მ.ლომსაძე, სისხლის სამართლის პროცესი, თბ, 2015;
127. მ. კოპალეიშვილი, ნ, სხირტლაძე, ე.ქარდავა, პ, ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ, 2008;
128. ო, მელქაძე, საარჩევნო სამართალი თეორია და ქართული პრაქტიკა, თბ, 2012;
129. ო, მელქაძე, საპარლამენტო სამართალი მსოფლიო პრაქტიკაში და ქართულ რეალობაში, თბ 2013;
130. ო.მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბ, 2013;
131. ო, მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბ, 2005;
132. პ. პაკტე პ, მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ.მაისურაძის თარგმანი, თ.ნინიძის რედაქტორობით, თბ, 2003;
133. პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო; თბ., 2013;
134. პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე, ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბ, 2005;
135. პ. ტურავა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბ, 2016;
136. პრაქტიკული რეკომენდაციები მაგისტრატის მოსამარ-

- თლისათვის, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ, 2010;
137. ჟ.პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი(ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან) თბ, 1999;
 138. რ., პაიპსი, საკუთრება და თავისუფლება, გ. კვირჭიშვილი, თარგმანი, თბ, 2004;
 139. რ, შენგელია, ე, შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ, 2017;
 140. რ. შენგელია, ე, შენგელია,მემკვიდრეობის სამართალი, თბ, 2007;
 141. რ. ციპელიუსი; იურიდიული მეთოდების მოძღვრება; თბ., 2009;
 142. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ქართული სალიტერატურო ენის რვატომიანი აკადემიური ლექსიკონი (გამოიცა 1950-1964 წწ) მთავარი რედაქტორი <https://lev.ge/liv/ganmartebiti.php>
 143. სამართალმცოდნეობის საკითხები, წიგნი I, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბ., 2015;
 144. საქართველოს საერთო სასამართლოების ოფიციალური ვებ-გვერდის ლექსიკონი http://www.court.ge/geo_dictionary
 145. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4882>,
 146. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე-საქართველოს მოქალაქეები-სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიაშარია და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2,N10;
 147. საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, რედაქტორები ა.ნ. კოზირინი, მ.ა. შტატინა, ი.ხარშილაძე, თბ, 2014;
 148. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივია ქტების კრებული (1918-1921), შემდგენელი ე.გურგენიძე, თბ, 1990;
 149. სახელშეკრულებო სამართალი, გიორგი ჯუღელის რედაქ-

- ტორობით, თბ., 2014.;
150. სახელმძღვანელო სასამართლო უნარ-ჩვევებში, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა, თბ., 2012;
 151. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=16059>
 152. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ჭაბაშვილი, მიხეილ, უცხო სიტყვათა ლექსიკონი / შეადგინა [და წინასიტყვ. დაურთო] მიხეილ ჭაბაშვილმა. - მე-3 შესწ. და შევს. გამოც.. - განათლება, 1989;
 153. ქ.ქოქრაშვილი, სამეწარმეო სამართალი, თბ., 2019;
 154. ქ.ქოქრაშვილი, სამეწარმეო სამართლის შესავალი, თბ., 2001;
 155. ქ.ერემაძე; თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში; თბ., 2018;
 - 156 ქ. ერემაძე ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბ., 2013;
 157. ქ. ცხადაძე, წამომადგენლობის ინსტიტუტი ადმინისტრაციულ სამართალში, თბ., 2018,
 158. შ. ფაფიაშვილი; შესავალი იურიდიულ სპეციალობაში; თბ., 2006;
 159. შ.ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), სახელმძღვანელო, თბ., 2013;
 160. შრომის კოდექსის კომენტარები, პ.ბელთაძეს და რ. ლიპარტელიანის რედაქტორობით, თბ., 2018;
 161. ჯ. ხეცურიანი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, სტატია, ჟურნალი „საკონსტიტუციო სასამართლოს მიმოხილვა; №4; თბ., 2011;
 162. ჯ. ხეცურიანი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება; თბ., 2016;
 163. ჯ. გახოკიძე, მ.მამნიაშვილი, ზ.მელქაძე, ნ.ლომიძე, სისხლის სამართალში პოლიტიკა არსებითად უნდა შეიცვალოს,

- შრომები, ტომი XI. 2013;
164. ჯ. გახოკიძე, ი.გაბისონია, მ.მამნიაშვილი, პ, მონიავა, საგამოძიებო სამართალი, წიგნი პირველი, თბ, 2018;
 165. ჯ. გახოკიძე, ი.გაბისონია, მ.მამნიაშვილი, პ, მონიავა, საგამოძიებო სამართალი, წიგნი მეორე, თბ, 2018;
 167. ჯ. რუსიაშვილი, ი, ტაბუცაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ, 2000;
 168. Grundsätze der Steuerepolitik, <https://www.bpd.de/izpb/147061/grundsatzeder-steuerpolitik/p=all>
 169. Wirkungsorientierung im Bereich der Steuern und Abgaben, Paul Eckerstorfer Budgetdienst, Republick Osterreeich parlament,
 170. Бурова А, Налоговое Право, 2-е издание, под редакцией И.А. Цинделиани; Проспект, москва, 2017;
 171. Grundsätze der Steuerepolitik, <https://www.bpd.de/izpb/147061/grundsatzeder-steuerpolitik/p=all>
 172. Бурова А, Налоговое Право, 2-е издание, под редакцией И.А. Цинделиани; Проспект, москва, 2017.
 173. См.подр соколова э. Д. к вопросу о понятии налоговой системы , //Финансовое право ,2011.#1.
 174. Э.А. Поздняков, Философия государства и права, и. 1995, 197
 175. Алексеев С .С. Право М. 1999, С.28
 176. М. И .Врагинский Договорное право М 1997;
 177. Ткаченко В И Общие начала наказания “Россиская юстиция “ 1997, №1;
 178. ivil Evidence Act, 1995, Art 5/1
 179. Weber. W., Referat zum 43. DJT *Verhandlungen Deutschen Juristen Tagen), Bd. II, BECK Verlag, Munchen, 1962
 180. Кучеров И. И. налоговое право заруужны стран М Юринфор, 2003,

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტიფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
აღ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com
ტ. 239-15-22